საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№35 (126)
5 – 11 ოქტომბერი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## სად ერეკლე და სად – ვასილ დავითაშვილი!

3

# იდეალური მარიონეტი, ანუ მიკი მაუსი თუ დავით ბაქრაძე?



2

ბაქრაძის კანდიდატურა იმით არის საინტერესო, რომ მისი გამოყენება მოსახერხებელია ორივე განხილულ ვარიანტში. მისგან შეიძლება შეიქმნას როგორც სააკაშვილის „იდეალური მარიონეტი“, ისე „МАЛЬЧИК ДЛЯ БИТЬЯ” 2013 წლის არჩევნებში. მოკლედ, ბაქრაძისგან გამოვა ის, რასაც მისგან გამოძერწავენ.

ლალი აფციაური:

## ციხეებში პატიმრებს სპეციალური დენის ხელსაწყოთი აწამებენ

6

პაატა ზაქარეიშვილი:

## საქართველოში დღეს ავტორიტარული მმართველობაა, რომელიც თავს დემოკრატიად ასაღებს

7

## განათლების სამინისტრო განათლების წინააღმდეგ

8

შალვა ნათელაშვილი:

## არანაირი ევროკავშირის წევრობა, არანაირი ნატოში შესვლა საქართველოს არ «ემუქრება»

12

დეკანოზი დავით ისაკაძე:

## ევროსაბჭოს დაკვეთით მზადდება კანონპროექტი ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ

20

# ჯონ მაკ-კეინი



4

## – მეგობარი მეზობელი პალატიდან

# კომ მოქ ნაც კავშირელები

16

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სახეშეცვლილი ხელისუფლებისათვის მთავარი ისევ ვაშინგტონზე მარიონეტული დამოკიდებულება იქნება. მისგან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგით, რაც ბოლო წლებში ვიწვნიეთ. ამ ნიადაგზე, სავსებით შესაძლებელია აღმოცენდეს საკმაოდ მოხდენილი გეგმა, რომელიც, ერთის მხრივ, აშშ-ის ინტერესების დაცვას, მეორეს მხრივ კი, საქართველოს მოსახლეობის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას შეძლებს, რომლის კრიტიკულად დიდი ნაწილი სააკაშვილისგან, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან დაიღალა.**



# იდეალური მარიონეტი, ანუ მიკი მაუსი თუ დავით ბაქრაძე?



**გასულ კვირას კვლავ დაიწყო საუბრები დავით ბაქრაძის შესაძლო გაპრეზიდენტების შესახებ. „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, ვარშავაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის დროს, „რეზონანსის“ ჟურნალისტმა ელისო ჩაფიძემ „ჰკითხა ბაქრაძეს აპირებს თუ არა გახდეს საქართველოს მომდევნო პრეზიდენტი და აპირებს თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი პრემიერობას?“. ბაქრაძის ბუნდოვანმა პასუხმა კომენტატორებს შეუქმნა მყარი შთაბეჭდილება, რომ ეს სავსებით რეალურია, სოციალურ ქსელებში კი ამ თემაზე ვრცელი, კონსპიროლოგიური ელფერის მქონე მსჯელობა გაიმართა.**

„როგორც დავით ბაქრაძემ აღნიშნა, მისი პასუხი არ არის არც კი და არც არა. „არაბუნებრივი იქნებოდა, მეთქვა, რომ არ ვფიქრობ ჩემს მომავალ კარიერაზე, თუმცა ამ კითხვაზე პასუხი ძალიან თეორიულია. ეს დამოკიდებული იქნება მოსახლეობის განწყობაზე. მე ვიქნები მოხარული, თუ ჩვენი პოლიტიკური ძალა გაიმარჯვებს 2012 წელს და გავაგრძელებ ჩემს საქმიანობას. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით, ვისაც სურს, გახდეს პრემიერი, უნდა მოიგოს არჩევნები; ვისაც სურს, გახდეს პრეზიდენტი, იმანაც უნდა მოიგოს არჩევნები,“ — აღნიშნა დავით ბაქრაძემ“ („ინტერპრესნიუსი“).

საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც ძალაში 2013 წლის არჩევნების შემდეგ შევა პრეზიდენტის ძალაუფლებას მნიშვნელოვნად შეამცირებს. მთავარი იქნება, თუ ვინ გააკონტროლებს უმრავლესობას პარლამენტში და პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს. **თუ „ნაციონალური მოძრაობა“ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში დაახლოებით იმავე რაოდენობის მანდატებს მიიღებს, რამდენიც დღეს აქვს, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ექნება იმას, თუ ვინ დაჯდება 2013-ში პრეზიდენტის სავარძელში — დავით ბაქრაძე თუ მიკი მაუსი (მიკი მაუსი ჯობია, რადგან ბავშვებს უყვართ).** თუმცა ამბიციურმა პიროვნებამ ამ პოსტზე, თეორიულად შეიძლება საკუთარი თამაში დაიწყოს და მის ხელთ არსებული მცირე საშუალებების გამოყენებითაც კი კრიზისული ვითარება შექმნას; მას ხომ, ფორმალური თვალსაზრისით მაინც, მოსახლეობის ნდობის მანდატი ექნება, **ამიტომ ამ პოსტზე მმართველ ჯგუფს, სავარაუდოდ, „იდეალური მარიონეტი“, დამოუკიდებელი მოქმედების უნარს მოკლებული პოლიტიკური არარაობა დასჭირდება. ვერ ვიტყვით, რომ საქართველო ასეთი ფიგურების მწვავე ნაკლებობას განიცდის, თუმცა კანდიდატი კიდევ ერთ კრიტერიუმს უნდა პასუხობდეს — დასავლელი პარტნიორებისთვის მისაღები უნდა იყოს და მსოფლიოს თვალში კლინიკურ იდიოტად არ უნდა გამოიყურებოდეს. დავით ბაქრაძე ჩამოთვლილ მოთხოვნებს ასე თუ ისე აკმაყოფილებს.**

ვიღაცამ შეიძლება ჩათვალოს, რომ ეს საუბარი არასერიოზულია, რადგან ისეთ უსახურ პოლიტიკოსს, როგორიცაა დავით ბაქრაძე, არჩევნებში, პრაქტიკულად, ნებისმიერი ოპოზიციური ლიდერი ან თუნდაც იგივე მიკი მაუსი იოლად დაამარცხებს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, ვის ხელში იქნება იმ მომენტისთვის ადმინისტრაციული და პროპაგანდისტული რესურსი, ამასთანავე, გავიხსენოთ, რომ, WikiLeaks-ის ერთ-ერთი პუბლიკაციის თანახმად, **ბაქრაძის გაპრეზიდენტების თემაზე ჯერ კიდევ 2009 წლის იანვარში აშშ-ის საელჩოში ჯონ ტეფტი და დიმიტრი შაშკინი სავსებით სერიოზულად მსჯელობდნენ. ეს იდეა მაშინ, ორ-ნახევარი წლის წინ, საჯაროდ რომ გაჟღერებულიყო, ნახევარი საქართველო, ალბათ, სიცილით დაიხოცებოდა, თუმცა პროექტი „ბაქრაძე, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი“, სავარაუდოდ, საკმაოდ დიდი ხანია, არსებობს და გამორიცხული არაა, რომ მალე რეალიზების აქტიურ (უფრო ზუსტად კი ხილულ) ფაზაში შევა. ალბათ, გასარკვევია, ვის და რისთვის დასჭირდა ეს, რბილად რომ ვთქვათ, ექსტრავაგანტული პროექტი.**

პირველი ვერსია გულისხმობს იმას, რომ სააკაშვილი პრემიერის პოსტს დაიკავებს, ხოლო პრეზიდენტის სავარძელში თავის უნებისყოფო თოჯინას დასვამს. ეს ვარაუდი დღეს ძალიან ფართოდაა გავრცელებული და მეტ-ნაკლებად რეალისტურად გამოიყურება. **მართალია, ოპოზიციის წარმომადგენლები ბოლო დროს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ „დასავლეთი სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენას არ დაუშვებს“, თუმცა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დასავლეთმა, კერძოდ კი ვაშინგტონმა, სხვა ქვეყნებში არაერთგზის გაცილებით უარესი რამ დაუშვა.**

როდესაც მთავარია ამა თუ იმ ქვეყანაზე კონტროლის შენარჩუნება, ყველაფერი დანარჩენი უკანა პლანზე გადადის. მაგალითად, ირანში შაჰის რეფორმების დასაწყისში ორი მართული, ერთი შეხედვით, თანაბარი პერსპექტივის მქონე პარტია შეიქმნა. ორპარტიული მოდელი აშშ-ის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში ხშირად გამოიყენება (ლათინური ამერიკა სავსეა მაგალითებით) და, უმეტესწილად, თავისუფალი არჩევანის ილუზიის შექმნას ემსახურება. თუმცა შემდეგ დაიწყო დრეიფი ერთპარტიული სისტემისკენ, შეიქმნა სახელისუფლო მმართველი პარტია („ირანე ნოვინ“), რომელიც მალევე შეერწყა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებს, ოპოზიციამ კი მხოლოდ დეკორატიული, „ჯიბის ოპოზიციის“ სახე შეიძინა, ანუ შეიქმნა დაახლოებით ის სიტუაცია, რომელიც დღეს საქართველოში გვაქვს. ბოლოს პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა და 1975-ში შაჰმა ერთპარტიული სისტემა იურიდიულად გააფორმა, შეიქმნა „ერთადერთი ჭეშმარიტი პარტია“ („რასტაჰიზ“), რომელშიც გაწევრიანება პატრიოტიზმისა და შაჰისადმი ლოიალურობის გამოვლენად განიხილებოდა. ეს, პირვანდელ „ორპარტიულ ჩანაფიქრთან“ შედარებით, აშკარა რეგრესი იყო, თუმცა ამას შტატების დამოკიდებულებაზე რეჟიმის მიმართ განსაკუთრებული გავლენა არ მოუხდენია. მთავარი ვაშინგტონისთვის თეირანის გეოპოლიტიკური ერთგულება, დაჩქარებულ ვესტერნიზაციაზე ორიენტირებული რეფორმები და ქვეყანაზე კონტროლის შენარჩუნება იყო. რეპრესიები და ირანის პოლიტიკური სისტემის თავისებურებები ამ კონტექსტში მეორეხარისხოვანი ნიუანსი იყო. საბოლოოდ, ყოველივე ეს დასრულდა იმით, რომ ხალხი აიათოლა ჰომეინის გაჰყვა და, გუბაზ სანიკიძის თქმის არ იყოს, „დამწვარი გვამებით სირბილი“ დაიწყო. თუმცა, ვინაიდან ძია სემი ერთსა და იმავე ორმოში ჩავარდნის თვალსაზრისით, უდავო მსოფლიო ჩემპიონი გახლავთ, მსგავსი ისტორიები პლანეტის სხვადასხვა კუთხეში მოსაწყენი მონოტონურობით მეორდება.

**თეთრი სახლი 43 წელი „უშვებდა“ სომოსას დინასტიის კოშმარულ მმართველობას ნიკარაგუაში და რატომ „არ დაუშვებს“ სააკაშვილის გაპრემიერებას საქართველოში? სხვათა შორის, იმ პერიოდში ნიკარაგუის პრეზიდენტების სიაში, სამი სომოსას გარდა, სხვა გვარებიც გვხვდება (ბენხამინო ლაკაიო, ვიქტორ რომან-ი-რეიესი, რენე შიკი). ბანალური მარიონეტები იყვნენ, რომელთაც დროდადრო პრეზიდენტის სავარძელში „ზრდილობისთვის“, მზარდი დემოკრატიულობის დაფიქსირებისთვის სვამდნენ. როდესაც ერთ-ერთმა ასეთმა (იდეაში) თოჯინამ — ლეონარდო არგუელიომ „თვითნებობის“ გამოვლენა დაიწყო, ანასტასიო სომოსა-უფროსმა ის გაპრეზიდენტებიდან 25 დღეში ჯერ სასახლიდან, შემდეგ კი ქვეყნიდან გააძევა.**

საინტერესოა, რა მიზანს ემსახურება ეს ზღაპრები საერთო შინაარსით: „იძინე მშვიდად, საქართველოვ, დასავლეთი ამას არ დაუშვებს?“.

ბაქრაძის გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებულ ამ ვერსიას რამდენიმე ქვევარიანტი აქვს, რომელთა თანახმად, სააკაშვილი არა პრემიერის, არამედ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებს ან სულაც, ავანსცენიდან დროებით წავა და ქვეყნის მართვას მარიონეტების მეშვეობით განაგრძობს და ა. შ. ყველა ამ ვარიანტის ფარგლებში მმართველი ძალა ხელისუფლებას ინარჩუნებს, მხოლოდ კოსმეტიკურ სახეცვლილებას განიცდის, ხოლო მასში შემავალი ჯგუფები ერთმანეთთან რეალურ კონფრონტაციაში არ შედიან.

**გარკვეულ ლოგიკას მოკლებული არაა მეორე ვერსიაც, რომლის ფარგლებში დავით ბაქრაძე, როგორც განგებ განწირული, აპრიორი დამარცხებული კანდიდატი განიხილება. წარმოვიდგინოთ ასეთი სცენარი: 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ გაიმარჯვებს (ხელისუფლება ამ არჩევნებისთვის ისე ემზადება, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მონაგონია) მანდატების შედარებით მცირე ნაწილს კი (მაგალითად) ირაკლი ალასანიას გარშემო გაერთიანებული ბლოკი დაეპატრონება, ხოლო შემდეგ, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, ალასანია (ამ ადგილას მოულოდნელად შეიძლება სხვა გვარიც გაჩნდეს) ბაქრაძეს დაამარცხებს. ერთი შეხედვით, ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვება დემოკრატიის ზეიმია, მეორეს მხრივ კი, რეალური ძალაუფლება პრემიერ-მინისტრის ხელთ დარჩება, რომელსაც ზურგს საპარლამენტო უმრავლესობა გაუმაგრებს.**

თუ ვითარებას რეალისტურად შევხედავთ, ვნახავთ, რომ არჩევნებში წარმატებისთვის, ისევე, როგორც ხელისუფლების შემდგომი, თანდათანობითი გაფართოებისთვის, ალასანიას დღევანდელი მმართველი ძალის ერთ-ერთ ჯგუფთან ალიანსზე წასვლა დასჭირდება; „რესურსი რესურსია“ და ამ მარტივ ფაქტს ვერსად გავექცევით. **ყოველივე ეს შექმნის წინაპირობებს ხელისუფლების ეტაპობრივი ტრანსფორმაციისთვის და, საბოლოო ჯამში, სავარაუდოდ, დასრულდება „პროგრესული ალასანიას“ გამარჯვებით „დრომოჭმულ სააკაშვილზე“. თუმცა ამ პროცესში მთელი რიგი დამცავი მექანიზმები უზრუნველყოფენ იმას, რომ არსებითად ქვეყანაში არაფერი შეიცვალოს: სახეშეცვლილი ხელისუფლებისათვის მთავარი ისევ ვაშინგტონზე მარიონეტული დამოკიდებულება იქნება. მისგან გამომდინარე ყველა ნეგატიური შედეგით, რაც ბოლო წლებში ვიწვნიეთ. ამ ნიადაგზე, სავსებით შესაძლებელია აღმოცენდეს საკმაოდ მოხდენილი გეგმა, რომელიც, ერთის მხრივ, აშშ-ის ინტერესების დაცვას, მეორეს მხრივ კი, საქართველოს მოსახლეობის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას შეძლებს, რომლის კრიტიკულად დიდი ნაწილი სააკაშვილისგან, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან დაიღალა.**

თუმცა იქნება დიდი წინააღმდეგობაც, რადგან ბევრი მაღალჩინოსნისთვის მომავლის ამ ვარიანტში ადგილი არ მოიძებნება და ისინი, სავარაუდოდ, ყველაფერს იღონებენ, რათა დღევანდელი ვითარება „დააკონსერვონ“. ეს კი სააკაშვილის მმართველობის მაქსიმალურ გახანგრძლივებას გულისხმობს, თუნდაც ბაქრაძით ან მიკი მაუსით პრეზიდენტის როლში. მათი მთავარი კოზირი, სავარაუდოდ, დესტაბილიზაციის წარმოსახვითი საფრთხე იქნება, რამაც შეიძლება უბიძგოს ვაშინგტონს, ცვლილებების ხელშეწყობაზე ხელი აიღოს და ყველაფერი ისე დატოვოს, როგორც დღეს არის (ამის ალბათობა, შედარებით უფრო დიდი ჩანს). ჯერჯერობით კი ორივე გზა ხსნილია: მარჯვნივ — ფაქტობრივი ორპარტიულობა კონკურენციის ილუზიით, მარცხნივ — ერთპარტიული მარაზმი „მარადიული სააკაშვილით“; არადა, ქვეყანას — არც მარჯვნივ, არც მარცხნივ გახვევა, — წინსვლა სჭირდება.

**ბაქრაძის კანდიდატურა იმით არის საინტერესო, რომ მისი გამოყენება მოსახერხებელია ორივე განხილულ ვარიანტში. მისგან შეიძლება შეიქმნას როგორც სააკაშვილის „იდეალური მარიონეტი“, ისე „МАЛЬЧИК ДЛЯ БИТЬЯ” 2013 წლის არჩევნებში. მოკლედ, ბაქრაძისგან გამოვა ის, რასაც მისგან გამოძერწავენ. „What you will do with him, Sir?“;** არა, მართლა საინტერესოა, რას უპირებთ. როგორც ჩანს, 2009 წლის (სინამდვილეში კი, ალბათ, გაცილებით უფრო ადრე და სულ სხვა ჭერქვეშ გამართულ) საუბრებს ფუჭად არ ჩაუვლია.

„ქალბატონებო და ბატონებო, მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი დავით ბაქრაძე...“ დღეს ეს ფრაზა და ფიგურანტის წარმოდგენა პრეზიდენტის როლში ბევრს შეიძლება ძალიან სასაცილოდ მოეჩვენოს. საინტერესოა, ორი წლის შემდეგ ასევე არხეინად თუ გაგვეცინება.

**კანდიდატი კიდევ ერთ კრიტერიუმს უნდა პასუხობდეს — დასავლელი პარტნიორებისთვის მისაღები უნდა იყოს და მსოფლიოს თვალში კლინიკურ იდიოტად არ უნდა გამოიყურებოდეს. დავით ბაქრაძე ჩამოთვლილ მოთხოვნებს ასე თუ ისე აკმაყოფილებს**



**„დავითაშვილი ჯერ საბჭოთა კომუნისტური პარტიის წევრი იყო, შემდეგ — „მოქალაქეთა კავშირის“ და ახლა — „ნაციონალური მოძრაობის“. ვასილ დავითაშვილს 2002-2005 წლებში თელავის გამგებლის თანამდებობა ეკავა. ამ პოზიციაზე იგი მედეა მეზვრიშვილის უშუალო ჩარევითა და მხარდაჭერით დანიშნეს. ახლა დავითაშვილსა და იმ კლანს, რომელსაც იგი წარმოადგენს, არავითარი პოლიტიკური პრინციპები და პოლიტიკური ღირსება არ გააჩნია. იგი იყო ერთ-ერთი, რომელიც გულმოდგინედ ლანძღავდა იმ გუნდს, რომლის სახელითაც უნდა, რომ გახდეს საქართველოს პარლამენტის წევრი“.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მფლობელ „ნაციონალურ მოძრაობას“ თელავის ერთი მაჟორიტარული მანდატის დათმობა არც უფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებამდე მხოლოდ ერთი წელია დარჩენილი. გია არსენიშვილის გარდაცვალების შემდეგ, შუალედური არჩევნები მაისში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ოქტომბრისთვის გადაიდო. ამ შუალედში ხელისუფლების „უხამს წინადადებაზე“ დათანხმებულ ოპოზიციურ პარტიებს ერთმანეთს ხომ არ დააჯახებდნენ! ჰოდა, ამ მძიმე ტვირთის აკიდება ისევ მმართველ პარტიას მოუწია.**

# სად ერეკლე და სად — ვასილ დავითაშვილი!

ამ ერთი მანდატის დასაუფლებლად ერთმანეთს სამი პარტია შეერკინა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“. „ქრისტიან-დემოკრატებიდან“ კენჭი პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ლაშხმა უხმაუროდ იყარა, არც „მრეწველების“ კანდიდატურას — თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ვასილ არაბულს უხმაურია.

სამაგიეროდ, ხმაური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი მოსიაშვილმა ატეხა. მან მთელ ქვეყანას გააგებინა, რომ **თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელი, რომელიც შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში კენჭს „ნაციონალური მოძრაობიდან“ იყრიდა, გამორჩეული კომკავშირელი, სანიმუშო კომუნისტი, „მრგვალი მაგიდის“ აქტიური წევრი, „მოქალაქეთა კავშირის“ მედროშე და ამჟამად „ნაცმოძრაობის“ ჩირაღდანია თელავში.**

„თავისუფალ საქართველოს“ არც „ახალი მემარჯვენეები“ ჩამორჩნენ. არჩილ ჯორჯაძეს მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენამ საბჭოთა წარსული გაახსენა: **„ნაციონალური მოძრაობა“ პირდაპირი მემკვიდრეა საბჭოთა კომუნისტური პარტიის, ყოველ შემთხვევაში, თელავის მაგალითზე. დავითაშვილი ჯერ საბჭოთა კომუნისტური პარტიის წევრი იყო, შემდეგ — „მოქალაქეთა კავშირის“ და ახლა — „ნაციონალური მოძრაობის“. ვასილ დავითაშვილს 2002-2005 წლებში თელავის გამგებლის თანამდებობა ეკავა. ამ პოზიციაზე იგი მედეა მეზვრიშვილის უშუალო ჩარევითა და მხარდაჭერით დანიშნეს. ახლა დავითაშვილსა და იმ კლანს, რომელსაც იგი წარმოადგენს, არავითარი პოლიტიკური პრინციპები და პოლიტიკური ღირსება არ გააჩნია. იგი იყო ერთ-ერთი, რომელიც გულმოდგინედ ლანძღავდა იმ გუნდს, რომლის სახელითაც უნდა, რომ გახდეს საქართველოს პარლამენტის წევრი“.**

ირკვევა, რომ ვასილ დავითაშვილი 1975-79 წლებში თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზაღზრდის ფაკულტეტზე სწავლობდა; 1979-1980 წლებში საქსოფლმშენში მუშად მუშაობდა; 1979-1983 წლებში დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მეტყევე-ინჟინრის სპეციალობით; 1980-1986 წლებში საბინაო სამშენებლო კოოპერატიული გაერთიანება „თელავის“ ინსპექტორია, ხოლო შემდეგ — თავმჯდომარე; 1986-1995 წლებში თელავის საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის უფროსი იყო; 1995-2002 წლებში იყო საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელი; 2002-2005 წლებში — ქალაქ თელავის გამგებელი, ხოლო შემდეგ — თელავის რაიონის გამგებლის მოადგილე; 2006-2007 წლებში მუშაობდა თელავის რაიონის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ბიუროს ხელმძღვანელად; 2007-2009 წლებში იყო თელავის ინფრასტრუქტურისა და უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი; 2009 წლის იანვრიდან მაისამდე მუშაობდა თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ, შემდეგ კი — გამგებლად.

ეს სამაგალითო მუშურგლეხური ბიოგრაფია დავითაშვილს საბჭოთა პერიოდშიც ზურგს უმაგრებდა და არც ნაციონალური მმართველობისას დაალალატა. ბევრი იხმაურა მოსიაშვილმა, მაგრამ მმართველმა პარტიამ საკუთარი კანდიდატის მხარდაჭერის სრული ფრონტი უზრუნველყო. „ნაცმოძრაობის“ გენერალური მდივნითა და საპარლამენტო გუნდით დაწყებული, მინისტრებითა და თვით პრეზიდენტ სააკაშვილით დასრულებული, ყველამ სათითაოდ და ერთად დაუჭირა მხარი ვასილ დავითაშვილს.

**თელავში მაჟორიტარობის სამთავრობო კანდიდატებზე სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდებოდა. თავდაპირველად ლევან ბეჟაშვილის კადრი — საქართველოს კონტროლის პალატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი გიორგი ბოტკოველი დაწინაურდა. ვიდრე ლევან ბეჟაშვილი კახეთის გუბერნატორი იყო, ბოტკოველი მის მოადგილედ მუშაობდა. შრომითი ბიოგრაფია მასაც ჩინებული აქვს, მაგრამ დავითაშვილს იმით აჯობა, რომ 2006-2007 წლებში მოახერხა, ერთდროულად ორ სხვადასხვა რეგიონში, ოღონდ ერთსა და იმავე უწყებაში, სხვადასხვა თანამდებობაზე ემუშავა: 2006-2007 წლებში გიორგი ბოტკოველი იყო გარემოს დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების — გარემოს დაცვის ინსპექციის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს უფროსი და იმავე 2006-2007 წლებში გარემოს დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების — გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს სწრაფი რეაგირების ჯგუფის უფროსად მუშაობდა.**

ასე იყო თუ ისე, ვასილ დავითაშვილს ბოტკოველზე უკეთესი „სწრაფი რეაგირების“ უნარი აღმოაჩნდა და, ვიდრე ბოტკოველს ეგონა, თავი ქუდში ჰქონდა, მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის უკანასკნელი დღე კი იწურებოდა, იმდენი მოახერხა, რომ 31 აგვისტოს გამგებლობიდან გადადგა, მეორე დღეს კი თელავში, ერეკლეს მოედანზე, მთელ „ნაცელიტას“ წარადგენინა თავი. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ზურაბ მელიქიშვილთან, გიგი წერეთელთან, გოკა გაბაშვილთან, ვახტანგ ბალავაძესთან და სხვა საჯარო მოხელეებთან ერთად ამ წარდგენაზე დავითაშვილმა გიორგი ბოტკოველიც დაისწრო.




**«ვაპირებ ქალაქის ისე მოწყობას, როგორც ისტორიულისას; ისე, როგორც ვითარდება თბილისი და ბათუმი». მეტსაც იმსახურებს თელავი, რომლის «ისტორიულობა» თურმე ვასილ დავითაშვილმა უნდა შექმნას!**

ზურაბ მელიქიშვილმა ეს წარდგენა „ნაცმოძრაობის“ გასაპიარებლად გამოიყენა და კახეთში განხორციელებულ პროექტებზე კიდევ ერთხელ ისაუბრა. ყველაზე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტად მან ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის რეაბილიტაცია დაასახელა. **„გომბორის გზის გახსნამ ხალხს გადაადგილება გაუადვილა და ტურიზმის განვითარებას ხელი შეუწყო. ყოველწლიურად მილიარდ 600 მილიონის პროექტები ხორციელდება. ვაგებთ გზებს, ვაკეთებთ წყლის სისტემას. თელავში 2012 წლის ბოლოს 24-საათიანი წყალმომარაგება იქნება და ამაზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს,“** — განაცხადა მელიქიშვილმა.

**ზუსტად ერთი წლის წინ, 2010 წლის 2 ოქტომბერს, სააკაშვილმა საზეიმოდ გახსნა გომბორის გზა. მის რეაბილიტაციაზე 37 მილიონი დაიხარჯა, საიდანაც 30 მილიონი მსოფლიო ბანკის სესხია. ამ „ნასესხებმა“ გზამ ზუსტად ორ თვეში ჭირი მოგვჭამა, — ზოგან დაიბზარა, ზოგან — ჩაინგრა. ჟურნალისტებმა ადგილზე აზომეს ასფალტის სისქე და გაირკვა, რომ, 7-12 სანტიმეტრის ნაცვლად, მისი სისქე 3-4 სანტიმეტრს არ აღემატებოდა.**

მავანი იტყვის, დავითაშვილი აქ რა შუაშიაო, მაგრამ, თუ გზის გაყვანის გამო დავითაშვილს უნდა მისცენ ხმა თელაველებმა, მაშინ მის დანგრევაზე სხვას რატომ უნდა მოსთხოვონ პასუხი?

**რაც შეეხება წყალმომარაგებას, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კურდღელაურში პერიოდულად ქვედა სართულები და სარდაფები გრუნტის წყლით იტბორება. მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა გამგებელს დახმარებისთვის, მაგრამ მან უსახსრობა მოიმიზეზა: მარტო „პომპა“ 5 ათასი დოლარი ღირს, დრენაჟის მოწყობას ნახევარი მილიონი სჭირდება, ბიუჯეტში კი 7 ათას ლარზე მეტი არ გვაქვსო. სამაგიეროდ, კომფორტული „მერსედესიდან“ ახალ „ნისანის“ მარკის ჯიპზე გადასაჯდომად ბიუჯეტში თანხა დავითაშვილმა იოლად გამონახა. თუმცა, მის ზემდგომებთან შედარებით, იგი ამ საკითხში ანგელოზად გამოიყურება; იმ დროს, როცა კახეთის მოსახლეობა სტიქიის შემოტევისას დახმარების გარეშე იყო დარჩენილი, კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ სამსახურებრივი ავტომანქანა „ჯიპი“ გუბერნატორის მეორე მოადგილეს, პეტრე კიკნაძეს გადასცა, თვითონ კი „შევროლეს“ მარკის ახალი „ჯიპი“ შეიძინა.**

ზოგადად, სტიქიამ ხელ-ფეხი გაუხსნა ადგილობრივ ხელისუფლებას. მისი წყალობით, თელავის მუნიციპალიტეტში ტენდერები აღარ ცხადდებოდა. გამგებელმა დავითაშვილმა ყველა სამუშაოს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაო დაარქვა და თანხებიც ყოველგვარი ტენდერების გარეშე დახარჯა.

ჭეშმარიტად ნაციონალური „გულისხმიერებით“ მოეკიდა დავითაშვილი უსინათლო ცოლ-ქმარს — თელაველ ბუბუნაშვილებს. ისინი ერთი წლის განმავლობაში უშედეგოდ სთხოვდნენ გამგებელს, მათთვის ელექტროენერგია მიეწოდებინათ. იმ ლოგიკით, რომ უსინათლოს სინათლე მაინც არ ესაჭიროება, მათ არც ელექტროენერგია გაუყვანეს და არც აბონენტთა სიაში შეიყვანეს. სამყაროს მოწყვეტილ ბუბუნაშვილებს ისღა დარჩენიათ, რომ გამგებელს სიტყვაზე ენდონ:

**„ყველამ კარგად იცით, რა გამიკეთებია. ამიტომ, თავის ქებას არ დავიწყებ. უშუალო მონაწილეობა მაქვს მიღებული გომბორის გზის მშენებლობაში, თელავის თეატრის აღორძინებაში, ბავშვთა სააავადმყოფოს და სამხატვრო სკოლის რეაბილიტაციაში, ლტოლვილებისთვის კილომეტრნახევრიანი საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციაში, იმ პროექტებში, რომლებიც დღეს ხორციელდება. ვისაც ჩემთან შეხება ჰქონია, იცის, რომ არასოდეს გადამიდვია დღევანდელი საქმე ხვალისთვის. ყოველთვის ვიყავი თქვენ გვერდით და ასეც მინდა გავაგრძელო. დასაქმების საკითხი სულ მაწუხებდა და შემაწუხებს, სანამ იქნებიან უმუშევრები. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ სახლში საჭმელი მიიტანოს, ოჯახი არჩინოს. მე არ მინდა წინასწარ გითხრათ, რა შეიძლება გაკეთდეს ხვალ, მაგრამ მინდა გქონდეთ ჩემი იმედი, რომ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ, მივხედავ თელავს, სოფლებს და ნებისმიერ ადამიანს,“** — განაცხადა ვასილ დავითაშვილმა.

ბუბუნაშვილებს ერთ რამეში მაინც გაუმართლათ: ისინი მთელ თელავში გამოკრულ დავითაშვილის საარჩევნო პლაკატს მაინც ვერ ხედავენ, რომელსაც ორაზროვანი სლოგანი ამშვენებს — **„თელავი მეტს იმსახურებს“.** თელაველები მის დანახვაზე თავს უხმოდ გადააქნევდნენ ხოლმე, ყველაზე გაბედულები კი ამბობდნენ: **„დიახაც, მეტის ღირსებიცა ვართო“!** ალბათ, ამიტომ შუალედურ არჩევნებზე, 2 ოქტომბერს ყოველი 3 თელაველიდან ერთი გამოცხადდა. სწორედ ამ ერთი მესამედის 84%-ით გახდა დავითაშვილი დეპუტატი.

გაიმარჯვებდა, მაშ, რა იქნებოდა, როცა წინა დღეს სააკაშვილმა თელავის მხსნელად წარმოაჩინა; იმის წინა დღეებში ჯანდაცვისა და განათლების მინისტრები ასხამდნენ ხოტბას, ხოლო არჩევნების დღეს, 2 ოქტომბერს, ტელეკომპანია „იმედი“ თავის საინფორმაციო გამოშვებებში მის ინტერვიუებს ატირაჟებდა: **„ვაპირებ ქალაქის ისე მოწყობას, როგორც ისტორიულისას; ისე, როგორც ვითარდება თბილისი და ბათუმი“.** მეტსაც იმსახურებს თელავი, რომლის „ისტორიულობა“ თურმე ვასილ დავითაშვილმა უნდა შექმნას!

**მიხეილ მარკოზაშვილი**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მაკკეინს სააკაშვილთან ძალიან ბევრი რამ აქვს საერთო და მათი მეგობრობა, არა პოლიტიკური, არამედ ფსიქოლოგიური სიახლოვის ნიადაგზე აღმოცენდა. დაახლოებით ასე უმეგობრდებიან ერთმანეთს პაციენტები, რომლებიც დერეფანში დაგვიანებულ ექიმს ელოდებიან.**

# ჯონ მაკკეინი — მეგობარი მეზობელი პალატიდან


ბარტყები გუგულის ბუდეში

**„ჯონ მაკკეინი ჩვენი ყველაზე ახლო მეგობარია მსოფლიოში," — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა „Daily Beast"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ამერიკულმა გამოცემამ ამ ფრაზას შემდეგი შესავალი დაურთო: „ლავირება აშშ-თან ურთიერთობაში სააკაშვილისთვის მარტივი არ არის. ის მეგობრობს რესპუბლიკელ სენატორ ჯონ მაკკეინთან, რომელიც ობამამ 2008 წლის არჩევნებში დაამარცხა". ამ პასაჟის მიღმა, შესაძლოა, იყო მინიშნება იმაზე, რომ გადაჭარბებული სიმპატია მაკკეინისა და მისი თანამოაზრეების მიმართ, მჭიდრო პოლიტიკური კავშირი მათთან დღეს ერთობ უადგილოდ გამოიყურება. ძნელად წარმოსადგენია, მსგავსმა მინიშნებებმა სააკაშვილზე რაიმე ზემოქმედება მოახდინოს, რადგან 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მისთვის და ბევრი სხვა ქართველი პოლიტიკოსისთვის ჯონ მაკკეინი კერპია და მას, სავარაუდოდ, ბოლომდე უერთგულებენ. საინტერესოა, რა იპოვეს ასეთი ამ მოუსვენარ მოხუცში.**

## ბარტყები გუგულის ბუდეში

როდესაც ახალგაზრდა კაცი ჰენრი კისინჯერის ან ზბიგნევ ბჟეზინსკის იდეების გავლენის ქვეშ ექცევა, ამას შეიძლება გარკვეული ლოგიკური ახსნა მოუძებნო, მაგრამ, როდესაც მას ჯონ მაკკეინის მარტივი, ალაგ-ალაგ პრიმიტიული მოსაზრებები ხიბლავს, კლინიკური სურათი ფრიად ბუნდოვანი ხდება; მითუმეტეს, რომ დღეს მაკკეინის იდეების პრაქტიკული რეალიზაცია თითქმის შეუძლებელი ჩანს.

**თუ თეთრი სახლი ბოლო სამი წლის განმავლობაში მაკკეინის ყველა რჩევას გაიზიარებდა, აშშ დღეს, 99%-იანი ალბათობით, რუსეთთან მწვავე კონფრონტაციაში, ახალ „ცივ ომში", იქნებოდა ჩაბმული. დავუშვათ, რომ შტატები ამ დაპირისპირებაში გაიმარჯვებდნენ, რუსეთი ჩამოიშლებოდა და მარტივ მამრავლებად დაიშლებოდა. რუსული გავლენის სფერო ცენტრალურ აზიაში და რესურსებით მდიდარი ციმბირი ამის შემდეგ ავტომატურად პეკინის გავლენის სფეროში მოექცეოდა. ეს კი ჩინეთის შესაძლებლობებს თვისობრივად გაზრდიდა და ის შტატებს მალევე გარანტირებულად უკან ჩამოიტოვებდა.**

აშშ-ს არ ძალუძს, ერთდროულად რუსეთსა და ჩინეთს დაუპირისპირდეს; ეს ძლიერების პიკზეც კი არ შეეძლო. ამიტომ იყო, რომ 70-იან წლებში შტატებმა პეკინს სტრატეგიული, მოსკოვის წინააღმდეგ მიმართული ფარული ალიანსი შესთავაზეს. დღეს კი, როდესაც ჩინეთი უზომოდ გაძლიერდა, ვაშინგტონი, სავარაუდოდ, იმავეს მოსკოვს სთავაზობს. „გადატვირთვის" არსი, როგორც ჩანს, სწორედ ამაში და არა ბარაკ ობამას ლამაზ თვალებში მდგომარეობს.

აქ შეიძლებოდა კონსპიროლოგიური კონსტრუქციების აგება იმის თაობაზე, თუ როგორ მუშაობს სინამდვილეში ჯონ მაკკეინი ჩინეთზე და ანგარიშებს ცხონებული მაო ძედუნის აჩრდილს აბარებს, თუმცა ასე რთულად საქმე, სავარაუდოდ, არ არის. „ცივი ომის" დროინდელ იდეებთან ერთად, მას, შესაძლოა, პირადი, ქვეცნობიერის ლაბირინთში დამალული მოტივები ამოძრავებს და მისი მოქმედებების მიღმა პოლიტიკაზე გაცილებით მეტი ფსიქოლოგია დგას, რაც მაკკეინს, მის ქართველ თაყვანისმცემელთან, მიხეილ სააკაშვილთან ერთობ აახლოვებს. **მიუხედავად იმისა, რომ შტატებმა „ცივი ომი" მოიგეს, მაკკეინმა „საკუთარი ეპიზოდი" ამ ომში პირწმინდად წააგო. გამორიცხული არაა, რომ ის ცდილობს, ეს ეპიზოდი გადაათამაშოს და ათწლეულების შემდეგ ერთგვარი პიროვნული რევანში აიღოს.**

მაკკეინის თვითმფრინავი ვიეტნამში საბჭოთა წარმოების საზენიტო რაკეტით ჩამოაგდეს. ადგილობრივი მოსახლეობა მას ჩაქოლვას უპირებდა, რაც თავისთავად გასაკვირი არ არის, რადგან ოპერაციას „Rolling Thunder, რომლის ფარგლებში ამერიკელები მასირებული დაბომბვებით ცდილობდნენ, მოწინააღმდეგე გაეტეხათ, საერთო ჯამში 72 000 სამოქალაქო პირი შეეწირა. **ლინჩის წესით გასამართლებას მაკკეინი მაშინ ვიეტნამელმა ჯარისკაცებმა გადაარჩინეს. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იმ რაზმს ორი საბჭოთა მზვერავი — ევგენი ლეგოსტაევი და ივანე შპროტი ხელმძღვანელობდნენ. მაკკეინის მამა იმ დროს ევროპაში აშშ-ის საზღვაო ძალების სარდალი გახლდათ, 1968-ში კი ის წყნარი ოკეანის საზღვაო ძალების სარდლად დანიშნეს. ამ გარემოებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად გამორიცხულია, საბჭოთა სპეცსამსახურებს ტყვედ ჩავარდნილი მფრინავის მიმართ სერიოზული ინტერესი არ გამოევლინა.**

მაკკეინი ღალატში არაერთგზის დაადანაშაულეს; ჯგუფმა „ვიეტნამის ვეტერანები ჯონ მაკკეინის წინააღმდეგ" მის ტყვეობასთან დაკავშირებით მაკომპრომენტირებელ მასალებს ავრცელებდა, ჯეკ მაკლემბმა კი, რომელმაც ინდოჩინეთში 9 წელი იომა, ხოლო შემდეგ ქალაქ ფინიქსის პოლიციაში მსახურობდა და ორივეგან სახელი განსაკუთრებული სიმამაცით გაითქვა, შემდეგი რამ განაცხადა: „ბევრ ყოფილ ტყვეს ვიცნობ. ისინი, ვისაც მაკკეინი ახსოვს, ამბობენ, რომ იგი ყველაფერს ტყუის თავისი ვიეტნამური გმირობების შესახებ. მას არავინ არასდროს თითითაც არ შეხებია. ბიჭებმა ნახეს, როგორ მოიყვანეს იგი ბანაკში. მან მაშინვე „ჭიკჭიკი" დაიწყო, რადგან ეშინოდა, არ ეწამებინათ. ვიეტნამელმა კომუნისტებმა მას „მოჭიკჭიკე ჩიტი" შეარქვეს, რადგან ძალიან სწრაფად ჩამოაჭიკჭიკა ყველაფერი, რაც იცოდა". როდესაც ერთი ვეტერანი მეორეზე ასეთ რამეს ამბობს, ის ან უკანასკნელი ნაძირალაა, ან საკუთარ სიმართლეში 100%-ითაა დარწმუნებული; რადგან ეს არ არის ის სიტუაცია, როდესაც შეიძლება ბუნდოვან ვარაუდებს დაეყრდნო.

**მაკკეინის ტყვეობის ისტორიაში მართლაც ძალიან ბევრი შეუსაბამობაა, თუმცა გმირია ჯონი თუ მოღალატე, ეს, პრინციპში, მისი და ამერიკის საზოგადოების გასარკვევია. აქ სხვა რამ არის საინტერესო: მაკკეინის „ვიეტნამური თავგადასავლების" ეპიზოდებში, რომლებსაც ის და სხვა ვეტერანები მოგვითხრობენ, ოპონენტების როლში მხოლოდ ვიეტნამელები ფიგურირებენ, საბჭოელები კი საერთოდ არ ჩანან. არადა, თუ ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, მონაწილეობა ამ ამბებში მათ აუცილებლად უნდა მიეღოთ.**

სწორედ ამ მიდამოებში შეიძლება ვიპოვოთ ფსიქოლოგიური გასაღები, რომელსაც, ამდენი ხანია, ვეძებთ. მაკკეინის გამორჩეულად აგრესიული დამოკიდებულება რუსეთის მიმართ, შესაძლოა, გამოწვეულია იმით, რომ ვიეტნამური ეპოპეის შემდეგ მის მიმართ შტატებში გარკვეული, საბჭოთა სპეცსამსახურებთან დაკავშირებული ეჭვები გაჩნდა. ან კიდევ: მაკკეინმა ჩათვალა, რომ მსგავსი ეჭვები შეიძლება ბუნებრივად დაიბადოს და, ფაქტობრივად, მათი უარყოფის მუდმივ რეჟიმში გადავიდა, რაც კრემლის მრავალწლიან მწვავე კრიტიკაში გამოიხატა. მოსკოვს აშშ-ში ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, თუმცა მაკკეინი მაინც გამორჩეულია, მისი რიტორიკის მიღმა რაღაც განსაკუთრებული, რაღაც ძალიან პირადული იგრძნობა.

**საინტერესოა, რასთან გვაქვს საქმე: კარგად გააზრებულ პოლიტიკურ პოზიციასთან თუ საკუთარი კომპლექსების, ფსიქოლოგიური ტრავმის დროში გაწელილ თვითმკურნალობასთან? თუ სინამდვილეს მეორე ვარაუდი შეესაბამება, ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ მაკკეინს სააკაშვილთან ძალიან ბევრი რამ აქვს საერთო და მათი მეგობრობა, არა პოლიტიკური, არამედ ფსიქოლოგიური სიახლოვის ნიადაგზე აღმოცენდა. დაახლოებით ასე უმეგობრდებიან ერთმანეთს პაციენტები, რომლებიც დერეფანში დაგვიანებულ ექიმს ელოდებიან.**

## ვირაჟები მირაჟებში

ჯონ მაკკეინისთვის დამახასიათებელი, პრიმიტიულობაში გარდამავალი სწორხაზოვნება ქართველი პოლიტიკოსების „საფირმო სტილად" იქცა. ცინცხალი მაგალითი, რომელიც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, რუსეთს არ ეხება: მიხეილ სააკაშვილმა „Fox News"-ის ეთერში განაცხადა, რომ ამერიკა **„კვლავ იქნება უპირველესი ძალა და ერთადერთი ძლევამოსილი სახელმწიფო მსოფლიოში, რომელსაც მსოფლიოს უკეთესობისკენ შეცვლა შეეძლება, და იმ ქვეყნების კარგისკენ შეცვლაც, რომლებიც ამერიკის ფასეულობებს იზიარებენ. ევროპა ამერიკის მიმართულებას გაჰყვება. ევროპას არ შეუძლია დამოუკიდებლად წარმატების მიღწევა". დიდი ხანია, ევროპასა და ევროკავშირისთვის ასე არავის შეუფურთხებია. თუმცა სააკაშვილმა არა მხოლოდ თქვა ეს „Fox News"-ის ეთერში, არამედ ამაყად გამოფინა ინტერვიუს თარგმანი თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.**

გასაგებია, რომ დროდადრო სუსტი ქვეყნები იძულებულნი ხდებიან, დიდ იმპერიებს დაემორჩილონ, თუმცა ჩვენებური, ექსტაზ- ►

---

მოკლედ

### პუტინს ევრაზიული კავშირის შექმნა სურს

**რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი პოსტსაბჭოთა სივრცეში ევრაზიული კავშირის შექმნის ინიციატივით გამოვიდა.** გაზეთ „იზვესტიაში" გამოქვეყნდა მისი სტატია სათაურით „ახალი საინტეგრაციო პროექტი ევრაზიისთვის — მომავალი, რომელიც დღეს იბადება", რომელშიც პრემიერი წერს: „ჩვენ გთავაზობთ ძლიერი ზენაციონალური გაერთიანების მოდელს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ პოლუსად იქცეს და ამასთან, ევროპას, დინამიკურ აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონს შორის ეფექტური დამაკავშირებლის როლი შეასრულოს".



### ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკოსი პუტინია

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ადგილობრივ ტელეარხებს დაუგეგმავი ინტერვიუ მისცა და მოქალაქეებს აუხსნა, თუ რატომ შეიკავა თავი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისგან.** ერთ-ერთ მიზეზად მედვედევმა ვლადიმერ პუტინის ავტორიტეტი დაასახელა. პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრს ქვეყნის „ყველაზე ავტორიტეტული პოლიტიკოსი" უწოდა და განაცხადა, რომ რეიტინგით მას ჩამორჩება. „რატომღაც ამაზე არავინ საუბრობს. არადა, ეს გარემოება ყველა პოლიტიკოსმა უნდა გაითვალისწინოს, ვისაც თავისი ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა უნდა," — განაცხადა მედვედევმა.

**დაპირისპირებაზე გაცილებით გონივრული რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება იქნება. მართალია, სააკაშვილი მუდამ გვარწმუნებს, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ, ჯერ ერთი, ცდა ბედის მონახევრეა, თანაც ამ შემთხვევაში (ისევე, როგორც ზოგადად) სააკაშვილი ინტელექტუალურ ავტორიტეტად, ალბათ, არ გამოგვადგება.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ამერიკა კვლავ იქნება უპირველესი ძალა და ერთადერთი ძლევამოსილი სახელმწიფო მსოფლიოში... ევროპა ამერიკის მიმართულებას გაჰყვება. ევროპას არ შეუძლია დამოუკიდებლად წარმატების მიღწევა»




## «დიდი ხანია, ევროპასა და ევროკავშირისთვის ასე არავის შეუფურთხებია. თუმცა სააკაშვილმა არა მხოლოდ თქვა ეს «Fox News»-ის ეთერში, არამედ ამაყად გამოფინა ინტერვიუს თარგმანი თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე»

◀ში გარდამავალი მორჩილება, მართლაც რომ უპრეცედენტოა. როდესაც 1801-ში საფრანგეთმა და ინგლისმა ერთმანეთს ესპანეთი და პორტუგალია დააჯახეს, პორტუგალიელმა გენერალისიმუსმა, ჰერცოგმა ლაფოენსმა ესპანელ გენერალ სოლანოს უთხრა: „პორტუგალიასა და ესპანეთს, როგორც სახედრებს, წინ ინგლისი და საფრანგეთი მიერეკებიან. მოდით, წრეზე ვირბინოთ, მაგრამ, ღვთის გულისათვის, ერთმანეთს ბოროტად ნუ მოვეპყრობით, სხვისი დასაცინი რომ არ გავხდეთ". იმ ომში ესპანელები და პორტუგალიელები მართლაც ცდილობდნენ, რომ ორივე მხარის მსხვერპლი რაც შეიძლება უფრო მცირე ყოფილიყო. ჰერცოგი ლაფოენსი, ალბათ, მართალი იყო; ის, ვინც სხვისი ინტერესებისთვის დაუფიქრებლად სწირავს თავისი თანამემამულეების სიცოცხლეს, მსოფლიოს თვალში, როგორც მინიმუმი, სასაცილო ხდება.

ივნისში მიხეილ სააკაშვილისა და ჯოზეფ ბაიდენის შეხვედრის შემდეგ ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართული კონტინგენტი ავღანეთში ავსტრალიურზე (1550 სამხედრო) უფრო დიდი გახდება. 26 სექტემბერს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ ბრიფინგზე გაირკვა, რომ ჰილარი კლინტონისა და გრიგოლ ვაშაძის შეხვედრაზე განიხილავდნენ ქართული კონტინგენტის გაზრდას 1700 სამხედრომდე, თუმცა იმავე დღეს „Daily Beast-ში გამოქვეყნდა სააკაშვილის ინტერვიუ, სადაც მან თქვა, რომ **„საქართველომ ავღანეთში 1000 ჯარისკაცი გააგზავნა და მისი სამხედროები იქ დამატებით 1000-კაციანი კონტინგენტის გაგზავნისთვის ემზადებიან", შესაბამისად, საუბარი უკვე 2000 სამხედროს გაგზავნას შეეხო. ამ პროცესს ბოლო არ უჩანს, მიუხედავად იმისა, რომ დანაკარგები იზრდება. ასე მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ იქცევა.**

სააკაშვილის სიტყვებზე დაყრდნობით, „Daily Beast-ი წერს, რომ ის საქართველოს ტერიტორიაზე რადარის განთავსებას მიესალმებოდა, რათა **„მონაწილეობა მიეღო ირანისგან ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ანტისარაკეტო თავდაცვის რეგიონულ სისტემაში. რესპუბლიკელი სენატორები ჯონ კაილი და მარკ კერკი პენტაგონს მოუწოდებენ, უარი თქვას ამ რადარის თურქეთში განთავსებაზე ამ წლის ბოლოს და ის საქართველოს ტერიტორიაზე გადაიტანოს"**. ისე, როდესაც ირანს ძმობას ეფიცები, ალბათ, პარალელურად არ უნდა განაცხადო, რომ მისგან ვილაცის დაცვას აპირებ, თუმცა ეს ნიუანსებია, მაგას ვინ ჩივის. მთავარი სხვა რამ არის: ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის სარაკეტო იერიშის შემთხვევაში, ძალიან დიდი ალბათობით, უპირველესად, სწორედ ხსენებულ რადარს დაარტყამენ, რათა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა ნაწილობრივ მაინც „დააბრმავონ". ჯონ მაკკეინის მეგობრები (სააკაშვილი, კაილი, კირკი და ა. შ.) ასეთ წვრილმანებზე, ალბათ, არ ფიქრობენ, რადგან მათი მიზანი, სავარაუდოდ, სულ სხვაა: **როგორმე შემოიტყუონ ამერიკელი სამხედროები საქართველოში და რუსების პირისპირ დააყენონ. ვაშინგტონი, ცხადია, არ დაუშვებს, რომ ამერიკელმა ჯარისკაცებმა, ახალი „ცივი ომის" ჭაობში შეტოპონ, მიუხედავად იმისა, რა სურთ ჭკუიდან გადასულ „ნეოკონებს", ცალკე აღებულ მაკკეინსა და მის ქართველ ბარტყებს (არა, ნამდვილად შესამოწმებელია, მართლა პეკინზე ხომ არ მუშაობენ). თეთრი სახლი, სავარაუდოდ, გაცილებით უფრო წინდახედულად იმოქმედებს.**

### გზად სმოლენსკიდან სტალინგრადამდე

წარმოვიდგინოთ (ვინაიდან დღეს მაკკეინსა და სააკაშვილზე ვსაუბრობთ, ფანტაზიის თავისუფალი ფრენა, ალბათ, დასაშვებია), რომ საქართველოს, რუსეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების გარდა, სხვა გზა არ აქვს. ასე ნამდვილად არ არის, თუმცა თეორიულად დავუშვათ, რომ ჩვენთვის „მიზანი №1" რუსეთის „ჩამოშლაა". განა ეს იმას ნიშნავს, რომ მას პირდაპირ უნდა ვეცეთ? საფლავები სმოლენსკთან, სტალინგრადთან და უამრავ სხვა დასახლებულ პუნქტთან სრულიად საპირისპიროზე მიანიშნებს.

ის, ვინც რუსეთის მტრობას აპირებს, ძალიან ჭკვიანი და ცბიერი, უაღრესად „ბიზანტიური" (ამ სიტყვის ცუდი გაგებით) უნდა იყოს. ის ათწლეულობით უნდა უღიმოდეს მოსკოვს და სათანადო მომენტს მოთმინებით ელოდებოდეს. **„გადატვირთვა" სულაც არ ნიშნავს იმას, რომ 20-30 წლის შემდეგ ვაშინგტონი არ შეეცდება, დამშვიდებულ დათვს გულში ლახვარი ჩასცეს, მაგრამ ამისთვის სათანადო მომზადებაა საჭირო. პარადოქსულია, მაგრამ ის, ვინც რუსეთზე წარმატებული (სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა) იერიშის მიტანას გეგმავს, თავიდან გაღიმება და კრემლთან გულთბილი საუბარი უნდა ისწავლოს; გამოხტომები მაკკეინის სტილში აქ აბსოლუტურად უადგილოა.**

ის, რასაც სააკაშვილი და მაკკეინი აკეთებენ, არის არა იმდენად „ომი რუსეთთან", რამდენადაც მისი თეატრალიზებული, უცნაური ფსიქოლოგიური მოტივებით გაჯერებული იმიტაცია. რეალურ ზიანს რუსეთს ეს ვოდევილი ვერ მიაყენებს, საქართველო კი შეიძლება საგრძნობლად დააზარალოს (უკვე დააზარალა). რეალური კონფრონტაცია რუსეთთან გაცილებით მეტ მოქნილობას მოითხოვს და, ნებისმიერ შემთხვევაში, სასიკვდილო რისკს უკავშირდება.

ასეთ დაპირისპირებაში, ცოტა სხვა, ოტო ფონ ბისმარკის მასშტაბის წინამძღოლია საჭირო, რომელიც, სხვათა შორის, დაჟინებით ურჩევდა გერმანელებს, რუსეთს არ გადამტერებოდნენ. არ დაუჯერეს...

ჩვენს დღევანდელ ელიტას არ გააჩნია სათანადო ინტელექტუალური რესურსი იმისთვის, რომ რუსეთთან წარმატებული ომი (ფართო გაგებით) აწარმოოს. მარტივად რომ ვთქვათ, ფსიქიატრიული კლინიკა გენერალური შტაბის ფუნქციებს ვერ შეასრულებს. დღევანდელი დაპირისპირება თუნდაც აქედან გამომდინარე უნდა შეწყდეს, რადგან ამ ხელისუფლების პირობებში კონფრონტაციის გაგრძელება საერთო-ეროვნული თვითმკვლელობის ტოლფასია.

**ცხადია, დაპირისპირებაზე გაცილებით გონივრული რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება იქნება. მართალია, სააკაშვილი მუდამ გვარწმუნებს, რომ ეს შეუძლებელია, მაგრამ, ჯერ ერთი, ცდა ბედის მონახევრეა, თანაც ამ შემთხვევაში (ისევე, როგორც ზოგადად) სააკაშვილი ინტელექტუალურ ავტორიტეტად, ალბათ, არ გამოგვადგება.**

მიუხედავად იმისა, თუ რას გვიმტკიცებს სახელმწიფო პროპაგანდა, დღევანდელი დაპირისპირება რუსეთთან პატრიოტიზმის გამოვლინებად ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება, რადგან პატრიოტიზმი პრაგმატიზმის გარეშე სხვა არაფერია, თუ არა შიზოფრენია. თუ სააკაშვილსა და მაკკეინს ამ მიმართულებით სიარულის გაგრძელება სურთ, ეს მათი პრობლემაა, ჩვენ კი, ალბათ, გაცილებით უფრო დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვიქცეთ.

**დიმიტრი მონიავა**

# სააკაშვილს სარკოზისთან თავის მართლება ძალიან გაუჭირდება

**ხელისუფლება განსაკუთრებულად ემზადება საფრანგეთის პრეზიდენტის — ნიკოლა სარკოზის დასახვედრად. პრეზიდენტი სარკოზიც კარგად მომზადებული გვესტუმრება კავკასიური ტურნეს ფარგლებში. ელისეს სასახლეში ინფორმირებულები არიან საქართველოში არსებულ ვითარებაზე და ევროპელი მაღალი სტუმარი მასპინძელ პრეზიდენტთან სერიოზულ საუბარს აპირებს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე.**



დავით თარხან-მოურავი ფრანგ სენატორებთან ერთად

ელისეს სასახლიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნიკოლა სარკოზი გაეცნო „საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის" თავმჯდომარის მიერ მიწოდებულ მასალებს. წლეულს, 8 ივნისს, მოძრაობის ლიდერი დავით თარხან-მოურავი პარიზში საფრანგეთის სენატის შენობაში შეხვდა სენატის საერთაშორისო საქმეთა, თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარეს, ჟოზელან დე როჰანს. ამ შეხვედრას ესწრებოდა ორი სენატორი, რომელთაგან ერთ-ერთი, ალან ჟოურნაკი ამავე დროს არის ქალაქ პეკის მერი და საფრანგეთის სენატში ქართულ-ფრანგული ურთიერთობების ჯგუფის ხელმძღვანელი.

**„წინააღმდეგობის მოძრაობის" ლიდერმა და ცნობილმა უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ საფრანგეთში ჩაიტანეს 26 მაისის მოვლენების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა. დოკუმენტური კადრების, იურისტთა სამართლებრივი დასკვნისა და პოლიტპატიმართა „ქეისების" გაცნობის შემდეგ, სენატორებმა საქართველოს ხელისუფლების ქმედება შეაფასეს როგორც „ყოველგვარი დემოკრატიის ფარგლების გადაცდომა" და დავით თარხან-მოურავს დაჰპირდნენ, რომ პირადად პრეზიდენტ სარკოზისა და ევროსტრუქტურებს მიაწვდიდნენ ინფორმაციას საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაუსაძლისი პირობების, პატიმრების ცემისა და წამების შესახებ.**

**სარკოზის საქართველოში ვიზიტის წინ შევიტყვეთ, რომ სენატორებმა დანაპირები შეასრულეს და ელისეს სასახლეს მთლიანად გადასცეს მათთვის მიწოდებული მასალები და პრეზიდენტი პირადად გაეცნო ყველა დოკუმენტს.**

საქართველოში ვიზიტის წინ საფრანგეთის პრეზიდენტი ქართველი „პოლიტპატიმრების" სიასაც გაეცნობა. **„წინააღმდეგობის მოძრაობის" ომბუდსმენმა ევროსტრუქტურებთან ურთიერთობის საკითხებში, ცნობილმა ჟურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ სარკოზის სამდივნოს ქართველი „სინდისის პატიმრების" სია ჩააბარა, რომელშიც ათეულობით გვარი შევიდა.**

ელისეს სასახლეშიც და ავლაბრის სასახლეშიც მოელიან, რომ პრეზიდენტი სარკოზი მძიმე საუბარს გამართავს ქართველ კოლეგასთან. ამიტომაც სააკაშვილი და მისი გარემოცვა ცდილობენ, მაქსიმალურად ასიამოვნონ სტუმარს და პრეზიდენტ ბუშზე არანაკლებ დახვდნენ თავისუფლების მოედანზე. თუმცა, ფრანგი დიპლომატების აზრით, პრეზიდენტ სააკაშვილს ეს ვერ უშველის — კარგად ინფორმირებულ სარკოზისთან თავის მართლება ძალიან გაუჭირდება.

**გია მინაშვილი**

მოკლედ

# ონიშენკო: ყველაფერი ქართველ მწარმოებლებზეა დამოკიდებული

**ქართული ღვინისა და მინერალური წყლის რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით ქართველ ბიზნესმენებთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის მთავარმა სანიტარმა განაცხადა, რომ ყველაფერი ქართველ მწარმოებლებზეა დამოკიდებული.** „მიუხედავად ხმამაღალი და ისტერიკული განცხადებებისა რუსეთის ბოროტი ზრახვების შესახებ, რუსეთის ბაზარზე ბორჯომისა და ღვინის დაბრუნების პროცესი მიმდინარეობს. ეს ხდება იმ ქართული ბიზნესის ძალისხმევის წყალობით, რომელსაც ესმის, რომ რუსული ბაზრის გარეშე ქართული ეკონომიკის ამ სფეროს განვითარება შეუძლებელია," — განაცხადა ონიშენკომ.

# ბერლუსკონი მიდის

**იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი თანამდებობას ტოვებს და საკუთარი პარტიის — „თავისუფალი ხალხის ალიანსის" თავმჯდომარეობას მემკვიდრე ანჯელინო ალფანოს გადააბარებს.** ამის შესახებ მან პოლიტიკურ მხარდამჭერებს საგანგებო სხდომაზე თავად განუცხადა. ბერლუსკონის, როგორც პოლიტიკოსის, რეიტინგი დღითიდღე ეცემა. იტალიელები უკმაყოფილებას არ მალავენ მემარჯვენე-ცენტრისტული მთავრობის მიმართ. ბერლუსკონის პარტიამ არაერთი მარცხი განიცადა ადგილობრივ არჩევნებში.

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ქვეყანაში ვინმეს 20 ათას ლარზე მეტი შემოსავალი გაუჩნდება, ხელისუფლება არ შეარჩენს. ასეთი ადამიანები კონტროლზე აჰყავთ, მათ გარშემო ათას სიბინძურეს ხლართავენ და საბოლოო ჯამში ისინი ციხეში ხვდებიან. კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარეების მეშვეობით კი თითოეული ოჯახის ფინანსური მდგომარეობა კარგად იციან და ამის მიხედვით სდევნიან ოჯახის წევრებს, მათ იჭერენ, ფულს იღებენ და შემდეგ უშვებენ“.**

# «თუ ქვეყანაში ვინმეს 20 ათას ლარზე მეტი შემოსავალი გაუჩნდება, ხელისუფლება არ შეარჩენს»



**ლალი აფციაური:**

## ციხეებში პატიმრებს სპეციალური დენის ხელსაწყოთი აწამებენ. ამგვარი ელექტროხელსაწყოთი წამების კვალი კარგად ჩანს გარდაცვლილი გოდელაძის ფოტოებზე



## სააკაშვილს სახალხო დამცველი მხოლოდ იმიტომ სჭირდება, რომ მსოფლიოს თავი დემოკრატად მოაჩვენოს



## თუ ადვოკატი სოლიდურ გასამრჯელოს მიიღებს, აუცილებლად ხელისუფლებას უნდა გაუყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დააპატიმრებენ

**საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებული ვითარების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ადვოკატი ლალი აფციაური ესაუბრება.**

— საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ყველა პატიმარი ხდება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. ბოლო წლებში, ციხის თანამშრომლების მიერ გამოჩენილი სისასტიკის შედეგად, უამრავი პატიმარი გარდაიცვალა. პატიმარი უჩა გოდელაძე სასტიკად აწამეს და მოკლეს. მისი წამების ფაქტს, თვით სახელმწიფო ექსპერტიზაც ადასტურებს. ექსპერტმა დაადგინა, რომ პატიმარს თავში ბლაგვი საგნის დარტყმის შედეგად ჰემატომა განუვითარდა. **ციხეებში პატიმრებს სპეციალური დენის ხელსაწყოთი აწამებენ. ამგვარი ელექტროხელსაწყოთი წამების კვალი კარგად ჩანს გარდაცვლილი გოდელაძის ფოტოებზე, რომლებიც ავსტრიაში მცხოვრებმა ქართველებმა გადმომცეს. პატიმარი კახა თედლიაშვილი საკანში ბინტით ჩამომხრჩვალი იპოვეს. არადა, როგორც აღმოჩნდა, მას ბინტი არაფერში სჭირდებოდა, რადგან სხეულზე არანაირი ჭრილობა არ ჰქონდა. მის გარდა, ციხეში ასე ჩამომხრჩვალი ბევრი პატიმარი უპოვიათ, რომლებმაც, ციხის ადმინისტრაციის განცხადებით,ვითომდა თავი მოიკლეს.**

**გაიოზ ზვიადაძე, რომლის ექსტრადირებაც რუსეთის ფედერაციიდან მოხდა, იმავე დღეს სასტიკად აწამეს. როცა ვინახულე, ისეთი ნაწამები იყო, სკამზე ვერ ჯდებოდა, ორიენტაციას კარგავდა. ხელისუფლებამ პოლიტიკური აქტიურობის გამო დასაჯა აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია, რომელიც ზუგდიდის ციხეში მოწამლული მოიყვანეს. მე პირადად ვნახე ის მოწამლული, უმძიმეს მდგომარეობაში.**

პატიმრის აბსოლუტურად ყველა უფლება ირღვევა. პატიმრებს საჭმელში პოტენციის დასაქვეითებელ პრეპარატებს უყრიან. **პატიმრები მეუბნებიან, რომ უკვე გაუხსნელ აბებს პოულობენ საკვებში. ამის გამო, არ სვამენ ჩაის და ციხის საკვების მიღებას ერიდებიან. დღევანდელი ქართული საპატიმროები წარმოუდგენელი სისასტიკით გამოირჩევა. ხშირია პატიმრების გაუპატიურების შემთხვევები, ბევრი მათგანი სასჯელის მოხდის შემდეგ დაინვალიდებული ტოვებს ციხეს.**

**— გავრცელებული აზრით, პრაქტიკაში არსებობს წამების შემთხვევები, როცა ნაწამები პატიმრის სხეულზე წამების კვალი არ რჩება. ქართულ ციხეებში თუ იყენებენ მსგავს მეთოდებს?**

— უამრავი ასეთი მეთოდია, მაგრამ ეს უფრო ადრე ხდებოდა, როცა საპატიმროებში ჯერ კიდევ შიშობდნენ, რომ ნაწამები პატიმრის სხეულზე კვალი არ დარჩენილიყო. დღეს ამ მეთოდებს აღარავინ იყენებს, რადგან აღარ სჭირდებათ, ამ ადამიანებს ისედაც არავინ სჯით. ვინმემ დასაჯა უჩა გოდელაძის, კახა თედლიაშვილის მკვლელები? ამ კვირაში კიდევ ორი პატიმრის გარდაცვალების შესახებ შევიტყვეთ, რომელთაც სხეულზე დაზიანების კვალი აღენიშნებათ.

ყველა ნაწამები და ნაცემი პატიმრის ექსპერტიზის დასკვნა მაქვს, რითაც დასტურდება, რა ვითარებაა დღეს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენს ვსაუბრობთ უფლებადამცველები, კონკრეტულ ფაქტებს ვასახელებთ, საჩივრები შეგვაქვს პროკურატურაში, რათა სისხლის სამართლის საქმე აღიძრას და გამოძიება დაიწყოს, ამ დრომდე ერთი ადამიანიც კი არ დასჯილა.

**— სახალხო დამცველის 2010 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებული წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ფაქტებზე პროკურატურის მხრიდან „საქმის გამოძიება ფორმალურ ხასიათს ატარებს“ და ხშირად საქმის შეწყვეტით ან საქმის გამოძიების გაჭიანურებით მთავრდება...**

**— ზოგიერთ უფლებადამცველს საპატიმროებში 24-საათიანი მონიტორინგის დაწესება მიაჩნია ეფექტურად. თქვენ რა გზას ხედავთ ვითარების შესაცვლელად?**

— ვფიქრობ, ციხეებში 24-საათიანი მონიტორინგის დაწესება ვერაფერს შეცვლის, ვინაიდან იმდენი ადამიანის დაშვება საპატიმროებში შეუძლებელია, რომ მათ დღე-ღამის განმავლობაში 45 ათასი პატიმრის მონიტორინგი განახორციელონ. ვფიქრობ, პრობლემა ისაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ცალ-ცალკე ვაქტიურობთ, არ ვართ სოლიდარულები და არ მივმართავთ ერთიან ძალისხმევას ამ ყველაფრის შესაჩერებლად. ალბათ, ერთ დღეს ყველამ ერთად უნდა ვთქვათ, რომ ვიწყებთ ამ ადამიანების უფლებების დაცვას. მეგობრები, ოჯახის წევრები, ნათესავებიც უნდა შემოგვიერთდნენ, 45 ათას პატიმარს თითო პატრონი ხომ მაინც ჰყავს, ყველა უნდა გამოვიდეს და გააპროტესტოს, რაც ხდება ციხეებში. რატომ არ გამოდიან, რისი ეშინიათ? ამ ხელისუფლებამ ძალა თუ არ დაინახა, უკვე უკან აღარ დაიხევს.

**— ადვოკატები ხომ მართავთ სოლიდარობის აქციებს?**

— არ არის საკმარისი. ქვეყანაში 3 500 ადვოკატია. იმ დღეს კი აქციაზე მხოლოდ 150 ადვოკატი ვიყავით; არადა, ყველამ კარგად იცის, რაც ქვეყანაში ხდება.

**— სააკაშვილი პიარზე მუშაობს. სააკაშვილს სახალხო დამცველი მხოლოდ იმიტომ სჭირდება რომ მსოფლიოს თავი დემოკრატად მოაჩვენოს, ამიტომ არსებობს დამოუკიდებელი მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღეს ჩვენ, ყველანი ციხეში ვიქნებოდით.**

**— აგვისტოში ევროსაბჭოსა და ევროკავშირის შენობებთანაც მოაწყვეთ ადვოკატებმა აქციები. ხშირად მიმართავთ საერთაშორისო უფლებადამცველებსაც, თუ მოჰყვება ხოლმე ამ ყველაფერს შესაბამისი შედეგი?**

— დიახ, მათი გამოხმაურების შედეგი იყო, რომ აღვშფოთდით და შევშფოთდითო. ეს არის სტანდარტული დიპლომატიური პასუხი. ვფიქრობ, უცხოელებიც დავღალეთ, რადგან ისინი ხედავენ, რომ ჩვენ თავად არ ვიბრძვით ჩვენი უფლებების დასაცავად, ჩვენს მაგივრად კი არავინ არაფერს გააკეთებს.

ძალას მხოლოდ და მხოლოდ ძალა შეაჩერებს. ხელისუფლება გათამამდა, რადგან იცის, რომ პასიურები ვართ, ან გვეშინია, ან სხვისი ჭირი არ გვადარდებს. გულგრილად ვუყურებთ, როდესაც ვიღაცის შვილს აწამებენ, კლავენ. ეს კარგად გაიგო უკვე სააკაშვილმა და მისმა კრიმინალურმა ბანდამ.

**— სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ ახალი პროექტი წარმოადგინა, რომელიც პენიტენციალურ დაწესებულებებში საზოგადოებრივი მოსაცდელების შექმნას ითვალისწინებს. რას შეცვლის ეს წამოწყება?**

— კალმახელიძის აზრით, გარეთ რომ საზოგადოებრივი მოსაცდელი აშენდება, შიგნით პატიმრებს აღარ აწამებენ? ეს რა ლოგიკაა? გარდა იმისა, რომ ბევრი იწერება ციხეებში პატიმრების წამებისა და არადამიანური მოპყრობის შესახებ, ტელევიზით მინახავს, როგორ უსვამს კითხვას ჟურნალისტი მინისტრს ნაწამები ადამიანების შესახებ, მაგრამ კალმახელიძის პასუხი ჯერ არ მსმენია. მან კარგად იცის, საპატიმროებში რაც ხდება, ისევე, როგორც ყველაფერი იცის სააკაშვილმა და მთელმა პარლამენტმა.

**— თუმცა ხელისუფლება სათავეში მოსვლისთანავე აცხადებდა, რომ მისთვის პენიტენციარული სისტემის რეფორმა პრიორიტეტულია.**

— ეს განცხადებები ხელისუფლებას მხოლოდ პიარისთვის სჭირდება. მართალია, ახალი შენობები აშენდა, მაგრამ ეს არ აშენდებოდა, ხელისუფლებას აქედან ფულის „გათეთრების“ შანსი რომ არ ჰქონოდა. ყველა ახალაშენებული ციხე ერთ თვეში ნგრევას იწყებს. ზუსტად ერთ თვეში ყველა საპყრობილეში დაიბზარა კედლები, კარებს სახელურები მოსძვრა. სააკაშვილს პატიმრების მდგომარეობა სულ არ ადარდებს, მთავარია, უცხოელი რომ ჩამოვა, იმას მოაწონოს თავი. გაეროს სტატუსით პატიმრების უფლებების დამცველი ვარ და მსოფლიოში თითქმის ყველა საპატიმრო მაქვს ნანახი, ამერიკულ და ევროპულ საპატიმროებთან ჩვენი ციხეების შედარებაც კი არ შეიძლება. თუ ქართული სასამართლო რეფორმირებული ევროპული სასამართლოა, ამას სტრასბურგის შედეგებიც კარგად გვიჩვენებს ხოლმე.

ალსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ზეწოლა ხდება პატიმრებზე, როდესაც ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენლის პირადი, ქონებრივი ინტერესი იკვეთება. უამრავი ასეთი შემთხვევაა ცნობილი, მაგალითად ნუგზარ ბოჭორიშვილის შემთხვევაც გამოდგება, რომელიც ვითომდა ნარკოტრანზიტში იყო ჩაბმული.

ადვოკატების აქცია ჩვენი ერთ-ერთი კოლეგის — ტარიელ მურმანიშვილის სოლიდარობის ნიშნად გაიმართა, რომელმაც საკუთარი კლიენტის სასარგებლოდ ორმილიონიანი საქმე მოიგო. საქმეში ასევე იკვეთება დეპუტატ რომანოზ ბჟალავას ინტერესები. ისიც ვერ მოინელეს, ადვოკატს თავისი შრომით მიღწეული საფასური მიეღო. გამოდის, რომ, თუ ადვოკატი სოლიდურ გასამრჯელოს მიიღებს, აუცილებლად ხელისუფლებას უნდა გაუყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დააპატიმრებენ.

ყველა სისხლის სამართლის საქმეში რომელიმე მინისტრის ან პარლამენტარის, ან მათთან დაახლოებული პირების ინტერესები იკვეთება. **თუ ქვეყანაში ვინმეს 20 ათას ლარზე მეტი შემოსავალი გაუჩნდება, ხელისუფლება არ შეარჩენს. ასეთი ადამიანები კონტროლზე აჰყავთ, მათ გარშემო ათას სიბინძურეს ხლართავენ და საბოლოო ჯამში ისინი ციხეში ხვდებიან. კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარეების მეშვეობით კი თითოეული ოჯახის ფინანსური მდგომარეობა კარგად იციან და ამის მიხედვით სდევნიან ოჯახის წევრებს, მათ იჭერენ, ფულს იღებენ და შემდეგ უშვებენ.**

ხელისუფლების ინტერესი იკვეთება ყველა ბიზნესმენის საქმეში. მაგალითისთვის ებრაელი ბიზნესმენების საქმეც საკმარისია.

**— როგორ აისახება ებრაელი ბიზნესმენების — რონი ფუქსისა და ზევ ფრენკელის დაპატიმრება ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე? მითუმეტეს, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მათ საკმაოდ ცუდ პირობებში ამყოფებენ.**

— პირადად მე, როდესაც შევიტყვე, როგორ ეპყრობოდნენ ამ ადამიანებს ციხეში, ერთ-ერთ რადიოგადაცემაში ბოდიში მოვუხადე ებრაელ ხალხს და ვთქვი, რომ ქართველები არ ვართ ასეთები და ჩემი ხელისუფლების გამო ძალიან მრცხვენია-მეთქი. ყველგან თავი გვაქვს მოჭრილი. ებრაელი ბიზნესმენები უმძიმეს პირობებში იმყოფებიან. მათი ადვოკატის, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, როცა პატიმრები №8 საპყრობილიდან ქუთაისში გადაიყვანეს, საჭირო მედიკამენტებიც არ გაატანეს თან.

**— გიორგი დემეტრაძის უფლებებს იცავთ. ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს მასზე ზეწოლა მიმდინარეობდა და ის თავის მოკვლასაც აპირებდა. რა მდგომარეობაშია ახლა?**

— ვადასტურებ, ნამდვილად ჰქონდა მსგავს ფაქტებს ადგილი. მას შემდეგ, რაც მე ვინახულე, სიტუაცია მოწესრიგდა, ვინაიდან ძალიან მწვავედ გავაპროტესტე მისი მდგომარეობა.

სამწუხაროდ, დემეტრაძის დასაცავად, კახა კალაძის გარდა, ხმა არავინ ამოიღო. ქართველ ფეხბურთელებს იმის ვაჟკაცობაც არ ეყოთ, გაეგოთ მაინც, დამნაშავე იყო თუ არა გიორგი დემეტრაძე. არადა, როგორც ვიცი, ბევრი მეგობარი ჰყავდა. მალე მისი საქმის დასკვნიდან ამონარიდებს შევკრებ, პროკლამაციების სახით დავბეჭდავ და ყველგან გავავრცელებ. სტადიონზე საფეხბურთო მატჩი რომ ჩატარდება, იქაც მივალ და მთელ სტადიონზე მიმოვფანტავ. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე და დაე, განაჩენი თავად გამოიტანოს.

**ესაუბრა**
**შორენა ციცქარაშვილი**

**საზოგადოების წინ წაგდებით ბურჯანაძემ სააკაშვილის აგრესია გამოავლინა. იგი პროვოკაციაზე მოქალაქეების სისხლის ფასად წავიდა. სწორედ ეს იყო 26 მაისის აქციის მიზანი. უნდა აღინიშნოს, რომ ბურჯანაძემ ძალიან ჭკვიანური პოლიტიკური ალღო აიღო, თუმცა მხოლოდ სათავისოდ.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## «ხელისუფლება დაინტერესებულია ქვეყანაში მართული, ლაქია ოპოზიციის არსებობით»

**პაატა ზაქარეიშვილი:**

# ქვეყანა შიშმა და ტერორმა მოიცვა

## საქართველოში დღეს ავტორიტარული მმართველობაა, რომელიც თავს დემოკრატიად ასაღებს



საქართველოში საზოგადოებისა და ოპოზიციური ძალების ურთიერთდამოკიდებულებამ „მუტაცია“ განიცადა. საზოგადოება ოპოზიციას უმოქმედობაში სდებს ბრალს, ოპოზიციის წარმომადგენლები კი საზოგადოებას — უვიცობაში.
ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ კონფლიქტოლოგი, რესპუბლიკური პარტიის წევრი პაატა ზაქარეიშვილი ესაუბრა.

**— ბატონო პაატა, საზოგადოების უმეტესი ნაწილი თვლის, რომ დღეს საქართველოში არა თუ ხელისუფლების, არამედ ოპოზიციის პრობლემაა, თქვენ როგორ მიგაჩნიათ?**

**— საქარათველოში დღეს ავტორიტარული მმართველობაა, რომელიც თავს დემოკრატიად ასაღებს. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ინტერესებში შედის, რომ ქვეყანაში ისეთმა ოპოზიციურმა ძალამ იარსებოს, რომელიც ოპოზიციის ნიღაბს ამოფარებული ხელისუფლების ლაქია იქნება. ამ კატეგორიას განეკუთნება ის ფსევდო ოპოზიცია, რომელიც დღეს ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობს და მას დემოკრატიულობას უწონებს.**

მეორე კატეგორიას განეკუთნება რადიკალური ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებისგან არ იმართება, სამართლიანი არჩევნებისთვის არ იბრძვის და მუდმივად რევოლუციებს, შფოთს, დაძაბულობას მოითხოვს. **ოპოზიციის ეს ფლანგი ხალხის ჯანმრთელობის ფასად ხელისუფლების პროვოცირებას ცდილობს. პირადად მე ამ პოლიტიკოსებს ავანტიურისტებს ვუწოდებ.**

მაგალითად, ნინო ბურჯანაძე ძალიან გამჭრიახი პოლიტიკოსია, შესაბამისად, მშვენივრად იცის, რა უნდა, ესაა, რომ ხალხზე არ ფიქრობს და მათ საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს. **საზოგადოების წინ წაგდებით ბურჯანაძემ სააკაშვილის აგრესია გამოავლინა. იგი პროვოკაციაზე მოქალაქეების სისხლის ფასად წავიდა. სწორედ ეს იყო 26 მაისის აქციის მიზანი. უნდა აღინიშნოს, რომ ბურჯანაძემ ძალიან ჭკვიანური პოლიტიკური ალღო აიღო, თუმცა მხოლოდ სათავისოდ.**

გარდა ამისა, მან კარგად იცის, რომ საქართველოში მოსახლეობის გარკვეულ პროცენტს რუსეთზე მოთხვნა მაინც აქვს და სწორედ ამ ხმების წალეხაზე მუშაობს. **ბურჯანაძე იმ ხალხზე მუშაობს, რომელიც პრორუსულადაა განწყობილი, მხოლოდ მათ არხებზე გადის. ამ ყველაფერს აკეთებს ძალიან მკაფიოდ, ხისტად და ურცხვად. იგი სულაც არ აპირებს პროდასავლურად მოაზროვნე საზოგადოების სიმპათიები დაიმსახუროს.**

ოპოზიციის მესამე ნაწილი კი ცდილობს, ხელისუფლებას ხალხის სისხლი არ შეახოცოს და სამართლიანი არჩევნების გზით გადააგდოს.

აქედან გამომდინარე, ჩემთვის ყოვლად მიუღებელია, ოპოზიციიდან ყველა ერთ ქვაბში იხარშებოდეს და ერთნაირად განისჯებოდეს.

**— როგორ ფიქრობთ, არსებული ხელისუფლების პირობებში რამდენად ადეკვატურია სამართლიანი არჩევნების იმედად ყოფნა?**

— თუ რამდენად ჩატარდება საქართველოში სამართლიანი არჩევნები, საზოგადოებაზე, მის ამ პროცესში ჩართულობაზეა დამოკიდებული. წინა არჩევნებზე სააკაშვილმა, როგორც ვიცით, 56% დაიწერა, ანუ სავალდებულო ზღვარს სულ რაღაც 6% მიამატა, აქედან 20-30% ნამდვილად მისთვის მიცემული ხმა იყო, ზოგი შანტაჟით, ზოგი სიყვარულით, ხათრით, მოსყიდვით, იძულებით და ა.შ.

ანუ სააკაშვილი, ყველაზე დიდი, ხმების 15 -20%-ს აყალბებს, თუმცა მისთვის ეს 15-20%-ც მომგებიანი აღმოჩნდა, რადგან არჩევნებში მონაწილეობა მოსახლეობის მხოლოდ 50%-მა მიიღო, სახლში დარჩენილი 50%-ის ხმები კი დაიკარგა. მსგავსი რამ რომ არ განმეორდეს, ოპოზიცია მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, საზოგადოების ეს პასიური ნაწილი არჩევნებში ჩართოს და სააკაშვილის გაყალბებული ხმების 15-20% ამ ნაწილის ხმებით გადაფაროს. ხელისუფლება 50%-იან გაყალბებას ვერ შეძლებს, მითუმეტეს დღეს, საერთაშორისო პოლიტიკიდან გამომდინარე.

ვიდრე „რვიანი“ არსებობდა, იგი ერთიანი ფრონტით ცდილობდა, სამართლიანი არჩევნების თაობაზე ხელისუფლებას დალაპარაკებოდა, თუმცა ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, „რვიანში“ განხეთქილება შეიტანა და 2 პარტია — „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ახალი მემარჯვენეები“ გადაიბირა. შედეგებიც შესაბამისი მივიღეთ — დაშლილი „რვიანი“, რომელმაც ბლოკში არსებულ კონფლიქტებს მეტი დრო დაუთმო, ვიდრე დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. სამაგიეროდ არსებობს „ექვსიანი“, რომელიც უკვე ბლოკად ჩამოყალიბებაზე კი არ მუშაობს, არამედ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე.

**— თუმცა საზოგადოების უმეტეს ნაწილს ზოგადად ოპოზიციის მიმართ ნდობა უკვე დაკაგული აქვს. იმედგაცრუებული ხალხის გულისმოგება რამდენად შესაძლებელია?**

**— ბაზარში რომ მივდივართ, რომელ გამყიდველს ვუწყებთ ვაჭრობას — ცუდი პროდუქტი რომელსაც აქვს, თუ კარგი? ცუდს არც კი შევხედავთ, ისე ჩავუვლით გვერდს, რადგან არ გვჭირდება, ხომ? ასეა პარტიებიც, საზოგადოება იმ პარტიებს ლანძღავს, რომელთა ამომრჩეველიც არ არის და რომელთა ინტერესებიც მისთვის ნულის ტოლია, არადა, უნდა მიაფურთხოს. პრეტენზიები და მოთხოვნები იმ პარტიებს უნდა წაუყენოს, რომელთა ამომრჩეველიც თვითონაა და რომელთაც ქვეყნის ბედს ანდობს. ასე უფრო წინ წავა საქმე, ვიდრე ერთმანეთის დაჭმით. უტაქტო და უსაქმური ლაყბობით ხელისუფლებას საქმეს ვუადვილებთ.**

როცა ადამიანი ექიმთან მიდის, ხომ გარკვეულია? ბავშვი რომ სკოლაში მიჰყავს, ხომ გარკვეულია? აბა, როცა პოლიტიკაში მიდის, რატომ არ არის გარკვეული? ე. ი. ქართულ საზოგადოებას პოლიტიკური კულტურა აკლია და ჩამორჩენილია. კიდევ გეუბნებით, ამდენ პარტიაში შენი მოსაწონი პარტია რომ ვერ ნახო ადამიანმა, უბრალოდ, გამორიცხულია, აბსურდია.

**— ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ბოლო დროს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა, ამის შესახებ რას იტყვით?**

— ამ მხრივ ნამდვილად ურთულესი მდგომარეობა გვაქვს. ავიღოთ თუნდაც ვეტერანების გაყრა გმირთა მოედნიდან, დევნილების გამოყრა სახლებიდან, მაღაროელებისა და მეტალურგების დაპატიმრება ქუთაისში, ადამიანის უფლებების რა დაცვაზეა აქ საუბარი?! ქვეყანა შიშმა და ტერორმა მოიცვა. საქართველოში ამ თემაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია.

ესაუბრა
**ეკა რობაქიძე**

**«ბურჯანაძე იმ ხალხზე მუშაობს, რომელიც პრორუსულადაა განწყობილი, მხოლოდ მათ არხებზე გადის. ამ ყველაფერს აკეთებს ძალიან მკაფიოდ, ხისტად და ურცხვად. იგი სულაც არ აპირებს პროდასავლურად მოაზროვნე საზოგადოების სიმპათიები დაიმსახუროს»**



საქართველო და მსოფლიო
განათლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაუქმებული სკოლების მოსწავლეებისათვის დაირღვა განათლების ხელმისაწვდომობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ხარისხიანი განათლების როგორც ფინანსურ, ისე გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას, რასაც, ბუნებრივია, როგორც მშობლების, ასევე მასწავლებლების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა.**

სონია ჭოჭუა:

# მარტვილის რაიონში განხორციელდება მასშტაბური ოპტიმიზაცია და 36 სკოლიდან 8 საჯარო საშუალო სკოლა დარჩება

**განათლების სამინისტროს მიერ უკანასკნელ წლებში სკოლების მიმართ და ზოგადად განათლების სფეროში გატარებული პოლიტიკა სახელმწიფოს განვითარების არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება, უფრო მეტიც, მისი შემაფერხებელი ფაქტორიც კი ხდება. რადგან ლომაიადან შაშკინამდე სამინისტროში გატარებული რეფორმები ქვეყანაში არა თუ განათლების დონის ამაღლებას, არამედ მის დეგრადაციას ემსახურება.**



# განათლების სამინისტრო განათლების წინააღმდეგ

საყოველთაოდ აღიარებული აქსიომაა და არანაირი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ სახელმწიფოში გატარებული რეფორმები წარმატებულად ჩაითვლება მაშინ, როცა იგი აუმჯობესებს და ავითარებს სახელმწიფოს მდგომარეობას. რადგან რეფორმა გულისხმობს გარდაქმნას, არსებულის სრულყოფას, მოძრაობას პროგრესისაკენ, რაც უდავოდ დადებითი მოვლენაა. მაგრამ რეფორმა ყოველთვის არ ნიშნავს არსებულის სრულ უარყოფას, მისი ფორმისა და შინაარსის უგულებელყოფას, წარსულის გამოცდილების ხელაღებით იგნორირებას, რადგან განვითარების ფესვები წარსულშია და მომავლის პერსპექტივა იქიდან მომდინარეობს. მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის მიერ გატარებულ რეფორმას, თითქმის ყველა სფეროში, ევთანაზიის სახე აქვს და ხელს უწყობს ქართული წიაღის განადგურებას და ძირს უთხრის ქართულ ტრადიციებს. განადგურება კი მის რეფორმირებას არ ნიშნავს.

**არავინ უარყოფს, რომ საქართველოში განათლების სისტემა ცვლილებებს, ხოლო ქართული სკოლა საბჭოთა მემკვიდრეობისგან და იდეოლოგიური კლანჭებისგან განთავისუფლების მიზნით რეფორმირებას რომ საჭიროებდა, მისი თანამედროვე სტანდარტებთან ადაპტაციის მიზნით. თუმცა „ნაციონალური“ ხელისუფლების მიერ განათლების სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა აღნიშნული სფეროს არა თუ რეფორმირება, არამედ „დეფორმირება“ გამოიწვია.**

სააკაშვილის რეჟიმის მიერ გატარებული სასკოლო რეფორმა გორდიას კვანძივით ჩახლართული და ამოუხსნელი ფენომენია, რომლის არსში გარკვევა ძალიან რთულია. მთავარი პრობლემა არის ის სისტემა, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ლომაიამ თავისი კრეატიული იდეებით ჩაუყარა საფუძველი, ხოლო შაშკინმა „სრულყოფილებად“ აქცია.

**მიუხედავად იმისა, რომ გასული წლების განმავლობაში იყო მცდელობა სასკოლო სისტემის მართვის სწრაფი და რადიკალური რეფორმირებისა, რომელსაც თითქოსდა სკოლის დეცენტრალიზაცია უნდა გამოეწვია, განუხორციელებელი გამოდგა და ლომაია-შაშკინის „ნაციონალური“ რეფორმის შედეგად მივიღეთ ჰერმაფროდიტული ხასიათის სისტემა, რომელიც არც ცენტრალიზებულია და არც დეცენტრალიზებული.** კერძოდ, კანონის ძალით, ერთის მხრივ, სკოლას მინიჭებული აქვს დამოუკიდებლობა და „იმართება“ სკოლებში სპეციალურად შექნილი სამეურვეო საბჭოს მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან დანიშნონ და გაათავისუფლონ სკოლების დირექტორები და შეიმუშაონ სკოლის ბიუჯეტი და ა.შ., მეორეს მხრივ კი, ხშირად სამეურვეო საბჭოების გადაწყვეტილება იძულებით არის მიღებული, რომლებზეც სერიოზულ ზეწოლას ახორციელებს განათლების სამინისტრო გენერალური ინსპექციის და რესურსცენტრის მეშვეობით, რაც დეცენტრალიზაციას, ანუ სკოლების თვითმმართველობას ეჭვქვეშ აყენებს.

უკანასკნელ პერიოდში განათლების სამინისტრომ სკოლები მიზანში ამოიღო და მათი მასობრივი დახურვა დაიწყო. ეს პროცესი განსაკუთრებით შეეხო სამეგრელოს, კერძოდ, მარტვილის რაიონის სკოლებს, სადაც განათლების მინისტრის ბრძანებით სასწავლო წლის დაწყებამდე გაუქმებულ იქნა ოთხი სკოლა (ლეციცხვაიეს, მარტვილის III, პირველი ნამიკოლაოს, წინაკვერკვეს საჯარო სკოლები), რამაც გარდა იმისა რომ ბავშვებს დამატებითი პრობლემები შეუქმნა, სოფელი სკოლის, ხოლო მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამსახურის გარეშე დატოვა. **ამ გადაწყვეტილებით გაუქმებული სკოლების მოსწავლეებისათვის დაირღვა განათლების ხელმისაწვდომობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ხარისხიანი განათლების როგორც ფინანსურ, ისე გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას, რასაც, ბუნებრივია, როგორც მშობლების, ასევე მასწავლებლების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა. თუმცა განათლების სამინისტრო ამ ოპტიმიზაციად წოდებულ პროცესს რეფორმების აუცილებლობით ხსნის.**

ჩვენ შევეცადეთ როგორც დაზარალებული მხარის, ასევე ხელისუფლების წარმომადგენელთა არგუმენტები პირადად მოგვესმინა და გაგვერკვია თუ რა გახდა სკოლების ასე მასშტაბურად დახურვის მიზეზი. ჩვენი მცდელობა მეტად პროდუქტიული გამოდგა. გარდა ამისა, მარტვილის რესურსცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა სონია ჭოჭუამ მარტვილის საშუალო სკოლების მომავალთან დაკავშირებით მეტად სენსაციური ინფორმაცია გაგვიმხილა. თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ.

მარტვილელთა ყველაზე დიდი პროტესტი ლეციცხვაიეს საჯარო სკოლის დახურვას მოჰყვა. როგორც ირკვევა ლეციცხვაიეს საჯარო სკოლა დახურეს და ქვედა ხუნწის საჯარო სკოლას მიუერთეს რესურსცენტრის უფროსის მიერ სამინისტროსთვის გაგზავნილი სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე. მაგრამ **მშობლებისა და მასწავლებელთა წინააღმდეგობის შემდეგ ეს პროცესი შეაჩერეს და ადმინისტრაციული ოპტიმიზაცია განახორციელეს, ანუ მე-6 კლასამდე ბავშვები დატოვეს, თუმცა — როგორც ქვედა ხუნწის მეორე კორპუსი. მაგრამ სოფლის მოსახლეობა არ ენდობა ამ გადაწყვეტილებას და მიიჩნევენ, რომ, როგორც კი პროტესტი მიწყნარდება, ამ გადაწყვეტილებას გააუქმებენ და მის პრივატიზაციას მოახდენენ.** ამ არგუმენტს ისიც ამყარებს, რომ არანაირი საბუთი არ არსებობს იმისა, სკოლის შენობაში მომავალშიც კვლავ სკოლა რომ იფუნქციონირებს და არ გაიყიდება.

გარდა ამისა, არსებობს პროტესტის სხვა მიზეზიც, კერძოდ ლეციცხვაიეს სკოლა აგვისტოს ომში გმირულად დაღუპული ჯარისკაცის, მაიორ გელა ჭედიას სახელობის იყო და სკოლის დახურვა ჯარისკაცის სახელის შეურაცხყოფად მიიჩნიეს. მაგრამ ამ სკოლის დახურვის შემდეგ დაღუპული ჯარისკაცის სახელობის ქვედა ხუნწის საჯარო სკოლა გახდა. აქ გასაკვირი და უცნაური არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი საგულისხმო ფაქტი. კერძოდ, მარტვილის რესურსცენტრის დირექტორმა გვითხრა, რომ **„აღნიშნული სკოლის დახურვა 2005 წელსაც იგეგმებოდა, მაგრამ ეს საკითხი რამდენიმე წლით გადაიდო“.** მაშინ გაურკვეველია თუ რატომ ეწოდა ლეციცხვაიეს სკოლას მაიორ გელა ჭედიას სახელი, თუ მისი გაუქმება იგეგმებოდა?! ამაზე პასუხი არავის აქვს.

ლეციცხვაიეს საჯარო სკოლის უკვე ყოფილი დირექტორი ელგუჯა სულავა სკოლის გაუქმებას უკანონობად აფასებს: **„ჩვენ ვეუბნებით, მოგვიტანეთ არგუმენტები, დაგვიმტკიცეთ, აგვიხსენით, თუ რატომ ხდება ეს უკანონობა. ამასვე ითხოვს მთელი მოსახლეობა. მაგრამ ჩვენთან არავინ მოდის, რადგან არა აქვთ არგუმენტები“.**

მაგრამ ბატონმა ელგუჯამ აქვე ისიც დასძინა, რომ განათლების სამინისტროს სულაც არ უზრუნია იმაზე, რომ ეს პროცესი როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის მოულოდნელი და მტკივნეული არ ყოფილიყო და სკოლის ოპტიმიზაცია ისე განახორციელეს, რომ **„აქ რაიმე სახის სპეციალური კომისია არ შექმნილა. უფრო მეტიც, ჩვენ საერთოდ რომ არ ვიცოდით, ისე გაიგზავნა და მოულოდნელად მოვიდა ეს ბრძანება. ანუ ჩვენ საერთოდ საქმის კურსში არ ვიყავით, თუ რა ხდებოდა ჩვენს თავს“.**

## «ლეციცხვაიეს სკოლის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ხელში ჩაგდებით, რომელიც 3,5 ჰექტარია, დაინტერესებულია გოროზიების კლანი»

▶

**2014 წლამდე საქართველოში სკოლების რაოდენობის 70%-მდე შემცირებაა მოსალოდნელი. ასეთი ანტიეროვნული ნაბიჯით სააკაშვილის ხელისუფლება კიდევ ერთხელ აღიარებს, რომ მის პრიორიტეტს არ წარმოადგენს განათლებული მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც უნდა გახდეს თანამედროვე საქართველოს ღირსეული და სრულფასოვანი მოქალაქე.**

◀ ბატონი ელგუჯა მისი და სამეურვეო საბჭოს მიმართ რესურსცენტრის დირექტორის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლასა და მუქარაზე საუბრობს: **„სრულიად უკანონოდ გადამაყენეს, ვინაიდან ოქმი შეადგინეს 16-ში, თუმცა 15 რიცხვით გააფორმეს. ეს ყოველივე განხორციელდა მუქარის შედეგად, რადგან რესურსცენტრის დირექტორი, სონია ჭოჭუა პოლიციის და გენინსპექციის მოყვანით იმუქრებოდა“.**

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ლეციცხვაიეს სკოლის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ხელში ჩაგდებით, რომელიც 3,5 ჰექტარია, დაინტერესებულია გოროზიების კლანი. ამავე სოფლის მცხოვრებმა, პირობითად გურამმა, რომელმაც საჯაროდ ვინაობის გამხელა არ ისურვა (ჩვენც ამ თხოვნას ვასრულებთ), გვითხრა: **„გოროზიებს (**ცნობისთვის სამეგრელოს გუბერნატორ ზაზა გოროზიას ძმა ზაალ გოროზია მარტვილის საკრებულოს თავმჯდომარეა, — გ.ლ.) უნდოდათ სკოლის ეზოს ხელში ჩაგდება, რასაც მისი დახურვის შემდეგ სახელმწიფოსგან ადვილად მოახერხებდნენ. მაგრამ სოფლის მოსახლეობის წინააღმდეგობის შემდეგ თავი შეიკავეს, თუმცა, არა მგონია, ასე ადვილად დაუთმონ ხალხს ეს მიწა“.

სამინისტროს გადაწყვეტილებით ასევე უკმაყოფილოა მარტვილის III საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი ამირან გაბეშიაც: **„ის, რაც გაკეთდა, ძალიან ცუდია, რადგან ჩვენი სკოლა ერთ-ერთი მოწინავე იყო მთელს რაიონში და მისი დახურვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა. წელს საატესტატო გამოცდების დროს ქულების მხრივ მე-5 ადგილი დავიკავეთ. მაგრამ სამინისტრომ ეს არ გაითვალისწინა და ჩვენი სკოლის დახურვის გადაწყვეტილება მაინც მიიღო“.**

კითხვაზე, თუ რა გახდა III სკოლის დახურვის რეალური მიზეზი, ბატონმა ამირანმა გაგვანდო, რომ: **„სავარაუდოდ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს ჩვენი სკოლის შენობაში დევნილების ჩასახლება და სკოლის დახურვის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ესეც გამხდარიყო“.**

**სააკაშვილის რეჟიმის უსინდისობას და საკუთარი მოქალაქეებისადმი მტრულ დამოკიდებულებას საზღვარი არა აქვს, რადგან, როგორც ირკვევა, ხელისუფლებას მიზნად აქვს დასახული თბილისიდან ძალით გასახლებულ დევნილებს კიდევ ერთი გეტო ამჯერად უკვე მარტვილში მოუწყოს და ჯოჯოხეთი ხელმეორედ გამოატაროს.**

გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, მაგრამ ხისტი შეფასებებიდან თავს იკავებს აწ უკვე გაუქმებული პირველი ნამიკოლაოს სკოლის ყოფილი დირექტორი აზა გადილია: **„ეს გადაწყვეტილება, რომელიც განათლების სამინისტრომ მიიღო, ბავშვებს არასასურველ პირობებს უქმნის, ვინაიდან ბავშვებს ფეხით დამატებით რამდენიმე კილომეტრის გავლა უწევთ, მათ შორის არის ჩემი ოთხი შვილი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას უსამართლოდ მივიჩნევ, კანონს მაინც პატივს ვცემ და ვემორჩილები“.**

კითხვაზე — სკოლის დახურვამდე მიმართა თუ არა ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებს დახმარებისთვის, — ქალბატონმა აზამ გვიპასუხა: **„გამგებელთან მივედი და ვთხოვე, რომ ჩვენი სკოლის გაუქმება არ დაეშვა, რადგან არ შეიძლებოდა ასე ხისტად ამ საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ პასუხად მივიღე ის, რომ სკოლის პრობლემების გადაწყვეტა მის კომპეტენციაში არ შედიოდა“.** დღეს უკვე ქალბატონი აზა სკოლის შენარჩუნებისთვის ბრძოლას არ აპირებს, რადგან თვლის, რომ ეს არასოდეს მოხდება და ბრძოლას აზრი არ აქვს.

ჩვენ რამდენიმე კითხვით მარტვილის რესურსცენტრის დირექტორს, სონია ჭოჭუასაც მივმართეთ, რომელმაც მის მიმართ გამოთქმული ყველა ბრალდება კატეგორიულად უარყო და მას ცილისმწამებლური და უსაფუძვლო უწოდა. იგი პირობას დებს, რომ ლეციცხვაიეს ყოფილი სკოლის ბაზაზე შექმნილი ექვსი კლასი, რომელიც ქვედა ხუნწს დაექვემდებარა, არ გაუქმდება და იქ ბავშვები ყოველთვის ისწავლიან.

თუმცა რამდენად სარწმუნოა ქალბატონი სონიას ეს პირობა, მის მიერ ჩვენთვის გამხელილი სენსაციური ინფორმაციის ფონზე თავად განსაჯეთ: **„მე დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ 2014 წლისთვის მარტვილის რაიონში განხორციელდება სკოლების მასშტაბური ოპტიმიზაცია და საბოლოო ჯამში 36 სკოლიდან 8 საჯარო საშუალო სკოლა დარჩება“.**

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ სააკაშვილის რეჟიმის „დეფორმატორული“ პოლიტიკა მხოლოდ ერთ რაიონში არასდროს კონცენტრირდება და ყოველთვის რესპუბლიკის მასშტაბით თანაბრად ვრცელდება, მაშინ მარტვილის რაიონის მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ 2014 წლამდე საქართველოში სკოლების რაოდენობის 70%-მდე შემცირებაა მოსალოდნელი. ასეთი ანტიეროვნული ნაბიჯით სააკაშვილის ხელისუფლება კიდევ ერთხელ აღიარებს, რომ მის პრიორიტეტს არ წარმოადგენს განათლებული მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც უნდა გახდეს თანამედროვე საქართველოს ღირსეული და სრულფასოვანი მოქალაქე.

**გიორგი ლაშხი**

## «რატომ ეწოდა ლეციცხვაიეს სკოლას მაიორ გელა ჭედიას სახელი, თუ მისი გაუქმება იგეგმებოდა?!»

---

**დინასტია**

თბილისი, დ. ...

> **„სამწუხაროდ, საქორწინო ხელშეკრულებას დღემდე ხელი არ მოეწერა, ამიტომ საერთაშორისო და ქართული დინასტიური სამართლით, დაბადებული ვაჟი დარჩება ბაგრატიონ-მუხრანელთა თავადური ხაზის გამგრძელებელი და არა ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო ხაზისა“.**

# ბაგრატიონ-გრუზინსკის სამეფო სახლი პრინც გიორგის ტახტის მემკვიდრედ არ აღიარებს

**ესპანეთში 27 სექტემბერს დაბადებული ანა ბაგრატიონ-გრუზინსკისა და დავით ბაგრატიონის ვაჟის — გიორგის ირგვლივ ახალი სკანდალი მწიფდება. საქართველოს სამეფო სახლის კანცელარიის მიერ საქინფორმისთვის მიწოდებული განცხადების თანახმად, ირკვევა, რომ წყვილს საქორწინო ხელშეკრულება არ გაუფორმებია და ამდენად, ახალშობილი მუხრანელთა თავადური შტოს და არა სამეფო შტოს გამგრძელებელი გამოდის.**



საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ღონეს მიმართა ბაგრატიონების ქორწინების ჩასაშლელად, მათ შორის — ყველაზე ბინძური ხერხების გამოყენებით. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ჯვრისწერამდე რამდენიმე დღით ადრე პატრიარქი იძულებული გახდა, გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრებულიყო. მის გარეშე ჩატარებულმა ჯვრისწერამ, უბრალოდ, მასშტაბი კი არ დაკარგა, არამედ არ იქნა დაცული დინასტიური სამართლის მოთხოვნები.

**თუმცა საქართველოს სამეფო სახლის მეთაურმა, ბატონიშვილმა ნუგზარმა ქორწილში მისასალმებელ სიტყვაში, დინასტიური კანონმდებლობის თანახმად, ოფიციალურად დააფიქსირა ქორწინებაში შესული მისი ქალიშვილის, როგორც მომავალი ტახტის მემკვიდრის, სტატუსი და მისი უპირატესობა მომავალ მეუღლესთან მიმართებაში. ეს განცხადება მიღებულ იქნა დამსწრე უცხოელი და ადგილობრივი საზოგადოების მიერ როგორც სამეფოს სახლის მეთაურის სიტყვიერი დეკრეტი.**

საქართველოს სამეფო სახლის კანცელარიის განცხადებით, წყვილის ურთიერთობა დაიძაბა „დავითის უღირსი საქციელების გამო“. ასევე, თავადმა დავითმა საკუთარ ინტერნეტგვერდზე თავი სამეფო სახლის მეთაურად და საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა, რითაც ხელყო ბატონიშვილი ნუგზარის უფლებები. ფაქტობრივად, მან უარი თქვა მეუღლე-კონსორტობაზე, მისი ვაჟის ტახტის მემკვიდრედ აღიარებაზე და მისი ოჯახის მიერ უკანონოდ დაარსებული ორდენების ლეგიტიმაციაზე.

საქართველოს სამეფო სახლის კანცელარიის განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ: **„სამწუხაროდ, საქორწინო ხელშეკრულებას დღემდე ხელი არ მოეწერა, ამიტომ საერთაშორისო და ქართული დინასტიური სამართლით, დაბადებული ვაჟი დარჩება ბაგრატიონ-მუხრანელთა თავადური ხაზის გამგრძელებელი და არა ბაგრატიონ-გრუზინსკების სამეფო ხაზისა“.**

ეს ყოველივე ბრაზილიურ ტელესერიალს ემსგავსება. არავინ დავობს იმაზე, რომ ბატონიშვილ ანას ქალიშვილები პირველი ქორწინებიდან ისეთივე მემკვიდრეები არიან, როგორც მეორე ქორწინებაში შობილი ვაჟი. უფროს-უმცროსობაც ბაგრატიონთა საგვარეულოში პრესის ფურცლებზე არ უნდა ირკვეოდეს. ასეა თუ ისე, ყოველი ამგვარი განცხადება მხოლოდ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან მისთვის სიკვდილის ტოლფასია ქვეყანაში ახალი ძალის წარმოშობა, რომელსაც გარედან ლეგიტიმაცია არ ესაჭიროება.

„საქართველო და მსოფლიო“ კიდევ ერთხელ ულოცავს ანა და დავით ბაგრატიონებს ვაჟიანობას, ახალშობილს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას უსურვებს, ხოლო საქართველოს — გამთლიანებას. აქვე შემოგთავაზებთ სამეფო სახლის კანცლერის, ბატონ კახა ქორიძის ინტერვიუს, რომელიც მან „საქართველო და მსოფლიოს“ სამეფო კარის კანცელარიის განცხადებამდე მისცა და რომლის ტონიც ამ განცხადებისგან სრულიად განსხვავებულია.

**„საქართველო და მსოფლიოს“ ინფორმაციას, რომ 27 სექტემბერს სამეფო გვარის წყვილს, დავითსა და ანას ვაჟიშვილი გიორგი შეეძინათ, დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მრავალრიცხოვანი და არაერთგვაროვანი, რომელიც პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: სიხარული სამეფო გვარის წარმომადგენლის დაბადების გამო — პრინცი დაიბადა; ნეიტრალური – დაიბადა ახალგაზრდა ოჯახის მემკვიდრე და ღმერთმა გაზარდოს; და მკვეთრად უარყოფითი – რა მეფე და პრინცები აგიტყდათ, ჯერ ამ ბაგრატიონებმა დაამტკიცონ, რომ რამის გამკეთებლები არიან, მერე ვილაპარაკოთ საკონსტიტუციო მონარქიაზეო.**

**„საქართველო და მსოფლიომ“ სამეფო სახლის კანცლერს — კახა ქორიძეს გააცნო ეს გამოხმაურებები და კომენტარი სთხოვა.**

— ეს ნაირგვარი რეაქცია, ბუნებრივია, და გასაკვირი არაფერია, — თქვა ბატონმა კახამ. სამეფო კარის უფროსი დღესდღეობით ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი გახლავთ. მისი უფროსი ქალიშვილი, ტახტის მემკვიდრე ანა ცოლად გაჰყვა დავით ბაგრატიონ-მუხრანელს, ანუ ეს ტოლფარდოვანი ქორწინება არაა, იგი საქართველოს დინასტიური კანონმდებლობით დასაშვებია. საქართველოში ქორწინების ტოლფარდოვნების მოთხოვნა არ ყოფილა. როცა ძე არაა გვარში, მემკვიდრეობა დედის ხაზით გადადის. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც მემკვიდრეობა ბატონიშვილ ანაზე უნდა გადავიდეს. ამ ქორწინებით არ გაფორმდა დინასტიური ხაზით ხელშეკრულება. ამას თავისი მიზეზები აქვს.

ერთ-ერთი თქვენი რესპონდენტი წერს, მეც გავიგე, რომ ამის გამო გვარი ბაგრატიონ-ბაგრატიონი უხერხული ფორმაა. მართლაც ასეა და ასეთ ფორმას საქართველოში, მისი ისტორია და კანონმდებლობა არ ცნობს, მაგრამ იცნობს მხოლოდ ზედსიძეობის წესით, როგორიც იყო, მაგალითად, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შეუღლება. ორივენი ბაგრატიონები იყვნენ, მაგრამ თამარის გვარი სამეფო იყო, არასამეფო შტო — სოსლანის.

**ამ ქორწინებით შობილი გიორგი-ლაშა, გიორგი IV სიგელებში იწოდება, როგორც მეფე გიორგი ლაშა თამარის ძე. ზუსტად ასევეა ისეთ მონარქიულ ქვეყნებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, სადაც ქალის ხაზით გადადის მემკვიდრეობა, ასევე – ჰოლანდიაში, შვედეთში...**

**იმის თქმა მინდა, რომ ამ პატარა ბიჭის სტატუსზე ლაპარაკი მართლაც ზედმეტია, ვიდრე ეს ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოებში არ ჩაჯდება.**

**– ადრე ხომ არ დავიწყეთ მონარქიის – კონსტიტუციური მონარქიის აღდგენაზე საუბარი? იქნებ — ამაოდაც?**

— თავის დროზე ეს ჩვენი პატრიარქის იდეა იყო... სულ სხვა მენტალიტეტი ჩამოუყალიბდა ქართველობას დროთა განმავლობაში. მონარქიას, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას ისე ვუყურებ, საქართველოს 1300-წლიანი დინასტია ჰყავს, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობა უნდა იცავდეს. ბატონიშვილი ნუგზარი თავისი აღზრდით, განათლებით, ადამიანობით გენიალური პიროვნებაა — თავმდაბალი და კაცთმოყვარე, მუდამ საქართველოში და ისეთივე გაჭირვებაში ცხოვრობდა, როგორც ყველა ჩვენი მოქალაქე.

ხაზგასმით ვიმეორებ, აქ საუბარია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე, მოვლაზე და ა.შ. როცა მოვა დრო და ჩვენი ისტორიკოსები გადაწყვეტენ, შესაბამის ისტორიულ დოკუმენტზე დაყრდნობით, ანალიზის შედეგად გადავწყვეტთ, ვინ უნდა იყოს მეფე.

რაიკომის მდივნის არჩევა ხომ არაა?

**— ესე იგი, დაიბადა კარგი ბავშვი, კარგი ოჯახის შვილი და არა მაინც და მაინც ტახტის მემკვიდრე. ამით კიდევ ერთი მარცვალი ჩავარდა ტრადიციის შენარჩუნების ქვეყანაში და მეტი არაფერი?**

— ასეა. კულტურულ მემკვიდრეობაში მხოლოდ მატერიალური კულტურის ძეგლები, მათი აღდგენა და შენარჩუნება ხომ არ იგულისხმება? 1300-წლოვანი დინასტია რომ არ შეწყვეტილა, ეს უნდა გვიხაროდეს!

**geworld.ge-ის მიხედვით**

განათლება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღესდღეობით სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც განათლების დონე, უბრალოდ, დაბალი კი არ არის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ ხოლმე, არამედ უკიდურესად შემაშფოთებელია, მე ვიტყოდი, თითქმის ნულის ტოლია. ამაში კი, თავის მხრივ, ის ადამიანები არიან, პირველ რიგში, დამნაშავეენი, რომლებიც სათავეში უდგანან ამ ე.წ. რეფორმებს და წაღმა-უკუღმა ატრიალებენ განათლების სისტემას...“



## «სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც განათლების დონე უკიდურესად შემაშფოთებელია»

## ჯემალ მებონია:

# მიმდინარეობს ქართული განათლების ტოტალური ნგრევა

**განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებსა და მის სამომავლო შედეგებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ჯემალ მებონია.**

**— ბატონო ჯემალ, ხელისუფლების წარმომადგენელთა ომახიან განცხადებებს თუ დავუჯერებთ, ლომაია-შაშკინისეულმა რეფორმებმა პირდაპირ სულზე მოუსწრო ქართულ განათლებას. თქვენი აზრით, რა ხდება დღესდღეობით ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში და საით მივყავართ მიმდინარე რეფორმას, რომელმაც ლამის საყოველთაო პარანოიის პიკს მიაღწიოს?**

— არ ვიცი, ვის ეჩვენება, რომ ამ რეფორმებმა ჩვენს განათლებას და ზოგადად ქვეყანას რამე სიკეთე მოუტანა, მაგრამ **განათლების ერთ-ერთ მინისტრს, რომლის ვინაობას მიზეზთა გამო არ ვასახელებ, თვითონ აქვს ნათქვამი, რეფორმამდელი დონე რომ აღვადგინოთ, სულ ცოტა ხუთი წელი მაინც დაგვჭირდებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ რეფორმების შედეგად განათლების დონე კი არ ამაღლებულა, როგორც ამაში მავანნი გვარწმუნებენ, არამედ, ძალიან რბილად თუ ვიტყვით, ამ დონემ იმდენად დაიწია, დღეს უკვე ამათი მთავარი ამოცანა სწორედ რეფორმამდელი მდგომარეობის აღდგენაა.** რა გზით, როგორ შეძლებენ ამას, არავინ ამბობს, ხოლო ვისაც მართლა რაღაც გაეგება ამ სფეროში და კარგი საქმეების კეთება შეუძლია, იმ ხალხს, უბრალოდ, დევნიან. აი, ასეთია ამათი დამოკიდებულება მთლიანად განათლების სისტემისადმი. ასე რომ პრობლემები იმდენია, სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი საიდან და რით დავიწყო; მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დღესდღეობით ამ ე. წ. რეფორმების სახით მიმდინარეობს ქართული განათლების დაკნინება და ტოტალური ნგრევა...

**— თქვენი აზრით, ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება?**

— ამას უკვე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ჩემთვის მთავარია შედეგი. ისე კი, რა უბედურებებიც ტრიალებს დღესდღეობით განათლების სისტემაში, ვფიქრობ, დიდწილად უვიცობისა და პროფესიონალიზმის ნაკლებობის შედეგია, ვინაიდან განათლების სამინისტრო და მთლიანად განათლების სფერო დღეს გავსებულია უცოდინრებით, ადამიანებით, რომლებსაც, ფაქტობრივად, წარმოდგენაც არ აქვთ, რა არის განათლება. სწორედ ეს განაპირობებს იმ შეცდომებს, რამაც აქამდე მიიყვანა მთელი ეს სისტემა.

**— კონკრეტულად რომელ შეცდომებს გულისხმობთ?**

— რომელი ერთი ჩამოვთვალო, ამათ შეცდომებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. **სამი ფუნდამენტური მეცნიერება — ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია გააერთიანეს და ერთ საგნად ისწავლებოდა, გაგონილა ასეთი რამე?! მერე თვითონაც მიხვდნენ, რომ სისულელე გააკეთეს და ისევ ცალკე საგნებად შემოიღეს.**

ასევე სისულელე იყო ლოტოტრონის პრინციპით დირექტორების არჩევაც, რაც პირადად ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რა მიზანს ემსახურებოდა. სხვათა შორის, თავის დროზე სააკაშვილმაც გაამახვილა ამაზე ყურადღება და ირონიულად იკითხა ერთ-ერთ გამოსვლაში, რომელმა „ბრძენმა“ გააკეთა ესო. დალოცვილო, არ იცი, ვინ გააკეთა?! ის კაცი ახლა გაეროში გიზის და მაღალფარდოვან სიტყვებს ლაპარაკობს...

**— სააკაშვილს ისიც კი თქვა, სკოლებში მოსწავლეთა ზოგადი ერუდიციის დონე ძალიან დაბალიაო.**

**— გასაგებია, მაგრამ ვისი ბრალია მერე, განათლების დონე რომ დაბალია? ბავშვებს ლამის წიგნების ტარება აუკრძალეს სკოლებში და, აბა, რა ეგონათ, ვუნდერკინდები გაიზრდებოდნენ?**

დამისახელეთ ერთი დადებითი შედეგი, რომელიც ამათ ე. წ. რეფორმებს მოჰყვა, — სკოლები დაიხურა, უმაღლესი სასწავლებლებიდან პროფესორ-მასწავლებლების საუკეთესო ნაწილი პირდაპირ ქუჩაში გამოყარეს, უნივერსიტეტი თითქმის მოშალეს და დაანგრიეს, ასევე დაანგრიეს მეცნიერებათა აკადემიაც და კიდევ რა ვიცი, რამდენი რამ; **ახლა კიდევ საატესტატო გამოცდებიო და რაღაც ახალი უბედურება მოიგონეს, რაც მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, უბრალოდ, ვერ ჩააბარა. სხვათა შორის, ამათ ხომ გამოაცხადეს, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ხუთ-ნახევარი ქულა იყოო, სანდო წყაროებიდან მაქვს ინფორმაცია, რომ სინამდვილეში ეს ზღვარი იყო ნახევარი ქულა, ანუ გამოდის, რომ ვინც გამოცდები ვერ ჩააბარა, მას რეალურად ნახევარი ქულაც კი არ აუღია. ხვდებით, რაზეა ლაპარაკი? ეს იმას ნიშნავს, რომ დღესდღეობით სკოლებშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც განათლების დონე, უბრალოდ, დაბალი კი არ არის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავენ ხოლმე, არამედ უკიდურესად შემაშფოთებელია, მე ვიტყოდი, თითქმის ნულის ტოლია.** ამაში კი, თავის მხრივ, ის ადამიანები არიან, პირველ რიგში, დამნაშავეენი, რომლებიც სათავეში უდგანან ამ ე.წ. რეფორმებს და წაღმა-უკუღმა ატრიალებენ განათლების სისტემას...

**— გასაგებია, მაგრამ პროცესები, რაც დღესდღეობით ჩვენს განათლების სისტემაში მიმდინარეობს, იქნებ სულაც ნორმალურია იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც „ნაცმოძრაობის მამები“ გვარწმუნებენ, ქვეყანა საბჭოთა სისტემიდან დასავლურზე გადადის. ეს ხომ იოლი პროცესი არ არის?**

— იცით რა, განათლების რომელ მოდელზეც და სისტემაზეც არ უნდა გადავდიოდეთ, არ შეიძლება, საქმე უვიცს და არაპროფესიონალს ჩააბარო, მით უმეტეს, ეს არის სფერო, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებასა და გაფრთხილებას მოითხოვს; კომუნისტებმა ეს შესანიშნავად იცოდნენ და ამიტომაც იყო მაშინ სწავლა-განათლება მაღალ დონეზე, ამათმა კიდევ ლამის წერა-კითხვა დაავიწყონ ახალგაზრდებს.

**სხვათა შორის, კომუნისტები ვახსენე და მაშინ ჩვენი სტუდენტები ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში რომ მიდიოდნენ, აქაური ოთხოსნები, განათლების ხარისხით, იმათ ფრიადოსნებს სჯობდნენ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ის სისტემა, რომელიც მაშინ იყო, ბევრად უფრო ხარისხიან ცოდნას იძლეოდა, ვიდრე განათლების დასავლური მოდელი, თუმცა დღესდღეობით ჩვენ რეალურად არც ერთი გვაქვს და არც — მეორე, უბრალოდ, ის, რაც ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში ხდება, არის რაღაც აბსურდული პროცესი, რომელიც, სიმართლე გითხრათ, არც კი მინდა, წარმოვიდგინო, რა შედეგს მოგვიტანს უახლოეს მომავალში...**

**«საკაშვილმა ერთ-ერთ გამოსვლაში ირონიულად იკითხა, რომელმა «ბრძენმა» გააკეთა ესო. დალოცვილო, არ იცი, ვინ გააკეთა?! ის კაცი ახლა გაეროში გიზის და მაღალფარდოვან სიტყვებს ლაპარაკობს!»**

**— ხშირად მსმენია, რომ სწავლების დონე განსაკუთრებით დაბალია დედაუნივერსიტეტში. რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს?**

— არ ვიცი, სხვა ფაკულტეტებზე ზუსტად რა ხდება, მაგრამ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ **ფიზიკის ფაკულტეტი, სადაც მე ვმუშაობ, კატასტროფულ მდგომარეობაშია; თუმცა ეს, ალბათ, კიდევ რბილად ნათქვამია, ვინაიდან, დღესდღეობით, პირდაპირ სულს ღაფავს ფიზიკის კათედრა; კოლეგებისგან მსმენია, რომ სხვა სპეციალობებზეც ანალოგიური მდგომარეობაა; მოკლედ, უნივერსიტეტი მთლიანად ისეთ ჭაობში ჩაიძირა, რომ არ ვიცი, ოდესმე თუ შევძლებთ თავი დავაღწიოთ ამ უბედურებას...**

— უცნაურია, სააკაშვილი თავის გამოსვლებში სულ იმას უჩიჩინებს აბიტურიენტებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ჩვენი პრიორიტეტიაო.

**— მეტსაც გეტყვით, სააკაშვილი ხშირად იმაზეც საუბრობს, რომ განათლების სისტემაში სერიოზული პრობლემებია, ცოტა ხნის მერე კი გამოდის და ამბობს, აი, რა წარმატებით ხორციელდება განათლების რეფორმაო. ახლა მიდი და გაიგე, რომელია სიმართლე და რა აქვთ ამათ პრიორიტეტებად დასახული. როგორც არ იციან, საით მიდის მთელი ეს ე. წ. რეფორმები, ისე თვითონაც არ იციან, რას ლაპარაკობენ...**

**— როგორც თქვენ ამბობთ, თუკი უნივერსიტეტი ჭაობშია და გამოსავალს ვერ ხედავთ, რატომ ხმას არ იღებს ამაზე პროფესურა?**

— ჯერ ერთი, სადღაა პროფესურა, ხალხი გარეთ გაყარეს და მერე კიდევ, ამათთან ხმის ამოღებით რამეს გახდები? თითო-ოროლა პროფესორი დღესაცაა უნივერსიტეტში, რომელთაც მართლა არ მოსწონს ის, რაც ჩვენ გარშემო ხდება, მაგრამ რა მერე?.. **ესენი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ დაწყებული რეფორმები როგორმე ბოლომდე მიიყვანონ და ეჭვიც არ მეპარება, რომ მიიყვანენ. აკი შინაურულ წრეში ნათქვამი აქვს კიდეც ლომაიას: ხომ გადავტეხეთ უნივერსიტეტი წელშიო, — ეს არის მათი მთავარი ამოცანა და ამისთვის იბრძვიან ეს ადამიანები...**

**— სამწუხარო პროგნოზია, მაგრამ, თქვენი აზრით, საბოლოოდ რას მოიტანს ეს რეფორმები, რა შედეგს მივიღებთ, დაახლოებით მაინც თუ წარმოგიდგენიათ?**

— შედეგი უკვე გვაქვს და იმის გაფიქრებაც არ მინდა, რომ ამაზე უარეს მდგომარეობაშიც შეიძლება აღმოვჩნდეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობას ვერსად გავექცევით. ისე, მე თუ მკითხავთ, უმჯობესი იქნებოდა, იმაზე გვეფიქრა, რა შეიძლება დავუპირისპიროთ მომავალში მთელ ამ პროცესებს, ვიდრე გულხელდაკრეფილი ვიჯდეთ ყველა და ვმსჯელობდეთ, რა შედეგს მოიტანს მიმდინარე რეფორმების ესა თუ ის ტალღა. ეს ისედაც ცხადია და ყველამ ვიცით, რომ ამ ვაირეფორმებს გარდაუვალი კატასტროფისკენ მივყავართ.

ესუბრა
**ჯაბა ჟვანია**

**«სააკაშვილი ხშირად იმაზეც საუბრობს, რომ განათლების სისტემაში სერიოზული პრობლემებია, ცოტა ხნის მერე კი გამოდის და ამბობს, აი, რა წარმატებით ხორციელდება განათლების რეფორმაო. ახლა მიდი და გაიგე, რომელია სიმართლე და რა აქვთ ამათ პრიორიტეტებად დასახული...»**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელისუფლებამ, რომელიც გამუდმებით საუბრობს იმაზე, რომ მისთვის პრიორიტეტულია რელიგიის თავისუფლება, შეურაცხყოფა მიაყენა ებრაელი ბიზნესმენების რწმენას, ვინაიდან მათ საკანში შეუვარდა რამდენიმე ე.წ. სამართალდამცავი, რომლებმაც ძირს დაყარეს მათი სალოცავები და რელიგიური ნივთები...**



**სოფო ხორგუანი:**

# ხელისუფლებისთვის მთავარია, ციხე იყოს სავსე და ადამიანებს ხმის ამოღების ეშინოდეთ...

**«ნურავის ექნება იმის ილუზია, რომ ერთ მშვენიერ დღეს აქ რომელიმე სახელმწიფო შემოიჭრება, ამ ხელისუფლებას გაისტუმრებს და საშუალება მოგვეცემა, დემოკრატიული არჩევნები ჩავატაროთ. ეს არ მოხდება»**

**ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებსა და ზოგადად ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ქართული პარტიის ერთ-ერთი წევრი, ადვოკატი და უფლებადამცველი სოფო ხორგუანი.**



**— ქალბატონო სოფო, უწინარესად, პატიმრობაში მყოფი ებრაელი ბიზნესმენების — რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის შესახებ მინდა ვისაუბროთ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ადამიანების მიმართ გარკვეული ძალადობა განხორციელდა. კონკრეტულად რა სახის ძალადობას ჰქონდა ადგილი და რა ფორმით დაირღვა მათი უფლებები?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო დროს რაც მოვისმინეთ, რასაც ვხედავთ და ზოგადად რა ინფორმაციაც მე პირადად გამაჩნია, მოწმობს, რომ ხელისუფლების მხრიდან მათ მიმართ ხორციელდება პირდაპირი ზეწოლა, რათა ამ ადამიანებმა უარი თქვან იმ ვალის დაბრუნებაზე. საუბარია ასმილიონიან ვალზე, რომელიც მათ, საერთაშორისო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, უნდა დაუბრუნოს საქართველომ. ხელისუფლების მთავარი პრობლემა არის სწორედ ის, რომ ისინი არ აღიარებენ დანაშაულს, ამიტომ, ბუნებრივია, ესენი ყველაფერს აკეთებენ, რათა საბოლოოდ გატეხონ და დააჩოქონ ეს ადამიანები; ასე რომ, სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ მიკვირს, რაც ხდება, რადგან **ეს ხელისუფლება, უკვე დიდი ხანია, მიჩვეულია პატიმრებზე ზეწოლას, მათ დაშინებასა და დატერორებას...**

რაც შეეხება ძალადობის ფორმას, ჩემთვის ნამდვილად უცნობია, კონკრეტულად რა სახის ძალადობა განხორციელდა ამ ადამიანების მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ვინაიდან ძალადობა არ არის მხოლოდ ფიზიკური ზემოქმედება და არაერთი შემთხვევაა ჩვენთვის ცნობილი, როცა მსჯავრდებულებზე სხვა სახითაც ხორციელდებოდა ზეწოლა; მე შემიძლია გითხრათ ერთი კონკრეტული ფაქტიც, როცა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი წევრი ლევან ტერაშვილი დააკავეს, **ღამის სამ საათზე მასთან საკანში შევიდა მთავარი პროკურორის მოადგილე და უთხრა ასეთი რამ: თუ შენ ახლა ხელს არ მოაწერ აღიარებით ჩვენებას, შენი ძმა, რომელიც ასევე დაკავებული გვყავს, რვა ან თერთმეტ წელს მიიღებსო... ეს არის ზემოქმედების ისეთი ფორმა, რომელიც უკიდურესად თრგუნავს ადამიანს, და ეს ხელისუფლება არა თუ არ ერიდება ასეთ მეთოდებს, არამედ დღესდღეობით საპყრობილეებში მსჯავრდებულთა მიმართ ადგილი აქვს ისეთ მოპყრობას, რომელიც პირდაპირ ანადგურებს ადამიანს სულიერად და მორალურად...**

**— არის საუბარი იმაზეც, რომ ებრაელი ბიზნესმენების მიმართ ადგილი ჰქონდა ღირსებაშემლახველ მოპყრობას, რომ მათ ღორის ხორცს აჭმევდნენ, რასაც მათი რელიგია კრძალავს და ა. შ. რამდენად შეესაბამება ეს ყველაფერი სიმართლეს?**

— ისინი თავიდანვე აღმოჩნდნენ ისეთ პირობებში, რომლითაც პირდაპირ საფრთხე შეექმნა მათ არსებობას. ლაპარაკია იმაზე, რომ ერთ-ერთ მათგანს აქვს დიაბეტი და, როცა ამ ადამიანმა მოითხოვა საჭირო მედიკამენტები, უბრალოდ, ყურადღებაც კი არავინ მიაქცია, რის გამოც მას განუვითარდა ინფარქტი. გარდა ამისა, **ხელისუფლებამ, რომელიც გამუდმებით საუბრობს იმაზე, რომ მისთვის პრიორიტეტულია რელიგიის თავისუფლება, შეურაცხყოფა მიაყენა ამ ადამიანების რწმენას, ვინაიდან, მათ საკანში შეუვარდა რამდენიმე ე. წ. სამართალდამცავი, რომლებმაც ძირს დაყარეს მათი სალოცავები და რელიგიური ნივთები, რაც ასევე, ბუნებრივია, იყო უკიდურესად ღირსებაშემლახველი მოპყრობა ამ ადამიანების მიმართ.**

რაც შეეხება იმას, რომ მათ აჭმევდნენ ღორის ხორცს, სიმართლე გითხრათ, ამის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ ნამდვილად არ მიკვირს, თუ ასეთი რამ მოხდა, რადგან, როგორც გითხარით, ამ ხელისუფლებისგან და ამ რეჟიმისგან უკვე ყველაფერია მოსალოდნელი, რაშიც არაერთმა კონკრეტულმა ფაქტმა დამარწმუნა...

**— გასაგებია, მაგრამ ეს ადამიანები ხომ ჩვეულებრივი პატიმრები არ არიან, მათ უკან ისრაელის სახელმწიფო დგას?**

— თავიდან ჩემთვისაც ერთგვარი მოულოდნელობა იყო, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ მათ მიმართ გარკვეულ ძალადობასა და ღირსებაშემლახველ მოპყრობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ რეალურად თუ დავფიქრდებით, სწორედ ეს არის ის, რაც დამახასიათებელია ნამდვილი რეჟიმისთვის. ანუ იმის თქმა მინდა, რომ კი, ერთის მხრივ, ისინი არ არიან ჩვეულებრივი მოქალაქეები, მათ ჰყავთ გავლენიან ნაცნობთა წრე მთელ მსოფლიოში და მათი საქმე შეიძლება საერთაშორისო განხილვის საგანიც გახდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, **ჩვენ საქმე გვაქვს რეჟიმთან, რომელიც, ფაქტობრივად, არ სცნობს ადამიანის მთავარ უფლებას — იყოს თავისუფალი. ეს იმას ნიშნავს, რომ ამათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რას იტყვიან და რა გამოხმაურება მოჰყვება მათ ამა თუ იმ საქციელს საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, მით უფრო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უკვე ყველას ყელში ჰყავს გაჩხერილი და რეალურად იგი არ სჭირდება არავის — არც ამერიკას, რომლის იმედიც ჰქონდა სააკაშვილს, არც ევროპას, რომელსაც უმტკიცებდნენ, რომ თურმე ესენი ყველაზე მეტად სწორედ ევროპელები არიან, და მით უმეტეს — არც რუსეთს;** ასე რომ, ამ ხელისუფლებისთვის, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, აგონიაშია, სულ ერთია, ვინ ეყოლება ციხეში, მთავარია, ციხე იყოს სავსე და ქვეყანაში მძვინვარებდეს ისეთი ტერორი, რომ ადამიანებს, უბრალოდ, ხმის ამოღების ეშინოდეთ...

**— მაინც რაში ატყობთ ხელისუფლებას, რომ ყველას ყელში ჰყავს გაჩხერილი და არავის სჭირდება?**

— იცით რა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩვენთან ერთი სამწუხარო პრაქტიკა დამკვიდრდა: საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს ჰგონია, რომ ხელისუფლების შეცვლა შეუძლებელია, სანამ გარკვეული გარეძალები ამას არ მოისურვებენ. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, **ნურავის ნუ ექნება იმის ილუზია, რომ ერთ მშვენიერ დღეს აქ რომელიმე სახელმწიფო შემოიჭრება, ამ ხელისუფლებას გაისტუმრებს და საშუალება მოგვეცემა, დემოკრატიული არჩევნები ჩავატაროთ. ეს არ მოხდება იმიტომ, რომ თანამედროვე, ცივილიზებულ სამყაროში ასე არ ვითარდება პროცესები და ყველა (იგივე ევროპაც, ამერიკაც და რუსეთიც) მიიღებს მხოლოდ და მხოლოდ იმას, ვისაც ჩვენ ავირჩევთ, ქართველი ხალხი.**

**— თუმცა ქართველ ხალხს დღემდე არ თუ ვერ აღმოაჩნდა საამისოდ საკმარისი არც გამბედაობა და, რაც მთავარია, არც სოლიდარობა. არ მეთანხმებით?**

— ნაწილობრივ გეთანხმებით, მაგრამ მერწმუნეთ, არსებობს რაღაც ზღვარი, რომლის იქით, უბრალოდ, აზრი არ აქვს გაჩუმებას და დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, ეს ეტაპი დადგება საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, დღესდღეობით ხელისუფლება სხვა გამოსავალს არ უტოვებს მოსახლეობას, გარდა იმისა, რომ გამოვიდეს ქუჩაში და მიმართოს პროტესტის უკიდურეს ფორმას, რაც, ბუნებრივია, არ იქნება ხანმოკლე და მარტივი პროცესი...

**— მაგრამ როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ უცხოელი ექსპერტების ერთი და არცთუ მცირე ნაწილი დადებითად აფასებს რეფორმებს, რომლებიც იმავე სასამართლო სისტემაში და საერთოდ, ქვეყანაში ბოლო დროს განხორციელდა?**

— ეს არის ხელისუფლების მხრიდან მათ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების საშუალებით აგორებული პიარი, რომ თითქოს აქ მიმდინარე რეფორმებს დასავლეთში ხალხი აღტაცებაში მოჰყავს. სინამდვილეში კი ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია და ამის მაგალითად ერთ კონკრეტულ ფაქტს გავიხსენებ: **ამასწინათ ჩვენი მოსამართლეები დიდ ბრიტანეთში რაღაც ვიზიტით ჩავიდნენ და, როგორც წესი, ძალიან ბევრი ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორი წარმატებით ხორციელდება საქართველოში სასამართლოს რეფორმა. წამოდგა ერთ-ერთი უცხოელი მოსამართლე და იკითხა: ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, თუ ასეთი წარმატებული სასამართლო გაქვთ და რეფორმებიც წარმატებით ხორციელდება, რატომაა თქვენი ეკონომიკა ასე მოშლილი და განადგურებულიო...**

მოკლედ, ყველასათვის ყველაფერი ნათელია, — თუ შენ გაქვს კარგი სასამართლო, შენი ეკონომიკა წინ მიდის; და თუ მე მეცოდინება, რომ სასამართლო არის თავისუფალი, სადაც შემიძლია ჩემი უფლებები დავიცვა, ვერც პოლიციელი გაბედავს ჩემზე რაიმე ძალადობას და, ბუნებრივია, ვერც ხელისუფლება გააყალბებს არჩევნებს; დღეს საქართველოში ერთიც და მეორეც იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ ხალხს უკვე აღარც უკვირს, როცა ესმით, რომ ვიღაც მოკლეს, ვიღაც დაიჭირეს, ვიღაცას რაღაც წაართვეს და ა. შ. აი, ეს არის რეალურად ამათი რეფორმების შედეგი და არა ის, რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები გვიხატავენ ხოლმე ვარდისფერ ფერებში.

**— დავუბრუნდეთ ებრაელი ბიზნესმენების თემას. დღეს, როცა საუბარია იმაზე, რომ მათი უფლებები უხეშად ირღვევა, რა პოზიცია უკავია ამ ყველაფერზე ისრაელს, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია?**

— ის, რომ ხვალ და ზეგ ისრაელი აქ ჯარს არ გამოგზავნის, ყველასთვის ცხადია, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა იმ ქვეყნის მაღალჩინოსნები წერილებს აგზავნიან თხოვნით, რომ გაათავისუფლონ ეს ადამიანები და ჩვენი მხრიდან ამას, ფაქტობრივად, სრული იგნორირება უკეთდება, ეს ნიშნავს, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა, ამ კონკრეტულ საკითხში, ცივილიზებულად ვერ გვარდება. ეს თავისთავად ცუდი პრეცენდენტია, ვინაიდან, **თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ებრაული ლობი ძალიან ძლიერია ამერიკაშიც და ევროპის მთელ რიგ წამყვან სახელმწიფოებშიც, ამას ყველაფერს ჩვენთვის შეიძლება უმძიმესი შედეგი მოჰყვეს. ხელისუფლება, უბრალოდ, ვერ აცნობიერებს ამ საფრთხეს და ამიტომაც ვამბობ, რომ დღეს ეს რეჟიმი აგონიაშია. მთავარი უბედურება კი ის არის, რომ საბოლოოდ ამას ეწირება ქვეყნის ინტერესები და ხალხის, თითოეული ჩვენგანის მხრებზე გადადის ყველა ის პრობლემა, რომლებსაც ამათი წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგად ვაწყდებით.**

**— დასაწყისში თქვენ თქვით, რომ დასავლეთი, ანუ ევროპა და ამერიკა მიიღებს მხოლოდ იმ ხელისუფლებას, რომელსაც ჩვენ ავირჩევთ. დღეს, როცა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები ჩამკვდარია და, ფაქტობრივად, არაფერი ახალი არ ხდება, არ მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლების შეცვლის რეალური შანსი მაქსიმალურად მცირეა და მეტიც, ეს შანსი თითქმის არ არსებობს?**

— ნამდვილად ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ შანსი არ არსებობს, პირიქით, ასე თუ გაგრძელდება, მომავალში კიდევ უფრო მეტი მოტივაცია უნდა გაუჩნდეს ხალხს იმისათვის, რომ გამოვიდეს ქუჩაში და ხელისუფლებას ხმამაღლა დაუფიქსიროს საკუთარი უკმაყოფილება. მესმის, რომ არის ძალიან დიდი შიში საზოგადოებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ასე დიდხანს გაგრძელება, უბრალოდ, შეუძლებელია. ეგეც რომ არ იყოს, ასეთი ტიპის რეჟიმები, როგორიც ჩვენ გვყავს, საქართველოსნაირ ქვეყნებში ისტორიულად დიდხანს ვერ ძლებს. ასე რომ, მე პირადად დარწმუნებული ვარ, მალე ეს რეჟიმიც დასრულდება და დასრულდება ძალიან ცუდად ხელისუფალთათვის. მხოლოდ ეგაა, ჩვენ უნდა ვეცადოთ, ეს დასასრული არ აღმოჩნდეს მეტისმეტად მასშტაბური და სტიქიური, რათა საბოლოოდ ეს ყველაფერი ასევე მძიმე შედეგით არ დასრულდეს ქვეყნისა და სახელმწიფოსთვისაც. არაფერს ვამბობ ჩვენს დანგრეულ და მოშლილ ეკონომიკაზე, რომელიც არასწორად წარმართულმა პოლიტიკურმა რყევებმა საბოლოოდ შეიძლება მოსპოს და მიწასთან გაასწოროს.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რუსოფობია ამათ სჭირდებათ ამერიკელ ქორებთან ურთიერთობისათვის, „ცივი ომიდან“ შემორჩენილი სენატორებისა და აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მფლობელთა გულის საამებლად“



## «ამერიკელ ბატონებს ერთი სული აქვთ, რომ ჩვენი თაობა დაიხოცოს»

### შალვა ნათელაშვილი:

# არანაირი ევროკავშირის წევრობა, არანაირი ნატოში შესვლა საქართველოს არ «ემუქრება»

**„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს ლეიბორისტული პარტიის ლიდერთან — შალვა ნათელაშვილთან.**

**— ბატონო შალვა, ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ ვარშავის ახლახან დამთავრებულ სამიტს სახელმწიფო პროპაგანდა წინასწარ წარმოგვიდგენდა როგორც მნიშვნელოვან ეტაპს ევროკავშირში საქართველოს მიღების გზაზე. როგორც სჩვევიათ, აფრიალებდნენ დროშებს და გვეპატიჟებოდნენ გამარჯვების ზეიმზე.**

— დიახ, ასე იყო.

**— მაგრამ ყველაფერი ფიასკოთი დამთავრდა, უფრო ზუსტად, — გადაწყვეტილებით, რომ ამ საკითხზე მსჯელობას (მხოლოდ მსჯელობას!) 2013 წელს დაიწყებენ.**

**რით ავხსნათ ასეთი ცაში თითის ტაკება: ჩვენი „ერის მამების“ არაკომპეტენტურობით თუ მათი დარწმუნებულობით, რომ ხალხი მაინც დაუჯერებს, რადგან გამოთაყვანებულია?**

— ეს ყველაფერი უნიჭოდ მოპარული „ზებოს ეფექტია“ ჭაბუა ამირეჯიბის გენიალური „დათა თუთაშხიადან“, როცა სეთურის ხალხი გვირაბს ერთი მიმართულებით თხრის და სულ უფრო სცილდება დილიდან ღამემდე ჭაში ჩამჯდარ ქონდრისკაცს და მის ზარს — მოგონილ ფანდს, ხალხისთვის შეგდებულ იმედს.

ხალხმა იცის, რომ სიცრუეა, მაგრამ იჯერებს. და თუ რატომ იჯერებს, იქვე, რომანის იმავე ეპიზოდში, ვიპოვით ამის პასუხს: „იცის, აპა, რავა, მარა ადვილი საცოდნელი რომ არის, რას ფიქრობს ხალხი, თუ იცი? რას ფიქრობს და, ჩვენ რომ ასე ადვილად ვწვდებით ჩვენი ჭკუით მაგ საქმეს, სხვანაირად არის, ალბათო. ასე მტკნარ ტყუილს სეთური როგორ გვეტყვის და გამოვა ჭაში ეგ ხვრელი, აბა, რას იზამსო“.

**(ბატონ შალვას მიერ მოხმობილი ეს პარალელი 1 ოქტომბერს კიდევ ერთხელ დამტკიცდა თელავის თეატრში გამართულ ამომრჩევლებთან სააკაშვილის თეატრალიზებული შეხვედრის დროს, როცა ხალხის ერთსულოვნების გამოხატვა მრავალდროშიანობის ენერგიულ ფრიალს დააკისრეს).**

— არანაირი ევროკავშირის წევრობა, არანაირი ნატოში შესვლა საქართველოს არ „ემუქრება“ მინიმუმ ნახევარი საუკუნე. ნახევარ საუკუნეში კი, დამერწმუნეთ, ევროკავშირი გადაიქცევა ან ერთიან სახელმწიფოდ, ან ისევ ატყდება ბებერ კონტინენტზე ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირება და მესამე მსოფლიო ომისთვის მომზადდება ნიადაგი. **ნახევარ საუკუნეში ნატოსგან არაფერი დარჩება, რადგან აშშ და გადასახადების გადამხდელი მისი მოსახლეობა, რომელიც თითოეულ ცენტს უთვლის თავის პრეზიდენტს, არც ერთ შემთხვევაში არ დათანხმდება საკუთარი ხარჯით ევროპის უსაფრთხოების დაცვას, როგორც ამას აქამდე აკეთებს.**

**სწორედ ამიტომ სულ ახლახან ამერიკის თავდაცვის მინისტრმა გეიტსმა, შეიძლება ითქვას, ზეპარტიულმა ფიგურამ, განაცხადა, რომ ჩვენ აღარ ვაპირებთო ნატოს შენახვას.**

ამდენად, ეს ყველაფერი არის სატყუარა, რომელიც სააკაშვილის ხროვამ გადმოუგდო ქართულ საზოგადოებრიობას, ჩვენს მოსახლეობას, რათა დაარწმუნოს, რომ ხელისუფლებაში მოსულნი საჭირონი არიან და რაღაცას გააკეთებენ, მაგრამ ეს სრული ბლეფია.

თურქეთი, რომელიც ალიანსის წევრ ქვეყნებთან ერთად იცავს ატლანტიკის უსაფრთხოებას სამხრეთის მონაკვეთზე, ისლამური სამყაროს ზღვარზე, ამდენი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, ორი ათეული წელიწადია, სულ ტყუილად დგას ბრიუსელის კარებთან და კიდევ ერთ ამდენს იდგება.

**— ბატონო შალვა, ვინ არის ის ზებო, რომელიც მიწაში — ჭაში ზის და ვინ ჩასვა იქ ხალხის მოსატყუებლად?**

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს შემთხვევაში, ზებო თვითონ ჩახტა იქ. ხელი წააშველეს ამერიკელებმა თავის დროზე და რუსებიც წაეხმარნენ... ასეთი ზებო, ჭაბუასეულისგან განსხვავებით, ქერის ორმოში ზის და თავს შესანიშნავად გრძნობს.

**— აქ, ზემოთ კი რა ხდება?**

— **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სრულად დაიკავა ტერიტორიებშეკვეცილი საქართველო — პოლიტიკურად, ეკონომიკურად, პარტიულად და დღემდე ჩვენი ტერიტორიების ხარჯზე ვაჭრობს. მეტსაც გეტყვით, იმდენად გავხდით სატრანზიტო ვოგზალი, რომ დღეს ამერიკის ორი პარტია ჩვენს ხარჯზე გარიგებას აწარმოებს ერთმანეთში. ეს ჩანს იქიდანაც, რომ პრეზიდენტ ობამას დემოკრატიულმა ადმინისტრაციამ საქართველო სანავარდოდ და საღიღინოდ, რბილად რომ ვთქვათ, დაუთმო რესპუბლიკური პარტიის ყველაზე უფრო ნეოკონსერვატიულ ჯგუფს, რომელშიც შედის კატეგორიის მტერი (ამას პირდაპირ ვამბობ) ჯორჯ ბუში, არანაკლები მტრები — დიკ ჩეინი, მაკეინი, ფლიდი ბრაიზა და მთელი ეს შემადგენლობა.** ამ დათმობის შედეგია ისიც, რომ საქართველოში ელჩად მოვლინებული იქნა დიკ ჩეინის თანაშემწე, მემას დავარქვი შაჰ აბასი — ბატონი ჯონ ბასი, რომელიც პირდაპირ იძლევა განკარგულებებს მიტინგების დარბევასა და ხალხის დახოცვაზე, შემდეგ მათ დაიტირებს და გვირგვინებს გაუგზავნის თანაგრძნობის ნიშნად...

**— რით ხსნით სააკაშვილის ანტირუსულ საგარეო პოლიტიკას?**

— **რუსოფობია ამათ სჭირდებათ ამერიკელ ქორებთან ურთიერთობისათვის, „ცივი ომიდან“ შემორჩენილი სენატორებისა და აშშ-ის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მფლობელთა გულის საამებლად, იმისთვის, რათა რაღაც ფუნქცია მიიწერონ რეგიონში: ჩვენ (სააკაშვილის ხელისუფლება) ვებრძვით რუსეთის იმპერიას, რუსულ დათვს და ამ დროს ეს ნათელაშვილი, ეს ოპოზიცია, ეს პრესა გვებრძვიან იმიტომ, რომ რუსეთის აგენტები არიან.**

**ამიტომ ჩვენ დაგვიჭირეთო მხარი.**

**— პრიმიტიული პოზიცია ჩანს.**

— **სამაგიეროდ მოთხოვნა აქვს სააკაშვილს კატეგორიული. გავაყალბებ არჩევნებს? თქვით, რომ დემოკრატიულად ჩავატარე, თორემ მოვლენ პრორუსული ძალები და გასწავლიან ჭკუას. დავხოცავ მოიტინგეებს? თქვით, რომ ეს იყო უკანონო და არასანქცირებული მიტინგი, რომელიც საფრთხეს უქმნიდა დასავლეთისკენ ევროპული დემოკრატიის განვითარებას.**

**— როგორ შეაფასებთ სააკაშვილის განცხადებას, როგორც თავად ბრძანა, ხუმრობას იმის თაობაზე, რომ სამი-ოთხი წლის ბავშვებს უნდა მიეცეს საარჩევნო უფლება და მაშინ სულ „ნაცმოძრაობა“ გაიმარჯვებსო.**

**ზოგიერთის აზრით, აქ გამოიხატა მისი ფარული ოცნება, რომ 2026 წელსაც, როცა ეს ბავშვები სრულუფლებიანი მოქალაქეები გახდებიან, სააკაშვილი კვლავ ხელისუფლების სათავეში იყოს.**

**ხუმრობს?**

— ასეთ ხუმრობას რა ვუთხარი... პირველ რიგში, მან არაპირდაპირ აღიარა, რომ მისი ხელისუფლება არის სატყუარა... წამოსცდა. მეორე ისაა, რომ მან თავისი შინაგანი მისწრაფება, ოცნება თუ სურვილი — ხელისუფლებიდან წასვლა რომ არ უნდა, საჯაროდ გამოიტანა.

ობიექტურად ვთქვათ, ასეთი ტიპები საერთოდ ხელისუფლებიდან თავიანთი ნებით არ მიდიან. მათ ან ამბოხს თავისივე შეიარაღებული ძალები უწყობენ, ან გარე ინტერვენციით ამხობენ, როგორც ეს ლიბიაში მუამარ კადაფის შემთხვევაში მოხდა, უფრო ადრე, რაც ჰუსეინს თავს დაატყდა ერაყში, თალიბებს — ავღანეთში.

აქვე მინდა განვაცხადო, რომ ეს ლიდერებიეროვნულები იყვნენ თავიანთი ხალხისა და ქვეყნისთვის.

ან — კვდება დიქტატორი.

ან — ერი, ხალხი მედგარი და დაუმორჩილებელია და ადრე თუ გვიან მიაღწევს თავის მიზანს, თუმცა ეს უფრო გრძელი გზაა. და სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენთან ამდენი უკმაყოფილება დაგროვდა: რა მოხდა, რომ ამდენ ხანს ვერ დაამხეთო სააკაშვილი.

**— გასულ კვირაში, შეიძლება ითქვას, მიხეილ სააკაშვილმა კიდევ ერთხელ „ობოლი კურცხალის“ ტელეინტერვიუ შემოგვთავაზა (რომელიც რატომღაც „სპეციალურ რეპორტაჟად“ მოგვასაღეს), როცა აღიარა, რომ ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ოპოზიცია უარესია. დაახლოებით ისე, როგორც ერთ ძველ, საბჭოთა პერიოდის ანეგდოტშია: საბჭოთა წარმომადგენელი დისკუსიას აშკარად აგებს ამერიკელთან და ბოლო არგუმენტად წამოიძახებს: სამაგიეროდ თქვენთან ზანგებს ჩაგრავენ!**

**„სად ერეკლეს“ ჰგავს.**

**„დიახ, იყო შეცდომები, — თქვა მან, — მეც ზოგჯერ მინანია რაღაც, ყველაფერი არც ისე კარგადაა, მაგრამ წინსვლა გვაქვს, ოპოზიცია კი ბევრად უარესია და ეს პატარა ბავშვებსაც ესმით, ამიტომ სხვა არჩევანი ქართველ ხალხს არ აქვს“.**

**მართლა არ გვაქვს?**

— რეკავს თავისი სამრეკლოდან. ჩვენ რომ „შეცდომები გვქონოდა“, რაც ყველას გვახასიათებს, განსაკუთრებით, ხელისუფლებას და არანაკლებ — ოპოზიციას, ჩვენ მართლაც ბედნიერი ერი ვიქნებოდით. შეცდომები კი არა, ბოროტმოქმედებებია ჩადენილი ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

ამ ბოროტმოქმედებათა გამოსაძიებლად ჩვენ ამთავითვე ვეძებთ კვალიფიციურ იურისტებს. გამოძიებას საკმაო ხანი დასჭირდება... და სააკაშვილი ისეა გაჭედილი მის მიერ აშენებულ ციხეში, როგორც ჩვენ ახლა ერთმანეთთან ვსაუბრობთ.

**— თქვენ ადრეც არ დაგიკლიათ ხელი...**

— კი, კი. ჩვენ პირველად მივმართეთ გაეროს, რომ სააკაშვილმა მოკლა თავისი გამზრდელი და ჩამომყვანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია...

**— მან მოკლა?**

— მისი მოკლულია და სხვა არავისი. ამის გამო მივმართეთ გაეროს, რომ შეექმნა საგამოძიებო კომისია. ყველამ იცის, როგორ „მიყვარდა“ ზურაბ ჟვანია, მაგრამ პირადი ურთიერთობა რა შუაშია — მოკლა კაცი.

ნიუ იორკში, გაეროს წინ მიტინგი მოვაწყვეთ დიქტატორის წინააღმდეგ. ორმოცამდე ქართველი მოვიდა, უაღრესად ღირსეული ადამიანები, და მათთან ერთად — გვატემალელთა ხუთწევრიანი ოჯახი, დედაწულიანად. იქაც მოვითხოვეთ: თქვე მამაცხონებულებო, იმის გამო, რომ კადაფის ბრალად დასდეს, საკუთარი ქალაქი დაბომბაო (სხვათა შორის, კადაფი კავკასიელი გამოდგა — ყაბარდოელი ჰყოლია დედა, მოჰაჯირების შთამომავალი), მთელი ნატო შეესია.

მიხეილ სააკაშვილი აპირებდა ჯერ ბათუმის დაბომბვას. თუ ჩემი არ გჯერათ, ბურჯანაძეს ჰკითხეთ და ბერძენიშვილებს, რომლებიც წინ გადაუდგნენ და ასე გააჩერეს, ფოთში რომ ჰქონდათ შტაბი აჭარის მოვლენების დროს, მაშინ. შემდეგ საკუთარი ტერიტორია — მძინარე ქალაქი ცხინვალი დაბომბა, რითაც რუსეთს მშვენიერი საფუძველი მისცა, რომ გაეკეთებინა ის, რაც გააკეთა. კვიციანის წინააღმდეგ კოდორის სამხედრო ოპერაცია ხომ ფაქტია?!

კარგი. თავი დავანებოთ ამას, ვინმემ რუსეთის აგენტობა არ დამაბრალოს, ბობოხიძე რომ არ გამომიხტეს ამ ბრალდებით, თუმცა თუ გამოხტა, ცუდ შედეგს მიიღებს.

გავიხსენოთ: დღით, გამთენიისას, 12 ვერტმფრენით თავს დაესხნენ მესტიის რაიონში აფრასიძეების ოჯახს, სოფელი პრაქტი- ▶

**«მიხეილ სააკაშვილი აპირებდა ჯერ ბათუმის დაბომბვას. თუ ჩემი არ გჯერათ, ბურჯანაძეს ჰკითხეთ და ბერძენიშვილებს, რომლებიც წინ გადაუდგნენ და გააჩერეს, ფოთში რომ ჰქონდათ შტაბი აჭარის მოვლენების დროს, მაშინ»**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ საერთაშორისო სამართალში არსებობს ერთი სტანდარტი, იგი ყველგან თანაბრად უნდა მოქმედებდეს. „ამერიკის ბიჭებს“ ყოველთვის ყველაფერი ეპატიება?! თუ „ჩვენი შობელძაღლის“ პრინციპი კვლავ ძალაშია, მაშინ ესეც უნდა იცოდეს საერთაშორისო საზოგადოებრიობამ.**



# «სააკაშვილმა მოკლა თავისი გამზრდელი და ჩამომყვანი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია...»

◀ კულად გაანადგურეს, გადაწვეს სახლი, გვამები ეყარა გარეთ და შიგნით, ბავშვებს გული გაუხეთქეს, აფრასიძეების რძალი გაგიჟდა. და ბოლოს ეუბნებოდა ნაძირალა (ამ სიტყვას პირდაპირ ვამბობ და ჩაწერეთ!) გიორგი ბარამიძე, სვანებმა კარგი კუბდარი იცით და გამოგვიტანეთო.

**— მახსენდება, რა ამბავი ატყდა მთელ მსოფლიოში, ვიეტნამის ომის დროს ამერიკელებმა სოფელი სონგმი რომ დაწვეს...**

— მეც მანდა ვარ: **თუ საერთაშორისო სამართალში არსებობს ერთი სტანდარტი, იგი ყველგან თანაბრად უნდა მოქმედებდეს. „ამერიკის ბიჭებს“ ყოველთვის ყველაფერი ეპატიება?! თუ „ჩვენი შობელძაღლის“ პრინციპი კვლავ ძალაშია, მაშინ ესეც უნდა იცოდეს საერთაშორისო საზოგადოებრიობამ.**

სააკაშვილი ლოკალური ფაქტია. მაგრამ მასთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობებში გაჩენილი მესამე თუ მეოთხე სტადიის კიბოს მეტასტაზების გლობალურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

**— იმ „სპეციალური რეპორტაჟის“ რუბრიკით გადაცემულ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა უნებურად აღიარა (წამოსცდა?) თავისი მმართველობის ავტორიტარული მეთოდი თუ არა, ვოლუნტარიზმი მაინც, როცა თქვა: „ვაღიარებ, რომ გამონათქვამები ზოგჯერ ზედმეტი მომდის“(!). ამ ზედმეტობას (!) იქვე სიტყვის თავისუფლებით ამართლებს, თუმცა ესმის, რომ მისი ეს თავისუფლება „უფრო შეზღუდულია“ (!).**

**იცის და თავის მოთოკვა არ შეუძლია?**

**ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ან ჯანმრთელობის პრობლემასთან (ემოციის დაუოკებლობა), ან, სახელმწიფო მოღვაწის პოზიციიდან თუ შევაფასებთ, მინიმუმ — ვოლუნტარიზმთან.**

— თვითონ რა და როგორ აღიარა, ამაზე პასუხისმგებლობას ჩვენ ვერ ავიღებთ, მაგრამ ქვეყანაში რომ ავტორიტარიზმი, დიქტატურა და პოლიტიკური ტერორი მძვინვარებს, ამას არ სჭირდება არანაირი პორტფელიანი პოლიტიკოსი. ეს არის შიშველი ფაქტი. **და აი, ამ ტერორიზმის, ამ დიქტატურის, ამ რეპრესიების მფარველი, მამამთავარი, ადვოკატი, არაობიექტური ექსპერტი და ძოლგა არის ამერიკის შეერთებული შტატები მთელი თავისი ინსტიტუტებით — აქ წარმოდგენილით და ვაშინგტონში მოქმედითაც, რომელთა აზრით, საქართველო არის „ცივ ომში“ მათი გამარჯვების შედეგად მოპოვებული ტერიტორია და მისი მოსახლეობა ან უნდა გახდეს არველაძის, თარგამაძე გივიასი, ბოკერიას, უგულავასნაირი უსქესო, უეროვნებო, უკულტურო, გაბოროტებული ან უნდა გადაშენდეს.**

**გეუბნებით პირდაპირ: ასეთი ცოდვის დაბრალება კაცისთვის არ შეიძლება, მით უმეტეს — სახელმწიფოსთვის — ერთი სული აქვთ ამერიკელ ბატონებს, რომ საბჭოთა კავშირში გაზრდილი თაობა დავიხოცოთ, რაც შეიძლება მალე! გადავშენდეთ. უფუნქციოდ დავრჩეთ. არ ვიმუშაოთ, საქართველო დავტოვოთ, გულები გაგვისკდეს, რათა ინტერნეტითა და სოროსის ბუდაპეშტის უნივერსიტეტში გაზრდილი თაობა წამოვიდეს, როგორც ამერიკის ერთგული ფორპოსტი და საყრდენი ამ რეგიონში.**

ასეთია ამერიკის გეგმაზომიერი პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს სააკაშვილი. ამიტომაა, რომ ორმოცი წლის კაცი უკვე პენსიონერად ჩათვალეს — სამუშაოს ვერ იშოვის. ჯერ ისედაც ვერ იშოვის, თუ ამათი კუდი არ არის, მაგრამ ორმოცს გადაცილებული ამათი კაციც უმუშევარი დარჩება.

თაობების მოსპობა უნდათ!

**— ავტორიტარიზმია, აბა, რა არის!**

— გენოციდთან ერთად.

**— მართლა ისეთი ცუდია ჩვენი ოპოზიცია, ბატონო შალვა, როგორადაც მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს? არ ესმით ის, რაც პატარა ბავშვებისთვისაც კი ნათელიაო...**

— ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რაც გაგაკვირვებთ: საქართველოსნაირი რეჟიმის ქვეყნებში ოპოზიცია საერთოდ არ არსებობს. როგორც წესი, შეწყვეტილი აქვს ყოველგვარი საქმიანობა. ნაწილი მხოლოდ ფორმალურად არის დარეგისტრირებული, ნაწილი გაქცეულია საზღვარგარეთ, ნაწილი ტერორიზებულია, ნაწილი ციხეში ზის.

ასეთი რეჟიმის ქვეყანაში არ შეიძლება არსებობდეს ოპოზიცია, კიდევ კარგი, რომ საქართველოში, როგორც პოეტი ამბობს: „საბედნიეროდ, საბედნიეროდ, ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობს“.

ოპოზიციას უამრავი ცოდვა აქვს, ცოდვების კასკადი, რომ არ ვთქვათ, — ზოგჯერ ბოროტმოქმედებაც.

**— ერთმანეთის წინააღმდეგ გალაშქრება?**

— ეს აბსოლუტურად ბუნებრივი მოვლენაა. ნორმალურია, როცა ყველა ოპოზიციური პარტია ერთმანეთს უწევს კონკურენციას. არ შეიძლება, რომ მათ უყვარდეთ ერთმანეთი. გამორიცხული არ არის, მათ ჰქონდეთ პრაგმატული ინტერესი, კონკრეტული მიზანი. და როცა ამ მიზნის გარშემო არ შეუძლიათ კონცენტრაცია და კოორდინაცია მის განსახორციელებლად, ეს უკვე დანაშაულია, სააკაშვილის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედებისთვის თავის არიდება ან ჩაშლა არის დანაშაული.

**— მაშასადამე, ამით შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არ დაუჭირეს მხარი „ფორუმის“ მიერ 27 სექტემბერს მოწყობილ „ქართველთა მარშს“?**

— მე არ ვიცი, ვინ დაუჭირა მხარი, ვინ — არა. ვთვლი, რომ ეს იყო პარტიული ღონისძიება და ყველა პარტიას აქვს საკუთარი ძალების ამგვარი დემონსტრირების უფლება.

როცა ერთიან მიზანზე ვსაუბრობ, სხვა რამე მაქვს მხედველობაში.

**ამ ზაფხულს ჩვენ შევიმუშავეთ პოლიტიკური იმპიჩმენტის პროექტი, რასაც პარტიების ნახევარმა ხელი არ მოაწერა.**

**— ეს ნიშნავს, რომ მათ ხელს აძლევთ ის რეალობა, რაც ქვეყანაშია?**

— **ეს ნიშნავს, რომ მათ სააკაშვილი უნდათ.** არადა, თავს ოპოზიციად თვლიან. არ მინდა კონკრეტულად რომელიმეს დასახელება და კოლეგების უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება, მაგრამ ჩემთვის ეს იყო ამ ზაფხულის ტრაგედია.

**— არა მარტო თქვენთვის.**

— ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მის მოცილებაზე ფიქრობს, პარტიების უმრავლესობაზე იმავეს ვერ იტყვი. ჩემთვის უხერხული იყო ისიც, რომ ამ ზაფხულში, ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთად გორაობდნენ პალმა დე მალიორკას პლიაჟებზე...

**— ოპოზიცია გვპირდებოდა, რომ შემოდგომა იქნებოდა ცხელი, მაგრამ არც პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიმჩნევა ტემპერატურის მატება და ამინდიც ხომ უჩვეულოდ გრილი დაგვიდგა...**

— ოცი წელიწადია, პოლიტიკაში ვარ და ყოველი გაზაფხული და შემოდგომა რევოლუციის მოლოდინით იწყება. ეს, რა თქმა უნდა, არ მიგვითითებს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი ჯანსაღად ვითარდება. არ შეიძლება, რომ ზამთარში მოხდეს რევოლუცია?! ან იგივე — ზაფხულში?!

**— არაბული რევოლუციები, მაგალითად...**

— თუნდაც. დაანონსებულ რევოლუციებს სადაც მივყავართ, ჩვენმა ისტორიამ კარგად გვაჩვენა. რევოლუციის გეგმებს წინასწარ არ აცხადებენ და ადამიანებს არ ეუბნებიან, რომ ეს იქნება სააკაშვილის ბოლო დღე. ჩვენ კი სწორედ ასე ვიქცევით. ასეთი დაპირების შემდეგ არაფერი რომ არ იცვლება, ამიტომაცაა ხალხი დეპრესიაში, რაც ბუნებრივი ფსიქოლოგიური რეაქციაა, გულგატეხილი და გულაცრუებულია ხალხი.

მახსოვს, აფხაზეთის ომის დროს პარლამენტის ტრიბუნიდან რომ ცხადდებოდა — აი ახლა, მეგობრებო, თბილისის აეროპორტიდან აფრინდა თვითმფრინავი „ტუ-154-M“ მოხალისეებით ბორტზე, რომელიც ნახევარ საათში დაეშვება სოხუმის აეროპორტში. იქ კი — ზღვაში, აეროპორტთან ბარაჟირებდა სამხედრო კატარღა და ჩამოაგდებდა ამ თვითმფრინავს.

ყველაფერს, რაც სათქმელი არ არის, წინასწარ ვყვირით, რაც სათქმელია, იმას არ ვამბობთ. ასე ვებმებით ჩვენსავე დაგებულ ხლართებში და შემდეგ ხალხს ვაბრალებთ.

**— თქვენ შესანიშნავად იცით, რომ რევოლუციებს კი არ ანონსებენ, რევოლუციებს ამზადებენ — თეორიულად, პრაქტიკულად. მხოლოდ უვიცებს ჰგონიათ, რომ საკმარისი იყო 1917 წლის ივნისში ლენინს პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე მენშევიკების ლიდერის აკაკი წერეთლის პესიმისტური განცხადების საპასუხოდ — რუსეთში არ არის პარტია, რომელიც ძალაუფლებას ხელში აიღებსო, წამოეძახა „არის ასეთი პარტია!“ და ოქტომბრის 25-ს მომხდარიყო სახელმწიფო გადატრიალება.**

**მზადდება ჩვენთან რევოლუცია?**

— არა! სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ არავის არ უნდა რევოლუცია. **ოპოზიციის უდიდეს ნაწილთან ამერიკელები და ხელისუფლება მოლაპარაკებულია — შენ გაიყვან ხუთ კაცს, შენ — ათს, შალიკოს წავართმევთ ამდენ ადგილს და შენ მოგცემთო და ა. შ.**

**— ესე იგი, რასაც ადრე ცეკას საორგანიზაციო განყოფილება აკეთებდა, იგივე ხდება დღეს?**

— იმ განსხვავებით, რომ იქ და იმ დროს მეტი ზნეობა იყო, ხალხზე მეტი ზრუნვა სოციალური მიმართულებით.

**— ცნობილია თქვენი პასუხი, დაუთმეთ თუ არ დაუთმეთ სააკაშვილს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა. იგივე სიტუაცია რომ გამეორდეს, რას იზამთ?**

— დავუთმე თუ არ დავუთმე, ამ ლეგენდას ხელისუფლება ავრცელებს. ერთადერთი ეს „კომპრი“ მონახა, რადგან ყველაფერში — მოქალაქეთა კავშირთან, „აღორძინებასთან“, ნაცმოძრაობასთან ურთიერთობაში, იგივე „ვარდების რევოლუციისადმი“ დამოკიდებულებაში სუფთა და უკომპრომისო ვართ.

ჯერ ერთი, საკრებულოს თავმჯდომარეობა არ მინდოდა და არ მინდა, არც მომავალში მომინდება, რადგან პოლიტიკური ლიდერისათვის ეს არის სიკვდილი.

მეორე. უმრავლესობა საკრებულოში არ მყავდა და, შესაბამისად, მე არავინ ამირჩევდა.

მესამე. ნამდვილად წინააღმდეგი არ ვიყავი მისი არჩევნების და დღესაც არ ვიქნები წინააღმდეგი, თუ წაეთრევა პრეზიდენტის პოსტიდან.

**— სიმინდი ჩვენი უბედურებისა. დეპუტატი ბობოხიძე ამერიკული სიმინდის ტაროთი ხელში, გააფთრებით რომ იცავს ხელისუფლების პოზიციას, ვინმეს ხომ არ გაგონებთ?**

— „ძვირფას ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს“.

წინასაარჩევნო კამპანია აღვირახსნილად დაიწყო და ტაროების ხელში დაჭერა ამან გამოიწვია.

სამწუხაროა, როცა ოპოზიცია ხელისუფლებას იმას კი არ ახსენებს, რომ საქართველო გაგლეჯილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოა აღიარებული, რომ ტუვალუსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას გაეროში თითო-თითო ხმა აქვს, ხოლო ნიკარაგუა და ვენესუელა ლათინური ამერიკის წამყვანი ქვეყნებია, თუნდაც ენერგოშემცველების დარგში, იქაური საუდის არაბეთია; იმას კი არ ეუბნებიან ამ ვაჟბატონებს, რატომ დახოცეს ხალხი 26 მაისს, ქვეყანა რატომ დააქციეს, დაგვილუპეს, გაგვინადგურეს. თითქოს სიმინდის ტაროს მეტი არაფერი გაუფეჭებიათ. **მე მიმაჩნია, რომ სიმინდის გამო ატეხილი დავიდარაბა კარგად გათვლილი ამერიკული სცენარითაა დადგმული. უკვე დასაქმდნენ ამერიკული პიარკომპანიები, ის გრინბერგი, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ მილიონებს უდებს ჯიბეში — ასეთი რაღაცების გათამაშება რომ ურჩიოს. ახლა, როგორც ჩანს, ურჩია სიმინდის ტაროს დაკავება. ხვალ რას დააჭერინებს ხელში, ჩვენ არ ვიცით.**

ხოლო პროამერიკულმა ოპოზიციამ ამერიკული პიარკომპანია „არისტოტელე“ ჩამოიყვანა. უნისონში მოქმედებენ.

**— ლეიბორისტები ყოველთვის მწარე-მწარე ფრთიანი გამონათქვამებით გამოირჩევით, მოსწრებული ფრაზებით. ამჯერად როგორ შეაფასებთ საქართველოში ჩამოყალიბებულ ვითარებას?**

— აურზაური ჯოჯოხეთში.

**— ამ ჯოჯოხეთს ქრთამი არ ანათებს?**

— უფრო აბნელებს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# «ოპოზიციის უდიდეს ნაწილთან ამერიკელები და ხელისუფლება მოლაპარაკებული არიან»

ექსპერტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

როცა ზვიადის წინააღმდეგ დიდი ტალღა აგორდა, ჩვენც აგვიყოლია, ვინაიდან გამსახურდიას წინააღმდეგ მიმზიდველი ლოზუნგებით — „ძირს დიქტატურა“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ, თავისუფალ საქართველოს“ — დაიწყეს ბრძოლა. ეტყობა, ძალიან გაუთვითცნობიერებლები ვიყავით, რომ ასე ადვილად ავყევით ამ ლამაზ ლოზუნგებს და საბოლოოდ ძალიან ცუდი საქმე გაგვაკეთებინეს, საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი ძალით, უკანონოდ დაგვამხობინეს.

## დაკავება პეტრე ცისკარიშვილის ყანაში

**პეტრე ცისკარიშვილის ნაკვეთიდან მოსავლის აღების ბრალდებით დედოფლისწყაროს პოლიციამ 57 წლის თენგიზ ღორაშვილი დააკავა.**

შს სამინისტროს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა სხვისი ხორბლის მოსავლის აღების ბრალდებით, სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები 57 წლის თენგიზ ღორაშვილი დააკავეს. „ქიზიყის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, მიწის ნაკვეთი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, ახმეტის მაჟორიტარ დეპუტატს პეტრე ცისკარიშვილს ეკუთვნის. ამის შესახებ ინფორმაციას სოფელ გამარჯვების მაცხოვრებლები და დაკავებულის ახლობლებიც ადასტურებენ. პოლიციის სამმართველოს ცნობით, საქმე 180-ე მუხლით აღიძრა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში დაკავებულს 6-დან 9 წლამდე პატიმრობა ემუქრება. საქმეს დედოფლისწყაროს პოლიციის დეტექტივ — გამომძიებელი დავით პოპიაშვილი იძიებს. ამ ბრალდების გარდა, მამაკაცს თაღლითობის სხვა ფაქტებიც გამოუვლინდა. დედოფლისწყაროს სასამართლოს მოსამართლე შორენა ყაველაშვილმა დაკავებულს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა. ღორაშვილი წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

## თუშეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი სამანქანო გზა ჩაიკეტა

**გზის აღნიშნულ მონაკვეთზე თოვლის სიმაღლე 40 სანტიმეტრს აღწევს. სოფელ ომალოს ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის, ტელმან იჭირაულის განცხადებით, გზის გაწმენდითი სამუშაოები უკვე დაწყებულია.**

„თოვლის გამო სამანქანო გზა ჩაიკეტა. მართალია, ყინვაა, მაგრამ ზარალი არ არის. არც ზვავსაშიშროების საფრთხეა. გზის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს და, თოვლმა თუ არ იმატა, გზა საღამოს გაიხსნება“, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს იჭირაულმა. გზის გაწმენდის შემდეგ მოძრაობა მხოლოდ ორხიდიანი მანქანებით იქნება შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ თოვლის გამო მწყემსებს ცხვრის გადარეკვაც უჭირთ, თუმცა, როგორც იჭირაულმა აღნიშნა, საზაფხულო საძოვრებიდან ცხვრის ზამთრის საძოვარზე — ელდარში გადარეკვა უკვე დაწყებულია.

**პოლიტოლოგი, ჟურნალისტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, საქართველოს ცურვის ეროვნულ სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი, მოცურავე, მწვრთნელი, უნიკალური მსოფლიო რეკორდსმენი, პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი, — ეს ჩამონათვალი მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანის, ჰენრი კუპრაშვილის მისწრაფებათა არასრულ სიას წარმოადგენს. იყო დრო, როცა პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდა, თუმცა დღეს ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს და ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს. წარსულში დაშვებულმა შეცდომებმა განაპირობა მისი ამჟამინდელი არჩევანიც, ამბობს, რომ პოლიტიკურ პროცესებში არათუ მონაწილეობა, არამედ პოლიტიკაზე საუბარიც არ სურს, თუმცა ჩვენთან გამონაკლისს უშვებს... წარსულში დაშვებული შეცდომების, განვლილი გზისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ჰენრი კუპრაშვილი „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება.**



### ჰენრი კუპრაშვილი:

## ხელისუფლების წარმომადგენლები ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე ასი თავით მაღლა დგანან

# რანაირად შეიძლება ამხობდე ყველა ხელისუფლებას და თან იძახდე, დემოკრატი ვარო?!

**— თქვენ, როგორც მრავალმხრივი ინტერესების მქონე პიროვნება, იყო დრო, პოლიტიკურ პროცესებშიც აქტიურად მონაწილეობდით, თუმცა, დიდი ხანია, პოლიტიკას ჩამოშორდით. რამ განაპირობა ამ გადაწყვეტილების მიღება?**

— პოლიტიკის გაგონება არ მინდა. იყო დრო, ეროვნულ მოძრაობაში ვმონაწილეობდი, ვიყავი „სახალხო ფრონტის“ აქტიური წევრი და ვიბრძოდი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ შემდეგ ისეთი რამ მოხდა, რამაც საერთოდ ხელი ამაღებინა პოლიტიკაზე და დღეს არც ერთი პარტიის სახელის გაგონებაც არ მინდა.

**ჩვენ დაგვამხობინეს საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი. მართალია, „ზვიადისტი“ არასდროს ვყოფილვარ და არც მის პოლიტიკურ მიმართულებას ვიზიარებდი, მაგრამ ზვიად გამსახურდიას პატივს ვცემდი როგორც ქვეყნის დიდ პატრიოტს. როცა ზვიადის წინააღმდეგ დიდი ტალღა აგორდა, ჩვენც აგვიყოლია, ვინაიდან გამსახურდიას წინააღმდეგ მიმზიდველი ლოზუნგებით — „ძირს დიქტატურა“, „გაუმარჯოს დემოკრატიულ, თავისუფალ საქართველოს“ — დაიწყეს ბრძოლა. ეტყობა, ძალიან გაუთვითცნობიერებლები ვიყავით, რომ ასე ადვილად ავყევით ამ ლამაზ ლოზუნგებს და საბოლოოდ ძალიან ცუდი საქმე გაგვაკეთებინეს, საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტი ძალით, უკანონოდ დაგვამხობინეს. საშინელი დანაშაული ჩავიდინეთ ქართველი ერის წინაშე და პირადად მე დღემდე დანაშაულის გრძნობა მაწუხებს.**

მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გავაცნობიერე, რომ მაშინ, როდესაც თავი დიდ ანალიტიკოსად და პრინციპულ ადამიანად მიმაჩნდა, მხოლოდ ვიღაცის მანიპულირების ობიექტი ვყოფილვარ და მეტი არავინ. ყველას ვიღაც, გარეშე ძალა გვმართავდა. ეს ისეთი მწარე მაგალითი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ მას შემდეგ არც პოლიტიკის და არც ერთი პარტიის ხსენებაც არ მინდა.

ამას გარდა, მიმაჩნია, რომ დღეს მოქმედი არც ერთი პოლიტიკური პარტია არ მუშაობს სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ. ახლაც ხშირად ვხედავ, როგორ არის ბევრი პარტია ვიღაცის მანიპულირების ობიექტი. არადა, საზოგადოების ნაწილს სჯერა მათი. ეს ადამიანები კი ხალხის გულუბრყვილობით სარგებლობენ და ქვეყნის საწინააღმდეგო პროცესებში ითრევენ ადამიანებს. ყველა მხოლოდ პირადი ამბიციებით მოქმედებს.

**— თუ გქონიათ შემოთავაზება რომელიმე პარტიიდან?**

— ბევრი შემოთავაზება მქონია, რადგან, მოგეხსენებათ, საქართველოში ერთადერთი ვარ, ვინც პოლიტიკურ მეცნიერებაში როგორც საკანდიდატო, ასევე სადოქტორო დისერტაცია დავიცავი, მაგრამ დღეს ტექნიკურ უნივერსიტეტში პოლიტოლოგიაში ლექციებს ვკითხულობ და პოლიტიკისგან შორს ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ლექტორი არც ერთი პარტიის წევრი არ უნდა იყოს, სხვაგვარად ლექციაზე ობიექტური ვერ იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ ედუარდ შევარდნაძესთან სახელმწიფო აპარატში ვმუშაობდი, არასდროს არავის გუნდში და პარტიაში არ ვყოფილვარ. უბრალოდ, სახელმწიფო სამსახურში ჩემს საქმეს ვაკეთებდი. არადა, ვხედავდი, ვიღაცები როგორ ძარცვავდნენ ქვეყანას და საშინლად განვიცდიდი.

**— დღესაც არიან ის ადამიანები პოლიტიკაში?**

— არიან, მაგრამ იმდენი აღარ. ზოგმა ბევრი ფული იშოვა, ჭკუა ისწავლა და ჩუმად არის. როცა ეროვნული უშიშროების საბჭოზე პრობლემებს იხილავდნენ, სულ მიკვირდა, ბიუჯეტი ვერასდროს სრულდებოდა, მილიარდობით ფული ვიღაცების ჯიბეებში მიდიოდა, ამ დროს კი მთავრობის წევრები ისხდნენ და ეროვნული უშიშროების პრობლემებზე მსჯელობდნენ.

**— „სხვაგვარად აზროვნების“ გამო, ორჯერ საბჭოთა წყობილების დროს, ერთხელ კი უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში, 2004 წელს, ეროვნული უშიშროების საბჭოში მუშაობისას, დაისაჯეთ. ამანაც ხომ არ განაპირობა, რომ თქვენი ურთიერთობა ხელისუფლებასთან აღარ გაგრძელდა?**

— არა, ეს არ ყოფილა მიზეზი. მიზეზი მხოლოდ ის იყო, რაც ზემოთ აღვნიშნე. პირველად ჯერ კიდევ ჯარში აქტიურობისა და ანტისაბჭოთა გამონათქვამების გამო დავისაჯე. შემდეგ უკვე ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობის დროს მოვიდნენ „კა-გე-ბე“-დან. პირველი ცოლის ბაბუამ მიჩივლა, დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებობს და ნიცშეს ნაწარმოებებს კითხულობსო. ნიცშე მაშინ აკრძალული იყო, მე ფირებზე გადაღებული ვიშოვე და ვკითხულობდი. მესამედ — 2004 წელს დავისაჯე. **ეროვნული უშიშროების საბჭოში, ანალიტიკური განყოფილების უფროსი ვიყავი, როცა გაზეთ „24 საათში“ გამოვაქვეყნე სტატია ეროვნული უშიშროების პრობლემებზე, სათაურით — „მეფემ არ იცის, თორემ...“ მასში ანტისახელისუფლო არაფერი იყო, მაგრამ დამიბარეს და გამაფრთხილეს, ჩვენ გარეშე არაფერი არ უნდა დაბეჭდოო. ეს ჩემთვის არ უნდა გაებედათ. მახსოვს, ადრე იყო და საბჭოთა „კაგე-ბემ“ ორჯერ გამაფრთხილდა და ახლა დამოუკიდებელ საქართველოში, რომლისთვისაც ასე ვიბრძოდი, იგივე** ▶

## დღეს მოქმედი არც ერთი პოლიტიკური პარტია არ მუშაობს სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ

მსოფლიო

## ნატო ლიბიის ოპერაციას ასრულებს



**ბრიუსელში, წევრი ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ, ამერიკის სამხედრო სარდლობის მეთაურმა აფრიკაში, გენერალმა კარტერ ჰემმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღეში ნატო ლიბიაში სამხედრო ოპერაციას დაასრულებს.** „არ გვსურს, ერთ ღამეში დავასრულოთ ყველაფერი. ჩვენი ძალები გარკვეული პერიოდის განმავლობაში უნდა დარჩნენ ლიბიაში, რათა გარდამავალ საბჭოს დახმარება აღმოუჩინონ ისეთ საკითხებში, როგორიცაა საზღვრის დაცვა. ეს გაგრძელდება მანამ, ვიდრე ამას თავად ხელისუფლება შეძლებს,“ — განაცხადა გენერალმა.

## ჩიჩოლინას მერობა სურს



**იტალიელი პორნოვარსკვლავი ჩიჩოლინა პოლიტიკურ პარტიას ქმნის და ქალაქ მონცას მერობისთვის ბრძოლას აპირებს.** როგორც თავად განაცხადა, ეს პატიოსან ადამიანთა პარტია იქნება, რომელიც მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენების უფლებებს დაიცავს და პაციფისტურ იდეებს გაიზიარებს. არჩევნებში მანიპულაციებისა და კორუფციის დრო დამთავრდა,“ — განაცხადა ჩიჩოლინამ. პორნოვარსკვლავი აღნიშნავს, რომ საკუთარ პარტიას თავად გაუწევს აგიტაციას და იტალიელთა პრობლემებს პირადად მოისმენს.

**„ქართველების თვისებაა, რომ ერთ დღეში სურთ შედეგის მიღწევა. ასე არ არის. პოლიტიკა ხანგრძლივი პროცესია. ვილაცას თუ პირადი ინტერესები ამოძრავებს და ხელისუფლებაში სწრაფად მოსვლა უნდა, ეს სხვაა, მაგრამ პირველ რიგში, სახელმწიფო ინტერესებია მთავარი. თუ პარტია გქვია, არა კონკრეტული პიროვნებების „ხუშტურებისთვის“, არამედ პარტიის პროგრამის განსახორციელებლად უნდა იღვწოდე, რაც ხშირად გრძელვადიან, სტრატეგიულ გათვლებს გულისხმობს“.**

ექსპერტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **მეორდებოდა. ავდექი და მეორე აკადემიური, არაპოლიტიკური სტატიაც დავწერე („ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტი“. გაზეთი „24 საათი“). ამის მერე მეც გამათავისუფლეს და ჩემი სამსახურიც გააუქმეს.**

**— ოპოზიციის ნაწილი მოლაპარაკების გზით ცდილობს ხელისუფლებასთან შეთანხმების მიღწევას, ნაწილი კი რადიკალიზმის მომხრეა. თქვენ რას ფიქრობთ?**

— რადიკალიზმი უგნური მოქმედებებისკენ უბიძგებს ადამიანს, პოლიტიკას კი საღი გონებით მოქმედება სჭირდება. რადიკალიზმმა ეროვნულ მოძრაობაშიც დაგვღუპა. სწორედ რადიკალურად განწყობილმა ხალხმა მიიყვანა ქვეყანა სავალალო შედეგებამდე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ბალტიის ქვეყნები გონივრულად მოქმედებდნენ, ჩვენთან კი ეროვნული მოძრაობის სათავეში „გიჟები“ იყვნენ. ვიღაც რაღაც „ურაპატრიოტულს“ დაიძახებდა, იხუვლებდა და აყვებოდა ყველა. მახსოვს, ერთხელ ცხინვალში წავედით, 30 ათასი კაცი ვიქნებოდით, ჩავედით და შესასვლელთან სამასი ოსი დგას (მათ ზურგს უმაგრებდნენ ჯავშანტრანსპორტიორები და კბილებამდე შეიარაღებული სამხედროები) და არ გვიშვებენ. შეიკრიბნენ ლიდერები ავტობუსში და დაიწყეს თათბირი — რა გავაკეთოთო და თან ვერც თანხმდებოდნენ ერთმანეთში. სწორედ მაშინ დავეჭვდი, ამდენი ხალხი მიჰყავდათ და არაფერი წინასწარ გათვლილი და გადაწყვეტილი არ ჰქონდათ. არადა, ყველა იქ იყო ეროვნული მოძრაობის ხალხი: ზვიად გამსახურდია, გია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი... ნოდარ ნათაძემ თქვა, — რადგან მოვედით, უნდა შევიდეთ და მიტინგიც ჩავატაროთო. ყველა პოლიტიკურ ნაბიჯს ასე გაუზრებლად დგამდნენ, რამაც სამწუხარო შედეგებამდე მიგვიყვანა.



# ხელისუფლება პოლიტიკური ბრძოლის თანამედროვე ტექნოლოგიებს ვირტუოზულად ფლობს, ოპოზიცია კი ბრძოლას ისევ მოძველებული მეთოდებით აგრძელებს

**დავამხეთ ერთი, მეორე ხელისუფლება. რანაირად შეიძლება ამხოზდე ყველა ხელისუფლებას და თან იძახდე, დემოკრატი ვარო? დემოკრატიის ძირითადი პრინციპი ხომ ხელისუფლების არჩევნების გზით მონაცვლეობაა.**

**— როგორც პოლიტიკური მრჩეველი რას ურჩევდით ხელისუფლებას?**

— ეს სამოქალაქო ჩინი საქართველოს პრეზიდენტმა მომანიჭა 2003 წელს. ამჟამად გადამდგარი პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი ვარ. რჩევისა რა მოგახსენოთ, მაგრამ შეიძლება მე მხოლოდ ჩემი აზრი გამოვთქვა, ისიც — თუ სჭირდება ვინმეს, ამიტომ თავს ვიკავებ. **დღეს ხელისუფლების წარმომადგენლები, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებზე ასი თავით მაღლა დგანან, რადგან ხელისუფლება პოლიტიკური ბრძოლის თანამედროვე ტექნოლოგიებს ვირტუოზულად ფლობს, ოპოზიცია კი ბრძოლას ისევ მოძველებული მეთოდებით აგრძელებს. ძალიან პრიმიტიული ხერხებით ებრძვიან ხელისუფლებას და არც ვინმე გამოკვეთილი ლიდერი ჩანს, ვინც ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას შეძლებს. ისევ ამ ხელისუფლებას თუ განუდგება ვინმე, ასეთივე მასშტაბისა და შესაძლებლობების მქონე პოლიტიკოსი, თორემ ოპოზიცია ხელისუფლებას ვერ აჯობებს.**

**— ხელისუფლებას ხომ განუდგა ირაკლი ოქრუაშვილი, ნინო ბურჯანაძე. ისინი არ ფლობდნენ ბრძოლის ხელისუფლებისეულ ტექნოლოგიებს?**

— ესენი ნაწყენი და გაბოროტებული წამოვიდნენ ხელისუფლებიდან და ორივემ ისევ მოძველებული და „გაცვეთილი“ მეთოდებით გააგრძელა ბრძოლა. აღმოჩნდა, რომ ისინი უფრო „მიტმასნილები“ იყვნენ და არა — ამ ხელისუფლების ორგანული ნაწილი.

**— თუმცა დავინახეთ, რომ მოლაპარაკების გზითაც ვერ აღწევს შედეგს ოპოზიცია...**

— ქართველების თვისებაა, რომ ერთ დღეში სურთ შედეგის მიღწევა. ასე არ არის. პოლიტიკა ხანგრძლივი პროცესია. ვილაცას თუ პირადი ინტერესები ამოძრავებს და ხელისუფლებაში სწრაფად მოსვლა უნდა, ეს სხვაა, მაგრამ პირველ რიგში, სახელმწიფო ინტერესებია მთავარი. თუ პარტია გქვია, არა კონკრეტული პიროვნებების „ხუშტურებისთვის“, არამედ პარტიის პროგრამის განსახორციელებლად უნდა იღვწოდე, რაც ხშირად გრძელვადიან, სტრატეგიულ გათვლებს გულისხმობს.

**— თქვენ დარდანელის სრუტე ხელფეხშეკრულმა გადაცურეთ, რისი თქმა გსურდათ ამით?**

— ჩემი ნაბიჯი სამმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი — მაშინ ეროვნული უშიშროების საბჭოში ვმუშაობდი, სადაც ჩემი ხელმძღვანელობით შეიქმნა უნიკალური რამ, საქართველოს პრეზიდენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემა, რომლის ამუშავებაც ნიშნავდა იმას, რომ ყველა სამინისტროს საქმიანობა გამჭვირვალე გახდებოდა, რაც კორუმპირებულ სამინისტროებს არ აწყობდათ და ვიყავი ხელფეხშეკრული. გასაქანს არ მაძლევდნენ. მეორე — იმ პერიოდში ხალხი ძალიან დათრგუნული იყო, მოხდა საბჭოთა წყობილების ცვლილება, ხალხმა უცებ ადაპტირება ვერ მოახერხა და ქვეყანაში საშინელი სოციალური გაჭირვება იყო. მინდოდა, ხალხისთვის მაგალითი მეჩვენებინა, რომ, როგორც არ უნდა გაგკოჭონ, შეგკრან, სასოწარკვეთას არ უნდა მიეცე, მაინც უნდა გაცურო და იბრძოლო. მესამე — მსურდა, ქართველ მეომართა სამხედრო-საწვრთნელი ყაიდის — ხელფეხშეკრული კოლხური ცურვის ოსტატობის ლამაზი კოლხური ლეგენდა გამეცოცხლებინა.

**— ამჯერად კიდევ რით აპირებთ საზოგადოების გაოცებას?**

**— მე მაშინვე მსურდა ლა-მანშის სრუტის გადაცურვა, მაგრამ სპონსორი არ გამოჩნდა, ჩემი ხელფასით კი ამას ვერ მოვახერხებდი. თუ გამოჩნდა სპონსორი (ლაგუნა ვერეს ხელმძღვანელობა ხელს ძალიან მიწყობს, რეგულარულად ვვარჯიშობ, ამიტომ კვლავ ფორმაში ვარ), მიზნის მიღწევას შევძლებ. ისე, როგორც მწვრთნელმაც გავაკეთე „რაღაც“. ჩემმა მომზადებულმა S11 კატეგორიის მოცურავემ ნიკა თვაურმა მსოფლიო ჩემპიონატზე (ქ. ალანია, თურქეთი, 04.04.2011) ბრასის სტილით ცურვაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**ისევ ამ ხელისუფლებას თუ განუდგება ვინმე, ასეთივე მასშტაბისა და შესაძლებლობების მქონე პოლიტიკოსი, თორემ ოპოზიცია ხელისუფლებას ვერ აჯობებს**



## სასამართლო რეგიონის ჟურნალისტების სარჩელს განიხილავს

**თბილისის საქალაქო სასამართლომ შსს-ს წინააღმდეგ ქართველი ჟურნალისტების სარჩელთან დაკავშირებით მოსამზადებელი სხდომა გამართა. მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ ჟურნალისტური კორპუსის შვიდმა წარმომადგენელმა შეიტანა სარჩელი.**

„ნეტგაზეთის“ ჟურნალისტები კონსტანტინე სტალინსკი და თაზო კუპრეიშვილი, გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი ნატო გოგელია, შპს „გაზეთი ბათუმელები“, შპს „ჩოხატაურის მაცნე“, შპს „ახალი ამბები“ და შპს „რადიოცენტრი პლიუსი“ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ჯანმრთელობის ზიანის, ასევე ტექნიკის დაკარგვით მიღებული ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ. აღნიშნული ფაქტები კი 26 მაისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე, შსს-ს მიერ საპროტესტო მიტინგის დაშლას უკავშირდება.

2011 წლის 26 მაისს თბილისში საპროტესტო აქციის დაშლისას ნეტგაზეთის ჟურნალისტებს თაზო კუპრეიშვილსა და ნესტან ცეცხლაძეს წაართვეს შპს „გაზეთ ბათუმელების“ კუთვნილი ორი ვიდეოკამერა, ფიზიკური დაზიანებები მიიღეს კონსტანტინ სტალინსკიმ და თაზო კუპრეიშვილმა. რამდენიმე საათით უკანონოდ ჰყავდათ დააპტიმრებული ნეტგაზეთის კიდევ ერთი ჟურნალისტი ნინო კახიშვილი.

საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო წესით სარჩელის შეტანამდე „ნეტაგზეთის“ ჟურნალისტებმა ნესტან ცეცხლაძემ, კონსტანტინ სტალინსკიმ, ნინო კახიშვილმა და თაზო კუპრეიშვილმა საქართველოს მთავარ პროკურატურას არაერთხელ მიმართეს განცხადებით და სისხლის სამართლის აღძვრა მოითხოვეს ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელის შეშლის გამო, თუმცა, პროკურატურიდან პასუხი ამ დრომდე არ მოსულა.

აქციის დაშლის დროს ძალის გადამეტების გამო შსსმ სამსახურიდან ოთხი თანამშრომელი გათავისუფლა, ერთი თანამდებობიდან ჩამოაქვეითა, სამს — სასტიკი საყვედური და რვას — საყვედური გამოუცხადა. შსს-ს არ დაუკონკრეტებია, კონკრეტულად ვინ დაისაჯა ძალის გადამეტების გამო, ასევე, კონკრეტულად რა შემთხვევების გამო დაეკისრათ პოლიციელებს სანქცია.

მსოფლიო

## კიდევ ერთი «ნომერ პირველი ტერორისტი» მოკლეს

**იემენში ყველაზე საშიში ტერორისტი ალვარა ალ-ავლაკი მოკლეს. ის ტერორისტულ ორგანიზაცია „ალ ქაიდას“ არაბეთის ნახევარკუნძულზე ხელმძღვანელობდა.** რადიკალურად განწყობილი იმამი აშშ-ის კონტრტერორისტულმა ცენტრმა ჯერ კიდევ ბენ ლადენის მკვლელობამდე გამოაცხადა მსოფლიოს უძლიერეს ტერორისტად. იგი ეჭვმიტანილი იყო 2 წლის წინათ აშშ-ის სამხედრო ბაზაზე განხორციელებულ ტერორისტულ აქტში, რომლის დროსაც 13 სამხედრო დაიღუპა. ავლაკი აშშ-ში დაიბადა და გაიზარდა.



## რუსეთი — ჯონ მაკკეინის წინააღმდეგ

**რუსეთში, შესაძლოა, ამერიკელ სენატორს — ჯონ მაკკეინს სასამართლოში უჩივლონ. სახელმწიფო დუმაში აღშფოთებულნი არიან მაკკეინის მიერ ტრიპოლიში რუსეთის მისამართით გაკეთებული განცხადებების გამო.** „ედინაია როსიას“ ფრაქციის წევრი სერგეი მარკოვი მიიჩნევს, რომ მაკკეინის საჯარო გამონათქვამები აბსოლუტურად მიუღებელია და ის არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდებაა. ჯონ მაკკეინმა ტრიპოლიში გამოსვლისას განაცხადა, რომ ლიბიელი ამბოხებულები მთელ მსოფლიოს მაგალითს აძლევენ, განსაკუთრებით რუსეთში, ჩინეთში, ირანსა და სირიაში.

საქართველო და მსოფლიო
არა არის დამარცხებული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ახლა სესილი გოგიბერიძე კავკასიის უნივერსიტეტის დეკანია, ზაზა შენგელია ისევ ტანია მარიას კონცერტებს და შოუებს მართავს, მაგრამ პოლიტიკური მორევი კვლავ „ტრიალებს, ბრუნავს“ და არავინ იცის, სად ვიხილავთ მომავალში ამ კომკავშირულ წყვილს.**

**მ**უდამ
**ზ**აზასთან
**ე**რთად

# კომ მოქ ნაც კავშირელები

**სესილი გოგიბერიძის კარიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან დაწყებულა. კომკავშირის ცეკას პირველ მდივნად კი იგი ჯუმბერ პატიაშვილს წამოუწევია. ასაკის გამო იმ ამბების თვითმხილველი არ ვარ და მომიწევს, სხვათა მონათხრობს დავჯერდე. ფაშისტური გერმანიის აგენტობის ბრალდებით, რეპრესირებული ფილოსოფოსის, მოსე გოგიბერიძის შვილიშვილისა და ზაზა შენგელიას კომკავშირული ქორწილი ისეთივე პომპეზურობით გამართულა, როგორც თამრიკო გვერდწითელისა და კახა კახაბრიშვილის. ასეთი საჩვენებლი ქორწილები მაშინ მოდაში იყო და ამისთვის იბრძოდნენ კიდეც; გარდა იმისა, რომ ღონისძიებას სახელმწიფო აფინანსებდა, თავად „კომკავშირულ წყვილებს“ საქორწინო მოგზაურობა, ბინა, მანქანა (ურიგოდ) და სხვა სიკეთეებიც ერგებოდათ.**



ნეფე-პატარძალი ქართულ ეროვნულ სამოსში იყო გამოწყობილი. 80-იან წლებში უკვე კომუნისტებიც გაეროვნულდნენ, თუმცა თბილისელი სნობები იმთავითვე უსვამდნენ ხაზს გოგიბერიძისა და შენგელიას ქორწინების „უთანასწორობას“. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 25 წლის შემდეგ მათი ქალიშვილი საქორწინო კაბას ლონდონში შეიძენდა, ხოლო თაფლობის თვეს ხმელთაშუა ზღვის გარშემო კრუიზში გაატარებდა. „ჩემი კაბა ერთადერთი და განუმეორებელია, უნიკალურია, მთლიანად ხელითაა გაკეთებული“, — განაცხადა ნინი შენგელიამ შარშანწინ. მისივე სიტყვებით, „ქართულ-ევროპულ საქორწინო შოუს ისეთი ხალხი ჩაუდგა სათავეში“, რომ ყველაფერი ლამაზი იქნებოდა. იგი, პირველ რიგში, მამას — ზაზა შენგელიას გულისხმობდა.

**შოუებისა და, ზოგადად, შოუბიზნესის სიყვარული შენგელიამ ჯერ კიდევ კომკავშირულ ელიტაში ყოფნისას გამოამჟღავნა. საბჭოთა კავშირი ჯერაც ფეხზე იდგა, როცა მან თავისი მეგობარ-ახლობლების კარგა მოზრდილი ჯგუფი „კომკავშირული საგზურით“ პოლონეთში სტივი უანდერის კონცერტზე წაიყვანა და კარგადაც აგრიალა.**

ასე იყო თუ ისე, კომკავშირულმა ოჯახმა ჭეშმარიტად კომკავშირული შემართებით განაგრძო კარიერული წინსვლა, მაგრამ ცოტა ხანში ეროვნული მოძრაობაც დაიწყო და

## სად გაქრა «გაუქმებული» კომკავშირის უძრავ-მოძრავი ქონება და მის ანგარიშებზე არსებული თანხები, ვისი კუთვნილი სტუდიიდან გადის ეთერში «პირველი კავკასიური» და ვინ აძვირებს საკაბელო არხების საფასურს?

1989 წლის აპრილიც მოვიდა. სესილი გოგიბერიძეს ემადლიერებიან მისი პოზიციის გამო, მაგრამ ზუსტად რაში გამოიხატებოდა ეს „პოზიცია“, პირადად მე ვერ გავარკვიე. რაიმე გმირული საქციელი მას არ ჩაუდენია, თუმცა ამას მისგან არც არავინ ელოდა.

როგორც ჩანს, მან ზუსტად ისე იმოქმედა, როგორც შემდეგაც — არაერთხელ. ეს კომკავშირული წყვილი სწორედ იმით გამოირჩევა, რომ ზუსტად იცის, როდის უნდა გავიდეს თამაშიდან და „ფსკერზე დაწვეს“. **მაგალითად, გოგიბერიძეს იმაზეც ემადლიერებიან, რომ მან კომკავშირის ცეკას შენობა „მრგვალ მაგიდას“ დაუთმო. ეროვნულმა ხელისუფლებამ მას ეს საქციელი დაუფასა, საზოგადოება კი დღესაც მკითხაობს, სად გაქრა „გაუქმებული“ კომკავშირის უძრავ-მოძრავი ქონება და მის ანგარიშებზე არსებული თანხები. ყოველ შემთხვევაში, ოჯახს არაფერი გასჭირვებია არც მაშინ და არც წლების შემდეგ.**

მათი ქალიშვილი ცხრა წლის განმავლობაში ლონდონში ცხოვრობდა და ძიძაც ჰყავდა მიჩენილი. შენგელიას „რეფორმებით“ შეწუხებული ტელევიზიის ყოფილი თანამშრომლები დღესაც ყვებიან, რომ ის ძიძა ტელევიზიაში იყო გაფორმებული და ხელფასი ერიცხებოდა, ხოლო იმჟამად უკვე კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე თვეში ერთხელ აკითხავდა შვილს ლონდონში სახელმწიფოს ხარჯზე.

**1992 წელს, შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ, ბევრმა მის მიერ „სახალხო რევოლუციად“ მონათლულ პუტჩს „ნომენკლატურის რევანში“ უწოდა. მართლაც, კომუნისტური ნომენკლატურის დიდი ნაწილი კვლავ სახელმწიფოს მართვაში ჩაება. სესილი გოგიბერიძე იმ პერიოდში არ აჩქარებულა (რა იცი, იმ ორპრეზიდენტიანობაში ვინ მოიგებდა?), ხოლო ზაზა შენგელია, რომელმაც უკვე ბუნდოვანი დაფინანსების მქონე „იბერვიზიით“ გაითქვა სახელი, 1994 წელს პირველ სატელევიზიო ფესტივალ „მანას“ ატარებს, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ესწრება. შენგელიამ ჯერ კიდევ კომკავშირიდან იცის, — შეიძლება დღე და ღამე იმუშაო, მაგრამ ეს ვერავინ დაინახოს, მაგრამ, თუ მასშტაბურ სანახაობას გამართავ, უფროსობას უეჭველად მოაწონებ თავს.**

მალე შენგელია პრეზიდენტის კანცელარიაში იწყებს მუშაობას. 1996 წელს მსოფლიო ბანკმა საქართველოს ძეგლთა დაცვის სისტემის რეფორმირებისთვის მსუყე გრანტი და კრედიტი გამოყო. მიუხედავად სპეციალისტების პროტესტისა, მან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დირექტორად უნივერსიტეტის ყოფილი კომკავშირელი აქტივისტი – დავით ნინიძე დაანიშნინა. მაშინ ხელოვნებათმცოდნეები პირდაპირ ადანაშაულებდნენ მათ მსოფლიო ბანკის თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში. საინტერესოა, რომ ეს კომკავშირული აქტივისტი — დავით ნინიძე 2003 წლის შემდეგ, ფონდის დირექტორობის გარდა, თბილისის მერის მოადგილე და ამასთანავე, მერიის არქიტექტურის სამსახურისა და კულტურის სამინისტროს გაერთიანებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეც გახდა.

**თუ სესილი გოგიბერიძე მოზომილი და ფრთხილი მოქმედებით ხასიათდება, მისი მეუღლე უფრო**

## ჟენევაში შესაძლოა ქართულ-რუსული მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი გაიმართოს

**7-8 ოქტომბერს ჟენევაში ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება, რომელიც წელს, შესაძლოა, ბოლო მსგავსი შეხვედრა აღმოჩნდეს. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ განაცხადა.** მისი განცხადებით, თუ შვეიცარიის შუამავლობით მიმდინარე მოლაპარაკებებზე მხარეებს შორის შეთანხმება ვერ შედგა, სავარაუდოა, მომავალ წელს დიალოგი განახლდეს, რომელშიც, მისი თქმით, თბილისს „ძალიან მკაფიო და პრინციპული“ პოზიცია უჭირავს.

„სამწუხაროდ, წინასწარი მონაცემებით, არ ველით რაიმე რადიკალურ ცვლილებებს რუსეთის ხისტი პოზიციის მიმართებით და არ არის მოსალოდნელი, რომ რუსეთმა ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მოქნილობა გამოიჩინოს,“ — განაცხადა ჯალაღანიამ. მისივე თქმით, თუ შეთანხმება ვერ შედგა, დიალოგი, სავარაუდოდ, მომავალ წელს გაგრძელდება. შეგახსენებთ: შვეიცარიის შუამავლობით თბილისსა და მოსკოვს შორის მოლაპარაკება ამ უკანასკნელის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხზე მიმდინარეობს.

## აჭარაში ისევ გადაუღებლად თოვს

**მაღალმთიან აჭარაში ამ დრომდე გადაუღებლად თოვს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ხულოს გამგებლის მოადგილემ გივი ქედელიძემ განუცხადა. მისი თქმით, თოვლის საფარი მეტრნახევარს შეადგენს. თოვლმა უამრავი პრობლემა შექმნა: ჩამოწვა მეწყერები და ჩაიკეტა გზები.** „მძიმე მდგომარეობაშია ღორჯომის, თხილვანის, ხიხაძირის, ფუშრუკაულის თემის სოფლები. ადგილზე მძიმე ტექნიკა მუშაობს და გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს, თუმცა ათეულობით მოსახლე მოწყვეტილია გარესამყაროს და მთებშია ჩარჩენილი“, — განაცხადა ქედელიძემ.

განადგურდა მოსავალი და ხეხილი. ამ დროისათვის ნაწილობრივ გაიხსნა გოდერძის უღელტეხილი და მაღალძარიან ავტომობილებს გადაადგილება შეუძლიათ. გაწმენდით სამუშაოებს ამინდი ართულებს. გამგებლის მოადგილის თქმით, ზარალის დათვლა ამ დროისთვის მიმდინარეობს.

## სირტაში ჰუმანიტარულმა კატასტროფამ იფეთქა

**კადაფის მშობლიურ ქალაქ სირტას, სადაც მუამარ კადაფის შეიარაღებულ ძალებსა და გარდამავალი საბჭოს მხარდამჭერებს შორის საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, მოსახლეობა ტოვებს.** ქალაქში ჰუმანიტარულმა კატასტროფამ იფეთქა. იქ საკვები პროდუქტებისა და წყლის მარაგი იწურება, ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით კი მუდმივი პრობლემებია. გარდა ამისა, ორგანიზაციის „ექიმები საზღვრებს გარეშე“ მონაცემებით, ქალაქში მედიკამენტების მწვავე დეფიციტია, საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაშავებულთა რაოდენობა იზრდება.



## ბელგრადში პოლიციამ გეი-აღლუმი აკრძალა

**სერბეთის პოლიციამ ქვეყნის დედაქალაქ ბელგრადში დაგეგმილი გეი-აღლუმი აკრძალა. პოლიციამ ეს გადაწყვეტილება ქალაქში ძალადობის შესაძლო ესკალაციის პრევენციისთვის მიიღო.** გასულ წელს ბელგრადში გეი-აღლუმთან დაკავშირებით ინციდენტი მოხდა. ქუჩაში გამოსულ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს გეი-პარადის მოწინააღმდეგე ექსტრემისტებმა ე. წ. მოლოტოვის კოქტეილები და ქვები ესროლეს. პოლიციასთან შეტაკების შედაგად 60 ექსტრემისტი დააკავეს.

**შენგელიას ბიზნესსაქმიანობაზე უსასრულოდ შეიძლება წერა, მაგრამ ყველაზე მომხიბვლელი მის კარიერაში მაინც 2003 წლის რევოლუციაა. კაცი, რომელიც ჯერ კიდევ ივლისში ამბობდა, „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღეს შედარებით ობიექტური ჩვენი არხია“, 19 ნოემბერს, „გამოცხადებულ“ რევოლუციამდე სამი დღით ადრე, გადადგომის შესახებ აკეთებს განცხადებას. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ შევარდნაძემ მას იმ „თამაშის“ გამო უსაყვედურა, რომელსაც იგი მაშინდელ ოპოზიციასთან ეწეოდა.**

არა არის დაფარული
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფეთქებადი, რისკის მოყვარული და წინდაუხედავია. თუმცა მას უდავოდ აღმოაჩნდა უნარი, შეექმნა და შეენარჩუნებინა „საჭირო კავშირები“, დაეთმო იქ, სადაც ეს გარდაუვალი იყო, და უკან დაეხია, რათა შემდგომ ახალი ძალებით შესდგომოდა „საქმეს“.**

ტელევიზიის თანამშრომლები წლების განმავლობაში უჩიოდნენ მას ტელევიზიის ბიუჯეტის, 12 მილიონი ლარის, არამიზნობრივი ხარჯვის გამო, მაგრამ ვერაფერი გააწყეს, რადგან პრეზიდენტის კანცელარიაშიც და პარლამენტშიც შენგელიას უამრავი „საჭირო მეგობარი“ ეგულებოდა. ასე იყო რევოლუციამდეც და რევოლუციის შემდეგაც.




**სახელმწიფო ტელევიზიაში მისული ზაზა შენგელია ახერხებს იმას, რომ ერთდროულად ორ ტელევიზიას პატრონობს: სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფს და «მზეს», რომლის სახელწოდებას ჟურნალისტები ასე შიფრავდნენ - «მუდამ ზაზასთან ერთად». ამ ორი ტელევიზიის «სახეები» ისე სწრაფად ინაცვლებდნენ ერთი ეკრანიდან მეორეზე, რომ მაყურებელს ანგარიშიც აერია და არხებიც.**

**არჩილ გოგელიას გადეპუტატების შემდეგ სახელმწიფო ტელევიზიაში მისული ზაზა შენგელია ახერხებს იმას, რომ ერთდროულად ორ ტელევიზიას პატრონობს: სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფს და „მზეს“, რომლის სახელწოდებას ჟურნალისტები ასე შიფრავდნენ — „მუდამ ზაზასთან ერთად“. ამ ორი ტელევიზიის „სახეები“ ისე სწრაფად ინაცვლებდნენ ერთი ეკრანიდან მეორეზე, რომ მაყურებელს ანგარიშიც აერია და არხებიც.**

**ცნობისთვის: „მზეს“ დღესაც აფინანსებს ხელისუფლება, ოღონდ — არაპირდაპირ, „პირველი კავკასიური“ სწორედ „მზის“ კუთვნილი სტუდიიდან გადის ეთერში და ამაში სახელმწიფო ბიუჯეტი სოლიდურ თანხასაც იხდის.**

ზაზა შენგელიას კიდევ ერთი პირმშო — „თიბისი-ტვ“ მისი იმპერიის ერთ-ერთი საკვანძო რგოლია. „თიბისი-ტვ“-ის დამფუძნებლები, ამავე სახელწოდების ბანკის პრეზიდენტის — მამუკა ხაზარაძის გარდა, ზაზა შენგელია და ლევან ყუბანეიშვილი არიან. როდესაც 2005 წელს შენგელია საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობიდან გადადგა, მის ადგილზე მისივე გამოზრდილი ლევან ყუბანეიშვილი დაინიშნა. **ამის შემდეგ ყუბანეიშვილმა შენგელიას თავისი წილები გადაუფორმა. ცოტა ხნის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის რამდენიმე მსხვილი პროექტი სწორედ „თიბისი-ტვ“-მ „მოიგო“. თანხებში ეს ასე გამოიყურება: საზოგადოებრივ მაუწყებელს „დიდი ათეული“ — 517 ათასი, „ცხოვრება მშვენიერია“ — 175 ათასი და „ავტოპილო ტი“ 145 ათასი ლარი დაუჯდა.**

შენგელიასა და ყუბანეიშვილის ტანდემი იმის შემდეგაც აგრძელებს ბიზნესს, რაც ყუბანეიშვილიც „გადადგა“ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორობიდან. შენგელიამ მესამედაც დააპირა ტელევიზიაში დაბრუნება, მაგრამ ამჯერად აღარ გაუმართლა და კვლავ შოუბიზნესს მიუბრუნდა. 2010 წელს ტანდემმა და მამუკა ხაზარაძემ ახალი კომპანია „თიბისი-ტვ ინტერთეინმენტ ჰოლდინგი“ დააფუძნეს. 20-20% შენგელიასა და ყუბანეიშვილს, 60% კი მამუკა ხაზარაძეს (კომპანია „ქართული ტრადიცია“) ეკუთვნის. იგი რამდენიმე კომპანიას აერთიანებს, მათ შორის — „თიბისი-ტვ“-ის, რომელიც 1996 წელს დააფუძნეს ზაზა შენგელიამ (40%) და მამუკა ხაზარაძემ (60% — „ქართული ტრადიცია“). მას შემდეგ, როგორც უკვე ვწერდი, წილები არაერთხელ გადანაწილდა და ამჟამად მისი 100%-ის მფლობელი ეს ახალი ჰოლდინგია. „თიბისი-ტვ“ დღემდე თანამშრომლობს ყველა ნაციონალურ არხთან.

**ტელეიმედის ორი პროექტი — „სიმართლის დრო“ და „ფეისკონტროლი“, სწორედ „თიბისი-ტვ“-ს პროდუქციაა, ხოლო „რუსთავი 2“-ის სერიალი „დეტექტივები“ კომპანია „მედია საკონსულტაციო ცენტრის“ პროექტია. გაგიკვირდებათ და 2009 წელს დაფუძნებულ ამ კომპანიას 2010 წელს შპს „ჯი ელ ტვ“ შეერწყა და „„სრულიად შემთხვევით“ მისი 30%-იანი წილის მფლობელიც ზაზა შენგელიაა!** იმავე წლის აგვისტოდან ეს შპს „გლობალ მედია ჯგუფის“ 15%-იანი წილის მფლობელი გახდა, რომელიც 4 გასართობი არხის მფლობელია. ეს არხები საკაბელო ტელევიზიების მეშვეობით მიეწოდება მაყურებელს და, ვინც მათგან ვერაფრით გაერკვა, რატომ შეუცვალეს პაკეტები და გაუძვირეს მომსახურება საკაბელო კომპანიებმა, უნდა იცოდნენ, რომ ამ „რეფორმების“ ერთ-ერთი მეწილე ისევ და ისევ ზაზა შენგელიაა.

ფრთიანი გამონათქვამი, რომ, თუ ჟურნალისტს კარში არ უშვებენ, მაშინ ის ფანჯრიდან უნდა გადაძვრეს, სწორედ შენგელიაზეა ზედგამოჭრილი. საზოგადოებრივ მაუწყებელში მესამედ აღარ შეუშვეს, ის კი საკაბელოს საშუალებით გვეჭრება სახლში და ფულს ამ გზით გვძალავს! თუმცა მან „ფანჯრიდან შესვლა“ (თუ დარჩენა) საზოგადოებრივ მაუწყებელში მაინც მოახერხა. ჩვენი „ყოვლისმცოდნე“ ხელისუფლების პირობებში, შენგელიასა და ყუბანეიშვილის მიერ რეგისტრირებული თითქმის ყველა კომპანიის იურიდიული მისამართი დღემდეა კოსტავას №68, ანუ სახელმწიფო (დღეს საზოგადოებრივ მაუწყებლად წოდებული) ტელევიზიის მისამართი. დოკუმენტებით ირკვევა, რომ „თიბისი-ტვ ინტერთეინმენტ ჰოლდინგისთვის“ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მოადგილეს ადმინისტრაციულ დარგში მეორე კორპუსის ფართის გადაცემაზე თანხმობა განუცხადებია.

**შენგელიას ბიზნესსაქმიანობაზე უსასრულოდ შეიძლება წერა, მაგრამ ყველაზე მომხიბვლელი მის კარიერაში მაინც 2003 წლის რევოლუციაა. კაცი, რომელიც ჯერ კიდევ ივლისში ამბობდა, „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღეს შედარებით ობიექტური ჩვენი არხია“, 19 ნოემბერს, „გამოცხადებულ“ რევოლუციამდე სამი დღით ადრე, გადადგომის შესახებ აკეთებს განცხადებას. ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდება, რომ შევარდნაძემ მას იმ „თამაშის“ გამო უსაყვედურა, რომელსაც იგი მაშინდელ ოპოზიციასთან ეწეოდა. ამიტომაც არ გაკვირვებია არავის, რომ „გამოსათხოვარ“ ბრიფინგზე მის მხარდასაჭერად ჟვანია-ბურჯანაძის გუნდის წევრი გიგი წერეთელი მივიდა. ყველაფრის გარდა, ისინი ხომ კომკავშირული მეგობრები იყვნენ!**

21 ნოემბერს, რევოლუციის წინა დღეს მისი მეუღლეც – 2000 წლიდან კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძეც გადადგა, იმავე დღეს — ბურჯანაძის მეუღლე — გენერალური პროკურორის მოადგილე ბადრი ბიწაძე. ბიწაძემ მიზეზად ხელისუფლების ზეწოლა დაასახელა, ფრთხილი სესილი გოგიბერიძე კი ამჯერადაც კომენტარის გარეშე წავიდა.

ალბათ, არ უნდა გვიკვირდეს, რომ ზაზა შენგელია 2004 წლის თებერვალში კვლავ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად დაბრუნდა, ბადრი ბიწაძეც ისევ მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა. სესილი გოგიბერიძის დაბრუნებაც იგეგმებოდა; 2003 წლის დეკემბერში კულტურის სფეროში მოღვაწე 42-მა პიროვნებამ წერილით მიმართა ზურაბ ჟვანიას, დაეტოვებინათ სესილი გოგიბერიძე მინისტრის თანამდებობაზე, **მაგრამ რევოლუციის გმირები უკვე თავისას ითხოვდნენ და ქართულ კულტურასაც სხვა პატრონი მოუძებნეს. ახლა გოგიბერიძე კავკასიის უნივერსიტეტის დეკანია, ზაზა შენგელია ისევ ტანია მარიას კონცერტებს და შოუებს მართავს, მაგრამ პოლიტიკური მორევი კვლავ „ტრიალებს, ბრუნავს“ და არავინ იცის, სად ვიხილავთ მომავალში ამ კომკავშირულ წყვილს.**

**თამარ დავითულიანი**




**ცოტა ხნის შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის რამდენიმე მსხვილი პროექტი სწორედ «თიბისი-ტვ»-მ «მოიგო». თანხებში ეს ასე გამოიყურება: საზოგადოებრივ მაუწყებელს «დიდი ათეული» — 517 ათასი, «ცხოვრება მშვენიერია» — 175 ათასი და «ავტოპილოტი» 145 ათასი ლარი დაუჯდა**

## სამხრეთ ოსეთში შესვლა დროებით აკრძალულია

**რუსეთის ფედერაციიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთში შესვლა დროებით აკრძალულია. აკრძალვა იმ პირებს ეხება, რომლებიც ე.წ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეები არ არიან ან მოქალაქეობა არ აქვთ.**

როგორც სააგენტო „ოსინფორმი“ იუწყება, ამის შესახებ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა მურატ ჯიოევმა განუცხადა.

„ყველა ეს ზომა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის, ასევე, უვიზო მიმოსვლის შესახებ რუსეთ-სამხრეთ ოსეთის შეთანხმების შესაბამისად არის შემოღებული“, — განაცხადა ჯიოევმა.

მისივე თქმით, რუსულ მხარეს აკრძალვის შესახებ ე.წ. საელჩოს საშუალებით უკვე შეატყობინეს.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის მხრიდან შესვლა გუშინაც შეზღუდული იყო. როკის გვირაბთან განთავსებულ გამშვებ პუნქტზე დაღესტნიდან მიმავალი ავტოკოლონა არ გაატარეს, რომელშიც, სავარაუდოდ, ჯამბულატ თედეევის მომხრეები იმყოფებოდნენ.

ე.წ. სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნები 13 ნოემბრისთვისაა დანიშნული.

## პროკურატურა საბანკო ანგარიშებს გააკონტროლებს

**პროკურატურას საბანკო ანგარიშების მონიტორინგის უფლება ეძლევა. საბანკო ანგარიშების მონიტორინგთან დაკავშირებით „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს“ ახალი მუხლი ემატება.**

კანონპროექტის მიხედვით, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი დანაშაულებრივ ქმედებას ახორციელებს საბანკო ანგარიშის გამოყენებით, პროკურორი უფლებამოსილია, საქართველოს მთავარი პროკურორის, ან მისი მოადგილის თანხმობით, გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით საბანკო ანგარიშების მონიტორინგის შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე. ამ შემთხვევაში, ბანკი ვალდებული იქნება, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და მიაწოდოს მას მიმდინარე რეჟიმში ინფორმაცია ერთ ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

მსოფლიო

## ისრაელი პალესტინას მოლაპარაკებებს სთავაზობს

**ისრაელი პალესტინასთან შეჩერებული პირდაპირი სამშვიდობო მოლაპარაკებების აღდგენის მომხრეა.** ისრაელის პრემიერის — ბენიამინ ნეთანიაჰუს კანცელარიის მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ისრაელი პალესტინას მოუწოდებს, თავი დაანებოს დამოუკიდებლობის აღიარების მცდელობას გაეროს უშიშროების საბჭოს მეშვეობით და დაუბრუნდეს მხარეებს შორის ჩაშლილ პირდაპირ მოლაპარაკებებს, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

## სირიის ოპოზიციამ «ეროვნული საბჭო» ჩამოაყალიბა

**სირიის ოპოზიციამ „ეროვნული საბჭო“ ჩამოაყალიბა და განაცხადა, რომ მზად არის დამოუკიდებელ საბჭოში სირიის მოქმედი რეჟიმის ხელმძღვანელის — ბაშარ ასადის ყველა მოწინააღმდეგე ძალის წარმომადგენლები მიიღოს.** საბჭოს უმთავრესი მიზანი ქვეყნის ხელისუფლების შეცვლაა. სირიაში საპროტესტო გამოსვლები მიმდინარე წლის მარტში დაიწყო. ოპოზიციის აქტივისტებსა და სახელისუფლო ძალებს შორის მომხდარი შეტაკებების შედეგად 2,7 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

დაგვცინიან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რა თქმა უნდა, გემოვნება ყველას განსხვავებული აქვს. მაგრამ კონტრასტი მინისა და ლითონის მყვირალა შენადნობსა და შუა საუკუნეების ქალაქის თავშეკავებულ სილამაზეს შორის გაწყვეტილი სიმის ხმას წააგავს. მინიმალიზმის ცივი დიდებულება ჩრდილოეთის რომელიმე დედაქალაქს მოუხდებოდა, მაგრამ თბილ ქალაქს, არადა „თბილისი" სწორედ ასე ითარგმნება, სადაც ღვინის მდინარეები მოედინება, ხაჭაპურს გემრიელი ორთქლი ასდის, ხალხი კი გულგახსნილია და თავს მოვალედ თვლის, ღარიბ მეზობელს ყოველდღე შეუტანოს საჭმელი, ეს ხიდი სულაც არ უხდება.

# უცხოელებისთვის ეს ქვეყანა სამოთხეა, ხოლო ადგილობრივებისთვის — უკრაინაზე ღატაკი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო

**უკრაინულმა გამოცემა „სეგოდნია"-მ საქართველოს შესახებ სპეციალური რეპორტაჟი გამოაქვეყნა. ჩვენმა კოლეგებმა საკუთარი თვალით ნახეს და შეაფასეს, მართლაც ისე კარგადაა ყველაფერი, როგორც ამას სააკაშვილის ხელისუფლება ამტკიცებს თუ არა. ჩვენი მკითხველისთვის უცხო თვალით დანახული ეს სურათი უთუოდ საყურადღებო იქნება.**

## «აბრეშუმის» გზები, ჩამონგრეული სახლები და პრეზიდენტი — «ენერჯაიზერი»

შებინდებისთანავე თბილისი თავბრუდამხვევ ნახტომს აკეთებს აწმყოდან წარსულში. განათების დიზაინერმა ფილიპ მარტინომ ისე ოსტატურად მიმოფანტა მანათობელი კრისტალები, რომ ღამით თანამედროვე შენობები არ ჩანს, ხოლო ძველი თბილისი მთელი თავისი მომხიბვლელობით წარმოგიდგება. კლდეებს შორის ჩაკლაკნილი მტკვრის ნაპირას ვდგავართ და გვეჩვენება, რომ მთებზე შეფენილი მეტეხის ეკლესია, სამების საკათედრო ტაძარი და ნარიყალას ციხე პირდაპირ ზეციდან დაგვყურებს.

ამასობაში ადგილობრივი მოხელეები ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას, რომ ქალაქის სილამაზე საკუთარი მიღწევების „გასაპიარებლად" გამოიყენონ. 2008 წელსაც კი, რუსეთთან გაგანია სამხედრო კონფლიქტის დროს, ისინი მაინც პოულობდნენ თუნდაც ნახევარ საათს, რათა უცხოელი ჟურნალისტები თავიანთ უზარმაზარ ჯიპებში ჩაესვათ და საღამოს თბილისში გაესეირნებინათ. მაშინ მთაწმინდის 274,5–მეტრიან საახალწლო ნაძვის ხესავით მოციმციმე ანძას გვაჩვენებდნენ (იმის მისანიშნებლად, რომ, რუსეთთან ომის მიუხედავად, ყველაფრისთვის ჰყოფნით თანხები!). ახლა ახალშენებით ტრაბახობენ.

— ახლა თბილისის ძველ უბანში — ავლაბარში წავალთ, სადაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის მინისგუმბათიან შენობას ვნახავთ, – გვეუბნება ერთ-ერთი სამინისტროს თანამშრომელი, რომელმაც ავტოექსკურსია მოგვიწყო, — გზად ბეტონისა და მინისგან ნაქსოვ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვნახავთ, მერე კი ისევ ძველ ქალაქში დავბრუნდებით. ნახეთ! მტკვარზე გადებულ ამ ხიდს „მშვიდობის ხიდი" ჰქვია. მისი 156-მეტრიანი კარკასი მინით არის დაფარული და ოთხ მძლავრ ბურჯზე დგას.



**რა თქმა უნდა, გემოვნება ყველას განსხვავებული აქვს. მაგრამ კონტრასტი მინისა და ლითონის მყვირალა შენადნობსა და შუა საუკუნეების ქალაქის თავშეკავებულ სილამაზეს შორის გაწყვეტილი სიმის ხმას წააგავს. მინიმალიზმის ცივი დიდებულება ჩრდილოეთის რომელიმე დედაქალაქს მოუხდებოდა, მაგრამ თბილ ქალაქს, არადა „თბილისი" სწორედ ასე ითარგმნება, სადაც ღვინის მდინარეები მოედინება, ხაჭაპურს გემრიელი ორთქლი ასდის, ხალხი კი გულგახსნილია და თავს მოვალედ თვლის, ღარიბ მეზობელს ყოველდღე შეუტანოს საჭმელი, ეს ხიდი სულაც არ უხდება.**

— მინიმალიზმი ჩვენი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის „ფიშკაა". — გამოგვიტყდა ორიოდე ჭიქა ღვინის შემდეგ ჩვენი მეგზური, — ბევრ თბილისელს ეს სტილი არ მოსწონს, მაგრამ რას იზამ, ყველას ვერ ასიამოვნებ.

### პრეზიდენტი— „ენერჯაიზერი"

თუმცა თბილისის ახალშენები სააკაშვილის მოღვაწეობის მხოლოდ გარეგნული მხარეა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში სერიოზული ცვლილებები მოხდა. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) ამ სახელმწიფოში გატარებული გარდაქმნები უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე ფართომასშტაბიან და სწრაფ რეფორმებად შეაფასა. მსოფლიო ბანკის ბიზნესის წამოწყების სიიოლის რეიტინგში კი „მიხოს ქვეყანამ" მე–11 ადგილი მიიღო, რითაც ფინეთს, შვედეთსა და იაპონიას გაასწრო. გარდა ამისა, ჟურნალ Forbes-ის დასკვნით, გადასახადების გადახდის გამარტივებამ საქართველო ევროპის ყველაზე ლიბერალურ სახელმწიფოდ აქცია.

— ჩვენი სახელმწიფო პოსტსაბჭოთა აღარ არის, — განაცხადა ჩვენთან ინტერვიუში სააკაშვილმა. — მოხელეთა შემადგენლობა მთლიანად გამოვცვალეთ. ჩვენი მთავრობის ყველა წევრი ჩემზე ახალგაზრდაა (შეგახსენებთ, რომ სააკაშვილი 44 წლისაა, — ავტ.) და საბჭოთა დროს არ უმუშავია. შესაბამისად, მათ ნეგატიური გამოცდილების პრაქტიკულად გამოყენება არ შეუძლიათ, არ არიან ბიუროკრატები და კორუფციონერები. მითუმეტეს, რომ შრომისთვის კარგ ანაზღაურებას იღებენ.

საინტერესოა, რომ საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები მას ხუმრობით „ენერჯაიზერს" ადარებენ. იგი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს და ქვეყანაში მიმდინარე თითქმის ყველა პროცესის პირადად გაკონტროლებას ცდილობს. სააკაშვილი მაღალი თანამდებობის პირთაგანაც „საქმისადმი" ასეთივე ერთგულებას ითხოვს, მაგრამ მუშაობის გიჟურ რიტმს ყველა ვერ უძლებს. ვინც იღლება, წასვლა უწევს.

— კიდევ ჩვენ ბიზნესი და სახელმწიფო გავაცალკევეთ! — ამბობს სააკაშვილი, — ახლა მდიდარ ადამიანებს საკანონმდებლო დონეზე საკუთარი ინტერესების ლობირება აღარ შეუძლიათ. აი, მაგალითად, მივიღეთ კანონი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა წამლის ფასები და ფარმაცევტული კომპანიების შემოსავლები. სიმართლე გითხრათ, კენჭისყრის წინა დღეს ცოტა ვნერვიულობდი; ერთ-ერთი მსხვილი ფარმაცევტული კომპანიის მფლობელი ხომ თავად არის პარლამენტარი. მერე, რა გგონიათ? მას ხმაც კი არ ამოუღია!

გარდა ამისა, საქართველოში მასშტაბური პრივატიზაცია განხორციელდა (სახელმწიფომ ფოსტისა და რკინიგზის გარდა ყველაფერი გაყიდა!).

ამის შემდეგ მთელი მსოფლიოს ინვესტორები აქ მოფრინდნენ, რუსებიც კი! „რაო ესმა" ელექტროენერგიის დისტრიბუცია იყიდა, ვი-თი-



**«2008 წელსაც კი, რუსეთთან გაგანია სამხედრო კონფლიქტის დროს, ისინი მაინც პოულობდნენ თუნდაც ნახევარ საათს, რათა უცხოელი ჟურნალისტები თავიანთ უზარმაზარ ჯიპებში ჩაესვათ და საღამოს თბილისში გაესეირნებინათ»**

**ყველაზე ცუდად საქმე სასოფლო-სამეურნეო პროფილის დასავლეთ საქართველოშია. კოლმეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები დაიშალა და ადრინდელი მოცულობით ახლა მხოლოდ წყალი იწარმოება (მინერალური და ტკბილი), ხოლო ოდესღაც აყვავებული ჩაის, ეთერზეთების, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების წარმოება თითქმის გაქრა. გარდა ამისა, რუსეთის ემბარგოს შემდეგ მეღვინეობაც სერიოზულად დაზარალდა. ეს დარგი ნახევარი დატვირთვით მუშაობს, რადგან უკრაინისა და ყაზახეთის ბაზრები მცირეა, ჩვენ კი ძირითადად ამ ქვეყნებში გაგვაქვს პროდუქცია.**

დაგვყვინიან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბი ბანკმა (რომლის 90% რუსეთის მთავრობას ეკუთვნის!) თავისი ფილიალები გახსნა. თბილისის ცენტრალურ პროსპექტზე, რუსთაველზე კი საღამოობით Marriott-ის, Radisson-ისა და Sheraton-ის აბრები ციმციმებს.

— რატომ დებენ ინვესტიციებს ჩვენს ქვეყანაში? – რიტორიკულ კითხვას სვამს საakaშვილი, — მე ვფიქრობ, იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის შედეგად ბიზნესის კეთება უსაფრთხო გახდა (შეგახსენებთ, რომ შტატების კარდინალურად შემცირების შემდეგ უწყებაში ხელფასები გაზარდეს და ახლა რიგითი პოლიციელი 700 დოლარს, ხოლო განყოფილების უფროსი 2 ათას დოლარს იღებს). უსაფრთხოების თვალსაზრისით, ჩვენ მეორე ადგილზე ვართ ისლანდიის შემდეგ.

თუმცა ყველაზე მთავარი, სახელმწიფოს მეთაურის თქმით, ის არის, რომ ინვესტიციები მხოლოდ დედაქალაქში როდი იდება. აქტიურად ვითარდება ბათუმი, შენდება სასტუმროები, გასართობი კომპლექსები და რესტორნები. ფოთის პორტი არაბული ემირატების ჯიბესქელმა წარმომადგენლებმა იყიდეს, თბილისისა და ბათუმის აეროპორტების რეკონსტრუქცია კი თურქებმა განახორციელეს.

## ბიზნესი ქართველებისთვის არ არის

**ნათელია, რომ ადგილობრივ მოხელეებთან ურთიერთობის შემდეგ ქართული რეფორმებისგან ყველა უცხოელს სუნთქვა ეკვრება. სულ რაღაც 7 წელიწადში ამ პატარა ქვეყანამ გაიარა გზა, რომელიც დიდმა უკრაინამ ვერ დაძლია. მართლაც ასეა? რეალურ ვითარებაზე მსჯელობა მშრალ საექსპერტო მონაცემებზე დაყრდნობით მართებული არ არის.**

— უცხოური კაპიტალისთვის ჩვენთან მართლაც ყველა პირობაა შექმნილი, — ამოიოხრა ერთ–ერთი სამინისტროს მოხელე ზურაბმა, რომელსაც თბილისის ერთ-ერთ კაფეში შევხვდით, — მაგრამ **ეს შეღავათები ქართველ ბიზნესმენებს არ ეხება. ჩვენთვის მაღალი გადასახადებია. არც ის დაიჯეროთ, რომ საქართველოში კორუფცია განადგურებულია. ჩვენი პოლიციელები, უკრაინელი ინსპექტორებისგან განსხვავებით, ფულს არ იღებენ, მაგრამ ხმები დადის, რომ ზედა ეშელონებში კორუფცია ისევ არსებობს. თუ მთავრობაში ნათესავი გყავს, არსებობს შანსი, რომ გადასახადებს გაექცე, თუ არადა, ბიზნესზე არც იფიქრო — წამგებიანია!**

სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების საკითხიც არც ისე მარტივია. ძალოვანებს, სამხედროებს, საგადასახადო სამსახურის და სამინისტროების თანამშრომლებს ხელფასები მაღალი აქვთ, — 700-დან 3 ათას დოლარამდე, მაგრამ მასწავლებლები და მედიკოსები 120 ლარს (518 გრივნა) იღებენ. მთლიანობაში კი თბილისში საშუალო ხელფასი 100-დან 200 ლარამდე მერყეობს (431-863 გრივნა). ამ დროს სურსათსა და პირველადი მოხმარების საგნებზე ფასები უკრაინულის ტოლია. შედარებით იაფია ტაქსით მგზავრობა და მობილური კავშირი. რთული მისახვედრი არ არის, რომ, თუ დედაქალაქში ასეთი მდგომარეობაა, რეგიონებში ხელფასებიც ნაკლებია და ხალხი სიღატაკეში ცხოვრობს! გამონაკლისს მხოლოდ უცხოური ინვესტიციების ხარჯზე განვითარებადი ტურისტული რაიონები წარმოადგენს, მაგალითად — ბათუმი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში დაბალხელფასიანი სამუშაოს პოვნაც პრობლემაა. ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში მოსახლეობის 20%-ია დაუსაქმებელი, ხოლო დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით — 50%!

— უცხოური ინვესტიციები, ძირითადად, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში, ან ვაჭრობაში იდება, — გვეუბნება ქართველი ექსპერტი-ეკონომისტი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია. — მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმა, რომელშიც უამრავი ადამიანის დასაქმება იყო შესაძლებელი, საბჭოთა კავშირის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. რაღა დაგვრჩა? ფერადი მეტალურგია და ქიმია, — სულ ეს არის! არადა, იყო ტრიკოტაჟის ფაბრიკები, მანქანათმშენებლობა, თავდაცვის საწარმოები. თქვენ მკითხავთ, აბა როგორ არსებობთო? ვფიქრობ, ხმები იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ჩვენს ეკონომიკაში დიდ ფულს დებს, რეალობასთან ახლოსაა...

**საქართველოს ეკონომიკური პრობლემები კარგად არის ცნობილი. ექსპორტი იმპორტს აღემატება. სავაჭრო ბალანსში ხვრელს უცხოური ინვესტიციები ვერ ფარავს, „დებეტ-კრედიტი“ დასავლეთის ქვეყნების ფინანსური დახმარებით ბალანსდება.** „საქართველოში მეტი საქონელი შემოდის, ვიდრე ჩვენ ვყიდით. ჩვენი ქვეყანა მოხმარებაზეა ორიენტირებული“, — ამბობს ჩვენთან საუბარში კავკასიის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი დავით ნარმანია. სხვათა შორის, ადგილობრივ სუპერმარკეტებში და მაღაზიებში პროდუქტის უმრავლესობა უკრაინიდან, თურქეთიდან და პოლონეთიდან არის შემოტანილი. გამყიდველების თქმით, ადგილობრივი პროდუქცია ძალიან ცოტაა.

— რა გიკვირთ? — განაგრძობს ჩვენი თანამოსაუბრე. — **ყველაზე ცუდად საქმე სასოფლო-სამეურნეო პროფილის დასავლეთ საქართველოშია. კოლმეურნეობები და გადამამუშავებელი საწარმოები დაიშალა და ადრინდელი მოცულობით ახლა მხოლოდ წყალი იწარმოება (მინერალური და ტკბილი), ხოლო ოდესღაც აყვავებული ჩაის, ეთერზეთების, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების წარმოება თითქმის გაქრა. გარდა ამისა, რუსეთის ემბარგოს შემდეგ მეღვინეობაც სერიოზულად დაზარალდა. ეს დარგი ნახევარი დატვირთვით მუშაობს, რადგან უკრაინისა და ყაზახეთის ბაზრები მცირეა, ჩვენ კი ძირითადად ამ ქვეყნებში გაგვაქვს პროდუქცია.**

ამერიკისა და ევროპის ბაზრებისთვის ბრძოლა იოლი არ არის. იქ პროდუქციის მიმართ მოთხოვნები მკაცრია, ქართულ ღვინოს კი არ იცნობენ. არსებითად, ნულიდან დაწყება და რეკლამაში დიდ თანხების ხარჯვა გვიწევს. ერთი კი კარგია, — ღვინის ხარისხი გაუმჯობესდა.



**«ბევრჯერ ვთხოვეთ ხელისუფლებას სახლის შეკეთება, — ოხრავს 72 წლის ნაზი ბუჩუკური, — მაგრამ ერთი პასუხი აქვთ: ფული არ არის. ჩვენს სახლში კი მხოლოდ მოხუცები ცხოვრობენ (ახალგაზრდობა უცხოეთშია საშოვარზე გადახვეწილი), პენსია 100 ლარია (431 გრივნა), ნახევარი კომუნალურ გადასახადებში მიდის. შვილი რომ არ მეხმარებოდეს, შიმშილით მოვკვდებოდი»**

## დაქცეული ოქროსუბანი

როგორ ირჩენენ თავს ქართველები? ირკვევა, რომ ისინი სუპერმარკეტში თითქმის არ დადიან. პროდუქტს ბაზარში ყიდულობენ, – იქ გაცილებით იაფია. მშვენიერი გზით (თბილისში გზები ევროპულს ჰგავს – აბრეშუმივითაა!) ცენტრიდან დეზერტირის ბაზრისკენ გავემართეთ. იქ ყველისა და ბოსტნეულის მდიდარი არჩევანია.

— აქ ტკბილი წიწაკისა და პომიდვრის გასაყიდად ჩამოვდივარ, — გვიყვება ოლგა ნაზაროვა. — ხორცით არ ვვაჭრობ, — სიძვირის გამო არ ყიდულობენ (1 კგ ღორის ხორცი 12 ლარი ღირს, ეს კი 64 გრივნაა. კიევში ხორცი 45-65 გრივნა ღირს, — ავტ.). ჩვენ თვითონაც, — მე, ჩემი ქმარი, სამი ვაჟი და რძლები ბოსტნეულზე, ყველსა და ფრინველის ხორცზე „ვზივართ“. ხორცს მარტო შვილიშვილებისთვის ვყიდულობთ.

— სახელმწიფო, მერამდენე წელიწადია, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენაში დახმარებას გვპირდება, — ამბობს ფერმერი გია. — ეს რომ გაეკეთებინათ, ჩემი ოჯახი ხორბლის მოყვანას და გაყიდვას მოახერხებდა. ახლა კი მხოლოდ ბოსტნეული მოგვყავს.

**დეზერტირის ბაზრიდან არც ისე შორს ოქროსუბანია, თბილისის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი უბანი. ოდესღაც აქ ოქრომჭედლები ცხოვრობდნენ, შემდეგ — კანონიერი ქურდები, რომლებიც კანონმდებლობის გამკაცრების შემდეგ თითქოს მოსკოვში გადავიდნენ. აქ ძალიან ძველი სახლებია. რამდენიმე წლის წინ მიწისძვრის შედეგად ისინი სერიოზულად დაზიანდა და ახლა ხის საყრდენები აქვს შეყენებული.**

— ბევრჯერ ვთხოვეთ ხელისუფლებას სახლის შეკეთება, — ოხრავს 72 წლის ნაზი ბუჩუკური, — მაგრამ ერთი პასუხი აქვთ: ფული არ არის. ჩვენს სახლში კი მხოლოდ მოხუცები ცხოვრობენ (ახალგაზრდობა უცხოეთშია საშოვარზე გადახვეწილი), პენსია 100 ლარია (431 გრივნა), ნახევარი კომუნალურ გადასახადებში მიდის. შვილი რომ არ მეხმარებოდეს, შიმშილით მოვკვდებოდი.

— მთებზე, არხებს შორის ვცხოვრობთ, — მწარედ ხუმრობს ფიროსმანის ქუჩის მცხოვრები, ფილოლოგიის პროფესორი ირინა კლოჩკო. მისი კარ-ფანჯარა ჩამონგრეულ სახლს უყურებს. ქუჩაზე ტალახი მოედინება, აქ მცხოვრებნი კი ალაგ–ალაგ დაგებულ ფიცრებზე იკვლევენ გზას.

**ერთ ეზოში, სადაც თოკებზე სარეცხია გაფენილი, ხოლო ზარმაცი კატები მზეზე გვერდებს ითბობენ, 10 წლის ბიჭუნას ვამჩნევთ. ის თითქოს ვრუბელის ტილოდან გადმოვიდა: უზარმაზარი ნუშისებრი თვალებით, ხვეული თმით. იგი დედასა და ბებიასთან ერთ ოთახში ცხოვრობს. პაწაწინა სამზარეულოს ფართობი ერთი მეტრია ერთ მეტრზე.**

— ჩემს შვილს გიგა ჰქვია, — გვეუბნება 44 წლის თეა ჯაფარიძე, — მამამისი დაიღუპა, ბავშვს მარტო ვზრდი. 72 წლის დედა ჩემთან ცხოვრობს. ადრე ხალხური ცეკვის ანსამბლს ხელმძღვანელობდა. გიგაც კარგად ცეკვავს, მაგრამ 50 ლარი არ გვაქვს, რომ ანსამბლში იაროს. წელს ბავშვის სკოლაში მისაყვანად 300 ლარია საჭირო. სახელმძღვანელოები ძალიან ძვირია. საიდან მოვიტანო ფული, არ ვიცი. ჩვენი ოჯახის ბიუჯეტი 200 ლარია: ჩემი ხელფასი (იურისტი ვარ, მაგრამ ასაკის გამო სამსახურიდან დამითხოვეს და სადგურში დამლაგებლად ვმუშაობ) და დედაჩემის პენსია. ამას წინათ პრეზიდენტმა თქვა, რომ ყველა მოსწავლე უფასოდ მიიღებს ნოუთბუქს, ინგლისურს კი ამერიკელები შეასწავლიანო. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჯობდა, უფასო სახელმძღვანელოები დაერიგებინა...





**«ჩემს შვილს გიგა ჰქვია, — გვეუბნება 44 წლის თეა ჯაფარიძე, — მამამისი დაიღუპა, ბავშვს მარტო ვზრდი. 72 წლის დედა ჩემთან ცხოვრობს. ადრე ხალხური ცეკვის ანსამბლს ხელმძღვანელობდა. გიგაც კარგად ცეკვავს, მაგრამ 50 ლარი არ გვაქვს, რომ ანსამბლში იაროს. წელს ბავშვის სკოლაში მისაყვანად 300 ლარია საჭირო»**

**ინა ზოლოტუხინა**
უკრაინული გამოცემა „სეგოდნია“

საქართველო და მსოფლიო

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მართლმადიდებელი სარწმუნოება საქართველოში დომინანტი აღარ იქნება. შეიქმნება ავტონომიური ერთეულები, სადაც სწავლება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე იქნება, ქართული კი დამატებითი საგანი გახდება, საქმეთა წარმოება, აბრევიატურა მათ ენაზე წარიმართება. ჯამში კი ყოველივე იმას გამოიწვევს, რომ ახალ სამაჩაბლოსა და აფხაზეთს მივიღებთ, ზუსტად იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს გვაქვს. ამის წინაპირობა იყო სხვადასხვა რელიგიების მიმართ რელიგიური კონფესიების მინიჭება“.



## «ევროსაბჭოს დაკვეთით მზადდება კანონპროექტი ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ, ეს ქვეყნის დაღუპვაა!»

# დეკანოზი დავით ისაკაძე:

# სატუსაღოში ყველაფერი ისმინება, მათ შორის — პატიმრების აღსარებაც

## აქედან გამომდინარე, აღსარებების მიღება, სხვადასხვა პირად საკითხზე მსჯელობა, შეგონება ჩურჩულით გვიწევს

**გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი ДАВИТ ИСАКАДЗЕ ესაუბრა.**

ჩვენი მოვალეობა ისაა, რომ არგუმენტირებულად, დასაბუთებულად და ობიექტურად საზოგადოებას ვაუწყოთ სწორი ეკლესიური ხედვა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მე როგორც ამბიონიდან ვესაუბრები მრევლს, ასევე შემიძლია ვესაუბრო თქვენი გაზეთის მეშვეობით. ესეც არის თავისებური ამბიონი, საზოგადოებისთვის ხმის მიწვდენის ერთ-ერთი გზა. ვფიქრობ, ეს საშუალება აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მითუმეტეს მაშინ, როცა ქართულ მართლმადიდებელ სარწმუნოებას და ეროვნულ ცნობიერებას ასე ძალუმად ებრძვიან, როცა ერი სულიერ და ფიზიკურ ანექსიას განიცდის. ეს სიტყვები ჰაერიდან არ მომაქვს. ჩემი სიტყვების დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს რეგიონული ენობრივი სტატუსი მიენიჭებათ. ამ სტატუსის მინიჭებით სომხური და აზერბაიჯანული ენები და რელიგიები იმ რანგში აჰყავთ, რომელშიც ქართული ენა და მართლმადიდებლობა, ანუ **მართლმადიდებელი სარწმუნოება საქართველოში დომინანტი აღარ იქნება. შეიქმნება ავტონომიური ერთეულები, სადაც სწავლება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე იქნება, ქართული კი დამატებითი საგანი გახდება, საქმეთა წარმოება, აბრევიატურა მათ ენაზე წარიმართება. ჯამში კი ყოველივე იმას გამოიწვევს, რომ ახალ სამაჩაბლოსა და აფხაზეთს მივიღებთ, ზუსტად იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს გვაქვს. ამის წინაპირობა იყო სხვადასხვა რელიგიების მიმართ რელიგიური კონფესიების მინიჭება.**

რომელი ქვეყანა დაუშვებდა მსგავს უგუნურებას?! მაგრამ, რადგან ეს ევროსაბჭოს მოთხოვნა იყო, ხომ უნდა შეესრულებინა ჩვენს ხელისუფლებას. როგორც ილია მართალი ბრძანებს, — ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო. თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ, უკვე კარგა ხანია, საკუთარი თავი დავკარგეთ როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ. სახარებაში ასეთი სიტყვებია: „საქმემან შენმა გამოგაჩინოს შენ“. ხე ნაყოფით შეიცნობაო, — ჩვენი ხელისუფლების ნაყოფი კი უკვე საკმაოდ ვიგემეთ.

რაც ყველაზე უარესია, **ევროსაბჭოს დაკვეთით მზადდება კანონპროექტი ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ. რაც უდიდესი ტრაგედიაა. ესაა ქვეყნის დაღუპვა, ერის გადაგვარება. რაში გვჭირდება ევროსაბჭოში შესვლა საკუთარი ზნეობის, მორალის, ღირსებისა და მრწამსის დაკარგვის ხარჯზე?!**

ყველა ქვეყანა ცდილობს, რომ თავისი რელიგია წინ წამოწიოს, მხოლოდ საქართველოში ხდება, რომ დედაეკლესია ყველაზე ნაკლები უფლებებით სარგებლობს. რაც გვემართება, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი უნიათობის ბრალია. მტერს თუ საშუალება მიეცი, ის თვითდამკვიდრებაზე უარს იტყვის?!

**ავიღოთ თუნდაც ვატიკანი, რომელსაც საქართველოში იმდენად ფართო უფლებამოსილება აქვს მინიჭებული, არავის არაფერს ეკითხებიან. როცა ჩვენ იტალიის საელჩოს მდივანს, მღვდელ შულჩინსკის კითხვით მივმართეთ — ასეთ უფლებებს ჩვენ თუ მოგვანიჭებთ იტალიაში-თქო, გვიპასუხა: — რომელი სულელი იზამს ამასო?! ესე იგი ჩვენ ვყოფილვართ სულელები.**

მეტიც, როცა ქვემო ქართლში, სოფელ ტალავერში მეჩეთის მშენებლობის დროს სამართალდამცავებთან ერთად ჩავედით, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი მომვარდა და მე, ქართველს, ჩემსავე ქვეყანაში მეკითხება, — შენ აქ რა გინდა, რისთვის ჩამოხვედიო(?!).

ჯავახეთში მონოფიზიტობა ყვავის. კუმურდო, იქაური აგზნებული ბრბოს გადამკიდე, ვერ მოგილოცია. ქვემო ქართლში მეჩეთს მეჩეთზე გვიშენებენ...

**— მამაო, როგორც ვიცით, თქვენ საკმაოდ ბევრი პატიმარი სულიერი შვილი გყავთ და, აქედან გამომდინარე, ხშირად გიწევთ მათთან სტუმრობა. რა სულიერი და მორალური პრობლემების წინაშე დგანან დღეს ისინი?**

— საერთოდ ყველაზე დიდი პრობლემა თავად პატიმრების რაოდენობაა. ეს არის ქვეყნის ყველაზე დიდი ტრაგედია, ერის გენოფონდისთვის ყველაზე გამანადგურებელი დარტყმა. არადა, უამრავი საშუალება არსებობს იმისთვის, რომ ადამიანები გამოსწორდნენ. ხელისუფლება ეკლესიასთან ერთად უნდა ადგენდეს სწორ მეთოდებს მათ გამოსასწორებლად.

მთელმა საქართველომ იცის ის ფაქტები, რაც ხდება კარანტინში, როგორ სცემენ იქ პატიმრებს. ეს დაუშვებელია! კაცი ისედაც დაჭერილია, რაღად უნდა იმას ცემა?! როგორ შეიძლება, ადამიანს ისე მოექცე როგორც პირუტყვს?! იქ არიან ასაკოვანი ადამიანები, ასევე ისინი, ვისაც ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აქვთ, მაგრამ, ამის მიუხედავად, გარჩევა არ ხდება, ყველას სცემენ.

ასევე, დაუშვებელია სასჯელის შეკრების მეთოდი. ზოგიერთ ადამიანს ასე შეიძლება 20-30 წელიც მიუსაჯონ, ანუ ეს არის სამუდამო პატიმრობა, რაც დაუშვებელია. არადა, არაერთი პატიმარი ამ მეთოდით იხდის სასჯელს, ჩვენდა სამწუხაროდ. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მის უწმინდესობასთანაც გვქონდა საუბარი და მან შესაბამის ორგანოებს მიმართა, რომ კრებითობის მეთოდი ისე დამუშავებულიყო, პატიმრები გაცილებით ნაკლებ ვადაში დაბრუნებოდნენ ოჯახებს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. თუ პატრიარქის მიმართვის გათვალისწინებას აპირებდნენ, წესით, შედეგები უკვე სახეზე უნდა გვქონოდა.

**— მამაო, პატიმრებს რამდენად ეძლევათ იმის საშუალება, რომ აღსარება თავისუფლად ჩაგაბარონ, მართალია, რომ საიდუმლო აღსარებაც ისმინება ციხეში?**

**— ჩვენი შესვლის მომენტიდან სატუსაღოში ყველაფერი ისმინება, მათ შორის — პატიმრების აღსარებაც. აქედან გამომდინარე, აღსარების მიღება, სხვადასხვა პირად საკითხზე მსჯელობა, შეგონება ჩურჩულით გვიწევს. არის საკითხები, რომლებზეც შეგნებულად არ ვამახვილებთ ყურადღებას. მთავარია, პატიმარს ზიარების საშუალება მიეცეს.** მიმართვის გარდა, სხვა ბერკეტი ჩვენ, უბრალოდ, არ გაგვაჩნია. რაც შეეხება საზოგადოებას, იგი მხოლოდ საკუთარი საზრუნავით არ უნდა იყოს დაკავებული. **ყველა მართლმადიდებლის ვალია, პატიმრების რაოდენობაზე, თუნდაც ამ ბიჭების უკანონო დაკავებაზე, ამდენი საპატიმროების აშენებაზე რეაგირება მოახდინოს. არ შეიძლება ყველას საძახებელს მხოლოდ ერთეულები გაჰყვიროდნენ.**

ხელისუფლება საპყრობილეების გარეშე უნდა ელაპარაკოს საკუთარ ხალხს. არ ვამბობ იმას, რომ კრიმინალები და საერთოდ დამნაშავეები არ უნდა ისჯებოდნენ. უფალიც ბრძანებს: — დამნშავემ პასუხი უნდა აგოსო, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს უსაფუძვლო ან გადამეტებული დასჯის ხარჯზე. ადამიანის გამოსწორება სიყვარულითა და შეგონებითაა შესაძლებელი. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ხელისუფლებამ ეკლესიასთან ერთად უნდა შეიმუშაოს დასჯისა და გამოსწორების მეთოდები, რომ ქვეყანაში ამდენი პატიმარი აღარ იყოს, მაგრამ ხელისუფლებას ეს არ აწყობს. ამ საკითხთან დაკავშირებით პირადად მეც მივმართე შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს, მაგრამ პასუხად მხოლოდ დუმილი მივიღე.

**თუ მშენებარე საპატიმროებით ვიმსჯელებთ, ჩვენი ხელისუფლება პატიმართა რაოდენობის გაზრდას აპირებს. ვინ იცის, რამდენი მსუბუქი დანაშაულის მქონე, უკანონო პატიმარი გვყავს და გვეყოლება მომავალში, თუ საზოგადოებამ ხმა არ აღიმაღლა.**

გავიხსენოთ, თუნდაც ის რვა ბიჭი, რომლებიც ილიას უნივერსიტეტისა და კავკასიის ინციდენტის გამო დააკავეს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: — ამ ბიჭების დაკავება მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ ისინი მუდამ ამხელდნენ და ამხელენ ხელისუფლების უმსგავსო ქმედებებს; აპროტესტებდნენ პაპიზმის, მუსლიმანობის, მონოფიზიტობის გააქტიურებას საქართველოში, ▶



## «ილიას უნივერსიტეტის მეშვეობით ღმერთი დაგვიგმეს, ღვთისმშობელი შეგვიგინეს, ოჯახური სიწმინდე შეგვიბილწეს და პროტესტი არ უნდა გამოთქმულიყო მართლმადიდებლების მიერ?!»



## ევროზონის კრიზისი მსოფლიოს ემუქრება

**დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ კემერონის განცხადებით, რომელიც მან მანჩესტერში მმართველი კონსერვატიული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე გააკეთა, ევროზონის კრიზისი მთელი მსოფლიოს ეკონომიკას ემუქრება.** მისი თქმით, ევროპელმა პოლიტიკისებმა ევროპის ბანკებში სიტუაციის სტაბილიზაციისთვის სასწრაფო ზომები უნდა მიიღონ და კრიზისისგან დაცვაზე უნდა იფიქრონ, რათა ევროზონამ საკუთარ დავალიანებებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა შეძლოს.

## დედამიწის მოსახლეობა 7 მილიარდს აღწევს

**დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობა მიმდინარე წლის ოქტომბერში, სავარაუდოდ, 7 მილიარდს მიაღწევს, 2100 წლისათვის კი ამ მაჩვენებელმა, შესაძლოა, 10 მილიარდს გადააჭარბოს.** ასეთი მონაცემები ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში გაეროს მოსახლეობის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა. ზუსტი თარიღი, თუ როდის მიაღწევს მოსახლეობის რაოდენობა სიმბოლურ ნიშნულს, უცნობია. 2011 წელს დედამიწაზე დაახლოებით 135 მილიონი ადამიანი დაიბადება და 57 მილიონი დაიღუპება. საერთო ნამატი 78 მილიონი იქნება.

„საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოება და მისი აღმსარებლები შემოვლითი გზებით იდევნებიან. მოგეხსენებათ, ამ ბიჭების აყვანის მოტივად ადამიანის უფლებების ხელყოფა, ხულიგნობა სახელდება. ის კი არაფერს ნიშნავდა, წინა დღეებში პარლამენტში ერთმა პარლამენტარმა მეორეს რომ გაარტყა ხელი?! ეს ქმედება ადამიანის უფლებების ხელყოფად რატომღაც არ ჩათვალეს სამართალდამცავებმა. თუ ეს ბიჭები ამ მიზეზით დააკავეს, რატომ არ მოხდა პარლამენტარის დაკავება?“

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბესარიონ ქარცივაძე:

# «პატიმრებს ხის ჯვრის ტარების უფლებაც არ აქვთ, უნდა ნახოთ, როგორ ეხვეწებიან ადმინისტრაციას ჯვრების დატოვებას»

...უზნეობის ქადაგებას სკოლებში, ვგულისხმობ სექსუალური აღზრდის შემოტანას და ა. შ.

ილიას უნივერსიტეტის მეშვეობით ღმერთი დაგვიგმეს, ღვთისმშობელი შეგვიგინეს, ოჯახური სიწმინდე შეგვიბილწეს და პროტესტი არ უნდა გამოთქმულიყო მართლმადიდებლების მიერ?! ეს რომ სადღაც კაფეში ან კონკრეტულ ოჯახში ყოფილიყო, ჩვენ შეიძლება ვერც გაგვეგო და არც ასეთი რეაგირება მოგვეხდინა, მაგრამ ეს ხდება სახელმწიფო სასწავლებელში (თუნდაც კერძო ერქვას, ამას მნიშვნელობა არ აქვს), სადაც უამრავი სტუდენტი ირიცხება. შესაბამისად, ამას მძაფრი პროტესტი მოჰყვა, რისთვისაც მათ სჯიან.

**აქედან გამომდინარე, მინდა ვთქვა: საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოება და მისი აღმსარებლები შემოვლითი გზებით იდევნებიან. მოგეხსენებათ, ამ ბიჭების აყვანის მოტივად ადამიანის უფლებების ხელყოფა, ხულიგნობა სახელდება. ის კი არაფერს ნიშნავდა, წინა დღეებში პარლამენტში ერთმა პარლამენტარმა მეორეს რომ გაარტყა ხელი?! ეს ქმედება ადამიანის უფლებების ხელყოფად რატომღაც არ ჩათვალეს სამართალდამცავებმა. თუ ეს ბიჭები ამ მიზეზით დააკავეს, რატომ არ მოხდა პარლამენტარის დაკავება? რატომ უნდა იცავდეს მას რაღაც იმუნიტეტი და რატომ უნდა განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი მოქალაქისგან?**

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ბიჭები ამერიკის ელჩის მოწოდებით თავისუფლების ინსტიტუტმა დააკავა. რაც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ხარისხზე მეტყველებს, თუ საერთოდ ხარისხი გაგვაჩნია.

მინდა მკითხველს შევახსენო, რომ ეს ბიჭები განაჩენს გალობით „აცხოვნე, უფალო, ერი შენი“ შეხვდნენ და არა — თავჩაღუნული დამნაშავეებივით. მეტიც, ისინი საპროცესო გარიგებაზე უარს აცხადებენ; დამნაშავენი არ ვართ და სრულად მოვიხდით უსამართლო სასჯელსო. ვამაყობ იმით, რომ XXI საუკუნეში ასეთი ახალგაზრდა აღმსარებლები გვყავს.

ქართველები უფრო მეტად უნდა ვქართველობდეთ, მაგალითს ამ ბიჭებისგან უნდა ვიღებდეთ.

**— მამაო, რამდენად შეიძლება ამ ბიჭების „სამაგალითო“ დასჯამ, საზოგადოება შეაშინოს და მასში ხმის ამოღების მცდელობა ჩაახშოს?**

— მე პირიქით ვფიქრობ. რაც მეტი აგრესია და დევნა იქნება აღმსარებლების მიმართ, მით მეტი მადლი დაეშვება მათზე და მით მეტად გაძლიერდება ამის თვითმხილველი საზოგადოებაც. მაგალითად, ამ ბიჭების დაკავების შემდეგ ჩვენთან ახალგაზრდა მერევლმა იმატა.

ყველასთვის გასაგონად მინდა ვთქვა: ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ არც ამ ბიჭების და არც ჩვენი სარწმუნოების გამო. მივმართავთ ყველა იმ საშუალებას, რომელიც ეკლესიურად და კანონმდებლობით გამართლებული იქნება.

**— მამაო, იქნებ გარკვეული პრობლემები მაინც მოგვარებულიყო სხვადასხვა სფეროში, საპატრიაქო რომ იმაღლებდეს ხმას ხელისუფლების მისამართით? კითხვებს აჩენს ის ფაქტიც, რომ საზოგადოებაში პატრიაქი ხშირად მაღალჩინოსნების გვერდით ჩნდება...**




საზოგადოებაში პატრიაქი ხშირად მაღალჩინოსნების გვერდით ჩნდება...

— საინტერესო შეკითხვაა. დავიწყოთ იმით, რომ პატრიარქს არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უპასუხოდ არ დაუტოვებია და მკვეთრი პოზიციაც დაუფიქსირებია. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ მის გვერდით მუდამ ჩინოვნიკებს ვხედავთ, ეს შეგნებულად ხდება, რასაც ერთადერთი მიზანი აქვს: — პატრიარქის რეპუტაციის შელახვა. იციან, პატრიარქი ვერავის ეტყვის, ტაძარში ნუ მოხვალ, ჩემ გვერდით ნუ დადგებიო და ისინიც ამ მდგომარეობას სათავისოდ, მზაკვრული განზრახვებისთვის იყენებენ.

# უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი კონგრესი ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების გადასაწყვეტად

**„საქართველო და მსოფლიოს“ ამ ნომერზე მუშაობის კვირაში რედაქციამ რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის — ნიკოლოზ თოლორაიას წერილი მიიღო:**

„პატივცემულო მთავარო რედაქტორო, — **წერს იგი,** — თქვენ გეხმიანებათ ნიკოლოზ თოლორაია მოსკოვიდან. აქ მე, 75 წელიწადზე მეტია ვცხოვრობ. მოსკოვში მივიღე უმაღლესი განათლება, ვარ მოსკოვის დაცვის მონაწილე, ვმეთაურობდი პარტიზანთა (ახალგაზრდების) რაზმს, ვიბრძოდი ბრიანსკის, სმოლენსკის, ორლოვის ოლქებში, ჩრდილოეთ კავკასიაშიც მიბრძოლია. დაჯილდოებული ვარ ოცი ორდენითა და მედლით. ვიყავი ჩეკისტი, ვმუშაობდი ვ. მოლოტოვთან საგარეო საქმეთა სამინისტროში, ვასრულებდი ი. სტალინის პირად დავალებებს. დავამთავრე სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლესი დიპლომატიური სკოლა, ნამყოფი ვარ და მიმუშავია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, ვიყავი მოსკოვის პირველი სპორტული გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი.

განათლებით ვარ ფილოსოფოსი, გამოქვეყნებული მაქვს საკმაო რაოდენობის სტატიები არამატერიალური სამყაროს რეალურად არსებობის შესახებ. ამჟამად პენსიაზე ვარ, მაგრამ განვაგრძობ მუშაობას ჩემი სპეციალობით. ჩემ შესახებ ამ ყველაფერს მოკლედ გწერთ იმიტომ, რომ იცნობდეთ ამ წერილის ავტორს.

საქმე ის არის, რომ ამ დღეებში ქალაქ ზუგდიდიდან გამომიგზავნეს თქვენი გაზეთის ივლისის თვის ორი ნომერი. გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ასეთი გამოცემა, ასეთი კვალიფიციური მასალებით პირველად წავიკითხე. გილოცავთ თქვენ, ვულოცავ თქვენს რედაქციას ასეთ გამოცემას და ვიმედოვნებ, რომ კვლავაც გაახარებთ თქვენს მკითხველებს ასეთი ღრმაშინაარსიანი მასალებით.

ბატონო ირაკლი! თქვენ უჩემოდაც კარგად იცით, რომ ჩვენი, ყოფილი საბჭოთა საქართველო მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სავსებით სწორად იქცევით, როცა აკრიტიკებთ თქვენს მმართველებს სააკაშვილის მეთაურობით. ამავე სულისკვეთებით გამოირჩევა ზოგიერთი სხვა ქართული გამოცემა და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მაგრამ მე და თქვენ უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ბეჭდური ორგანოების ამგვარი გამოსვლები სასურველ შედეგს არ იძლევა.

მე, როგორც მოგწერეთ, მოვლილი მაქვს მთელი მსოფლიო, მაგრამ არსად მინახავს ისეთი მშვენიერი ქვეყანა, როგორიცაა ჩვენი საყვარელი სამშობლო — საქართველო. გთავაზობთ წინადადებას, შეიქმნას ქართული საზოგადოებრივი კონგრესი, რომელიც გააერთიანებს საქართველოში დღეს არსებულ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების ერთობლივად გადასაწყვეტად. ასეთი კონგრესის შექმნა არაფრით ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს.

ბატონო ირაკლი, გთხოვთ, თქვენი თანამშრომლების წრეში განიხილოთ ჩემი წინადადება.

თუ დაგჭირდებათ ჩემი მონაწილეობა თქვენს გაზეთში, გაცნობებთ ჩემს მისამართს და ბინის ტელეფონის ნომერს. კერძოდ, შემიძლია გამოგიგზავნოთ ჩემი ბეჭდური გამოცემები, პუბლიკაციები ფილოსოფიის საკითხებზე.

პატივისცემით,

**ნიკოლოზ ბაგრატის ძე თოლორაია**

## რედაქციისგან:

**ძვირფასო ბატონო ნიკოლოზ ბაგრატის ძევ, მადლობელი ვართ წერილისთვის. ამასთან, გაცნობებთ, რომ კონგრესი, რომლის შექმნის წინადადებითაც მოგვმართავთ, კარგა ხანია, არსებობს, ფუნქციონირებს სხვა ორგანიზაციებიც მსგავსი მიზნებითა და მიმართულებით.**

**მიუხედავად ამისა, თუ თქვენ, ბატონო ნიკოლოზ, და ჩვენს თანამემამულეებს გაქვთ კონკრეტული წინადადებები და მოსაზრებები ამ ფრიად საშური საქმიანობის სათანადო დონეზე და ეფექტიანად წარმართვის მიზნით, მზად ვართ, მივიღოთ და განვიხილოთ.**

# სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შესვლის წინ ჯვრის შეხსნას ადვოკატებისგანაც მოითხოვენ

**პატიმრების რელიგიურ პრობლემებთან დაკავშირებით გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ადვოკატ ბესარიონ ქარცივაძეს გაესაუბრა.**

— მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი ნორმატიული აქტი პატიმრისთვის ჯვრის ჩამორთმევას არ ითვალისწინებს, ეს პრობლემა ქრისტიან პატიმრებს მაინც აქვთ. პირად ნივთებთან ერთად მათ ჯვრებსაც ხსნიან, რითაც შეურაცხყოფას აყენებენ. ადამიანის საფარზე შეხებისა და მითუმეტეს შეურაცხყოფის უფლება კი არავის აქვს. ყოველივე ეს ხდება აბსოლუტურად დაუსაბუთებლად. თუ პრობლემა, დავუშვათ, ძვირფასი ლითონია, მაშინ ჯვრის გაცვლა მაინც უნდა ხდებოდეს, თუმცა პატიმრებს ხის ჯვრის ტარების უფლებაც არ აქვთ. თუ ვინმემ იცის, რა არის ქრისტიანული მრწამსი და მორალი, ისიც უნდა იცოდეს, ქრისტიანისთვის რას ნიშნავს ჯვრის გარეშე ყოფნა, მითუმეტეს — კვირების, თვეების განმავლობაში. უნდა ნახოთ, როგორ ეხვეწებიან პატიმრები ადმინისტრაციას ჯვრების დატოვებას.

სჯულის კანონით, მეუღლეებს ცოლქმრული მოვალეობის შესრულების დროსაც კი ევალებათ ჯვრის ტარება და წარმოიდგინეთ, როდესაც ასეთ საფარზე გეუბნებიან, უნდა შეიხსნაო. ეს არის ქრისტიანის ყველაზე დიდი შეურაცხყოფა.

მართლმადიდებელმა პატიმრებმა გამოსავალი იმით მოძებნეს, რომ გულზე დასაბნევი ჯვრების კეთება ძაფებითა და სხვადასხვა ქსოვილებისგან დაიწყეს. მართალია, ისინი ჯვრის მატარებლები არიან, მაგრამ არ ხდება ჯვრის კანონიკის დაცვა. ჩვენდა სამწუხაროდ, ციხეზე ეს ყველაზე მტკივნეული რეალობაა.

**სხვათა შორის, რაც უნდა გასაკვირი იყოს, სხვადასხვა დაწესებულებებში შესვლის წინ ჯვრის შეხსნას ადვოკატებისგანაც მოითხოვენ, თუმცა ეს არც ერთ განაწესში არ წერია. ვინ რამდენად ემორჩილება ამ მოთხოვნას, ეს კიდე ცალკე თემაა.**

უნდა აღინიშნოს, რომ პატიმრების გამოსწორებაში უდიდეს როლს ასრულებს სწორი სულიერი ხედვა, მიდგომა, შეგონება და ამას ჩვენი მოძღვრები მათთვის არ იშურებენ.

გარდა სულიერი პრობლემებისა, საპატიმროებში მთელი რიგი საყოფაცხოვრებო პრობლემებისა დგას. მოკლედ რომ ჩამოვთვალოთ, ეს არის ჰიგიენის, კვების, ჩაცმის, მოპყრობის მხრივ და ა. შ.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ საპყრობილეების ადმინისტრაციებმა უკვე აღარ იციან, რა ახალ-ახალი უგუნური შეზღუდვები დაუწესონ პატიმრებს.

მოამზადა **ეკა რობაქიძემ**

მოკლედ

## ნიუ იორკში 700-მდე დემონსტრანტი დააკავეს

**სამართალდამცავებმა ნიუ იორკში დაახლოებით 700 დემონსტრანტი დააკავეს. აქციის მონაწილეები, რომლებიც უოლ-სტრიტზე განლაგდნენ, ბრუკლინის ხიდზე მოძრაობის გადაკეტვას შეეცადნენ.** მოძრაობა „დაიკავე უოლ-სტრიტის“ აქტივისტები ამტკიცებენ, რომ აშშ-ის მოსახლეობის 99 პროცენტს წარმოადგენენ. სამართალდამცავების განცხადებით, აქციის მონაწილეები მას შემდეგ დააკავეს, რაც მათ ბრუკლინის ხიდის გადაკეტვა სცადეს და გზის სავალ ნაწილზე გადავიდნენ. დემონსტრანტები აშშ-ის ხელისუფლებას მსხვილი კორპორაციებისთვის მხარდაჭერაში და ხალხის მიმართ გულგრილობაში ადანაშაულებენ.




## კეთილი რჩევა ირანს

**ამერიკის შეერთებული შტატები ირანს მოუწოდებს, ამერიკის სანაპიროებთან სამხედრო ხომალდების გაგზავნის ნაცვლად თავის რეგიონულ პრობლემებს მიხედოს.** შესაბამისი განცხადება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა გააკეთა. ჰილარი კლინტონის უწყების წარმომადგენელმა ირანს ურჩია, მის რეგიონსა და ტერიტორიულ წყლებთან ახლოს არსებული პრობლემების მოგვარებაზე იზრუნოს. ნულანდის თქმით, ირანისთვის უკეთესი იქნება, თუ იგი თავის რესურსებს ადენის ყურეში მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენებს.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საქართველოში ეთნიკური და რელიგიური დევნა არასოდეს ყოფილა! ერთ ფაქტს ვერ მანახებთ, საქართველოში ან სინაგოგა დაენგრიოს ვინმეს, ან მეჩეთი, ან ყურანი დაეწვას; კათოლიკეები კი, რომლებიც ახლა ჭკუას გვარიგებენ, ცეცხლში წვავდნენ მუსლიმანებსაც და ებრაელებსაც, ჯვაროსნულ ლაშქრობებს აწყობდნენ. ჩვენ არ გვჭირდება მათგან სწავლება იმისა, თუ როგორ მოვექცეთ სხვებს“.

# «სინოდის ცალკეულ წევრებზე მართლაც იყო ზეწოლა!»



## მამა დავით ქვლივიძე:

# კომპრომატები აქვს სახელმწიფოს სასულიერო პირებზე — ეპისკოპოსებზეც და მღვდლებზეც! დაუდეს ეს კომპრომატები და უთხრეს — ეს ხომ თქვენა ხართ? ახლა რასაც გეტყვით, იმას გააკეთებთ, თორემ ჩვენ ვიტყვით, თქვენ ვინ ხართ!

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავით ქვლივიძე.**

**— მამაო, ამ რამდენიმე ხნის წინ პრესაში გამოქვეყნდა წერილი-მიმართვა უწმინდესისადმი და წმინდა სინოდისადმი, სადაც მღვდელმსახურები სთხოვდნენ მათ, უფრო მკაცრი პოზიცია დაეფიქსირებინათ რელიგიების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით. წერილზე ხელმომწერთა შორის თქვენც ბრძანდებოდით. რა გამოხმაურება მოჰყვა თქვენს ამ მიმართვას საპატრიარქოს მხრიდან?**

— შეგვეწიოს უფალი! ჯერ არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა, უბრალოდ, ვიცით, რომ უნდა გაიმართოს წმინდა სინოდის სხდომა და ვფიქრობ, ამ სხდომაზე განიხილავენ ამ საკითხს. ამ ხელმომწერთა გარდა, კიდევ უამრავი სასულიერო პირი იყო, რომელიც ჩვენს აზრს იზიარებდა, უბრალოდ, ფიზიკურად ვერ მოხერხდა, თავიანთი აზრი ხელმოწერით დაეფიქსირებინათ. ეს მართლაც იყო თხოვნა შვილებისა მამისადმი. ეს არის ჩვენი ტკივილი დედაეკლესიის ირგვლივ მიმდინარე პროცესების მიმართ. ეკლესია ჩვენთვის დედაა! როგორც წმინდა კვიპრიანე კართაგენელი ბრძანებდა, „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის ღმერთი მამა ვერ იქნება“, ამიტომ ვალდებულნი ვართ ერიც და ბერიც, გავუფრთხილდეთ და დავიცვათ იგი, ამიტომაც მივმართეთ ჩვენს სულიერ მამას, ჩვენს უწმინდესს ამ თხოვნით.

ჩვენს ეკლესიას ნამდვილად მძიმე ჟამი უდგას, რადგან ამ კანონპროექტით ხდება მართლმადიდებლობის დისკრედიტირება. სულ ახლახან გამოვიდა ასირიული კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელი და თქვა, რომ ჩვენც იგივე უფლებები უნდა გვქონდეს, როგორიც მართლმადიდებლებს აქვთო. რატომ? განა ვატიკანში კათოლიკეებისნაირი უფლებები აქვთ მართლმადიდებლებს? კითხვა მიჩნდება, უბრალოდ: რომელ ქვეყანაში ხდება ეს? შეიძლება ასე ამერიკის შეერთებულ შტატებშია, მაგრამ ის ხომ სხვადასხვა ერებისგან შექმნილი ქვეყანაა, თანაც — არც თუ დიდი ხნის წინ!

ვნახოთ, როგორაა ტრადიციულ ქვეყნებში — ინგლისში, სადაც ანგლიკანური ეკლესია წარმმართველია და მეფეა თავი ეკლესიისა, ანგლიკანური ეკლესია უპირველესია თავისი უფლებებით. ახლახან ჩვენთან სტუმრად იყო ბერძენი მღვდელი და გაუკვირდა, — ჩვენ, ინგლისში მცხოვრებ მართლმადიდებლებს, რატომ უნდა გვქონდეს პრეტენზია, რომ ისეთივე უფლება გვქონდეს, როგორიც ანგლიკანებსო?! **შვეიცარიაში, სადაც ოთხასი ათასი მუსლიმანი ცხოვრობს, სულ ოთხი მეჩეთია და კიდევ ორის აშენების გამო რეფერენდუმი ჩაატარეს და მთავრობამ არ მისცა უფლება. საუბარია ნავთობის მაგნატებზე, შეიხებზე, რომლებიც საკუთარ ჭაბურღილებს ფლობენ და შემოსავლის უდიდესი ნაწილი შვეიცარიის ბანკებში აქვთ შენახული. გერმანიაში, კიოლნში კი საერთოდ შეაჩერეს მეჩეთის დაწყებული მშენებლობა; ახლა არჩევნები იწყება და ერთ-ერთი პარტია წინასაარჩევნოდ პირდაპირ აცხადებს, რომ ჩვენ თუ მოვალთ, ამათ მეჩეთებს არ ავაშენებინებთო. ბრემენში კი რუსებს მართლმადიდებლური ტაძრის აშენება უნდოდათ და ამის უფლება, მოსახლეობის პროტესტის გამო, არ მისცეს — ზარების რეკვა შეგვაწუხებსო! რუმინელ და ბულგარელ მართლმადიდებლებს კი წირვა-ლოცვის ჩასატარებლად ტაძრების ქირაობაზე უარს ეუბნებიან. ამის გამო გერმანელებს არავინ ეუბნება, თქვენ ნაცისტები ხართო.**

საფრანგეთში მუსლიმან ქალებს ჩადრებით სიარულის უფლებას არ აძლევენ და მეტიც — მეჩეთის გარეთ ლოცვაც კანონით აუკრძალეს; ვინც მეჩეთს გარეთ ილოცებს, დავიჭერთო! ვინმე გაბედავს და ან ინგლისელს, ან შვეიცარელს, ან ფრანგს, ან გერმანელს არადემოკრატიულობაში დაადანაშაულებს? იქ ყველა ჯერ თავისას სცემს პატივს და უფრთხილდება! წარმოგიდგენიათ, ჩვენ საქართველოში ქუჩაში მლოცველ მუსლიმანზე რომ ეს ვთქვათ, რას გვიზამენ? ან ბაზარში მწვანილს რომ ყიდიან აზერბაიჯანელი ქალები და მათ ავუკრძალოთ თავშლით დგომა, რა მოჰყვება ამას, გიფიქრიათ?

**— მამაო, იქნებ ეს ყველაფერი ზედმეტი ტოლერანტობის, გადამეტებული სტუმართმოყვარეობის, ქართული ხასიათის ბრალია? ნათქვამია, სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო და ჩვენ პირიქით ხომ არ ვაკეთებთ — ვინც ჩვენთან სტუმრად მოდის, ყველას ქუდს ვიხურავთ? იქნებ ჩვენ ვართ ამაში დამნაშავე?**

— მე ცოტა სხვანაირად დავაყენებ ამ საკითხს. ადამიანი რომ გიყვარდეს და მას პატივს სცემდე, ეს დანაშაული არ არის. ქართველებს კაცთმოყვარება სისხლში გვაქვს და ამიტომაც იყო, რომ 1830-იან წლებში თურქეთიდან გამოდევნილი სომხები შევიფარეთ; გარდაბანში და მარნეულში, სადაც დღეს აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს, ისინი ერეკლეს დროსაც იქ სახლობდნენ და ისეთი კეთილგანწყობა იყო ქართველებსა და მათ შორის, რომ კრწანისის ბრძოლაში ერეკლეს მხარეს აზერბაიჯანელთა ერთი ათასეული იბრძოდა. ჩვენი წინაპრები კაცთმოყვარენი იყვნენ, ადამიანურად პატივს მიაგებდნენ და გვერდში edgნენ სხვა სჯულის ადამიანებს, მაგრამ, როდესაც საქმე სჯულს და სარწმუნოებას ეხებოდა, იქ ქართველი შეუპოვარი იყო. დღეს ასე არიან ებრაელები — ებრაელი ყველანაირად მიგიღებს, გვერდში დაგიდგება, მაგრამ, თუ საქმე სარწმუნოებას ეხება, მას აქ თავისი მკაცრი მოთხოვნები აქვს. მე ვფიქრობ, ამ ხალხის ასეთი დამოკიდებულება საკუთარი სარწმუნოების მიმართ ჩვენთვისაც მისაბაძი უნდა იყოს.

მართლმადიდებელ ქართველს რომ უყვარდეს თავისი სარწმუნოება, სამშობლო, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ისევე, როგორც ინგლისელს უყვარს ანგლიკანური ეკლესია, ებრაელს უყვარს თავისი სინაგოგა. ჩვენთვის ძალით ქმნიან პრობლემას, ხელოვნურად ძაბავენ სიტუაციას და მერე, ამ სიტუაციის „მოსაგვარებლად“ მართავენ კონფერენციებს და უკიჟინებენ ხალხს, რომ „ჩააცხრონ“ ეს დაძაბულობა, რომელიც სინამდვილეში თავად შექმნეს. **ქართველს არ სჭირდება სწავლება კაცთმოყვარეობისა, ეს მას სისხლში აქვს, მთელი საქართველოს ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა. ამიტომაც საქართველოს მოსახლეობის ერთი მესამედი უცხოტომელები იყვნენ. საქართველოში ეთნიკური და რელიგიური დევნა არასოდეს ყოფილა! ერთ ფაქტს ვერ მანახებთ, საქართველოში ან სინაგოგა დაენგრიოს ვინმეს, ან მეჩეთი, ან ყურანი დაეწვას; კათოლიკეები კი, რომლებიც ახლა ჭკუას გვარიგებენ, ცეცხლში წვავდნენ მუსლიმანებსაც და ებრაელებსაც, ჯვაროსნულ ლაშქრობებს აწყობდნენ. ჩვენ არ გვჭირდება მათგან სწავლება იმისა, თუ როგორ მოვექცეთ სხვებს.**

**— მამაო, თქვენ ბრძანეთ, რომ ქართველები ყოველთვის ვიყავით კაცთმოყვარენი, მაგრამ არასოდეს ვყოფილვართ სჯულთშემწყნარებელნი. დღეს ძალიან ხშირად შეგვახსენებენ, რომ ჩვენი მეფე-წმინდანი დავით აღმაშენებელი მეჩეთშიც დადიოდა და სინაგოგაშიცო. მე ვფიქრობ, რომ აქ ისტორიული რეალობის მიზანმიმართულ დამახინჯებასთან გვაქვს საქმე, რამდენადაც ისეთი მართლმადიდებელი მეფე, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო, რომელიც წელიწადში ოცდაოთხჯერ სამოციქულოს კითხულობდა, მეეჭვება, მეჩეთში სალოცავად წასულიყო.**

— დავითის ცხოვრებას რომ გადავხედოთ, იქ არსად წერია, რომ ის მეჩეთში დადიოდა. მისი თანამედროვე არც ერთი ისტორიკოსი — არც ქართველი, არც სპარსი, არც არაბი, არც სელჩუკი — ამას არ წერს. ერთადერთი, ვინც აღნიშნავს დავითის მეჩეთში სიარულს, ეს არის სელჩუკი ისტორიკოსი ალ-ჯაუზი, კაცი, რომლის ისტორიულ მონაცემებსაც მსოფლიოში არავინ სერიოზულად არ მიიჩნევს. იგი ამბობს, ქართველებმა დიდგორის ბრძოლაში იმიტომ გაიმარჯვეს, რომ უფრო მრავალრიცხოვნები იყვნენ, ვიდრე მუსლიმანთა გაერთიანებული კოალიციაო. ამის მერე მისი რაღა უნდა დაიჯერო? დავითი რომ მეჩეთში არ დადიოდა, ამის ნათელი დადასტურება მთელი მისი ცხოვრებაა, დაწყებული რუის-ურბნისის საეკლესიო კრებიდან, რომელიც მისი ძალისხმევით ჩატარდა და რომელსაც ამოსავალ წერტილად დაუდო სიტყვები: **„არა გეცრუვენით შენ, ჩვენო სიწმიდით მშობელო წმიდაო კათოლიკე ეკლესიაო! არცა გაგცემთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობავ!“**. დიდგორის ბრძოლიდან, მან მრავალრიცხოვანი მტრის წინ მდგარ ქართველ მეომრებს მიმართა: **„ეჰა, მეომარნო ქრისტესნო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არათუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთო“**. მისი „გალობანი სინანულისანი“ — ეს არის მეფის საჯარო აღსარება მთელი ხალხის წინაშე. იგი ტირის ცხოვრებაში მის მიერ ჩადენილ ცოდვების გამო — მე ბევრი არასწორი რამ ჩამიდენია, ბევრჯერ მკაცრიც ვყოფილვარ, უსამართლოც, მოწყალებაც არ გამიცია, მკაცრად დამისჯია, მაგრამ უცხო ღმერთებისკენ არასოდეს გამიხედავს და, რაც ერთხელ მამა-პაპისგან მისწავლია, იმის ერთგული ვყოფილვარ ბოლომდეო. მხოლოდ ასეთ მეფეს შეაძლებინა უფალმა „ძლევაი საკვირველი“ და აი, ასეთ მეფეს სწამებენ ცილს, რომ ის მეჩეთში დადიოდა!

მე გეტყვით, დავით აღმაშენებელი მეჩეთში როდის იყო. ის ორჯერ იყო იქ: ერთხელ განჯაში, როცა სულიერ საკითხებზე ხოჯას, მუსლიმანთა შორის ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ სასულიერო პირს, ეკამათა და დაადუმა ისე, რომ მან პასუხიც კი ვერ გასცა. დავითმა ძველ აღთქმაზე დაყრდნობით დაუმტკიცა, რომ მესია მოვიდა და მესია არის ქრისტე. ის, მეთორმეტე იმამი, ვისაც მუსლიმანები ელოდებიან, არ იქნება მესია.

მეორედ დავითი მეჩეთში შევიდა მაშინ, როდესაც საქართველო თითქმის უკვე გაერთიანებული იყო და ქართველები გასათავისუფლებლად სომხურ ქალაქ ანისს მიადგნენ (დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა). იქ სელჩუკების დიდი გარნიზონი იყო გამაგრებული და გაუჭირდათ ქართველებს ქალაქის აღება. ისტორიკოსი წერს: „იმუქაფა დავით მეფემ“, მოლათა და დარიშმანთა სისხლით მორწყო მთელი ქალაქიო. შევიდა სელჩუკთა მიერ მეჩეთად გადაკეთებულ ტაძარში, სადაც ბერძენთა დედოფალი პატრონიკე განისვენებდა, ტაძარი ხელახლა აკურთხებინა და მის საფლავს სამჯერ ჩასძახა: **„გიხაროდენ, დედოფალო, ურჯულოთა ხელიდან ვიხსენი ღვთის სახლიო“**. დედოფალმა კი საფლავიდან სამჯერ ამოსძახა: **„გიხაროდენ! გიხაროდენ! გიხაროდენ!“**. აი, როგორი იყო წმინდა მეფის „შესვლა მეჩეთში“!

ის თავისი სამშობლოს და ქრისტეს მტრებს ასე უსწორდებოდა. როდესაც თბილისი აიღო, სასტიკად დასაჯა ის მუსლიმანები, რომლებიც ამირას მხარეს იყვნენ, მაგრამ მაშინვე გამოსცა ბრძანება, რომ ქართველებს შეურაცხყოფა აღარ მიეყენებინათ მათთვის, აღარ დაეჩაგრათ. დავითი თავის თავს არა მარტო ქართველთა მეფედ მიიჩნევდა, არამედ ის იყო მეფე ქართველთა, აფხაზთა, ჰერთა, რანთა, კახთა; თბილისში მცხოვრები მუსლიმანების მეფეც იყო, თუმცა მათ უთხრა, — ჩემთვის მეჩეთში ნუ ლოცულობთ, რადგან ჩემთვის ის ხალხი ლოცულობს, ვინც ჭეშმარიტ ღმერთს ემსახურება! თქვენთვის ილოცეთ, მაგრამ მეჩეთს არ გამოსცდეთო. სახარებაზე გაზრდილი მეფე სხვანაირად ვერ მოიქცეოდა!

**— მამაო, როგორ ფიქრობთ: მაშინ, როდესაც სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებობდა კონკორდატი, მაშინ, როდესც ხელისუფლების წარმომადგენლები ხმამაღლა გვეუბნებიან, რომ, როცა სხვები ქუჩაში ყვირიან, ჩვენ ტაძრებს ვაშენებთო; როცა ჩვენს უწმინდესთან ერთად ტაძარში დგანან დიდი კელაპტრებით ხელში, უფრო მეტიც — უწმინდესი „ძალიან უყვართ,“... რატომ გახდა ამ კანონის ასე დაჩქარებული წესით მიღება საჭირო, უწმინდესთან შეთანხმების გარეშე? და საერთოდ, ვისთვის და რისთვის მიიღეს ეს კანონი, კანონი, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ უკვე ამოქმედდა?**

— რატომ მიიღეს ასე დაჩქარებული ტემპით, არ ვიცი, ალბათ, ვიღაცის მითითება შეასრულეს... შედეგები კი სახეზეა — კათოლიკები იმავე უფლებებს ითხოვენ, რასაც მართლმადიდებლები. **სომხები საქართველოში 600 ტაძარს გვედავებიან. მათ კითხვა დავუსვი: თუ თქვენ საქართველოშო 600 ტაძარი ააშენეთ, ქართველები — ჩემი წინაპრები, რაღას აკეთებდნენ-მეთქი? გამოდის, ქართველებს არაფერი აუშენებიათ! ეს — იმ ფონზე, როდესაც სომხეთში ამაზე გაცილებით ნაკლები ტაძრები აქვთ! წაიკითხეთ „ქვათა ღაღადი“ — საკუთარი, მამაპაპისეული, საბრძოლო ციხე-კოშკიც კი არ აქვთ! ეჩმიაძინის სამრეკლოზე შაჰ-აბასის ბარელიეფია გამოსახული! გესმით? ქრისტიანების დაუძინებელი მტრის გამოსახულება მათი მთავარი სალოცავის სამრეკლოზეა! ამაზე არავინ ლაპარაკობს! წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში და ულვაშებიანი შაჰ-აბასის გამოსახულებიან სალოცავებს მიხედონ და ჩვენსას ნუ გვედავებიან!**

სომხებმა იერუსალიმში წაგვართვეს წმინდა იაკობის ტაძარი XVII საუკუნეში, რომელიც ქრისტეს საფლავიდან სულ რაღაც ორმოცდაათ მეტრშია. ვეუბნებით, რომ დაგვიბრუნონ ის ტაძარი, რომელიც ჩვენი იყო, „ის სხვა ეპარქიაა და ვერ დაგიბრუნებთო,“ — ესაა მათი „ძმური პასუხი“!

**— მამაო, ამ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საინგილოში სკოლაში ქართული წიგნები დაუწვეს ბავშვებს. ქართულად ლაპარაკს, ქართული სახელების დარქმევას უკ-**

## «ახლა ესენი ამზადებენ ნიადაგს, რომ მერე დაიჭირონ მღვდლები, ამისკენ მიდის ყველაფერი. ჯერ ვერ იჭერენ, რადგან ამაზე მთელი ამბავი ატყდება. როდესაც ხალხს დააჯერებენ, რომ მღვდლები ასეთები არიან და ენას შეაჩვევენ და ხალხის განწყობაც მკვეთრად უარყოფითი იქნება, ამ ფონზე მღვდლების დაჭერა აღარ გაუჭირდებათ»

**დიდი სიფრთხილეა საჭირო და დიდი პასუხისმგებლობა აქვს ეკლესიას! ქრისტე მოციქულებს და, მათი სახით, მღვდლებს ეუბნება — თქვენ მარილი ხართ, რათა ეს სოფელი დაამარილოთ, რაჟამს მარილი განქარდება და ძალას დაკარგავს, ეს მარილი უნდა გადაიყაროსო. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველანი, რომ ის მისია, რაც ღმერთმა დააკისრა საქართველოს ეკლესიას, შესრულდეს. ეს მისიაა ჭეშმარიტი სარწმუნოების, ეროვნულობის, ტრადიციების დაცვა. ეს თუ ჩვენ ვერ გავაკეთეთ, მაშინ ჩალის ფასი აქვს ჩვენს მღვდლებად ყოფნას!**

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მამა დავით ქვლივიძე:

# ეჩმიაძინის სამრეკლოზე შაჰ-აბასის ბარელიეფია გამოსახული! გესმით? ქრისტიანების დაუძინებელი მტრის გამოსახულება მათი მთავარი სალოცავის სამრეკლოზეა!



**რძალავენ. ამ სიტუაციაში მხოლოდ ეკლესია ვერაფერს გახდება, რადგან ის სხვა სახელმწიფოა თავისი კანონებით, არ ფიქრობთ, რომ ჩვენი ხელისუფლება უფრო აქტიურად უნდა მოქმედებდეს ინგილო ქართველების დასაცავად?**

— მე იმის იმედი მაქვს, რომ სახელმწიფოში არიან გონიერი ადამიანები, რომლებიც, ალბათ, ანალიზს აკეთებენ. ბევრი მათგანი ეკლესიაში დადის, მოძღვარი ჰყავს და ვიმედოვნებ, რომ ეს ხალხი მართლა დაფიქრდება... რაღაც თუ არ შეიცვალა, არაფერი აღარ დარჩება! მე არ ვიცი, კონკრეტულად დღეს და გუშინ საინგილოში რა მოხდა, მაგრამ ის ვიცი, რომ ქართული კულტურის ცენტრი დაიწვა და ამას ადგილობრივი პოლიცია გაუმართავ ელექტროგაყვანილობას აბრალებს. ის ვიცი, რომ ქართველ მღვდლებს ყოველთვის პრობლემა აქვთ წირვა-ლოცვის ჩატარებაზე. ქართული წიგნების, ხატების, სასულიერო ლიტერატურის შეტანაც პრობლემაა და ამის გამოა სწორედ გასაკვირი, როდესაც საქართველოში ყველა კონფესიას ასეთი თავისუფლება ეძლევა. თუ გვეუბნებიან, რომ ჩვენი მეგობრები და ძმები არიან, ძმობა და მეგობრობა მარადიულად ცალმხრივი ხომ არ შეიძლება, ორმხრივიც ხომ უნდა გახდეს?! ხომ არ შეიძლება, მხოლოდ მე ვიყო მისი ძმა და ის ჩემი მტერი იყოს?!

**განა თურქეთში ნაკლები ხდება? როგორც ვიცი, რადგან თურქეთს ევროკავშირში უნდა შესვლა, გარკვეულ მოთხოვნებს უყენებენ, პირველი მოთხოვნა კი ის არის, რომ რელიგიური თავისუფლება უნდა მისცეს ყველას — ტაძრები დაუბრუნეთ ყველასო. მე ვიცი, რომ სომხებმა უკვე ასამდე ტაძარი დაიბრუნეს. ჩვენს ქართულ ტაძრებზე კი ლაპარაკიც არ არის! როდესაც ამ კანონის მიღებამდე თურქები გვეუბნებოდნენ: „აჭარაში ოთხი მეჩეთის აშენების უფლება მოგვეცით და ჩვენ სანაცვლოდ ოთხ ტაძარს გაგაკეთებინებთ ტაო-კლარჯეთშიო,“ მათ შორის ოშკზეც იყო ლაპარაკი, ახლა საერთოდ აღარ გვკითხავენ, ისე აშენებენ, ოთხს კი არა, რამდენიც მოუნდებათ — იმდენს! ამ კანონმა აი ეს მოიტანა — საერთოდ არავინ არაფერს შეგვეკითხება, არანაირ მოლაპარაკებაზე აღარ წამოვლენ. აქამდე საპატრიარქო უწევდა წინააღმდეგობას და ვერ აშენებდნენ საპატრიარქოს ნებართვისა და თანხმობის გარეშე, ახლა აღარც საპატრიარქოს ჰკითხავენ, პირდაპირ აშენებენ არა მარტო მეჩეთებს, მედრესებსაც!**

**— მამაო, მრევლი ნიჰილისტურადაა უკვე განწყობილი საპატრიარქოს მიმართ. სინოდის გახმაურებულ სხდომამდე მრევლს ძალიან დიდი იმედი ქონდა, რომ გადაწყვეტილებაში მკაცრად დაფიქსირდებოდა მისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ კანონის მიმართ. ჩვენ დიდი იერარქებისგან გვესმოდა მოწოდებები, დაგვეცვა ეკლესია და ამაზე უკან არავის დაგვიხევია. მაგრამ სინოდის შემდეგ, რომელზეც ამ კანონთან დაკავშირებით პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა, გვეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგადაა, რომ რაღაც შესწორებებს შეიტანენ კანონში... დღემდე არაფერი შეცვლილა... რა მოხდა სინოდზე? თუკი არაფერი შეიცვლება, ჩვენ მართლმადიდებლებმა და მორწმუნე მრევლმა რა უნდა გავაკეთოთ? ეკლესია ხომ მხოლოდ თქვენ — სასულიერო პირები და დიდი თუ პატარა იერარქები არ ხართ? ეკლესია ხომ მრევლის გარეშე არ არსებობს? ნუთუ ჩვენ, მრევლს, არაფრის უფლება არ გვაქვს, მხოლოდ უნდა მიგვითითონ, რომ სასულიერო პირები არ განვიკითხოთ და ყველაფერზე თავი დავხაროთ? განა არ გვაქვს უფლება, სიმართლე ვიცოდეთ?**

— თქვენი დასმული კითხვა აბსოლუტურად მართებულია. ეკლესია არის ბერძნული სიტყვა და ნიშნავს საკრებულოს. ეკლესია არის სასულიერო პირთა და ერისკაცთა ერთობლიობა! ეკლესიის ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა სასულიერო პირები გაჩერებულან, სხვადასხვა მიზეზების გამო, რადგან ერთეულებზე ზემოქმედება ძალიან ადვილია. შეიძლება ეპისკოპოსი, მღვდელი შეაშინო, მოელაპარაკო, ზემოქმედება მოახდინო, გააჩერო, მაგრამ მრევლი არ ჩერდებოდა და იცავდა ჭეშმარიტებას. მრევლის თავდადების უამრავი მაგალითია საქართველოშიც და რუსეთშიც. როდესაც ახალ სტილზე გადავიდნენ რუსეთში პატრიარქი ტიხონი და საქართველოში ქრისტეფორე, მრევლი ტაძარში არ დადიოდა და ისევ ძველი სტილით ზეიმობდა შობას და აღდგომას! ისინი იძულებულნი იყვნენ, ისევ გადასულიყვნენ ძველ სტილზე, ანუ მრევლი არის სული და გული ეკლესიისა. მეტსაც გეტყვით, სასულიერო პირის არჩევისას გადამწყვეტ როლს თამაშობს მრევლი. როცა ხდება კურთხევა სასულიერო პირისა, მღვდელმთავრის მოწოდებაზე: „აქსიოს“ (ბერძნ. „ღირსია“) ჯერ ეპისკოპოსები პასუხობენ, მერე — მღვდლები, და ბოლოს — მრევლი. თუ მრევლმა დაიძახა: „ანაქსიოს“, ანუ ღირსი არ არის, კურთხევა ჩერდება! აი, რა ძალა აქვს მრევლს! მე ვფიქრობ, რომ ეს არის ჯანსაღი ტრადიცია და ამ ტრადიციამ და მრევლის ამ დამოკიდებულებამ მოიყვანა მართლმადიდებლობა აქამდე უცვლელად.

თქვენ მეკითხებით, სინოდზე რა მოხდაო. როგორც გაირკვა, **კომპრომატები აქვს სახელმწიფოს სასულიერო პირებზე — ეპისკოპოსებზეც და მღვდლებზეც! დაუდეს ეს კომპრომატები და უთხრეს — ეს ხომ თქვენა ხართ? ახლა რასაც გეტყვით, იმას გააკეთებთ, თორემ ჩვენ ვიტყვით, თქვენ ვინ ხართ! ამიტომ არის, რომ, როდესაც ეკლესიაში სასულიერო პირს აკურთხებენ, ის აუცილებლად სუფთა ადამიანი უნდა იყოს. მას თავის განვლილ ცხოვრებაზე პასუხისგება არ უნდა უჭირდეს. რა თქმა უნდა, არის ადამიანური ცოდვები, რაც ახალგაზრდობაში ჩაუდენია, მაგრამ, როდესაც შემდგომშიც აკეთებ ამას და შენზე მთელი მასალები არსებობს და საქმეებია აღძრული, მაშინ შენზე ზემოქმედება, ზეწოლა ძალიან ადვილია! დასჭირდათ და „აამუშავეს ეს მანქანა“. სინოდის ცალკეულ წევრებზე მართლაც იყო ზეწოლა!** სინოდზე, როგორც ვიცი, დადგენილებაში დაიწერა, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით ამ კანონ-პროექტსო. ეს ცალსახად იყო ნათქვამი, მაგრამ, როდესაც ოქმი შედგა, ეს ფრაზა იქ უკვე აღარ ეწერა. სწორედ ამ ფრაზის დაფიქსირებას ვითხოვთ ჩვენ, სასულიერო პირები, ჩვენი უწმინდესისადმი გაგზავნილ თხოვნაში.

**— სხდომის მდივანი იყო მეუფე გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)... ალბათ, მას უკეთ ეცოდინება...**

— მე არ ვიცი, ვინ რა იცის, ვინ რა გააკეთა თუ არ გააკეთა, მაგრამ არ არის დაფარული, რომელი არა გაცხადდეს! ყველაფერს ნათელი მოეფინება.

ჩვენ ახლა გულისტკივილით ვსაუბრობთ ეკლესიისთვის საჭირბოროტო საკითხებზე, სინოდზეც. ეს ეპისკოპოსებიც ჩემი ეპისკოპოსები არიან. როცა ტაძარში ვხვდები, მათ მაკურთხებელ მარჯვენას ვემთხვევი. ასეთია წესი იერარქიული. შეიძლება ბევრი მათგანი არასწორად იქცევა, მაგრამ ნახეთ, რა ხდებოდა — იუდას ებარა საერთო ფული, ის პარავდა ფულს იესო ქრისტეს და მოციქულებს, მაგრამ, როდესაც ქრისტემ 5 პურით 5000 დააპურა და თვითონ კი არ დაარიგა, მოციქულთა ხელით ურიგებდა, პური, რომელიც მრავლდებოდა მოციქულთა ხელში, ერთ-ერთი იყო იუდას მარჯვენა. ანუ რაზეა საუბარი, სანამ იუდა მოციქული იყო, მას ჰქონდა მღვდლობისა და მოციქულობის მადლი. ამიტომ ეპისკოპოსი, რაც უნდა ცუდად იქცეოდეს, ის უნდა განკვეთოს საეკლესიო კრებამ ან სინოდმა. არ არის სწორი მათი უშვერი სიტყვებით მოხსენიება, ეს ჩვენთვისვეა ძალიან ცუდი.

თან დააკვირდით, ეს ამდენი შეურაცხმყოფელი მიმართვები პრესიდან რის ფონზე ხდება — როცა გუჯეროტის, ვატიკანის ელჩს ღირსების ორდენს ჩუქნიან! კათოლიკეს ღირსების ორდენით აჯილდოებენ, მართლმადიდებელ მღვდელმსახურებს კი აგინებენ! თუმცა დღეს მთელ მსოფლიოში მიდის ანტიკათოლიკური პროპაგანდა! **ჩართეთ სი-ენ-ენი, ბი-ბი-სი, მთელი ფილმებია გადაღებული კათოლიკე მღვდლების პედოფილიაზე! ეპისკოპოსები ლამის დაიჭირეს! 4 მილიარდი აქვს საპროცესო გარიგებებში გადახდილი კათოლიკურ ეკლესიას იმ დაზარალებული მშობლებისთვის, რომელთა შვილებთანაც ამათ ურთიერთობა ჰქონდათ. ესპანეთში რომის პაპის ჩასვლა რატომ არ უნდოდათ? — ამ მიზეზების გამო! რომის პაპი გერმანელია, მაგრამ გერმანიაში ჩასულს ესროლეს! კათოლიკეებზე რატომ არავინ არაფერს წერს ჩვენს გაზეთებში, მხოლოდ მართლმადიდებელი მღვდელმსახურების ლანძღვა-გინებით რომაა აჭრელებული პრესა?** გასაგებია, რომ შეიძლება ყველა არ იყოს ეპისკოპოსობის ღირსი, იუდაც არ იყო მოციქულობის ღირსი, მაგრამ ეს განა გვაძლევს იმის უფლებას, რომ ყველა მოციქული ვლანძღოთ?

**— მამაო, თქვენ ბრძანეთ, რომ უბრალო ერისკაცს არ აქვს უფლება, ამხილოს მღვდელმთავარი, მაგრამ, როცა ძალიან ბევრ უკეთურებას ხედავს ხალხი, ბევრი ბრკოლდება კიდეც. დღეს ველარავის მოატყუებ, ხალხი მართლა ყველაფერს ხედავს, მაშინ, როდესაც მღვდელმსახურები ფუფუნებაში ცხოვრობენ, აღარ ვლაპარაკობ მათ სახლსასახლეებზე და აგარაკებზე, ამბიონიდან კი მრევლს უქადაგებენ, — სიღარიბე უნდა დაითმინოთ და აიტანოთ შიმშილიც, რადგან ეს გაცხონებთო. ეს ეკლესიაში ახალფეხადგმული მრევლისთვის ადვილი მოსასმენი არაა. და თუ რომელიმე ჩვეულებრივმა ადამიანმა ხმამაღლა გამოთქვა პროტესტი, მას სასწრაფოდ შეახსენებენ, რომ არ შეიძლება განკითხვა, ამ დროს მრევლი მობრუნდება და აუცილებლად გეტყვის — არც ასეთი სასულიერო პირები შეიძლება და განკვეთეთო... ეს მრევლი ამის გამო შეჩვენების ღირსია?**

— მე ასეთ ადამიანებს არ განვიკითხავ. ეს შეგონებაა და ჩემი, როგორც მოძღვრის, რჩევაა. მე, იცით, უბრალოდ, რა მინდა, გითხრათ, რომ ეკლესიის მტრებმა ეს სინოდის დადგენილება გამოიყენეს არასწორად და კამპანია წარმართეს ეკლესიის საწინააღმდეგოდ. **ახლა ესენი ამზადებენ ნიადაგს, რომ მერე დაიჭირონ მღვდლები, ამისკენ მიდის ყველაფერი. ჯერ ვერ იჭერენ, რადგან ამაზე მთელი ამბავი ატყდება. როდესაც ხალხს დააჯერებენ, რომ მღვდლები ასეთები არიან და ენას შეაჩვევენ და ხალხის განწყობაც მკვეთრად უარყოფითი იქნება, ამ ფონზე მღვდლების დაჭერა აღარ გაუჭირდებათ.** ამიტომ მოვუწოდებ ამ ადამიანებს, რომ ამდენი ლანძღვით უწმინდესისა, სასულიერო პირებისა, ეკლესიის მტრების საქმეს ნუ გააკეთებენ. აუცილებლად უნდა ამხილო, დიდი იერარქი იქნება თუ პატარა — თუ შენი ძმა სცოდავს, მიდი და უთხარი; თუ არ დაგიჯერა, ორნი მიდითო და კიდევ თუ არ დაგიჯერა, მერე მთელი კრება მიდით და ამის მერეც თუ არ დაგიჯერებთ, იყოს იგი თქვენთვის, ვითარცა მეზვერეო.

**თქვენ იცით, როგორი სიტყვებით მიმართავენ ათონელი მამები, როცა რაღაცებში ამხელენ მსოფლიო პატრიარქს — ბართოლომეოსს? — ჩვენო მაკურთხებელო მამაო, ვემთხვევი თქვენს მაკურთხებელ მარჯვენას, მაგრამ თქვენ მართალი არ ხართო...** ანუ ეკლესიას აქვს თავისი მიმართვის ფორმა, რომელიც აუცილებლად უნდა დავიცვათ. ჩვენც თუ ისეთები გავხდით, როგორებიც სხვები არიან, მაშინ რაღა ქრისტიანები ვყოფილვართ? ამას ღმერთი განა მოგვიწონებს? ვერც მოვიგებთ ამ ბრძოლას!

რაც შეეხება დასჯას, ზნეობრივი კომისიაა შექმნილი და ვფიქრობ (მინდა ვიფიქრო), რომ ის თავის საქმეს შეასრულებს. მათ რამდენიმე მღვდელი განაყენეს უღირსი ქმედების გამო. თუ ვინმეს რაიმე ფაქტები აქვს, დასაბუთებული წერილობით, უნდა მიმართოს ამ კომისიას და იქ განიხილავენ.

**— მამაო, რასაც ვუყურებ, იმ მღვდელმსახურთა ნელინელ შევიწროება მიდის, ვინც ხმამაღლა გამოთქვა თავისი გულისტკივილი ეკლესიის ნაკლოვანებების შესახებ... ისევ ეს პატიოსანი მღვდლები ისჯებიან.**

— ჩვენ ქრისტიანები ვართ. იესო ქრისტე ბრძანებს — რადგან მე მიმიღეს, თქვენც მიგიღებენ, რადგან მე მდევნეს, თქვენც გდევნიანო! მართლმადიდებლობის დამცველებს, რა, ყოველთვის არ დევნიდნენ? ეკლესია ასეა. ვინც სიმართლეს ამბობს, ეკლესიას იცავს, ის ხშირად ხდება დევნის მსხვერპლი. მაგრამ ჩვენ ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ მთავარია, უფალთან ვიყოთ მართალნი!.. ვამხილოთ, ვთქვათ ჩვენი სატკივარი, მაგრამ შეურაცხყოფა არავის მივაყენოთ, თუმცა სათქმელი აუცილებლად უნდა ითქვას! ჩვენ არ ვაკეთებთ პოლიტიკურ განცხადებებს, ჩვენ ჩვენი დედა ეკლესია გვტკივა!

ჩვენ კი არა, უდიდესი მამები, წმინდანები იდევნებოდნენ. რა უქნეს იოანე ოქროპირს? — იოანე ოქროპირი გადასახლებაში გარდაიცვალა. იოანე დამასკელიც განკვეთილი მოკვდა. გენადი კონსტანტინეპოლელი განკვეთეს, თანაც ცრუ VII საეკლესიო კრებამ! რა უქნეს მარკოზ ეფესელს, გრიგოლი პალამას? რომელი წმინდანი იყო დაწყნარებული? ამბროსი ხელაია, კირიონ მეორე... რომელი ერთი გავიხსენო? „სიყვარული ამა სოფლისა მტერობაა ღვთისაო,“ — წერია პირდაპირ და ამა სოფლის მოყვარული ხალხი ყოველთვის ებრძოდა ეკლესიას. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს. ჩვენ მთელი სასოება ისევ ღმერთზე უნდა გვქონდეს, ვლოცულობდეთ. ამიტომაც ვიძახი, რომ ამ ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობს, აუცილებელია, ღმერთი არ განვარისხოთ ჩვენი სიტყვებით და მიმართვებით, შევარჩიოთ სიტყვები, რითაც მივმართავთ თუნდაც ყველაზე უღირს მღვდელს.

**— მამაო, როცა დაგირეკეთ, ასე მითხარით, რომ მე ვარ მოძღვარი და მრევლში მყავს პოზიციაც და ოპოზიციაც, ნაციონალიც და არანაციონალიც, კეთილიც და ბოროტიც, მეძავიც და მრუშიც, ქურდიც და რეციდივისტიც, მკვლელიც, მამათმავალიც კი და ჩემი მთავარი დანიშნულებაა არა მათი განკითხვა და კარგებად და ცუდებად დალაგება, არამედ მათი ღმერთთან მიყვანა და...ყველაფერი უნდა ვილონო, რომ ეს შევძლოო... მამაო, არ გიჭირთ დღევანდელ დღეს ასეთ რთულ ვითარებაში, როცა არეულია მონასტერი, ამ ადამიანების ღმერთამდე მიყვანა?**

— თქვენ არ დაიჯერებთ და სწორედ ესაა მრევლი, რომელიც ეკლესიის პატიოსნებას იცავს. ადამიანები, რომლებიც გრძნობენ, რომ ეშმაკს დაუსხლტნენ, და ღმერთმა ისინი მიიღო და გულში ჩაიკრა, ყველაფერს აკეთებენ ეკლესიის დასაცავად. ასეთი ხალხი იცავს ჭეშმარიტებას. მათ იციან ბოროტების ფასი და სასჯელიც იციან, რა დღეში იყვნენ და როგორ დააღწიეს თავი ამ საშინელ ცოდვებს, ღმერთის კალთის ქვეშ დაივანეს, ღმერთმა მათ საკუთარი სისხლი და ხორცი მისცა, აზიარა და მათ ამის დაკარგვა აღარ უნდათ, ყველაფერს აკეთებენ, რომ ეკლესია დაიცვან, ღმერთთან ყოფნის სიტკბოება რომ არ დაკარგონ. ესეც იყო ეკლესიის ისტორია — ასეთი ხალხი იცავდა მარკოზ ეფესელს. პირდაპირ წერია, რომ მარკოზ ეფესელს იცავდნენ რამდენიმე სოფლის მღვდელი და მრევლი. აი, ვინ იყო მარკოზ ეფესელის გვერდით — მრევლი! რომელთა ნაწილიც, ღმერთმა იცის, როგორ ცხოვრობდა ტაძარში მისვლამდე. მრევლმა გადაარჩინა უნიისგან კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, რომ იცოდეთ. დღეს რომ მსოფლიო პატრიარქია კონსტანტინეპოლში, ეს ბერძენი მრევლის დამსახურებაა, რადგან მათ არ მიიღეს უნია, არ მიიღეს კათოლიკობა და იძახდნენ — ჩვენ გვირჩევნია, ჩალმა დავიფაროთ თავზე, ვიდრე — რომის პაპის ტიარაო. ამხელა ძალა აქვს მრევლს.

ადვილი არაა მათი მიყვანა ღმერთამდე. ეს ძალან რთული პროცესია, მაგრამ ისინი ღმერთს მიჰყავს თავისთან, მე მათაც ისევე ვესაუბრები, როგორც ახლა თქვენ, ციტატებით ისტორიიდან და წმინდა წერილიდან. სახარებისეული სიტყვები კი იმდენად გულშიჩამწვდომია, რომ სახარებას მიჰყავს ისინი ღმერთამდე. მთავარია, მღვდელმა არ გააუბრალოოს მათი ცხოვრება და „მერე რა“-ს არ შეაჩვიოს მრევლი.

**დიდი სიფრთხილეა საჭირო და დიდი პასუხისმგებლობა აქვს ეკლესიას! ქრისტე მოციქულებს და, მათი სახით, მღვდლებს ეუბნება — თქვენ მარილი ხართ, რათა ეს სოფელი დაამარილოთ, რაჟამს მარილი განქარდება და ძალას დაკარგავს, ეს მარილი უნდა გადაიყაროსო. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველანი, რომ ის მისია, რაც ღმერთმა დააკისრა საქართველოს ეკლესიას, შესრულდეს. ეს მისიაა ჭეშმარიტი სარწმუნოების, ეროვნულობის, ტრადიციების დაცვა. ეს თუ ჩვენ ვერ გავაკეთეთ, მაშინ ჩალის ფასი აქვს ჩვენს მღვდლებად ყოფნას!**

**— დაგვლოცეთ, მამაო.**

— უფალმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ, თქვენ და სრულიად მართლმადიდებელი სამყარო! ამინ!

ესაუბრა
**შორენა სიხარულიძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართული ბუნება ხშირად იმ მიზეზს, რომლითაც უნდა ზეიმობდეს, სამგლოვიაროდაც ხდის და ვერ გრძნობს სხვაობას, რომელი უფროა, მაცხოვრის მარჯვენით თუ მარცხენით გაკრული ავაზაკი, თუ ის, ვინაც უფალთან ერთად საქართველოც გააკრა ჯვარს.**



# ერთნი ჯვარს საცხოვნებლად ტვირთულობენ, მეორენი კი — წარსაწყმედად

## ჯვრის აღსრულების საიდუმლო ჩვენს თავისუფალ ნებას ემორჩილება და საბოლოოდ ან გოლგოთამდე, ანდა იმ ხემდე მივყავართ, რომელზეც იუდამ თავი ჩამოიხრჩო

**„ამაღლდა ჯვარი, რათა ჩვენ ქრისტიანები აგვამაღლოს, ამაღლდა ჯვარი, რათა მტრის ამპარტავნება დაამდაბლოს“.**

**მაცხოვარმა ადამიანებს მათი ზნეობრივი ვალი რჯულის ორი მცნებით განუსაზღვრა: „შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“ და „შეიყუარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.**

**ამასთან, უფალი ასწავლიდა, რომ ამ მცნებათა ჯეროვნად შესრულება შეუძლებელია საკუთარი თავის ამა თუ იმ ხარისხით უარყოფისა და მსხვერპლის გაღების გარეშე. მათი აღსრულება ღვაწლს ითხოვს. სად იპოვოს მორწმუნემ საამისო ძალა? იგი მას მიიღებს ქრისტესთან ერთობითა და მისდამი სიყვარულით, რაც ადამიანს აღძრავს, — შეუდგეს მაცხოვარს.**

ამ ღვაწლს ქრისტემ უწოდა „უღელი ჩემი“: **„აღიღეთ უღელი ჩემი თქვენ ზედა, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“.** უფალი მას, აგრეთვე, უწოდებს „ჯვარს“. თავის ჯვარცმამდე დიდი ხნით ადრე ქრისტე ასწავლიდა: **„რომელსა ჰნებავს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე“, „რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა ჩემდა ღირს არს“. მართლმადიდებლობა — ეს არის გზა ჯვარცმისა და გოლგოთისა. ეს არის დათმენის გზა, ქრისტეს სახელის მწუხარებათა, დევნისა და მძლავრობის გაძლების, მტერთაგან საფრთხისა და მუქარის ატანის, ქრისტესთვის ამქვეყნიურ სიკეთეთა უგულვებელყოფისა და საკუთარ ვნებებსა და გულისთქმებთან ბრძოლისა.** პავლე მოციქული წერს: **„ქრისტეს თანა ჯვარცმულ ვარ... ჩემდა ნუ იყოფინ სიქადულ, გარნა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, რომლისათვის სოფელი ჩემდამი ჯუარცუმულ არს და მე სოფლისა“.** ზნეობრივ ცხოვრებაში შინაგან ბრძოლასა და თავშეკავებას ვერ გაექცევი. **„რამეთუ მრავალი ვინმე ვლენან, რომელთათვის მრავალგზის გეტყოდე თქუენ, ხოლო აწ ტირილითა გითხრობ თქუენ მტერთა მათთვის ქრისტეს ჯუარისათა. რომელთა ღმერთ მუცელ არს და დიდებაი — სირცხვილსა შინა მათსა, რომელნი ქვეყანისასა ზრახავნ“.** სამოციქულო ეკლესიის ხვედრია, **„იყოს დევნული ქრისტეს ჯვარისათვის“,** როგორც ეს მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიპსშია წარმოდგენილი.

ეკლესია თავისი ისტორიის მანძილზე უსასრულოდ უძლებდა ძლიერ განსაცდელს, დევნასა და საუკეთესო მსახურთა მოწამეობრივ სიკვდილს. ამას ერთმა თანამედროვე მღვდელმსახურმა და საეკლესიო მწერალმა „ღვთის მოსავალი“ დაარქვა. ჯვარი გზაა ქრისტიანისა და ეკლესიისა. ამასთან, იგი ეკლესიის ძალაც არის. ქრისტიანი ფიქრებით ჭვრეტს „სარწმუნოებისა ჩვენისა წინამძღვარსა და სრულების მოქმედსა იესუს“ და მას სულიერ ძალას აძლევს იმის შეგნება, რომ უფლის სიკვდილს მოჰყვა აღდგომა და ჯვრით „დაიძლია ქვეყანა“.

ჯვარი ეკლესიის ნიშანია იმ დღიდან, რაც მაცხოვარმა თავისი მხრებით ატარა იგი გოლგოთისკენ, როცა იგი მასზე გააკრეს; მას შემდეგ ჯვარი ქრისტიანობის, ეკლესიის, მორწმუნე ადამიანის ხილული ნიშანი და სასწაული გახდა. ზოგი მრავალრიცხოვანი ქრისტიანული საზოგადოება უარყოფს ჯვარს როგორც ხილულ ნიშანს და თვლის, რომ იგი იყო და დარჩა დამცირების იარაღად. ჯერ კიდევ პავლე მოციქული აფრთხილებდა, არ მიეღოთ „საცდური იგი ჯუარისაი“, რათა **„არა ცალიერ იყოს ჯუარი იგი ქრისტესი, რამეთუ სიტყუაი იგი ჯუარისაი წარწყმედულთა მათთვის სიცოფე არს, ხოლო ჩუენ ცხორებულთა ამათთვის ძალ ღმრთისა არს“.** მოციქული არწმუნებდა, არ ეთაკილათ ჯვარი, როგორც დამცირების ნიშანი: **„განვიდეთ მისა გარეშე ბანაკსა და ყუედრება იგი მისი (უფლისა) მოვიღოთ,“** — არიგებდა იგი, რამეთუ დამცირებას დიდებით აღდგომა მოჰყვა. ჯვარი კი ცხონების იარაღად და დიდებისაკენ სავალ გზად მოგვევლინა. **ქრისტიანს მარად თვალწინ უდგას ჯვრის ხატება: იგი პირჯვრის გამოსახვით თავის თავს შეახსენებს, რომ, ჯერ ერთი, მოწოდებულია, შეუდგეს ქრისტეს კვალს; მეორე, ქრისტეს ჯვრის ძალით საკუთარ თავსა და ამქვეყნად არსებულ ბოროტებასთან საბრძოლველად ძლიერდება; და მესამე, ქრისტიანი აღიარებს, რომ მოელის ქრისტეს დიდებით გამოჩენას, უფლის მეორედ მოსვლას, რომელსაც, თავად მაცხოვრის სიტყვების თანახმად, წინ გაუსწრებს ზეცაზე ძე კაცისას ნიშნის გამოჩენა.** ეს სასწაული, ეკლესიის მამების ერთსულოვანი აზრით, ცაზე ჯვრის დიდებული გამოსახვა იქნება. ეკლესია ღრმად აცნობიერებს ჯვართან დაკავშირებულ ნააზრევთა სიმდიდრეს და უგალობს მის ძალას: **„უძლეველო და მიუწვდომელო, და საღვთო ძალო პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისაო, ნუ განგვეშორები ჩვენ ცოდვილთ“.**

ჩვენი უწმინდესის თქმით, **„ადამიანის სულიერი სამყარო იღებს ჯვრის სახელს, რაც გულისხმობს, ჰორიზონტალური და ვერტიკალური აზროვნების უნარს. ჰორიზონტალური მზერა მოიცავს ზრუნვას საკუთარ თავზე, ოჯახსა და ზოგადად მატერიალურზე. მთავარი დადებითი მხარე ამ აზროვნებისა იმაში მდგომარეობს, რომ მასში შედის ზრუნვა მოყვასისთვის, მაგრამ ადამიანმა ადრევე იგრძნო, რომ ეს არ არის საკმარისი, რომ სულიერი სიცარიელის დასაძლევად აუცილებელია სწრაფვა ღვთისაკენ, ანუ ვერტიკალური აზროვნება. ვერტიკალური ჭვრეტა ცისა და მიწის ერთობაა, სრულყოფილების კიბეზე ამაღლებაა, ადამიანის სულისა და ზრახვის ღვთისკენ მიმართვა და მასთან სრული შერწყმაა. როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ხედვა აუცილებელია ჭეშმარიტი ბედნიერების მისაღწევად. მათი საშუალებით მორწმუნე უნდა ქმნიდეს თავისი ცხოვრების ჯვარს, რომელიც მანათობელ ვარსკვლავად წარუძღვება წინ, როგორც უფლის შემდეგი, უმთავრესი მცნებების აღსრულებისა:** „შეიყუარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა **გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. შეიყუარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“.**

ჯვარი უნივერსალური სიმბოლური ფორმაა, რომელიც გამოხატავს ყოფიერებაში ღვთიურობის ყოველმხრივ განფენას: ვერტიკალურად ზეცისკენ და ჰორიზონტალურად სივრცეში. მათი გადაკვეთით ჯვარი ქმნის ღვთაებრივ ცენტრს. კოსმიური გააზრებით, ეს არის ღვთაებრივი წერტილი, საყრდენი სამყაროს მთლიანობისა; ხოლო პიროვნული გაგებით, იგულისხმება გული ადამიანისა, ვითარცა ცენტრი პიროვნების სულიერ-ხორციელი მთლიანობისა; წრეში ჩახატული ჯვარი კი გამოხატავს სამყაროს მთლიანობას, მის დანაწილებასა და მისსავე ცენტრს.

ყველაფრის საფუძველია ჯვრის ქრისტოლოგიური შინაარსი. ვნების ჯვარი გამოხატავს მაცხოვარს, რომელიც იქნა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი. ამიტომ ეს შეიძლება იყოს ძლევის ჯვარი, ძლევით შემოსილი ჯვარი, „იესო ქრისტეს ძლევაი“. ჯვარი ვაზისა სიმბოლოა ქრისტიანული საქართველოსი და მასში იგულისხმება კავშირი ჯვრისა და ვაზისა. ყველა თავის ჯვარს ატარებს და ამით უნდა აღასრულოს „რჯული იგი ქრისტესი“. ჯავახეთიდან შემოსული წმინდა ნინო, მოაბრძანებს, დედაღვთისმშობლის მიერ გამოწვდილ ჯვარს და ამსხვრევს წარმართულ კერპებს, რათა ჭეშმარიტი რწმენა დაამკვიდროს ქრისტიანი ქართველის გულში. უდიდეს საეკლესიო დღესასწაულთა ნუსხაში ჯვარს „შემაღლებული“ ადგილი უჭირავს, ჯვრის თაყვანისცემა დიდი მარხვის პერიოდში აღინიშნება, ჯვართამაღლება კი უძრავია და 27 სექტემბერს ვზეიმობთ.

რომის წარმართი იმპერატორები ცდილობდნენ, ადამიანთა ცნობიერებიდან აღმოეფხვრათ იმ წმინდა ადგილების ხსოვნა, სადაც ევნო მაცხოვარი და დიდებით აღდგა. იმპერატორმა ადრიანემ მიწით დააფარვინა გოლგოთა და ქრისტეს საფლავი. კონსტანტინე დიდმა სასწაულებრივად ირწმუნა ქრისტე მას შემდეგ, რაც იმპერიისთვის გადამწყვეტი ბრძოლის წინ ცაზე იხილა ჯვრის ნიში წარწერით: „ამით სძლო“! უფლის რჩეულმა ჯვრის ძალით მართლაც გამანადგურებელი დამარცხება აგემა მოწინააღმდეგეს, რის შემდეგაც არ ასვენებდა სურვილი იმ ძელის მოძიებისა, „რომელთა ზედა მაცხოვარმა ხელნი განიპყრნა“. მან მოოხრებულ იერუსალიმში გაგზავნა დედამისი, კეთილმსახური დედოფალი ელენე, რომელსაც პატრიარქ მაკარისთან წერილიც გაატანა თხოვნით, ხელი შეეწყო წმინდა საქმისთვის. იპოვეს მაცხოვრის საფლავი, მის მახლობლად კი სამი ჯვარი, რომ გაეგოთ, რომელი იყო ცხოველმყოფელი ძელი უფლისა, სამივე ჯვარი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს. მესიის ჯვრის შეხებაზე მკვდარი გაცოცხლდა, ისე, როგორც წმინდა ნინოს ჯვრის ჩამობრძანებით, ქართველი ერი გამოფხიზლდა და სვეტიცხოვლის აღშენებას მიჰყო ხელი. ცაზე გამოსახულმა წარწერამ შთააგონა კეთილმორწმუნე მეფეს, რომ ახალი დღესასწაულისთვის დაედო სათავე, ხოლო ტყვე ქალს კი ღვთისმშობლის გამოცხადებამ გაუღვივა ჭეშმარიტი რწმენა, რათა მოექცია ქართველობა. **„აჰა, წარგგზავნი ჩემს წილხვდომილ ჩრდილოეთის ქვეყანაში, საქართველოში. წადი სიმხნით და უშიშრად და მის მკვიდრთ ჭეშმარიტება უქადაგე“.** შეძრწუნებულმა წმინდანმა მიუგო: **„დედოფალო, როგორ შევძლებ ამას სუსტი და უსწავლელი დედაკაცი? ნიშნად და წინამძღვრად, მაშინ ღვთისმშობელმა მოკვეთა იქვე ამოსული ვაზის რტო. რომლისგანაც ჯვარი შექმნა, მისცა და უთხრა: „ამით დასძლევ ეშმაკის ყველა მანქანებსა და წარმართავ ქადაგებას, ხოლო მე შეგეწევი და არ დაგტოვებ“.**

დაახლოებით ერთი და იგივე შინაარსია მოცემული წმინდა მეფე კონსტანტინესა და წმინდა ნინოს ცხოვრებაში, რომელიც ჯვრის სიმბოლიკას უკავშირდება. საინტერესოა, რომელს უფრო გაუჭირდა მტრის დაძლევა, ვის უფრო მეტი წინააღმდეგობა შეხვდა, სად უფრო მეტად გახდა საჭირო ჯვარზე გაკრული მაცხოვრის მოხმობა: ხილულ თუ უხილავ ბრძოლაში? მეფე მრავალრიცხოვან არმიას ებრძოდა, ტყვე ქალი კი — არმაზის, გაცის და გაემის კერპებს. ისე კი, კერპებთან ბრძოლა უფრო მძიმე აღმოჩნდებოდა, რადგან ფესვები საუკუნეების წიაღში ჰქონდათ გადგმული, მაგრამ მათი მტვრად ქცევა სწორედ რომ ქალწულ ნინოს უნდა შეძლებოდა, მას უნდა აღემართა თხოთის მთაზე ჯვარი, მას უნდა დაებნელებინა მზე მირიანისთვის, რამეთუ მარადიული მზით გაბრწყინებულიყო ქართული მიწა, ჯვრის, მით უფრო ვაზის ჯვრის ძალით.

ვაზი სიმბოლოა იმგვარი მოვლენებისა, რომლებიც შეიცავენ სიჭარბეს, ანუ სისავსისა შინაგანი ძალით ზედმეტად აღვსილობას. ასეთია ვაზი, მას შინაგანი ძალა მოსჭარბებია. ეს ძალა გადადის ღვინოში, ამავე ძალის დაუტევნელობითაა დაგრეხილი მისი ტანი. ვაზის ტანის მიმოხრა გარედან ზემოქმედებით კი არაა გამოწვეული, არამედ შინაგანი აღვსილობის შედეგია. ვაზი თავისი შინაარსით, სისავსის სიჭარბით ჰგავს ღვთისმშობელს. ვაზი სიცოცხლის ხედ არის გააზრებული ქართულ ტრადიციულ აზროვნებაში. წმინდა ნინოს ჯვარი — ვაზის ლერწები ნინოს თმით შეკრული, სრულქმნილად აცხადებს ამ სიმბოლიკას. გარეგნულად ჯვარი არის „სიცოცხლის ხე“, შერწყმული ჯვართან. ვენახი, ყურძენი და ღვინო უფალთან მაზიარებელია. ნელდი ჯვრით ქრისტეს რწმენის ქადაგება თავისთავად ნაყოფს გამოიღებდა, მერე რომ დავით გარეჯის ლავრაში დაწერილიყო ღვთისმშობლის იამბიკო: **„შენ ხარ ვენახი, ახლადაყვავებული, ნორჩი, კეთილი, ედემს შინა ნერგული“.**

ყოველი ადამიანი თუ ერი დაბადებიდან თავის ჯვარს ატარებს. როგორც რომაელი ფილოსოფოსი სენეკა ამბობს, „ბედისწერას მიჰყავს მორჩილები, მიათრევს ურჩებს“. ქრისტიანულ გაგე- ▶

**ვინ წაგვართვა აფხაზეთი? როდის წაგვართვა და რა ვითარებაში? საპასუხოდ ისევ შეკითვა მინდა დავსვა: ვინ წაგვართვა სამოთხე, როდის და რა ვითარებაში? საკუთარმა სიხარბემ და დაუნახაობამ, იმ ერთადერთი მცნების დარღვევამ, უფალმა რომ დაგვიდგინა.**

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


მამა ანდრია (ყურაშვილი)

# მამა ანდრიას შევატოვეთ „ღვთის მიწა", როგორც მან უპასუხა მკვლელს შეკითხვაზე — ვისია ეს მიწაო? დიახ, უფლის ბოძებულ მიწას იცავდა და, თუ ეს ფიზიკური ძალით არ გამოუვიდა, დღემდე სისხლით იცავს და ინარჩუნებს წინაპართა ხსოვნას. მღვდელი იყო და ბრძოლის ველზე მარტო როგორ დატოვებდა კამანს

ბაში კი ბედი არ არსებობს, რადგან ყველაფერი ჩვენი თავისუფალი ნებით არის ნაკარნახევი. ხშირად მორჩილებით ვატარებთ ჩვენს ჯვარს, ხშირად ვეურჩებით და ვცდილობთ, მოვიხსნათ ზურგიდან პასუხისმგებლობა, რაც უფრო მეტად ამძიმებს ჯვარს და გვიგრძელებს გოლგოთის გზას. როგორც წმინდა თეოფანე დაყუდებული გვეუბნება, **„ჩავუკვირდეთ თავს და გამოვიძიოთ, როგორ გვიპყრია ჯვარი: ზეაღმართული გვაქვს ის თუ ქვედადრეკილი, დაუდევრობით დათრგუნული. ამასთანავე უეჭველად გამოვიძიოთ: რა არის ჩვენი ჯვარი და რა შეადგენს მას.**

**ჩვენს ჯვარს შეადგენს ყოველივე, რაც აწუხებს, ამძიმებს სულს და რაც ჰგვემს გულს ღმერთთან აღსავალ გზაზე, მთელი ჩვენი ცხოვრება, ყოველდღიურად. ჩვენი ჯვარი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ბუნების უძლურებაა და მისი ძალების ნაკლულოვანება: გონების შორსგაუმჭვრეტელობა და განსჯის უმწიფრობა, გაღვიძებული სული ხედავს ყოველივე ამას თავის თავში, უმძიმს ეს და ისევე უტვირთავს ეს სიმძიმე, როგორც დამნაშავეს, რომელსაც სასჯელად ზურგზე აჰკიდეს გახრწნილი გვამი. ეს ცოდვით დაცემული კაცობრიობის ჯვარია, ანუ ჩვენი ჯვრის ერთი მკლავი. ჩვენი ჯვრის მეორე მკლავი, ყოველგვარი ცხოვრებისეული უსიამოვნება და განსაცდელია. ჩვენ უსიამოვნებების თავიდან აცილებას ვცდილობთ, ვებრძვით წინააღმდეგობებს და სიცოცხლეს ვიხანგრძლივებთ. ძეძვიანში რომ დადის და დროდადრო ეკლები უკაწრავს სხეულს, ეს ცხოვრებისეული ჯვარია. ჯვრის მესამე მკლავი ჩვენი ვალდებულებებია, ყოველ ჩვენგანს თავისი მოვალეობა აქვს. ყოველი ვალდებულება საქმეებში სრულდება, ყოველი საქმე მოითხოვს შრომასა და მოთმინებას. მოდი, ამას უფლის საზოგადოებისა და მოყვასის მსახურების ჯვარი დავარქვათ.**

**ამქვეყნად არავინაა ისეთი, ეს სამი ჯვარი, უფრო სწორად თავისი სამკლავიანი ჯვარი, არ ეკიდოს ზურგზე, მაგრამ ერთნი ჯვარს საცხოვნებლად ტვირთულობენ, მეორენი კი — წარსაწყმედად. უფალი გვკიდებს ჯვარს და სურს, რომ მის მიერ ვცხონდეთ; და თუკი ვინმე ჯვრისგან თავის დაღწევას შეეცდება, სასიკვდილოდ მოიწყლავს თავს..."**

სამი ჯვარი აღმართა პილატემ გილგოთაზე: ორი ავაზაკთათვის და ერთი მაცხოვრისთვის. აღსასრული მოახლოებულიყო. შესაძლოა, ავაზაკებს ხიფათითა და ცოდვით აღსავსე ცხოვრება აგონდებოდათ. სიკვდილი მათთვის გარდაუვალი იყო. უიმედობა და გაბოროტება ჯვარცმულ ავაზაკებს ყველა ადამიანის მიმართ დაეუფლათ; ხედავდნენ გასისხლიანებულსა და ტანჯულ უფალს; ესმოდათ მაცხოვრის შეურაცხმყოფელი სიტყვები მღვდელმთავრებისაგან და ხალხისაგან. ეგებ სასწაულსაც ელოდნენ, სასწაულს, მათაც რომ იხსნიდა, მაგრამ მალე გადარჩენის იმედი გაუქრათ. უფალი უსაზღვროდ ტანჯული, გმობისა და სიძულვილის ნაცვლად აქამდე უცნობ, განსაცვიფრებელ მიმტევებლურ სიტყვებს წარმოთქვამდა... ყოვლისშემძლე ტანჯული... მშვიდი, მოსიყვარულე, მზრუნველი არ სწყევლიდა მტანჯველთ, არც რისხავდა, არამედ ლოცულობდა მათთვის. „სიკვდილის ღირსია"! — გამძვინვარებულნი გაჰყვიროდნენ მღვდელმთავარნი; ჯვარცმის აღსრულებას მოითხოვდა ბრბო; ხელებს იბანდა უბადრუკი მსაჯული; ბრძენნი და წინამძღვარნი ბრმანი და ყრუნი შეიქნენ სიმართლისათვის, ჯვარცმულმა ავაზაკმა კი არამარტო აღიარა ის ჭეშმარიტება, რომ ქრისტეს ცუდი არაფერი ჩაუდენია, არამედ ჯვარცმულსა და ტანჯულ ადამიანში უფალი შეიცნო.

**განვლო საუკუნეებმა, არაერთმა მორწმუნემ გაიარა ეკლიანი გზა ქრისტესი, მაგრამ კაცთაგან არავის არ აღმოხდენია იმგვარად სრულყოფილი ლოცვა, ჯვარცმულ ავაზაკს რომ აღმოხდა. არც ვინმეს სმენია იმგვარი იმედის მიმცემი სიტყვები, ავაზაკს რომ ესმა ლოცვის პასუხად სამყაროს ჯვარცმული შემოქმედისაგან: „დღეს ჩემთანა იყო სამოთხესა"... უფლისთვის ჯვარცმა, მასწავებელია მკვდრეთით აღდგომისა და საუკუნო ნეტარებისა, მაგრამ ჯვრის აღსრულების საიდუმლო ჩვენს თავისუფალ ნებას ემორჩილება და საბოლოოდ ან გოლგოთამდე, ანდა იმ ხემდე მივყავართ, რომელზეც იუდამ თავი ჩამოიხრჩო.**

ყველამ თავისი ჯვარი უნდა ატაროს, მაგრამ ვაი მას, ვისგანაც გაიცემა ძე კაცისა; უფლის უღელი ტკბილია, ხოლო ტვირთი სუბუქია, მოღალატის განაჩენი კი ისეთივე მძიმე, როგორც მისი საქციელი. ჯვარი მაშინ მძიმდება, როცა ქრისტეს წიარიდან გამოდის და წარმართი იმპერატორების დასჯის იარაღად იქცევა. გააჩნია, რისთვის ეკვრები ჯვარზე, ქრისტესა და მშობელი მიწის სიყვარულისთვის თუ პირადი ინტერესებისთვის. ძნელია ჯვრის ზიდვა, როცა ორსახოვნად გექცევა იგი. ამაღლებული ჯვარი სიკვდილის დათრგუნვაზე და ჯოჯოხეთის წარწყმედაზე მიუთითებს, მაგრამ **ქართული ბუნება ხშირად იმ მიზეზს, რომლითაც უნდა ზეიმობდეს, სამგლოვიაროდაც ხდის და ვერ გრძნობს სხვაობას, რომელი უფროა, მაცხოვრის მარჯვენით თუ მარცხენით გაკრული ავაზაკი, თუ ის, ვინაც უფალთან ერთად საქართველოც გააკრა ჯვარს.**

**„სოხუმის დანგრეულ ქუჩებში ხალხი აღარ ჩანს... მოდიან მხოლოდ სამღვდელონი... მოდიან ჯვრებით, ხატებით, გალობენ, აღავლენენ ლოცვას და ქვეყნის შემოქმედს პატარა საქრისტიანო მიწის გადარჩენას შესთხოვენ... ასე ვხედავ მე ამ ომს, მის ერთ სურათს..."** — ვკითხულობთ ძველ ჩანაწერებში და მძიმეა ქართული ეკლესიის კალთაზე ჯვართამაღლების მიმხმარი სისხლის შემჩნევა, ამ დღეს ხომ უნდა გვეზეიმა... **„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამდელო, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი უსაქართველოდ"...**

იმ დღეს საქართველო სამოთხიდან გამოძევებულ ადამს ჰგავდა, რომელიც გაურკვევლობაში იყო ჩარჩენილი და, თავი რომ გადაერჩინა, მის დაცემას სხვას აბრალებდა, ევამ შემაცდინაო. საინტერესოა, ენგურს გამოღმა გამოქცეული „ადამისთვის" ვინ შეასრულა ევას როლი, ვინ „გამოძერწა", პილატე პონტოელივით ხელი რომ შეეხოცა. **„და მორდუ აქეთ თუ ოდესმე დააცხიკვებდა, „ხვიჩას სიცოცხლე!" ეძახოდნენ აფხაზეთიდან".** მაგრამ მაინც, „მათი ბრალი აღმოჩნდა", **არადა, სხვა დანარჩენი საქართველო, როგორც დედინაცვალი — თავის გერს, ისე უყურებდა აფხაზეთს და მათაც ეგონათ, რომ „სხვა იყვნენ"** . ისტორია კი ამბობს: **„ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტერიტორიულად მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს, შინაარსით ეს სამეფო იმთავითვე ქართული იყო, რადგან ის, ძირითადად, ქართულმა ეთნიკურმა ელემენტმა შექმნა. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ეთნიკურმა შემადგენლობამ განსაზღვრა ამ სახელმწიფოს ქართულობა, ქუთაისის დედაქალაქობა და ის ზოგადი სახელმწიფოებრივი კურსი, რომელსაც ეს სახელმწიფო ატარებდა საშინაო თუ საგარეოპოლიტიკურ ცხოვრებაში. ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში იმთავითვე შევიდა არგვეთი, მცხეთის სამწყსოს მოზრდილი ნაწილი, რასაც დიდად უნდა შეეწყო ხელი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიების გაერთიანებისთვის. ამგვარად, ეგრის-აფხაზეთის სამეფო ტერიტორიით, მოსახლეობის უმრავლესობით, ეკლესიით, კულტურითა და ენით ქართული სახელმწიფოა".**


კამანი

ამ შეხედულებას ბედიაში გაჭრილი ერთიანი საქართველოს პირველი მეფის — ბაგრატ მესამეს საფლავიც გვიდასტურებს. ვინ წაგვართვა აფხაზეთი? როდის წაგვართვა და რა ვითარებაში? საპასუხოდ ისევ შეკითვა მინდა დავსვა: ვინ წაგვართვა სამოთხე, როდის და რა ვითარებაში? საკუთარმა სიხარბემ და დაუნახაობამ, იმ ერთადერთი მცნების დარღვევამ, უფალმა რომ დაგვიდგინა. ცნობადის ხის ნაყოფი არ უნდა გვეხმია, აფხაზეთში კი ერთმანეთი არ უნდა დაგვეჭამა და გადარჩენილი ნაწილი მართალი იოსებივით სხვისთვის არ უნდა მიგვეყიდა. გაორებულად ჯვრის გამოსახვა მაშინ დავიწყეთ, როცა გაყიდულზე გული გვწყდებოდა, და თან სასიამოვნოდ ჩაგვესმოდა, ოცდაათი ვერცხლის ჩხრიალი. **მამა ანდრიას შევატოვეთ „ღვთის მიწა", როგორც მან უპასუხა მკვლელს შეკითხვაზე — ვისია ეს მიწაო? დიახ, უფლის ბოძებულ მიწას იცავდა და, თუ ეს ფიზიკური ძალით არ გამოუვიდა, დღემდე სისხლით იცავს და ინარჩუნებს წინაპართა ხსოვნას. მღვდელი იყო და ბრძოლის ველზე მარტო როგორ დატოვებდა კამანს. „მამა ანდრიას სიკვდილი ამ ბრძოლაში გარდატეხის მომენტი იყო, მე ასე მგონია, რომ მან თავისი უმანკო სისხლით მთელი საქართველოს ცოდვები გამოისყიდა... ჩხუბით, ყვირილით, ლანძღვით შემოვარდებოდნენ ტაძარში აგრესორები, მაგრამ, როგორც კი დაინახავდნენ სისხლში მყოფ მამა ანდრიას სხეულს, მომენტალურად ჩერდებოდნენ და დარცხვენილები ტაძარს ტოვებდნენ",** — ვკითხულობთ მოგონებებში.

ჩვენ როდის უნდა შეგვრცხვეს იმის, რაც მოხდა, მერამდენედ შევუწყვეთ ხელი კაენს აბელის მკვლელობაში? როდემდე უნდა ვაბრალებდეთ სხვას ჩვენს შეცდომებს? როდის გამოვკვეთეთ გოლგოთის გზა? როდის ავკიდეთ ჯვარი საქართველოს და რატომ გავაკარით ჯვარზე? როდის დაიწყო დევნილთა უღელტეხილი?

**უღელტეხილი ბევრად ადრე დაიწყო, უფალო, ვიდრე მასზე შევდგი ფეხი... და ეს მერამდენე საუკუნეა, რაც მე და შვილი ჩემი, მშობელი ჩემი, ახლობლები, ძვირფასი ადამიანები, ცოცხლებიცა და გარდაცვალებულებიც, ისინიც კი, რომლებიც აწი უნდა დაიბადონ, ყველანი ერთად მივაბიჯებთ ამ უღელტეხილზე, მივაბიჯებთ უხმოდ, თოვს და ყინავს... როგორ დაიღალა სხეული და როგორ მოიქანცა სული, გულისცემაც გაქრა თითქოს სადღაც. არადა, მივაბიჯებთ და მივაბიჯებთ ჯიუტად და ერთგულად, გზას კი არ უჩანს ბოლო... მოდიან, მაგრამ მათ არ მოუძღვით წინ მოსე, არც ვინმე მწყემსი კეთილი, არც ხატად ჰყავთ ვინმე, არც რწმენა შერჩენიათ, უფალიც არ ახსოვთ უკვე, ყოველ შემთხვევაში, ვინმეს ღმერთის სახელი ეხსენებინოს უღელტეხილზე, არ მაგონდება. არც არავის ძალუძს ხუთი პურით მათი დანაყრება.**

მოდიან, ჟამიჟამ თავს წევენ და წინ იმზირებიან. მათი მზერა კითხულობს — ვინ, ვინ მოგვიძღვის? ვინ ეწამა ჩვენთან ერთად ამ გზაზე? დევნილთა უღელტეხილი ყველაზე მაღალი უღელტეხილია დუნიაზე, მამულის უწმინდესი ჰაერით გაჟღენთილი, ყველა ამქვეყნიურ წვრილმანზე და დავიდარაბაზე, ფულზე და ღალატზე, სიბრიყვეზე ზემდგომი უღელტეხილი — გოლგოთა სრულიად საქართველოს ცოდვებს მიეზიდება. მის შუაგულში დგას მკერდში მომაკვდავშვილჩაკრული ახალგაზრდა მამა და წყევლის, ხმამაღლა წყევლის პოლიტიკოსებს და არაპოლიტიკოსებს, გუშინდელებსა და დღევანდელებს, ქართველებს და არაქართველებს, კაცებს, ქალებს... — ყველას, ვინც მიზეზთა და მიზეზთა გამო თავისი წილი თიხა და ღორღი მოიტანა, შექმნა, ააგო, აღმართა, ააბობოქრა ეს უღელტეხილი. მწყევლის მე, რომელიც ამ სტრიქონებს ვწერ ახლა, და თქვენც, ღრმადპატივცემულო, რომელიც ამ სიტყვებს კითხულობთ.

**რა ვქნათ ჩვენ, რა გზას დავადგეთ, რით ვუშველოთ მომაკვდავ ბავშვებს, რომელთა წინაშე მთელი ქვეყნიერება, მთელი ამერ-იმერი საქართველო, ყოველი ჩვენგანი დამნაშავეა?! „მრავალთა ცოდვათაგან დაცემულნი აღგვადგინენ და სულთა და ხორცთა ჩვენთა სენნი განკურნენ, ღვთისმშობელო, რომელნი საფარველსა შენსა მოვილტვით, რამეთუ შენ ხარ მკურნალი ყოველთა.**

**მამა პეტრე**
**(კვარაცხელია)**

დიალოგი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საჭიროა, სისტემატურად მოვაწყოთ იმ აფხაზებისა და ქართველების შეხვედრა, რომლებმაც შეიარაღებული დაპირისპირებისას ოჯახის რამდენიმე წევრი დაკარგეს. ახლა ქვების შეგროვების დრო აღარ არის, ახლა მიტევებისა და მასშტაბური შერიგების დროა!**

# ქართველები და აფხაზები

# დასავიწყებლად ერთმანეთს ვერასოდეს გავიმეტებთ...

## (აფხაზური შთაბეჭდილებები)

დილის ათ საათზე ენგურის ხიდს მივადექით ზუგდიდის მხრიდან მე, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი კუკური ფიფია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი ზურაბ კვარაცხელია და საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი ლადო ქირია. აფხაზეთში მივდიოდით გაზეთ „გალის" რედაქციის მიწვევით, რათა გვემსჯელა კოლხურ კულტურასა და მეგრულ ენასთან დაკავშირებული მომავალი კონფერენციის ჩატარების ვადისა და ადგილის თაობაზე. არ დაგიმალავთ, ოდნავ კრთომას ყველანი ვგრძნობდით და გასაკვირი ამაში არაფერი იყო, რადგან, იმ ავადსახსენებელი ომის შემდეგ, უკვე 18 წელიწადია, გაწყვეტილია ყოველნაირი კომუნიკაცია აფხაზეთთან, რაიმე ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

ხიდზე გადასვლამდე ქართველმა პოლიციელებმა ჩვენი მონაცემები ამოიწერეს და, როცა ჩვენი აფხაზეთში გადასვლის მიზანი შეიტყვეს, დაუბრკოლებლად გაგვატარეს. თითქმის კილომეტრ-ნახევრის გავლა მოგვიხდა ფეხით (მხოლოდ ენგურზე გადებული ხიდის სიგრძეა ერთ კილომეტრამდე) და ენგურს გაღმა აღმოვჩნდით. იქ ჩვენი ვინაობით უკვე აღარავინ დაინტერესებულა, მოგვესალმნენ და გაგვატარეს აფხაზეთის მიწაზე. მასპინძლები უკვე გველოდნენ — გაზეთ „გალის" მთავარი რედაქტორი **ნუგზარ სალაყაია**, გაზეთის თანამშრომლები: **მაყვალა ჩხოლარია, ნარგიზა ბასარია, სლავიკ ცაავა**, პოეტი **თენგიზ ფეტელავა**, პოეტი **ნუგზარ შამუგია** და სხვ.

ხიდს ზემოთ მდებარე გადახურულ გალერეაში დადგმულ მაგიდას მივუსხედით და მუშაობას შევუდექით.

აღნიშნული შეხვედრა ეძღვნებოდა საქართველოსა და აფხაზეთის მეგრულენოვანი მოსახლეობის კულტურისა და მეგრული ენის განვითარებაზე მომუშავე კულტურული თანასაზოგადოების შექმნას.

**დაახლოებით ორი საათი შეუსვენებლად ვიმუშავეთ აღნიშნულ საკითხებზე, როცა შეხვედრა დამთავრებულად ჩავთვალეთ, ქაღალდები წამოვკრიფეთ და მასპინძლებთან გამოსამშვიდობებლად გავემზადეთ.**

**— ვერ გიწონებთ საქციელს!** — გააპროტესტა ნუგზარ სალაყაიამ, — **როგორც ჩანს, მართლაც დაგვიწყნიათ აფხაზური სტუმართმოყვარეობა. აქედან ნაბიჯს ვერ გადგამთ სადღეგრძელოების გარეშე!** — შეუვალი ხმით დააბოლოვა და აფხაზურ ენაზე, ალბათ, სუფრის გაწყობის ბრძანება გასცა.

თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, ქალბატონები დაფაცურდნენ და მაგიდაზე წამსვე გაჩნდა შესანიშნავი პურმარილი: აფხაზურად შემწვარი დედალი, მოხარშული ხორცი, გულრიფშში გამომცხვარი პური, ჭყინტი ყველი, სულგუნი, ხაჭაპურები, აჯიკა, აფხაზურად შემწვარი ლორი, ლიმონათი, მინერალური წყალი, ხილი და, რაც მთავარია, შესანიშნავი აფხაზური ღვინო **„ლიხნი"**.

საკმაოდ მოშიებულებიც ვიყავით. მასპინძლებმა დანაყრება გვადროვეს და შემდეგ ფეხზე ადგომით შევსვით ჩვენი შეხვედრისა და მონატრების სადღეგრძელო.

**სასმისმა თავისი გაიტანა, მალე ისე დავთბით და იმდენად გულახდილად წარმოვთქვამდით ომახიან სადღეგრძელოებს, თითქოს წინა დღით დაწყებულ სუფრას ვაგრძელებდით. ვიხსენებდით წარსულის ბედნიერ დღეებს, აფხაზეთში გატარებულ ბედნიერ დღეებს, თბილისის შეხვედრებს, შერეულ ქორწილებს, ადამიანებს, რომლებიც უკვე ჩვენ გვერდით აღარ არიან...**

**სწორედ სუფრასთან, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ყველამ გამოთქვა აზრი იმის თაობაზე, რომ სამეგრელო არის არა მხოლოდ საქართველოს ხერხემალი, არამედ ის ძალაც, რომელსაც ძალუძს, შეინარჩუნოს ქართულ-აფხაზური ისტორიული მეგობრულ-ნათესაური ურთიერთობები.**

ხშირად ერთმანეთს სახეს ვარიდებდით, არ გვინდოდა, გვესაუბრა იმ მძიმე ჟამზე, როცა ჩვენი მამები, ძმები და შვილები დაუნდობლად ხოცავდნენ ერთმანეთს; ვცდილობდით, მხოლოდ მომავლის იმედზე გვესაუბრა, რომელიც კვლავ ჩვენი ერთად ყოფნის ოცნებაა!

აფხაზებს შევახსენე იმის თაობაზე, რომ სიტყვა **„აფხაზი"** საქართველოში ყოველთვის ასოცირდებოდა ვაჟკაცობასთან, პრინციპულობასთან, ზრდილობასთან, სტუმართმოყვარეობასა და უტყუარ თანადგომასთან. არ არსებობს ქართველ შემოქმედთა მიერ შექმნილი ნაწარმოები, სადაც აფხაზი ადამიანი უარყოფით გმირად იქნება წარმოდგენილი. მართლაც დიდი იყო შთაგონების ძალა!



**2011 წლის 28 სექტემბერს ენგურის ხიდზე შედგა ქართველთა და აფხაზთა ჯგუფის შეხვედრა.**

**შეხვედრაზე გადაწყდა ქართულ-აფხაზური ერთობლივი საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის საკითხი, რომელიც იმუშავებს კოლხურ კულტურასა და მეგრულ ენასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის საკითხებზე.**

**აღნიშნულ ღონისძიებაში საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ გაზეთ „ილორის" მთავარი რედაქტორი როლანდ ჯალაღანია, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ზურაბ კვარაცხელია, საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი ლადო ქირია, ენათმეცნიერი კუკური ფიფია. აფხაზეთის მხარეს წარმოადგენდნენ გაზეთ „გალის" მთავარი რედაქტორი ნუგზარ სალაყაია, გაზეთის თანამშრომლები: მაყვალა ჩხოლარია, ნარგიზა ბასარია, სლავიკ ცაავა, პოეტი თენგიზ ფეტელავა, პოეტი ნუგზარ შამუგია და სხვ.**

და ეს შთაგონება არ უნდა წაიშალოს, ჩვენი მომავალი თაობები კარგად უნდა იცნობდნენ ჩვენს ტკივილიან წარსულს, რათა კვლავ ერთად იმეგობრონ სასიკეთოდ მოსულ ხალხთან და კვლავ ერთად შეეგებონ მომხდურ მტერს!

სიყმაწვილეში, როცა სისხლი გვიდუღდა, ბიჭები ხშირად ვჩხუბობდით ხოლმე ერთმანეთში. დღესაც, ვინც კი იმ დროიდან დამეგობრებული ადამიანები შემომრჩნენ, ან ჩემთვის აქვს რომელიმეს ცხვირი გატეხილი, ან მე მყავს გალახული. ვიცოდით, რომ ერთმანეთის მიმართ არავითარი სიძულვილი და ბოღმა არ გაგვაჩნდა — უბრალოდ, გვაინტერესებდა, ვინ ვის მოერეოდა. ვიცოდით, რომ ეს ჩხუბი და დავიდარაბა სრული უაზრობა იყო, ამიტომ მეორე დღეს, როგორც წესი, ერთმანეთს შესარიგებლად ვხვდებოდით ხოლმე. მაშინ რომ წინადღის ჩხუბის მიზეზები გვერკვია, შეიძლებოდა ამას უფრო დიდი ჩხუბი მოჰყოლოდა, ამიტომ, ხელს გადავხვევდით ერთმანეთს, ძმურად გადავკოცნიდით, რესტორანში სადღეგრძელოებით გავამაგრებდით ჩვენი მეგობრობის სიყვარულსა და ულალატობას და ძმებად ვიქცეოდით.

ახლაც ასეა, ჩვენ რომ სატანის აღზევების ჟამსა და მიზეზებზე, ქართველ-აფხაზთა შორის შევარდნაძისა და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის მიერ წამოწყებული ძმათამკვლელი ომის მიმდინარეობასა და შედეგებზე ვისაუბროთ, ამას შეიძლება წინანდელზე უფრო დიდი და უაზრო ომი მოჰყვეს. ამიტომ სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ თანაარსებობა, ერთმანეთს მივუტევოთ მძიმე დანაშაულები, ერთად გადავუხადოთ სულის მოსახსენებელი პანაშვილი ქართველ და აფხაზ მეომრებს, დავუდგათ ძეგლი მათ, ვინც სიცოცხლე შესწირა ამ უაზრო ომს! **საჭიროა, სისტემატურად მოვაწყოთ იმ აფხაზებისა და ქართველების შეხვედრა, რომლებმაც შეიარაღებული დაპირისპირებისას ოჯახის რამდენიმე წევრი დაკარგეს. ახლა ქვების შეგროვების დრო აღარ არის, ახლა მიტევებისა და მასშტაბური შერიგების დროა!**

სწორედ ეს განწყობა გასდევდა ლაიტმოტივად ჩვენს გულითადობით გამორჩეულ სუფრას, რომელიც შებინდებამდე გაგრძელდა. აფხაზეთში ორი საათით გადასულები მთელი დღე შევრჩით იქაურობას და, რომ არა ზუგდიდის მატარებელზე დაგვიანების რეალური საფრთხე, ალბათ, იმ ღამეს მასპინძლებთან დავრჩებოდით.

აფხაზმა მასპინძლებმა გულისტკივილით გამოგვაცილეს. ნუგზარ სალაყაიამ ფაეტონი დაგვიქირავა და ფული თავად გადაიხადა — ენგურგაღმა (და არა გამოღმა) დატოვებულ მანქანამდე თითქმის ორი კილომეტრის გზა გვედო, რომლის გავლა შეზარხოშებული ჭარმაგი ადამიანებისთვის არც მთლად იოლი საქმე იყო. როცა ფაეტონი დაღმართზე დაეშვა, დავინახეთ, რომ ნუგზარ სალაყაია სირბილით მოგვდევდა — ალბათ, რაღაც კიდევ დარჩა სათქმელი, მაგრამ, სამწუხაროდ, მეფაიტონემ მკვეთრ დაღმართზე ცხენის შეჩერება ვეღარ შეძლო...

მასპინძლები ხელის ქნევით გვემშვიდობებოდნენ, ვიდრე თვალს არ მიეფარნენ...

სუფრაზე და გამომშვიდობებისას ცრემლიც გაკრთა, რადგან ქართველებისა და აფხაზებიც კარგად ვგრძნობდით, რომ ერთმანეთი დასაკარგავად არ გვემეტება!

**მართლაც, რაც არ უნდა ეცადოს ჩვენი მტერი, ქართველები და აფხაზები დასავიწყებლად ერთმანეთს ვერასოდეს გავიმეტებთ...**

**როლანდ ჯალაღანია,**
**„ფაზისის" აკადემიის ნამდვილი წევრი**



რიწის ტბა

## ჰოლანდიაში მარიხუანას აკრძალავენ



**ჰოლანდიაში ტურისტებზე მარიხუანის მიყიდვა აიკრძალება. ქალაქ მაასტრიხში უკვე ძალაშია კანონი, რომელიც ადგილობრივ ყავახანებში უცხოელებზე მარიხუანის გაყიდვას კრძალავს.** ქალაქის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ტურისტები ნიდერლანდებში ლეგალური ნარკოტიკის შესაძენად მასობრივად შემოდიან და საზღვართან სატრანსპორტო პრობლემებს ქმნიან. გარდა ამისა, ნარკოტურისტები საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ. ნიდერლანდებში ნარკოტიკების გაყიდვა ლეგალიზებული არ არის, თუმცა არც აკრძალულია. ყოველდღიურად მაასტრიხის ყავახანები 6 000 ნარკოტურისტს ემსახურება.

## კემერონი ევროკავშირიდან გასვლის წინააღმდეგია

**დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კემერონი ევროკავშირიდან ქვეყნის გამოსვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას მხარს არ დაუჭერს.** მანჩესტერში კონსერვატორთა პარტიის კონფერენციაზე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ამჟამად პრიორიტეტი ვალების კრიზისიდან ევროზონის გამოყვანაა. შესაძლოა, ბრიტანეთის პარლამენტის წევრებმა რეფერენდუმის ჩატარების საკითხი ამ შემოდგომაზე განიხილონ, თუმცა გადაწყვეტილება ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით მიღებული არ არის.

გამოიყენება ძველი კანონები, რომლებიც აქამდე არასდროს არავის გამოუყენებია, სამაგიეროდ ახლა საგადასახადო ორგანოების მიერ სასურველი ინტერპრეტაციით ამოქმედდა. ასეთია, მაგალითად, კანონი, რომლის თანახმადაც ამერიკელი მშობლების ნებისმიერი შვილი ამერიკის მოქალაქედ ითვლება და აშშ-ს გადასახადები უნდა უხადოს, თუნდაც ერთი დღეც არ ეცხოვროს ამერიკაში.

დაიჯესტი




# კანადაში დაბადებულ ამერიკელებს სახელმწიფო დეპარტამენტი ძარცვავს

**წარმოიდგინეთ, რომ თქვენი მშობლები კანადაში დაიბადნენ, შემდეგ, 30 წლის წინ, ჯერ კიდევ თქვენ დაბადებამდე, აშშ-ში გადავიდნენ საცხოვრებლად და იქაური მოქალაქეობა მიიღეს. თქვენ ტეხასში დაიბადეთ, კანადაში არასდროს ყოფილხართ და არც კი გიფიქრიათ იქ გამგზავრებაზე.**

თქვენ სრულფასოვანი ამერიკელი ხართ და სრული უფლება გაქვთ, პრეზიდენტის თანამდებობისთვისაც კი იყაროთ კენჭი. თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს კანადის საგადასახადო სამმართველოდან მიიღებთ წერილს და გაოგნდებით, როდესაც გაიგებთ, რომ, უკვე მრავალი წელია, ჯიუტად გაურბიხართ გადასახადების გადახდას და ახლა კანადისა უზარმაზარი თანხა გმართებთ.

თუ ამ თანხას არ დაფარავთ და ზედაც სოლიდურ ჯარიმას არ დაამატებთ, მაშინ არც მეტი, არც ნაკლები, დამნაშავე ხართ და სისხლის სამართლის კოდექსით გასამართლდებით. უფრო მეტიც, ამ ყველაფრის შემდეგ გამოგიცხადებენ, რომ არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ამერიკაში თქვენს საბანკო ანგარიშებთან წვდომის მოპოვება და თქვენს შესახებ სრული ფინანსური ინფორმაციის მიღება.

თუ ეს მოხდება, შეგძულდებათ კანადა? — ალბათ, კი.

ეს კი სინამდვილეშიც ზუსტად ასე ხდება, ოღონდ ერთადერთი განსხვავებით: ქვეყანა, რომელიც ამგვარად იქცევა, სინამდვილეში კანადა კი არა, ამერიკის შეერთებული შტატებია.

**უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე აშშ-ის პოლიტიკის მიმართ, არა მხოლოდ უნდობლობასა და შიშს, არამედ ღია მრისხანებასაც ხშირად გამოხატავენ და არა მხოლოდ საზღვარგარეთ მცხოვრები ამერიკელები, არამედ ისინიც, ვინც იმედოვნებს, რომ ოდესმე აშშ-ის მოქალაქეობას მიიღებს.**

**იმ ახლომხედველური და გაუაზრებელი გადაწყვეტილებებით, რომელთაც კონგრესი და საგადასახადო სამსახური თავიანთი, მსუბუქად რომ ვთქვათ, მოჭარბებული მზრუნველობის საფუძველზე იღებენ, მრავალი ჭკვიანი, ნიჭიერი და უგანათლებულესი უცხოელი, რომელსაც აშშ-ის მოქალაქეობის მიღება სურდათ, უკვე ამ გადაწყვეტილების გადახედვაზე ფიქრობენ.**

**უფრო მეტიც, მრავალი ამერიკელი, რომელიც ამჟამად აშშ-სა და სხვა ქვეყნებში ცხოვრობს, ამერიკის მოქალაქეობაზე უარის თქმას აპირებს, რადგან ამ ქვეყნის მიმდინარე პოლიტიკა ადამიანებს თავგზას ურევს და შიშს უნერგავს.**

აშშ პლანეტაზე ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც თავისი მოქალაქეების შემოსავლებიდან გადასახადებს ითხოვს, იმისდა მიუხედავად, თუ სადაა მიღებული ეს შემოსავლები. მაგალითად, **თუ თქვენ აშშ-ის მოქალაქე ხართ, მაგრამ, უკვე 20 წელია, ავსტრალიაში ცხოვრობთ, თქვენ სამშობლოში ყოველწლიურად უნდა გაგზავნოთ საგადასახადო დეკლარაცია.**

ანალოგიური კანონი იაპონიაშიც მოქმედებდა, მაგრამ იაპონელებმა ის რამდენიმე წლის წინათ გააუქმეს, რადგან თავიანთი მოქალაქეებისათვის ძალზე მძიმე ტვირთად მიიჩნიეს.

ამერიკაში კი სულ ახლახან ჩატარდა საგადასახადო სამსახურის რეპრესიული აქცია, სახელწოდებით „აქტივების შესახებ ცნობების ნებაყოფლობითი წარდგენის ინიციატივა“. ამ აქციის შედეგად ამერიკის უამრავი მოქალაქე დაუმსახურებელ სასჯელს მიიღებს. ეს პროგრამა ჩაფიქრებული იყო როგორც ამნისტია, რომელიც ოფშორული ანგარიშების მფლობელებს საშუალებას აძლევდა, 2011 წლის 9 სექტემბრამდე თავიანთი შემოსავლების ლეგალიზება შედარებით მცირე ჯარიმის გადახდის სანაცვლოდ მოეხდინათ.

მაგრამ შემდგომში პროგრამამ ისეთი სახე მიიღო, რომ ახლა მასში ხვდება აბსოლუტურად ყველა, ვისაც კი რაიმე აბადია საზღვარგარეთ და მთელი ეს ისტორია ერთ დიდ გაურკვევლობად იქცა.

იმ ადამიანთა უმეტესობა, რომლებიც ახალი საგადასახადო წესების შესაბამისად, შესაძლოა, სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტებად იქცნენ, თავს აბსოლუტურად კანონმორჩილ ადამიანებად თვლიან და წარმოდგენაც არ აქვთ ამ ყველაფერზე.

ამასთანავე, შემთხვევათა უმრავლესობისას გამოიყენება ძველი კანონები, რომლებიც აქამდე არასდროს არავის გამოუყენებია, სამაგიეროდ ახლა საგადასახადო ორგანოების მიერ სასურველი ინტერპრეტაციით ამოქმედდა. ასეთია, მაგალითად, კანონი, რომლის თანახმადაც ამერიკელი მშობლების ნებისმიერი შვილი ამერიკის მოქალაქედ ითვლება და აშშ-ს გადასახადები უნდა უხადოს, თუნდაც ერთი დღეც არ ეცხოვროს ამერიკაში.

რაც შეეხება „მწვანე ბარათსა“ და მის მფლობელებს ან მოპოვების მსურველებს, სიახლე მათთვისაც არასასურველია. წინათ სხვა ქვეყნების ჭკვიან, განათლებულ ადამიანებს აშშ-ში ჩასასვლელად დიდი წინააღმდეგობები არ ხვდებოდათ. მათ თავისუფლად შეეძლოთ, ჩაებარებინათ ამერიკის კოლეჯებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში, მოეწყოთ იქ საკუთარი ცხოვრება და ქვეყანასაც გამოდგომოდნენ. ახლა არასრულყოფილ საიმიგრაციო კანონებს დაემატა ახალი საგადასახადო კანონები, რომელთა წყალობითაც ადამიანები ამერიკაში ჩადიან, ღებულობენ განათლებას, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ამერიკაშივე დარჩნენ და ქვეყანას მოახმარონ თავიანთი ცოდნა, შინ ბრუნდებიან.

**უცხოელი, რომელიც აშშ-ში ჩავიდა, მიიღო განათლება, მიიღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა ან „მწვანე ბარათი“, მაგრამ რაიმე მიზეზით შემდეგ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა, მაინც ექვემდებარება გადასახადების გადახდის ამერიკულ წესს.**

თუ ადამიანი ბრიტანეთში დაიბადა, იქ 25 წელი იცხოვრა, ათიოდე წლის წინ კი აშშ-ში გაემგზავრა, მას, შესაძლოა, ბრიტანეთში საკუთრება ან საბანკო ანგარიშებიც კი ჰქონდეს.

აშშ-ში ცხოვრების ათი წლის შემდეგ, ფიქრობს რა, რომ აბსოლუტურად სუფთაა კანონის წინაშე, ეს ადამიანი მიიღებს შეტყობინებას, რომ მთელი ამ დროის მანძილზე გადასახადებს გაურბოდა, იმიტომ, რომ ბრიტანეთში მის სახელზე რიცხული ქონების დეკლარირებას არ ახორციელებდა. ეს კი მარტივად იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანი სისხლის სამართლის დამნაშავეა და პასუხისგება ელის. სწორედ ეს ხდება ახლა ამერიკის იმ ათასობით მოქალაქის თავს, რომელიც საზღვარგარეთ დაიბადა.

**უამრავი ადამიანი უკვე დაბრუნდა ამერიკიდან ჩინეთში, ინდოეთში, ევროპასა და სამხრეთ აფრიკაშიც კი და ყველა მათგანი ასახელებს ერთსა და იმავე მიზეზებს, რომელთა გამოც მიატოვეს აშშ: ეკონომიკური მდგომარეობა, იმიგრაციული კანონები და საგადასახადო სისტემა.**

ზოგიერთი ირწმუნება, რომ საგადასახადო პოლიცია მათ მას შემდეგაც დევნიდა, რაც „მწვანე ბარათების“ მოქმედების ვადა ამოიწურა. არაერთმა ადამიანმა, რომელმაც ბოლომდე გაიარა ხანგრძლივი პროცედურა და საიმიგრაციო სამსახურისგან ბოლოს და ბოლოს დადებითი პასუხი მიიღო, ზემოხსენებული მიზეზების გამო, ამერიკის მოქალაქეობის მიღება გადაიფიქრა. მათ დროებით უპირატესობა ისევ სამუშაო ვიზას მიანიჭეს, ოღონდ კი საქმე არ ჰქონოდათ ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო სამსახურთან და საცხოვრებლად სხვა ქვეყნებს არჩევენ.

**რაც შეეხება თავად ამერიკის შეერთებულ შტატებს, ახალი საგადასახადო პოლიტიკით ის უფრო მეტ ფულს დაკარგავს, ვიდრე შეეძლო მიეღო იმ ადამიანებისგან, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზე იცხოვრებდნენ, იმუშავებდნენ, შექმნიდნენ კომპანიებსა და სამუშაო ადგილებს.**

MIXEDNEWS.RU

# ატლანტიკური განხეთქილება იზრდება

**ოსტაპ შპენგლერმა ბესტსელერი „ევროპის დაისი“ 1917 წელს დაწერა, მაგრამ დასავლეთმა, რომელიც გერმანელმა ფილოსოფოსმა დამარხა, მეოცე საუკუნის მსოფლიო ომებში გაიმარჯვა, საბჭოთა კავშირი დაამარცხა, თავისი ეკონომიკური მოდელი ჩინეთს თავზე მოახვია, მთელს პლანეტაზე გაავრცელა როკ-კულტურა, ჯინსები, კომპიუტერები, ინტერნეტი, ცხოვრების სტილი.**

ის, ვინც იმ დროს, როდესაც ამერიკაში 14 მილიონი უმუშევარია, ხოლო ევროზონა ვალებშია ჩაფლული, შპენგლერისთვის მისი პესიმიზმის გამო სამაგიეროს გადახდას გადაწყვეტს, ათვლის წერტილად ვროცლავის (პოლონეთი) სპექტაკლის არჩევა შეუძლია, სადაც შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრი ტიმოთი გაიტნერი იმისთვის ჩავიდა, რომ ევროზონის ფინანსთა მინისტრები კრიზისთან გამკლავების საქმეში ამეცადინოს. მას შეუვალი გამომეტყველებით მოუწია მისი ავსტრიელი კოლეგის — მარია ფექტერის რეპლიკის მოსმენა: **„ეკონომიკური საფუძვლების მხრივ, თქვენ, ამერიკელები ჩვენზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდით. არ მესმის, რატომ ჩამოდიხართ ჩვენთვის რჩევების მოსაცემად“.**

გაიტნერი საკუთარ თავზე ხშირად ხუმრობს ხოლმე: „მე ვარ მოხუცი ახალგაზრდას სახით“. მართლაც, ის თანაგრძნობას იმსახურებდა, როდესაც მოიხარა, გაწითლდა და ცდილობდა, ლოგიკური არგუმენტით დაერწმუნებინა ევროპელები, მოსწავლეები, რომლებიც სკოლის მასწავლებლის მომზადებულ, მაგრამ უწვერო მოადგილეს აუჯანყდნენ. გაიტნერი მოუწოდებდა მათ, არ ეკამათათ ევროპის ცენტრალურ ბანკთან ასეთი ვალების ფონზე, რადგან ყველა მთავრობამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს და უმალ დაბლოკოს კატასტროფული კრიზისი იმით, რომ კრიზისულ სიტუაციაში მყოფ ქვეყნებს რაც შეიძლება მეტი ფონდი გამოუყონ.

მორიდებული გაიტნერი თავისი წარუმატებელი ლექციიდან ჯერ გამოსული არ იყო, რომ პროპაგანდის მანქანა ამუშავდა, რათა ევროპაში დაედანაშაულებინათ გაღარიბებული და ვალებში ჩაფლული ამერიკელები, რომლებიც ძველებურად ინარჩუნებენ საკუთარ იმპერიაზე ილუზიას, მიუხედავად იმისა, რომ ღარიბ არისტოკრატებად გადაიქცნენ, როგორც 1956 წელს ინგლისელები, რომლებიც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა აიძულა, უარი ეთქვათ სუეცის არხზე.

**ამერიკაში მემარჯვენეების პროპაგანდისტული მანქანა გაიტნერის მარცხზე აქცენტს აკეთებს, მემარცხენეები კი პრეზიდენტ ობამას მოუწოდებენ, ერთი დოლარიც კი არ გაიღოს უმადური ევროპელების მხარდასაჭერად (თეთრი სახლი ამ ამოცანას ფედერალურ რეზერვს უტოვებს). მოკლედ, მან, ვინც სათანადოდ ვერ შეაფასა განხეთქილება აშშ-ევროპის კავშირში ერაყის ოკუპაციის წინ, დღეს აცნობიერებს, რომ ატლანტიკურმა ოკეანემ ისინი სამუდამოდ დააშორა, და ამერიკელებისა და ევროპელების პასუხი ეკონომიკურ კრიზისზე, კრიტიკულ სიტუაციაზე ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ახლო აღმოსავლეთში, შეხედულებები ნატოს მომავალსა და ჩინეთის აღმასვლაზე, წინააღმდეგობრივი იქნება.**

**მცოცავ პოპულიზმს, რომელიც ევროპაში ვრცელდება სკანდინავიიდან იტალიის ჩრდილოეთამდე, ანტიამერიკული ხასიათი აქვს. მას არ მოსწონს ამერიკის იდეა ღია ბაზრის შესახებ. ხოლო ამერიკული პოპულიზმი ვერ იტანს ევროპას და ევროკავშირის ტიპის სოციალური სახელმწიფოს ნებისმიერ იდეას.**

ზიანი მიყენებულია და ამაში წვლილი პროვინციელ ლიდერებსაც მიუძღვით. ღია დაპირისპირებასა და მოულოდნელ დაშორებას ნუ ელოდებით. ეს ქორწინება დასრულდა, სიყვარულის არ არსებობისა და განსხვავებული ინტერესების გამო.

ლიბიაში გამარჯვების შემდეგ, ნატოს გენერალურმა მდივანმა უკანასკნელ ატლანტიკურ ბასტიონში, ჟურნალში „Foreign Affairs“ განაცხადა, რომ ევროპელებმა უნდა გაზარდონ თავდაცვის ბიუჯეტი, რომელიც ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ 20%-ით შემცირდა. იმ პერიოდში ევროპა ნატოს ხარჯების მესამედს ფარავდა, დღეს კი მხოლოდ მეხუთედს ფარავს. ამავდროულად, ჩინეთმა სამხედრო ხარჯები გაასამმაგა, ხოლო პაციფისტი განდის მემკვიდრე ინდოეთმა სამხედრო ბიუჯეტი 59%-ით გაზარდა. ვალებში ჩაფლული ვაშინგტონი და ევროპა, ანუ ის, რასაც ადრე „დასავლეთს“ ეძახდნენ, ეკონომიკური ან სამხედრო პრობლემების შემთხვევაში, ჩარევის ძალას კარგავს.

**ამერიკა და ევროპა განაგრძობენ გაეროში მოლაპარაკებებს და კამათს პალესტინელების მოთხოვნაზე, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფოს შექმნა უნდათ, ხოლო ისრაელი დაბლოკილი კომერციული შეთანხმებების თაობაზე დავობს და „საკითხების მრავალმხრივი განხილვა“ საერთო მხარდაჭერის გარეშე შეჩერდება. ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, ბრაზილია და თურქეთი ხელიდან არ გაუშვებენ ამ შესაძლებლობას, რათა სარგებელი მიიღონ ამ სიტუაციიდან.**

დასავლეთი ამაყობს მისი უთანხმოებითა და კრიტიკით უნივერსიტეტებსა და ქსელში. გაყრას აშშ-სა და ევროპას შორის ენთუზიაზმი და აჯანყების თრთოლა მოჰყვება. მაგრამ მთელი მსოფლიოს დისიდენტებისთვის, დაწყებული ჩინეთიდან; კონფლიქტებისთვის, რომელიც გადასაჭრელია; რთული საერთაშორისო შეთანხმებებისთვის ეს გამოუსწორებელი მარცხი იქნება. ძალიან მალე დოლარისა და ევროს დაცვისთვის ვაშინგტონსა და ბრიუსელს მოუწევთ ჩინეთისთვის და ინდოეთისთვის ანგარიშის გაწევა. ისინი, არა ორ საუკუნეში, როგორც ამას მაკმილანი წინასწარმეტყველებდა, არამედ ათ წელიწადში გააცნობიერებენ დასავლეთის განხეთქილების სიმძიმეს.

შპენგლერი არასწორი იყო: „დასავლეთი“ — ეს არამხოლოდ იმპერიული და ეკონომიკური ძალაუფლების სისტემაა, არამედ, ასევე და განსაკუთრებით, სისტემა ღირებულებების, თავისუფლების, დემოკრატიის, კეთილდღეობის, სამართლიანობის, შემწყნარებლობის. ბოლოს, როდესაც ჯანი ანიელის მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ვესაუბრე, ბუშს და ევროპას შორის არსებული განხეთქილების დღეებში, ადვოკატი ამტკიცებდა: **„დაწერეთ ევროპისა და შეერთებული შტატების ერთობაზე. ამ კავშირის დანგრევა ეკონომიკური, პოლიტიკური და დიპლომატიური უბედურება იქნება. არ დანებდეთ, იბრძოლეთ“.** ის რომ დღეს ცოცხალი ყოფილიყო, ჩვენ მოგვიწევდა მის წინაშე იმის აღიარება, რომ წავაგეთ ბრძოლა, რომლისკენაც ის მოგვიწოდებდა.

**ჯანი რიოტა**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მაგრამ უკან დახეულების შეჩერება ძნელი საქმე იყო.
უკან დასახევად ისინი ამჯობინებდნენ გზატკეცილს,
ვიდრე მინდვრებსა და თხრილებს.
მე წინ გადაველობე, მაგრამ არც ჩემ მუდარასა და არც მუქარას
არავითარი გავლენა არ ჰქონდა თავაშვებულ ჯარისკაცებზე.
ერთ ნაწილს რომ გადაველობებოდი და შევაჩერებდი,
მეორე ნაწილი გარბოდა, ამათ რომ გამოვეკიდებოდი,
შევაჩერებდი, ახლა პირველი ნაწილი გარბოდა.

# გენერალი მაზნიაშვილი ქართული ჯარის შესახებ

დასასრული. დასაწყისი იხ. №32-34

**გენერალმა მაყაშვილმა ჯარის ნაწილების მდგომარეობა დამიხატა უფრო ცუდი ფერადებით: მის განკარგულებაში ნამდვილად იყო მხოლოდ ორი ლეგიონი, ერთი ახალციხის რაიონში დაბანაკებული პოლკოვნიკ გელოვანის უფროსობით და ერთიც, ახალქალაქის რაიონში პოლკოვნიკ ყანჩაველის უფროსობით. დანარჩენი სამხედრო ნაწილები სხვადასხვა სახელწოდებით, მაგ. „განსაკუთრებული რაზმი ჟორდანიასი“, „კერესელიძის“, „ფხაკაძის“ და სხვა არაფერს წარმოადგენდნენ, ყველა ეს რაზმები ქაღალდზე ირიცხებოდნენ ასობით, იღებდნენ სურათს, ტანსაცმელს და საჭმელს არა ჯარისკაცების არსებული რიცხვის მიხედვით, არამედ თანახმად შედგენილი სიებისა. საგულისხმო ისაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მაყაშვილი და სხვა უფროსები მოითხოვდნენ მთავრობისაგან, თავიდან მოეშორებინა მათთვის ამგვარი ჯარის ნაწილები, მათ ხელი არავინ არ ახლო, მხოლოდ შემდეგში დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ ეს რაზმები დაშალეს სამუდამოდ.**

5 თებერვალს, საღამოზე, გენ. მაყაშვილი გამოემგზავრა ტფილისისაკენ.

აჯანყებულთა ზრახვების შესახებ ცნობები ძალიან ცოტა მქონდა.

ცხადი იყო მხოლოდ, რომ მათ ჰსურდათ თავის მოქმედების წრე გაეფართოვებინათ აწყურის მიმართულებით. ამისათვის ისინი მიიწევდნენ და იკავებდნენ სოფლებს, რომლებიც მდებარეობდა ახალციხიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მთის ქედებზე, აბასთუმნიდან დაწყებული აწყურამდე.

5 თებერვალს ახალციხეში მყოფ ჯარის ნაწილებს ვუბრძანე, დაეკავებინათ სოფელი ნიკორწმინდა-ჩიხევი და ამგვარად შეეჩერებინათ მტრის წინსვლა.

გელოვანის მე-4 ლეგიონს ვუბრძანე, დარჩენილიყო სოფელ არალში, უდეში და ვალეში.

**მოუთმენლად ველოდი ჯერ კიდევ ტფილისში მთავრობის მიერ დაპირებულ 5.000 ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმის მოსვლას. იმ ანგარიშით, რომ ეს რაზმი იმ ღამეს მოვიდა, მარჯვენა ფრთას ვუბრძანე, წაეწია წინ და დაეჭირა სოფლები ჩიხევი და ჩურჩუტო. საღამოზე მივიღე ცნობა, რომ ჩემი ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი. მაგრამ იმავე საღამოს გამოირკვა, რომ მარჯვენა ფრთას სოფელ ჩურჩუტოს მაგივრათ შეცდომით დაეჭირა ერთი პატარა სოფელი ხეობაში.**

6 თებერვალს, დილით, დაპირებული რაზმი ჯერ კიდევ არა სჩანდა. ფრონტის გასასწორებლად სანაპიროების ათასეულს ვუბრძანე, წასულიყო 1-ლი ბატარეით აბასთუმნის გზატკეცილით და როგორმე დაეკავებინა სოფელი ვარხანი.

ამ სოფლის დაკავებით მტერს წინ წაწევის საშუალება ესპობოდა და ამასთან ერთად, ბრძოლის რაიონის ფრონტი ერთი სამად მოკლდებოდა.

**რადგანაც სათადარიგო ჯარები არ მყავდა, ფრონტის შემოკლებითა და მისი გამაგრებით ვფიქრობდი, მომეგო დრო, სანამ მტერი მოგვადგებოდა.**

7 თებერვალს მივიღე დეპეშა მე-2 დივიზიიდან, რომლის უფროსად მე ვირიცხებოდი.

მწერდა 1-ლი ლეგიონის უფროსი, რომ ჩემს განკარგულებაში გამოიგზავნა ერთი ათასეული, ხოლო დანარჩენებს გამოგზავნიან, როდესაც მოამზადებენო.

ამავე დღეს სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ა. გედევანიშვილმა დამიძახა პირდაპირი მავთულით მოსალაპარაკებლად. ეს ლაპარაკი შემდეგი შინაარსისაა:

**გენ. გედევანიშვილი — გენერალი გედევანიშვილი გელაპარაკებით სამხედრო მინისტრის სახელით. საქმე შემდეგშია: სოხუმიდან მივიღეთ დეპეშა, რომ სოჭის მიმართულებით ჩვენი საქმე ცუდათაა. დენიკინის ჯარები თავს დაესხა სოჭში ჩვენს გარნიზონს. იარაღი აჰყარა და ტყვედ წაიყვანა იგი, გენერალ კონიაშვილთან ერთად, შემდეგ წინ წამოიწიეს, გაგრა დაიკავეს და სოხუმის აღებას აპირებენ, თქვენ რომ ჯარებს დაგპირდით, ამჟამად ეს ჯარები იმყოფებიან ხაშურში. ჩვენ არა გვყავს სათადარიგო ჯარის ნაწილები სოხუმში გასაგზავნად. სამხედრო მინისტრს სურს, გაიგოს თქვენი აზრი ხაშურში მყოფი ჯარის ნაწილების გაგზავნის შესახებ.**

**გენ. მაზნიაშვილი — მოახსენეთ სამხედრო მინისტრს შემდეგი: დენიკინის ჯარებმა სოხუმი თუ დაიჭირეს, სამუდამოდ დავკარგავთ აფხაზეთს, ხოლო თუ ჩვენ ვერ გავუძელით მტერს, უკან დახევა მოგვიხდა და ახალციხე დროებით მივატოვეთ, რამდენიმე დღის შემდეგ მე-2 დივიზიის ნაწილების მოსვლის შემდეგ, ახალციხეს არამც თუ დავიბრუნებთ, სერვერბეგ ათაბეგს და მის ურდოებს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან სრულიად გავდევნით.**

**გენ. გედევანიშვილი — მაშ, შეიძლება ჯარები სოხუმში გავგზავნოთ?**

**გენ. მაზნიაშვილი — დიახ, შეიძლება, იმ პირობით კი, რომ არ დაივიწყოთ და საჩქაროთ გამოგზავნეთ მე-2 დივიზიის ნაწილები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ახალციხის დროებით მიტოვება მოგვიხდეს.**

**გენ. გედევანიშვილი — (რამდენიმე წუთის შემდეგ) სამხედრო მინისტრმა მოიწონა თქვენი აზრი, ხაშურიდან სოხუმში ჯარები დღესვე გაიგზავნება. ამასთან, ვეცდებით, ძალიან მოკლე ხანში მოგაშველოთ თქვენი დივიზია მთლად.**


გიორგი მაზნიაშვილი

ამით გათავდა ჩვენი ლაპარაკი.

7 და 8 თებერვალი გავიდა მზადებაში მომავალი ოპერაციებისათვის.

ჩემთვის ცხადი იყო, რომ დამხმარე ჯარების მოსვლამდე ვერ შევძლებდით მაზრაში დღითიდღე გაზრდილი აჯანყების შეჩერებას.

ჩემი ცდა ის იყო მხოლოდ, რომ მომეგო დრო. ამ მიზნით გავმართე მოლაპარაკება ადგილობრივ მცხოვრებლებთან და, აგრეთვე, ინგლისის წარმომადგენლებთან, რომლებიც მოვიდნენ ახალციხეში 6 თებერვალს ერთი ასეულით.

საღამოზე პოლკოვნიკმა გელოვანმა მთხოვა ნებართვა, მოსულიყო შტაბში საქმის მოსახსენებლად და ზოგიერთი საკითხის გამოსარკვევად.

გელოვანთან ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ აჯანყებულები შეჯგუფდნენ ოსმალეთის ტერიტორიაზე სოფელ ბადელას მიდამოებში და ცდილობენ, თავისი გავლენა გაავრცელონ ფოცხვრის რაიონზე. ამასთან, ისიც გამოირკვა, რომ ამ რაიონში, თავის სოფელში გამაგრებულია და აჯანყებულთ წინააღმდეგობას უწევს ადგილობრივი მცხოვრები **ბახშიბეგ მაჩაბელი**, რომელსაც დიდი გავლენა აქვს ფოცხოვრის რაიონის მცხოვრებლებზე და ჩვენთვის კეთილადაა განწყობილი.

დასასრულ პოლკ. გელოვანმა მთხოვა, რომ დახმარება გამეწია მისთვის ახალი ძალებით, და თუ სათადარიგო ჯარის ნაწილები მოვიდოდა, მისი ლეგიონი მომეხსნა პოზიციიდან, რადგან ჯარისკაცები მეტის-მეტად არიან მოქანცულნი.

გელოვანის ყველა მოთხოვნილებანი საფუძვლიანი და სამართლიანი იყო, ამას კარგად ვგრძნობდი, მაგრამ სათადარიგო ჯარის უყოლობის გამო არ შემეძლო, დამეკმაყოფილებინა იგი დაუყოვნებლივ.

დავპირდი, რომ პირველი შეძლებისთანავე მისი ლაშქარი მოხსნილი იქნება პოზიციიდან და გადაყვანილი სხვა ადგილას დასასვენებლად.

**გათენებისას, 4 საათზე, მე-4 ლეგიონის შტაბმა შემატყობინა, რომ სოფ. არალში, უდეში და სხვა სოფლებში დაბანაკებულ მეწინავე ნაწილებს დაეცნენ აჯანყებულები და ჩვენი ნაწილები უკან იხევენ.**

**მოხდა ის, რაც მოვახსენე სამხედრო მინისტრს ტფილისში პირველი თათბირის დროს: იმ პოზიციებზე დატოვება, სადაც ჩვენი ჯარის ნაწილები დამარცხდნენ 1-ლ თებერვალს, დიდი შეცდომა იყო.**

**ჯარებმა უწესრიგოდ იწყეს დახევა ახალციხისაკენ.**

სხვათაშორის, ახალციხის გარშემო მაღლობები წარმოადგენენ მშვენიერ პოზიციებს, სადაც შესაძლებელი იყო შეჩერება რამდენიმე დღით. მით უმეტეს, რომ აჯანყებულებს არ ჰქონდათ არტილერია.

მე მინდოდა, დავრწმუნებულიყავი, რომ ჯარები დაიხევდნენ თუ არა სწორედ ამ პოზიციებზე, იმასაც ვფიქრობდი, რომ ჩემი მისვლა მეწინავე პოზიციებზე ერთგვარ შთაბეჭდილებას მოახდენდა უკან დახეული ჯარისკაცების ფსიხიკაზე, ამიტომ გადავწყვიტე, წავსულიყავი პოზიციებზე.

თან წავიყვანე ერთადერთი სათადარიგო ნაწილი, რომელიც დარჩა ჩემს განკარგულებაში, — დივიზიის შტაბის 1/2 ესკადრონი.

ესკადრონის მეორე ნახევარი დავაწინაურე და ვუბრძანე, გაება კავშირი დახეულ ჯარების ნაწილებთან და მოეთხოვა მათგან, რომ დაეხიათ თხრილებისკენ, რომლებიც გაჭრილი იყო ახალციხის მაღლობზე.

**მაგრამ უკან დახეულების შეჩერება ძნელი საქმე იყო. უკან დასახევად ისინი ამჯობინებდნენ გზატკეცილს, ვიდრე მინდვრებსა და თხრილებს.**

**მე წინ გადაველობე, მაგრამ არც ჩემ მუდარასა და არც მუქარას არავითარი გავლენა არ ჰქონდა თავაშვებულ ჯარისკაცებზე.**

**ერთ ნაწილს რომ გადაველობებოდი და შევაჩერებდი, მეორე ნაწილი გარბოდა, ამათ რომ გამოვეკიდებოდი, შევაჩერებდი, ახლა პირველი ნაწილი გარბოდა.**

უკან რომ დავბრუნდი ახალციხეში, აქ უფრო დიდი სიურპრიზი მელოდა. ქალაქში რომ შევედი, საშინლად გამაოცა ირგვლივ გამეფებულმა სიჩუმემ.

შტაბთან რომ მივედი, ცარიელი ოთახები-ღა დამხვდა. შტაბი იქ აღარ იყო. და იმ წუთში ვერავინ ამიხსნა რა მოხდა, რა იქნენ შტაბის მოსამსახურენი.

შტაბის უფროსმა, გენერალმა ჯიჯიხიამ, ჩემს მოსვლას აღარ მოუცადა და უბრძანა მთელ შტაბს, სამხედრო ქარავანს და ახალციხეში მყოფ ჯარის ნაწილებს, აყრილიყვნენ და წასულიყვნენ აწყურისაკენ.

ამ სურათმა მთლად მოშალა პოზიციებიდან გამოქცეული ჯარისკაცები.

მაშინვე მოვიხმე მე-4 ლეგიონის უფროსი გელოვანი და ვთხოვე, რომ იმ ჯარისკაცებით, რომელნიც მას შერჩენ, გადაღობებოდა მტერს და შეეჩერებინა იგი, სანამ ჩვენი გაქცეული ჯარის ნაწილები რამდენიმე მანძილს გაივლიდნენ და შიშისაგან გონს მოვიდოდნენ.

შემდეგ დავბრუნდი ქალაქში და მივედი ინგლისის ჯარის ბანაკში.

**ინგლისის ჯარის უფროსს განვუცხადე, რომ რამდენიმე დღით იძულებული ვარ, დავტოვო ქალაქი და ვთხოვე, მიეღო თავის მფარველობის ქვეშ საველე საავადმყოფო დაჭრილებითა და ავადმყოფებით და, აგრეთვე, ჩაებარებინა დროებით დატოვებული ჩვენი საინტენდანტო ქონება.**

**ინგლისის ჯარის უფროსმა ჩემი თხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულა.**

**ჩვენს საავადმყოფოზე აფრიალდა ინგლისის დროშა, ხოლო საინტენდანტო საწყობებს მიუყენეს თავიანთი დარაჯები.**

**სამედიცინო პერსონალი მედიკამენტებით დარჩა საავადმყოფოსთან.**

ამ განკარგულების შემდეგ გავეშურე აწყურისკენ გაფანტული ჯარის ნაწილების შესაჩერებლად.

გზადაგზა, როგორც იყო, მოვახერხე და ზოგიერთ ნაწილში წესრიგი აღვადგინე, მაგრამ იმედი არ იყო იმისა, რომ ეს ჯარი შესძლებდა კვლავ ბრძოლას.

**ჩვენი დამარცხების მეორე მსხვერპლი მე შევიქენი. ეს კიდევ არაფერი, ჩემთვის საწყენი უფრო ის იყო, როდესაც გავიგე, რომ კვინიტაძეს, როდესაც ის ბორჯომში მოვიდა ჩემთან, როგორც შტაბის უფროსი, უკვე ჯიბეში ედო თავის დანიშვნის ბრძანება, და ეს გარემოება დამიმალა. ესეც არ მაკმარეს.**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

10 თებერვალს, დილით ყველა ნაწილს თავი მოვუყარე პოზიციებზე სლესის ციხესთან, გორისა და ახალციხის მაზრების საზღვარზე. სოფელ აწყურის გარნიზონი სახალხო გვარდიის ათასეული, რიცხვით 2.500 კაცამდე, დავტოვე როგორც მეწინავე რაზმი სოფლის დასაცავად.

თვითონ მე ჩემი შტაბით ჯერ კიდევ აწყურში ვიყავი.

შუაღამისას, 12 საათზე მაცნობეს, რომ გვარდიის ნაწილებმა მიატოვეს პოზიციები და ტყის ბილიკებით უკან იხევენ.

გვარდიის რაზმის უფროსი დოლიძე, იმ დროს ჩემთან იყო. ვუბრძანე, წასულიყო იმ წუთშივე და გაეგო, რაში იყო საქმე.

რამდენიმე წუთის შემდეგ დოლიძე დაბრუნდა და დაადასტურა ამ ცნობის სინამდვილე.

**შტაბის მდგომარეობა კრიტიკული იყო. იგი დარჩა მარტოდ მარტო. თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ჟორდანიას“ და „შანიძის“ რაზმებს. როდესაც მოვისურვე ამ რაზმების ნახვა, აღმოჩნდა, რომ ამ რაზმებს შერჩა სულ რამდენიმე კაცი.**

იმავე ღამეს შტაბი გადავიდა ბორჯომში, ხოლო ნაწილებმა დაიკავეს პოზიცია სლესის ციხესთან.

საქმის ვითარებას მე, რასაკვირველია, ყოველდღე ვაცნობებდი სამხედრო შტაბს, დაპირებული სათადარიგო ჯარები ჯერ კიდევ არ ჩანდა.

**სამაგიეროდ, 11 თებერვალს, ღამე მოვიდნენ ბორჯომში მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია და სამხედრო მინისტრი გიორგაძე, რომელთაც მოვახსენე დაწვრილებით საქმის ვითარება და კატეგორიულად მოვითხოვე, მოეშველებინა ჩემთვის ახალი ჯარები და, ამასთან, მოვაგონე სამხედრო მინისტრს, ახალციხეში წასვლამდე როგორ ვუმტკიცებდი მას, რომ 1-ლ თებერვალს დამარცხებული ჯარების დატოვება პოზიციებზე არ შეიძლება მეთქი.**

ჩემი მოხსენების შემდეგ მთავრობის თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი უკან დაბრუნდნენ და დამპირდნენ, რომ მოკლე ხანში გამოგზავნიდნენ მაშველ ჯარებს.

მართლაც, მეორე დღიდანვე თანდათანობით იწყო დენა სახალხო გვარდიის ნაწილებმა.

**14 თებერვალს სამხედრო მინისტრის შტაბი შემეკითხა, თანახმა ვარ თუ არა, რომ ჩემი შტაბის უფროსად დაინიშნოს გენერალი კვინიტაძე.**

ეს შეკითხვა შედეგი იყო ჩემი თხოვნისა, რომ გამოეცვალათ ჩემი შტაბის უფროსი გენერალი ჯიჯიხია.

მე დიდის სიხარულით განვაცხადე ჩემი თანხმობა და გენერალი კვინიტაძე მეორე დღესვე მოვიდა ბორჯომში.

ამასთან ერთად, გენერალი ჯიჯიხია დაინიშნა მე-4 ლეგიონის უფროსად, ხოლო ამ ლაშქრის უფროსი პოლკოვნიკი გელოვანი გაწვეულ იქნა ტფილისში.

**პოლკ. გელოვანი, ბრწყინვალე და გულადი მეომარი, უკანასკნელი ომის დროს სარდლობდა ციმბირის ერთ-ერთ გამოჩენილ ლეგიონს და ჯილდოდ ჰქონდა მიღებული წმ. გიორგის ჯვარი. ოპერაციებში 5-დან 10 თებერვლამდე ის მოქმედებდა უმწიკვლოდ, და რა მისი ბრალია, თავაშვებულ ჯარისკაცებს რომ ბრძოლა არ უნდოდათ?**

მაგრამ, როგორც ყოველთვის, როდესაც რაიმე უბედურება მოხდება, განსაკუთრებით პირველ ხანებში, საჭიროა ვისიმე გამტყუნება, ვინმეზე ბრალის დადება. ეხლა მთავარი დამნაშავე მთავრობის თვალში აღმოჩნდა მამაცი და გულადი მეომარი პოლკ. გელოვანი.

ამ ამბების შემდეგ გავიდა ორი დღე და სამხედრო მინისტრის ამხანაგის გენერალ გედევანიშვილის დეპეშა მივიღე, რომლითაც ზრდილობიანი კილოთი მაცნობებდა შემდეგს: **ორივე ფრონტზე იმგვარი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სამხედრო მინისტრი საჭიროდ თვლის, ტფილისში გამოგიწვიოთ. თქვენი დივიზიის მსწრაფლ მობილიზაციას მინისტრი დიდ მნიშვნელობას აძლევს და ამიტომ თქვენი თანამდებობა გენერალ კვინიტაძეს ჩააბარეთ და დაუყოვნებლივ ტფილისში ჩამოდითო.**

**ამგვარად, ჩვენი დამარცხების მეორე მსხვერპლი მე შევიქენი. ეს კიდევ არაფერი, ჩემთვის საწყენი უფრო ის იყო, როდესაც გავიგე, რომ კვინიტაძეს, როდესაც ის ბორჯომში მოვიდა ჩემთან, როგორც შტაბის უფროსი, უკვე ჯიბეში ედო თავის დანიშვნის ბრძანება, და ეს გარემოება დამიმალა. ესეც არ მაკმარეს.**

ტფილისში, რომ ჩამოვედი, გავიგე, რომ მე-2 დივიზიის უფროსის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად დაინიშნა გენერალი გიორგი ფურცელაძე.

მე მიმაწერეს სამხედრო მინისტრის შტაბს, რასაკვირველია, უთანამდებობოდ.

გენერალმა კვინიტაძემ მთავრობას ულტიმატუმიმოთხოვნილება წარუდგინა, სანამ ჩემს განკარგულებაში თავს არ მოიყრის 10 ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი, ბორჯომიდან წინ ფეხს არ გადავდგამო.

მთავრობა იძულებული იყო, შეესრულებინა ეს მოთხოვნილება.

**რამდენიმე თვის განმავლობაში უსაქმოდ დავდიოდი, ჯამაგირს თავის დროზე ვიღებდი და სრულებით არაფერს არ ვაკეთებდი.**

**წარვუდგინე მოხსენება მინისტრს და ვთხოვე, რადგან არაფერს არ ვაკეთებდი, მოესპოთ ჩემთვის ჯამაგირის ძლევა და დავეთხოვე სამსახურიდან.**

**ჩემი თხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილეს.**

**ჯამაგირი მომისპეს, სამსახურიდან კი არ დამითხოვეს.**

**გავიდა ორი თვე და გამომძიებელმა კეკელიძემ დამიბარა როგორც ბრალდებული.**

**წარმომიდგინეს ბრალდება ახალციხის მიტოვებასა და უმოქმედობაში.**

ჩვენების დროს გამომძიებელს და შემდეგ სასამართლოს წარვუდგინე ყველა საბუთი, რაც კი მომეპოვებოდა, მაგრამ მაინც მიმცეს სამხედრო სასამართლოში უმოქმედობისათვის, ესეც არ მაკმარეს.

იუსტიციის მინისტრის დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ჟორდანიამ ადგილობრივ მილიციას უბრძანა, ჩამოერთმიათ ჩემთვის ხელწერილი, რომ ტფილისიდან არსად არ გავიდოდი და ყოველ კვირას გამოვცხადდებოდი მილიციის სამმართველოში. ეს განკარგულება გავასაჩივრე სამხედრო მინისტრთან და იმავე დღეს იგი გააუქმეს.

**მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვიდავიდარაბე და თხოვნით ბევრჯერ მივმართე მთავრობის წევრთ, დაეჩქარებინათ ჩემი საქმე, ჩემი ტანჯვანი მაინც წელიწადს გაგრძელდა და საქმე მხოლოდ 1920 წლის 6 ოქტომბერს გაირჩა.**

**ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიჯექი საბრალდებო სკამზე.**

**დაბარებულნი იყვნენ მოწმენი: ყოფილი სამხედრო მინისტრი გიორგაძე და მინისტრის ამხანაგი გედევანიშვილი.**

**პირველი მათგანი იმყოფებოდა ამ დროს ბათუმში საგანგებო კომისრად და ჩამოსვლა ვერ შესძლო, მაგრამ გამოგზავნა წერილი სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის ესტატე მაჩაბელის სახელზე.**

**წერილში საუკეთესოდ მახასიათებდა და ამბობდა, რომ არ არის არავითარი საბუთები, მთავრობას ჩემთვის რაიმე ბრალდება დაედო.**

**მინისტრმა ამხანაგმა გედევანიშვილმა სასამართლოს თითქმის იგივე განუცხადა და დაუმატა, რომ ახალციხის მიტოვების საკითხი გადაწყვეტილი იყო ჯერ კიდევ 7 თებერვალს. ასე რომ მთავრობისათვის მოულოდნელი აქა არა იყო რა.**

**ამ ორი ჩვენების შემდეგ ბრალდებელმა ბრალის დადებაზე უარი განაცხადა და ნაფიცმა მსაჯულებმა 5 წუთის თათბირის შემდეგ გამართლების განაჩენი გამომიტანეს.**

**„ჟამი ხსნისა“,**
ნაწილი მეათე

გიორგი კვინიტაძე





გენერალი გიორგი კვინიტაძე და ქართული სამხედრო შტაბი სოხუმში, სოჭზე იერიშის წინ




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამეორე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მშრალ მიდამოებში არის რამდენიმე ტბა მსოფლიოში ყველაზე მლაშე წყლით. ინტერესის საგანს წარმოადგენს ამ მიდამოების ყველაზე დიდი ტბა ვანდა, რომლის სიღრმე 60 მეტრია. აქედან ზედაპირის 4 მეტრი ყინულის საფარია, ტბის ძირში კი ტემპერატურა პლუს 25 გრადუსია. ყინული, რომელიც ზემოდან აქვს ვანდას საფარად, ატარებს მზის სხივებს და წყალს ათბობს.

# მშრალი მიდამოები



**ადამიანთა უმეტესობას ანტარქტიდა მთლიანად ყინულით დაფარული ჰგონია, მაგრამ იქაც არის ერთი ადგილი, სადაც სულ სიმშრალეა. არამც თუ ფიფქი, ამ მიწას წვიმაც კი არ უნახავს, უკვე ორი მილიონი წელია.**







ეს ანტარქტიდის მშრალი მიდამოა, რომლის ფართობიც 8 კვადრატულ კილომეტრს აღწევს და სადაც ვიქტორიის, ტეილორისა და რაიტის მიდამოები ქარისა და მუქი ქვების უსასრულო სამეფოს ქმნის.

რატომღაც თოვლი, რომელიც მთელ კონტინენტზე მეფობს, აქ უკან იხევს და ამის მიზეზი გაუთავებელი უძლიერესი ქარებია, რომელთა სიჩქარე 320კმ/სთ-ს აღწევს. ამაზე ჩქარი ქარი პლანეტაზე არავის უნახავს. გასაკვირი არაა, რომ ასეთი ქარის წინააღმდეგ ფიფქები ვერაფერს აწყობენ.

ამ ადგილს მილიონწლიანი ისტორია აქვს, ამიტომაც გადაწყვიტეს გეოლოგებმა, რომ ის გაეროს უნდა დაეცვა. გეოლოგების გარდა, მშრალი მიდამოებით დაინტერესდა ნასაც; იმის გამო, რომ იქ თითქმის ისეთივე პირობებია, როგორიც მარსზე, — ახალ აპარატებს ცდიან.

**მშრალ მიდამოებში არის რამდენიმე ტბა მსოფლიოში ყველაზე მლაშე წყლით. ინტერესის საგანს წარმოადგენს ამ მიდამოების ყველაზე დიდი ტბა ვანდა, რომლის სიღრმე 60 მეტრია. აქედან ზედაპირის 4 მეტრი ყინულის საფარია, ტბის ძირში კი ტემპერატურა პლუს 25 გრადუსია. ყინული, რომელიც ზემოდან აქვს ვანდას საფარად, ატარებს მზის სხივებს და წყალს ათბობს.**

# ტოქსიკური ტბა

**სინამდვილეში ეს აშშ-ში, მონტანაში მდებარე სპილენძის ყოფილი საბადოს ღია კარიერია, რომელიც მძიმე ლითონებისა და შხამქიმიკატების ნარევით დაბინძურებულ 30 მილიარდ გალონ ტოქსიკურ წყალს მოიცავს. წყალში შერეულ ტოქსიკურ ნარჩენებს შეადგენს სპილენძი, დარიშხანი, ალუმინი, რკინა, მანგანუმი, თუთია და სხვ.**

1955 წელს აშშ-ის უდიდესმა ნავთობკომპანიამ Atlantic Richfield Company-მა აქ სამუშაოები დაიწყო, 1982 წელს კი ნაღმი დაიხურა. სანიაღვრე ტუმბოების ამოღებისას ხვრელები დარჩა, დაბინძურებულ ადგილას ხვრელებით წყალმა იწყო შესვლა და წყლის დონე 70 მეტრამდე გაიზარდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტბის ნივთიერებები ძალზე შხამიანია, ცოტა ხნის წინათ მის ფსკერზე აღმოაჩინეს ახალი ჯიშის წყალმცენარეები და მიკროორგანიზმები. მეცნიერები თვლიან, რომ ასეთი ორგანიზმების შესწავლა მათ კიბოს სამკურნალო წამლის შექმნაში დაეხმარებათ.







# ცნობილი ადამიანების გატაცებები



**ალექსანდრე პუშკინი** ფარიკაობითა და ცურვით იყო გატაცებული. იგი ასევე ცხენების დიდი მოყვარულიც გახლდათ და თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ჯირითს უთმობდა. გარდა ამისა, პუშკინი ყოველ დილით ყინულიან წყალს ისხამდა ტანზე და ცივ შხაპს იღებდა, ხოლო ზამთარში ტანს თოვლით იზელდა. პუშკინი წერდა, რომ მისი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა რუსული სიცივე. მას ასევე ფეხით სიარული უყვარდა. ზოგჯერ თავისი სოფლიდან პეტერბურგამდე სეირნობდა, ამ ორ დასახლებას შორის მანძილი კი 26 კილომეტრს შეადგენს.



ცნობილი რუსი პოლკოვნიკი **ალექსანდრე სუვოროვი** ბავშვობაში ძალიან გამხდარი იყო და ადვილად ხდებოდა ავად. როდესაც 14 წლის გახდა, ფიზკულტურამ გაიტაცა. ამის შემდეგ იგი ავად აღარ გამხდარა, სამაგიეროდ მთელი ცხოვრება ერთი უცნაური ჩვეულება ჰქონდა — დასაძინებლად მუდამ საღამოს 6 საათზე წვებოდა და ღამის 2 საათზე იღვიძებდა. ეძინა მიწაზე. როდესაც დგებოდა, აუცილებლად ყვიროდა „ყიყლიყოო“. ამ შეძახილითვე აძლევდა ნიშანს ჯარისკაცებს შეტევისთვის.



გერმანელ კომპოზიტორ **ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს** სპორტის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. ამინდის მიუხედავად, იგი ყოველ დილით დარბოდა. ვენის მოსახლეობა დიდი სიამოვნებით ადევნებდა თვალს, როგორ დარბოდა ცნობილი კომპოზიტორი შორტის ამარა ქალაქის ქუჩებში. სანამ მუშაობას შეუდგებოდა, თავზე ერთ სათლ ყინულიან წყალს ივლებდა. იგი თვლიდა, რომ ეს ძალიან ეხმარებოდა ტვინს მუშაობაში.



**უინსტონ ჩერჩილი** სათამაშო ჯარისკაცების შეგროვებით იყო გატაცებული. რამდენიმე არმიის კოლექცია ჰქონდა და დიდი სიამოვნებით თამაშობდა თავისუფალ დროს. გარდა ამისა, მას ღამით მუშაობა უყვარდა, ხოლო დღისით ეძინა.



XX საუკუნის უდიდესი ფიზიკოსი **ალბერტ აინშტაინი**, სერიოზულად იყო გატაცებული ვიოლინოზე დაკვრით. ასევე, მას ძალიან უყვარდა ველოსიპედით სეირნობა. როგორც მისი მეგობრები ამბობდნენ, არასოდეს იცმევდა წინდებს და ეს რომ ხალხს არ შეემჩნია, ყოველთვის მაღალყელიან ფეხსაცმელს ატარებდა.



დიდი რუსი ქიმიკოსი **დიმიტრი მენდელეევი** თავისუფალ დროს ჩემოდნების კერვას ანდომებდა. მისმა მეზობლებმა არც კი იცოდნენ, რომ მენდელეევი გენიალური ქიმიკოსი იყო. ისინი თვლიდნენ, რომ იგი, უბრალოდ, ჩემოდნების მკერავი იყო. გარდა ამისა, მას ძალიან უყვარდა სამოვრიდან ჩაის დალევა და 6-7 ფინჯანს შესვენების გარეშე მიირთმევდა.



გენიალური ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის — **ლევ ლანდაუს** ცხოვრების უმთავრესი ნაწილი თამაში იყო. იგი პასეანსებს შლიდა და ხშირად ამბობდა, რომ პასეანსის გაშლა ფიზიკას არ ჰგავდა — აქ ფიქრი იყო საჭირო. გარდა ამისა, იგი სასაცილო, სახუმარო ლექსებს წერდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვიოლეტას გარდა, „ტიტანიკზე“ გადავიდა „ოლიმპიკის“ კაპიტანი ედვარდ სმიტიც. რაც შემდეგ მოხდა, ყველამ ვიცით. „ტიტანიკი“ ფსკერზე თავის კაპიტანთან ერთად დაეშვა, ვიოლეტამ კი განსაცდელს სამაშველო ნავით დააღწია თავი. ცოტა ხნის შემდეგ ქალბატონი ჯესოპი მედდად მოეწყო „ბრიტანიკზე“, რომელიც მალევე ნაღმის აფეთქების შედეგად ჩაიძირა. ვიოლეტა ამჯერადაც სასწაულით გადარჩა.

# ყველაზე უიღბლო ადამიანები



## ჯეისონ და ჯენი კიორნს-ლოურენსები

**ისინი ყველაზე მეტჯერ აღმოჩნდნენ ტერორისტთა თავდასხმის ადგილას. პირველად ეს 2001 წლის 11 სექტემბერს მოხდა. ამ ინგლისური ოჯახისათვის დასვენება ნიუ იორკის ტერაქტით დასრულდა. ტრაგედიის მომენტში ისინი სავაჭრო ცენტრში იმყოფებოდნენ და მხოლოდ სასწაულით გადაურჩნენ სიკვდილს.**

ოთხი წლის შემდეგ, 2005 წლის 7 ივლისს, ცოლ-ქმარი ლონდონში ზუსტად იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც ინგლისის ისტორიაში ყველაზე საშინელი ტერაქტი მოხდა. მაშინ აფეთქებებმა 52 ადამიანი შეიწირა, წყვილი კი კვლავ იღბალმა იხსნა. 2008 წელს, მუმბაიში მოგზაურობისას, ქალაქს თავს დაესხა ლაშკარ-ე-ტაიბას ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში ცეცხლის გახსნას აპირებდა. მიუხედავად ამისა, წყვილმა ტურის მიტოვებაზე უარი განაცხადა — ამგვარ აურზაურებს მიჩვეული ვართო.



## რობერტ ტოდ ლინკოლნი

**ის პირადად იცნობდა აშშ-ის რამდენიმე პრეზიდენტს, რომელთაგან სამს ბუნებრივი სიკვდილი არ დასცალდა.**

რობერტი ამერიკის ლეგენდარული პრეზიდენტის — ლინკოლნის უფროსი ვაჟი იყო. 1865 წლის 14 მარტს იგი ფორდის თეატრში მამის მკვლელობას შეესწრო.

1881 წლის 2 ივლისს რობერტი (უკვე სამხედრო მინისტრის ამპლუაში) ზღვაზე დასასვენებლად მიმავალ ქვეყნის იმდროინდელ პრეზიდენტს, ჯეიმს გარფილდს მატარებელზე აცილებდა. ის იყო პრეზიდენტი პლატფორმაზე ავიდა, რომ ორი გასროლის ხმა გაისმა. ჭრილობა იმდენად მძიმე იყო, რომ პრეზიდენტის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

რობერტს კვლავ მოუხდა სიკვდილთან შეჯახება, როდესაც პრეზიდენტ უილიამ მაკ-კინლისთან მიღებაზე იმყოფებოდა. წვეულებაზე ლინკოლნებიც იყვნენ მიწვეულნი. უილიამი რობერტის თვალწინ ჩაცხრილეს. ამის შემდეგ ლინკოლნებმა სამუდამოდ თქვეს უარი სახელმწიფოს მომსახურეობაზე.





## როი სალივანი

**როგორც მეცნიერები ამბობენ, ალბათობა იმისა, რომ ადამიანს მეხი დაეცეს, 3000-დან ერთია, ხოლო იმის ალბათობა, რომ ერთსა და იმავე ადამიანს 7-ჯერ დაეცეს მეხი, 22 სენტილიონიდან (24 ნული) მხოლოდ ერთის ტოლია.**

პირველი დარტყმა სალივანმა 1942 წელს სათვალთვალო კოშკზე მიიღო — მეხი მას ფეხზე დაეცა, რის შედეგადაც დიდ თითზე ფრჩხილი დაკარგა. შემდგომში მას მეხი დაეწია მთებში, თევზაობის დროს და მეტყევის შენობაშიც კი. ერთ-ერთი დარტყმისას თმაზე ცეცხლი წაეკიდა, რის შემდეგაც საბრალო როი სულ თან ატარებდა წყლით სავსე ჭურჭელს.

როის თქმით, ღრუბლები მის თავზე იკრიბებოდა, მაგრამ სტიქიას ხელი არ შეუშლია მისთვის, 71 წლამდე ეცოცხლა. სამაგიეროდ, როგორც ჩანს, იმოქმედა ფსიქიკაზე — სალივანიმ ცალმხრივი, გაუზიარებელი სიყვარულის გამო თავი მოიკლა.



## ვიოლეტა ჯესოპი

**ეს ქალი სამჯერ გადაურჩა გემთან ერთად ჩაძირვას. ძველი მეზღვაურების რწმენით, ქალს გემზე უბედურება მოაქვს. არავინ იცის, სიმართლეა თუ არა ეს, მაგრამ ფაქტია, რომ სამივე გემს, რომლებზეც ვიოლეტა მუშაობდა, ფატალური აღსასრული ეწია.**

1911 წელს ქალი ტრანსატლანტიკურ ლაინერ „ოლიმპიკზე“ გამცილებლად მოეწყო. იმავე წლის 20 სექტემბერს „ოლიმპიკი“ ბრიტანულ სამხედრო გემს შეეჯახა. საბედნიეროდ, არავინ დაზარალებულა, „ოლიმპიკმა“ მიიღო მცირეოდენი ზიანი, მაგრამ მისი შეკეთება მოხერხდა. ვიოლეტამ კი გადაწყვიტა, გასულიყო „ტიტანიკზე“, რომელიც შედარებით უსაფრთხოდ მიაჩნდა.

ვიოლეტას გარდა, „ტიტანიკზე“ გადავიდა „ოლიმპიკის“ კაპიტანი ედვარდ სმიტიც. რაც შემდეგ მოხდა, ყველამ ვიცით. „ტიტანიკი“ ფსკერზე თავის კაპიტანთან ერთად დაეშვა, ვიოლეტამ კი განსაცდელს სამაშველო ნავით დააღწია თავი. ცოტა ხნის შემდეგ ქალბატონი ჯესოპი მედდად მოეწყო „ბრიტანიკზე“, რომელიც მალევე ნაღმის აფეთქების შედეგად ჩაიძირა. ვიოლეტა ამჯერადაც სასწაულით გადარჩა და საბოლოოდ გულის შეტევით 71 წლის ასაკში გარდაიცვალა.



## ჯეინ როჯერსი

**მას ამერიკის ყველაზე უიღბლო ქალსაც უწოდებენ. ჯეინმა იმდენი უბედურება გადაიტანა, რომ გასაკვირია, როგორ ცხოვრობს, როგორაა ჯანმრთელი და როგორ დაკრავს ბედნიერი ღიმილი სახეზე. მას ორჯერ დაეცა მეხი, ის ჩავარდა საკანალიზაციო საფარში, რამდენიმეჯერ თავს დაესხნენ ქურდები, ხოლო საკუთარი ქმარი მის დახრჩობას ცდილობდა.**

ჯერ 18 წლის იყო, როდესაც სველ გემბანზე ფეხი დაუსრიალდა და იახტიდან გადავარდა. მეგობარი მაშველების გამოსაძახებლად გაიქცა, მაგრამ სისველის გამო იმასაც აუსრიალდა ფეხი, წაიქცა და გონება დაკარგა. საბოლოოდ იახტამ გაცურა. სანამ მეგობარი გონს მოვიდოდა და მომხდარის შესახებ სხვებს მოუყვებოდა, ჯეინს რამდენიმე საათის ცივ წყალში გატარება მოუხდა. საბედნიეროდ, იახტა დაბრუნდა და ჯეინიც გადარჩა.

ერთხელ ჯეინი თავის ვაჟთან ერთად ქალაქში მისეირნობდა. მოულოდნელად ბიჭმა დაიყვირა: „დედა, შეხედე, რა სასაცილო ფრინველებია!“, ეს ფრინველები ღამურები იყვნენ და ერთ-ერთი მათგანი ჯეინის თმაში გაეხვა. პანიკაში ჩავარდნილმა ქალმა დაიწყო უახლოესი სახლების კარებზე ბრახუნი, მაგრამ, ვინც კი კარებს აღებდა, მაშინვე ცხვირწინ უხურავდა ღამურის შიშით. საბოლოოდ, დასისხლიანებული ჯეინი, როგორც იქნა, მიიყვანეს ვეტერინართან. თმას, ცხადია, გამოემშვიდობა.



## ტსუტომუ იამაგუჩი

**მსოფლიოში ატომური ბომბით მხოლოდ ორი ქალაქი განადგურდა, ეს კაცი კი ორივე აფეთქებას შეესწრო.**

1945 წლის 6 აგვისტოს ტსუტომუ ხიროსიმაში საქმეზე ჩავიდა. როდესაც ტრამვაიდან ჩადიოდა, მისგან სამი კილომეტრის მოშორებით აფეთქდა ატომური ბომბი. კაცს ყურის ბარაბანის აპკები გაუსკდა და დროებით დაკარგა მხედველობა. ტსუტომუ დარწმუნებული იყო, რომ სამყაროს დასასრული დადგა. მან ერთი ღამე გაატარა თავშესაფარში, ხოლო მეორე დღეს სახლში დაბრუნება იჩქარა. სამი დღის შემდეგ, როდესაც ნაგასაკიში თავისი ხელმძღვანელის კაბინეტში იჯდა და იმ საოცარი ამბავის შესახებ უყვებოდა, რაც ხიროსიმაში გადახდა, მოულოდნელად ყველაფერი განმეორდა — ისევ ამ შენობიდან სამი კილომეტრის დაშორებით აფეთქდა ატომური ბომბი. მიუხედავად ამისა, ბატონი იამაგუჩი კვლავ გადარჩა. ატომური ომის საშინელებათა შესახებ რამდენიმე წიგნის ავტორი ტსუტომუ შარშან, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა.



## ენ ჰოდჯესი

**მას მეტეორი დაეცა. 1954 წლის 30 ოქტომბერს ენი სადილის შემდეგ სავარძელზე ისვენებდა, ამ დროისათვის კი დედამიწას მეტეორი უახლოვდებოდა. ფრენის დროს ის სამ ნაწილად დაიშალა, ამ ნაწილებიდან ერთ-ერთმა ენის სახურავი გახვრიტა და პირდაპირ ენს დაეცა.**

## უვარსკვლავო სასტუმრო



**შვეიცარიის ქალაქ სეველენში მსოფლიოში პირველი ნულვარსკვლავიანი სასტუმრო Null Stern Hotel-ი გაიხსნა. მას ერთდროულად 54 ადამიანის მიღება შეუძლია. ის სამხედრო ყაზარმას ან კატაკომბას უფრო ჰგავს, ვიდრე სასტუმროს. მასში არ არის ერთმანეთისგან გამოყოფილი ნომრები. სასტუმრო ბირთვული ბუნკერის ტერიტორიაზეა, შესაბამისად, ის მიწის ქვეშ მდებარეობს და ფანჯრებიც არ აქვს.** მიწისზედა სამყაროსთან ერთადერთი კავშირი დიდი მონიტორია, რომელზეც სასტუმროს ტერიტორიაზე დამონტაჟებული ვიდეოთვალით გადაღებული მასალა ჩანს. ეს ეკრანი ტელევიზორსაც ცვლის, რომელსაც სასტუმროში ვერ ნახავთ. სასტუმროში ერთი აბაზანაა, ვისაც ცხელი წყლით ბანაობა უნდა, ყველაზე ადრე უნდა ადგეს, ვინაიდან წყალი შეზღუდულია. სასტუმროში ღამის გათევა 10 აშშ დოლარი ღირს. სწორედ ამის გამო სასტუმროში ცარიელი ადგილი თითქმის არასდროსაა.

# აშშ-ის ელჩი სირიაში სიკვდილის ესკადრონებს ქმნიდა



**სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის ელჩი სირიაში — რობერტ ფორდი, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა, საბრძოლო მოქმედებისთვის მზადმყოფი სირიის სამხედრო და პოლიციური ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად ავღანეთში, ერაყში, იემენსა და ჩადში განლაგებულ „ალ ქაიდას" ფილიალებში არაბული „სიკვდილის ესკადრონებისთვის" კადრების გადაბირებით იყო დაკავებული. ფორდი 2004-დან 2006 წლამდე ბაღდადში აშშ-ის საელჩოს პოლიტიკის მრჩეველი იყო იქ ჯონ ჰეგროპონტეს ელჩობისას. ეს უკანასკნელი 1981-1985 წლებში აშშ-ის ელჩი გახლდათ ჰონდურასში და საკვანძო ფიგურას წარმოადგენდა აშშ-ის საიდუმლო პროგრამაში, რომელიც ნიკარაგუელთა შეიარაღებას ეხებოდა. ამ ბინძური, ნახევრადგასამხედროებული ფორმირებების მხარდაჭერის წყალობით, ნეგროპონტეს მეტსახელად „მისტერ სიკვდილის ესკადრონი" შეარქვეს.**

ნეგროპონტემ ფორდს ერაყში „სალვადორული ვარიანტის" რეალიზება დაავალა, რაც გულისხმობდა ერაყელი ჯაშუშებისა და ქურთთა არალეგალური გასამხედროებული ფორმირებების გამოყენებას ადამიანების მკვლელობებისა და გატაცებებისთვის, ერაყსა და სირიის საზღვარზე ამბოხებულთა ლიდერების წამებისთვის. ოპერაციას 1981 წელს ცენტრალურ ამერიკაში „მოღვაწე" ნეგროპონტეს სიკვდილის ესკადრონების საპატივცემულოდ ეწოდა სახელი.

ფორდი გახდა მთავარი ფიგურა, რომელსაც სირიის პრეზიდენტის — ბაშარ ასადის მიმართ ლოიალური უშიშროების ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად ახლო აღმოსავლეთსა და მის ფარგლებს გარეთ არაბები და მუსლიმანები უნდა დაექირავებინა. **აშშ-ის მხარდაჭერით, ტერორისტები არა მხოლოდ თავს ესხმიან სირიის უშიშროების ძალებს, არამედ თავად ხოცავენ სამოქალაქო პირებს, რათა შემდეგ ეს მკვლელობები სირიის ხელისუფლების არმიას დააბრალონ. როგორც გაირკვა, ფორდის ოპერაციები სირიაში ისრაელის მოსადის მხარდაჭერით ხორციელდება.**

იგივე „სალვადორული ვარიანტი" გამოყენებულ იქნა ლიბიაშიც, სადაც ერაყელი, ავღანელი და იემენელი დაქირავებულებისგან შემდგარმა არარეგულარულმა ფორმირებებმა დახოცეს მშვიდობიანი მოსახლეობა, განსაკუთრებით შავკანიანები მხოლოდ იმისთვის, რომ შემდგომ ამაში ლიბიის ხელისუფლების არმია დაედანაშაულებინათ. რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქის სიკვდილში დადანაშაულებულ იქნენ კადაფის მომხრეები, მაგრამ სინამდვილეში ცნობილია, რომ ეს მკვლელობები ცსს-სა და მი-6-ისგან მომართულმა და მეამბოხეთა რიგებში გაბნეულმა „ალ ქაიდას" წევრებმა ჩაიდინეს. ფორდი ლიბიელ ამბოხებულებს სიკვდილის ესკადრონების შეტევების განხორციელების საქმეში კონსულტაციებს უწევდა.

2006-დან 2008 წლამდე ფორდი ალჟირში მუშაობდა ელჩად. ეს ის ქვეყანაა, რომელიც ლიბიელი ამბოხებულების წინააღმდეგ გამოდის და რომელიც აღდგენილი „ალ ქაიდას" ტერორისტული შეტევების მსხვერპლი გახდა. როგორც ჩანს, ალჟირი დომინოს მომდევნო ქვად განიხილება, აშშ ხომ ჩრდილოეთ აფრიკაზე ტოტალური სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონიის დამყარებისკენ ისწრაფვის.

**როგორც ცნობილი გახდა, ლიბიის გარდამავალმა ნაციონალურმა საბჭომ აშშ-ს ნება დართო, ლიბიაში მუდმივი სამხედრო ბაზები განათავსოს. ბაზების განთავსება იგეგმება ალჟირის საზღვართანაც. მეამბოხეები ასევე შეთანხმდნენ, რომ გარდამავალი ნაციონალური საბჭოს ნატოსა და გაეროსთან ურთიერთობაში მთავარი პოლიტიკური ძალა ამერიკელები იქნებიან. ასე რომ, ყველაფერი ერაყის დროებითი კოალიციური ადმინისტრაციის სცენარის მიხედვით კეთდება.**

**p-w-w.ru**

# ხელისუფლებას ჯიჰადისტები ეპატრონებიან

**ოფიციალური ეიფორია, რომლითაც ამერიკული და ევროპული ხელისუფლებები ლიბიაში მუამარ კადაფის რეჟიმის დაცემას ზეიმობდნენ, ჩანაცვლდა მღელვარებით იმის გამო, რომ ლიბიის ახალ ხელმძღვანელობაში მრავალი ადამიანი რადიკალური მუსლიმანია და კავშირები აქვს „ალ ქაიდასთან". ამასთანავე გაჩნდა ცნობები, რომ დასავლეთის ხელისუფლებებს ჩამოგდებულ დიქტატორთან მჭიდრო კავშირი აქვს.**



ლიბიელი ამბოხებულების ხელმძღვანელთა რიგებში რომ დიდი უმრავლესობა რადიკალი მუსლიმანი იყო, პარიზში ამის შესახებ ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში იცოდნენ. მაგრამ ახლა დასავლეთის დედაქალაქებში უკვე ღიად დაიწყეს მსჯელობა ამასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე.

**8 მარტს ფრანსუა გუიეტმა, რომელიც თებერვლის ბოლომდე ტრიპოლში ელჩის თანამდებობაზე მუშაობდა, საფრანგეთის საერთაშორისო საქმეთა საპარლამენტო კომისიის დეპუტატების რჩეულთა ჯგუფს უთხრა, რომ ამბოხება, განსაკუთრებით ქვეყნის აღმოსავლეთში, ძირითადად „რადიკალი მუსლიმანებისაგან" შედგებოდა.**

**„ქვეყნის აღმოსავლეთით, განსაკუთრებით ქალაქ დერნაში, რომელიც ძალზე იოლად აიღეს ამბოხებულებმა, უდავოდ სახეზეა რადიკალური მუსლიმანების დიდი კონცენტრაცია",** — თქვა მაშინ გუიეტმა. **„ასობით ლიბიელი მებრძოლი, რომელიც საერთაშორისო ჯიჰადში მონაწილეობდა ავღანეთსა და ერაყში, წარმოშობით სწორედ ამ რეგიონიდანაა. ამ მებრძოლთაგან მრავალი ლიბიაში დაბრუნდა",** — აფრთხილებდა ყოფილი ელჩი დეპუტატებს და ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამის დამადასტურებლად აღნიშნული სხდომის პროტოკოლიც არსებობს.

გუიეტმა დეპუტატებს შეახსენა, რომ დაახლოებით 800 ადამიანი, რომლებიც 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გაეროს მიერ აკრძალული ლიბიის ისლამური საბრძოლო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა და რომლებიც ცოტა ხნით ადრე კადაფის რეჟიმმა გაათავისუფლა მრავალწლიანი პატიმრობიდან, უკვე დაუბრუნდა ქვეყნის „გათავისუფლებულ რაიონებს და ისინი მომავალში შესაძლოა პრობლემის მიზეზად იქცნენ".

გარდა ამისა, გუიეტმა დეპუტატებს შეახსენა, რომ კადაფის რეჟიმი „მჭიდროდ თანამშრომლობდა დასავლეთის ყველა სადაზვერვო სამსახურთან „ალ ქაიდას" სახით მუსლიმანური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მაშინ საფრანგეთის მასმედიას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამართული დისკუსისს მასალებთან გაცნობის საშუალება არ მიეცა.

პარლამენტში გამართული ამ დახურული სხდომიდან ხუთი თვის შემდეგ პარლამენტმა ყოფილი ელჩისგან მიღებული გაფრთხილების ნამდვილობა ოფიციალურად დაადასტურა. ახლა უკვე საიდუმლო არაა, რომ ლიბიური ამბოხების ოთხი სამხედრო ხელმძღვანელი რადიკალურ მოძრაობებთან ხანგრძლივ და მჭიდრო კავშირშია.

## ახლა უკვე საიდუმლო არაა, რომ ლიბიური ამბოხების ოთხი სამხედრო ხელმძღვანელი რადიკალურ მოძრაობებთან ხანგრძლივ და მჭიდრო კავშირშია

მეორეს მხრივ, ტრიპოლში ნაპოვნი საიდუმლო დოკუმენტები ადასტურებს, რომ როგორც ბრიტანული, ასევე ამერიკული ხელისუფლებაც მჭიდროდ თანამშრომლობდა კადაფთან სწორედ რადიკალი მუსლიმანების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში.

**კადაფის საიდუმლო დოკუმენტები აღმოაჩინეს ვაშინგტონში ბაზირებული ორგანიზაციის „ჰუმან რაითს ვოჩის" მკვლევარებმა ლიბიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის — მუსა კუსის პირად კანცელარიაში. კუსა ლიბიიდან თებერვლის ბოლოს, ამბოხების დაწყებისას გაიქცა და, როგორც ჩანს, ყატარში მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი.**

ყველაზე სახელგანთქმული ამბოხებულთა რადიკალურ ლიდერებს შორის აბდალჰაკიმ ბელხაჯი, იგივე აბუ აბდალა ალ-სადეკი, 1980-იან წლებში ავღანეთში ანტისაბჭოთა ბრძოლის ვეტერანია. კადაფიზე გამარჯვების შემდეგ ბელხაჯი ტრიპოლის სამხედრო მმართველი გახდა.

აშშ-ის სპეცსამსახურებმა ბელხაჟი მალაიზიაში 2003 წელს დააკავეს. ისინი მის დაკითხვას მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ ბანკოკის საიდუმლო ციხეში, შემდეგ კი კადაფის რეჟიმს გადასცეს. გუიეტმა საფრანგეთის პარლამენტში დაადასტურა, რომ კადაფმა ბელხაჯი 2010 წლის მარტში გაათავისუფლა.

**სხვა სახელგანთქმულ რადიკალ მუსლიმანებს შორის ახალ ხელმძღვანელობაშია ისმაილ ასსალაბი ბენღაზიდან, აბდელხაკიმ ალ-ხასიდი დერნადან და ალი სალაბი, ამჟამად ლიბიის მმართველი გარდამავალი ნაციონალური საბჭოს წევრი. ისინი ლიბიის ისლამური საბრძოლო ჯგუფის შემქმნელები იყვნენ.**

სალაბი ლიბიის ისლამური საბრძოლო ჯგუფს სათავეში ჩაუდგა კადაფის რეჟიმთან მოლაპარაკებებისას. ამ მოლაპარაკებებმა კადაფის ციხეებიდან ამჟამინდელი ამბოხებულების მთელი ხელმძღვანელობის გათავისუფლების შედეგი განაპირობა.

ხასიდი, რომელმაც აღიარა, რომ მისი გარემოცვიდან ზოგიერთ ადამიანს, რომლებიც „ალ ქაიდას" წევრები, კარგი მუსლიმანები და ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლი ნამდვილი პატრიოტები არიან, ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც ჯიჰადისტს. ხასიდი ავღანეთში იბრძოდა აშშ-ის ხელმძღვანელობით წამოწყებული ინტერვენციის წინააღმდეგ. პაკისტანში, პეშავარაში 2002 წელს შეიპყრეს და 2004 წელს ლიბიის ხელისუფლებას გადასცეს.

**ლიბიის იმ საიდუმლო დოკუმენტების თანახმად, რომლებიც ტრიპოლში აღმოაჩინეს, გაირკვა, რომ ბრიტანეთის საგარეო დაზვერვის საიდუმლო სამსახური M-6 მრავალი წლის განმავლობაში აწვდიდა კადაფს ინფორმაციას ემიგრაციაში მყოფი მისი ოპონენტების შესახებ. დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ცსს-მა უცხოეთში ბელხაჯისა და ხასიდის მსგავსი რამდენიმე ლიბიელი ბოევიკი შეიპყრო, ისინი ჯერ საიდუმლო ციხეებში დაკითხა, მოგვიანებით კი კადაფს გადასცა.**

პიტერ ბუკარტმა, „ჰუმან რაითს ვოჩის" საგანგებო სიტუაციათა განყოფილების დირექტორმა, ჟურნალისტებს უთხრა, რომ ცსს-ს როლი დიდად სცდებოდა ექჭვმიტანილი ისლამისტი ბოევიკების გატაცებისა და მათი ლიბიის დაზვერვისათვის გადაცემის ფუნქციას. ცსს ასევე გზავნიდა კითხვებს, რომლებიც მათი სურვილის შესაბამისად ლიბიის დაზვერვას უნდა დაესვა და, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, ცსს-ს თანამშრომლები ამგვარი დაკითხვებიდან ზოგიერთს თავადაც ესწრებოდნენ.

**ლიბიის ყოფილ რეჟიმთან დასავლური თანამშრომლობის სხვა დამადასტურებელი კადაფის არსენალში თანამედროვე წარმოების გერმანული ტყვიამფრქვევების აღმოჩენა გახდა. გერმანული ხელისუფლება, რომელიც თითქოსდა მკაცრად აკონტროლებს ამგვარი შეიარაღების ექსპორტს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით რაიმე განმარტებებს არ იძლევა. შესაბამისად, გაურკვეველია, როგორ მოხვდა ეს იარაღი კადაფის ხელში.**

2007-დან 2010 წლამდე პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი რეგულარულად სტუმრობდა კადაფის საფრანგეთთან სამხედრო თანამშრომლობისთვის. სარკოზის გეგმებს შორის იყო ლიბიაში სამხედრო თვითმფრინავების „რაფალების" და სხვა შეიარაღების, ასევე ბირთვული ტექნოლოგიების ექსპორტი.

2007 წლის დეკემბერში, მოლაპარაკებების დაწყებისას, იმხანად ადამიანის უფლებათა საკითხებში ფრანგი მინისტრის მოადგილემ რამა იადემ ლიბიის ლიდერის პარიზში ოფიციალური ვიზიტისას სარკოზის გეგმებს კადაფისათვის თავისი დანაშაულებებიდან სისხლის ჩამორეცხვის კეთილსასურველი შესაძლებლობა უწოდა, მაგრამ ეს გეგმები განუხორციელებელი დარჩა.

**Inter Press Service**

ეწვიეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net